



ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№4

ისინჯი

ლიტერატურული ჟურნალი

საიუბილეო ნომერი

№4

2018

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი

რეზო ემილიანე ადამია

დავით არახამია

ციალა არდაშელია

ბონდო არველაძე

ნინო ბაქანიძე

აკაკი ბრეგაძე

მარინა თექთუმანიძე

დალი კახიანი

ერეკლე სალლიანი

ბადრი პატაშური

მარსიანი

გიორგი შიშნიაშვილი

გიგი ხორნაული

რუსუდან ჭანტურიშვილი

მხატვარი

თამარ ლომიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა	5
პუბლიცისტიკა	
იკა ქადაგიძე – ამბროსი ხელაიას „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“	7
კულტურული ფასეულობების სადარაჯოზე	
ბონდო არველაძე – თანდოიანის ღვთისმშობლის ეკლესია თბილისში	15
პოეზია	
მანანა ბრაჭული – ლექსები.....	16
პროზა	
გიგი ხორნაული – გაბურთ ეშმა	18
მოგონება	
ვანო გელაშვილი – მარიჯანის სახლი წალვერში	22
არდავიწყება პოეტისა	
ზურაბ ჯაფარიძე – ლექსები.....	24
პორტუგალიური დღიურები	
ბადრი პატაშური	25
ესეისტიკა	
ლერი ალიმონაკი – ნიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის გამო	27
პოეზია	
დავით არახამია – ლექსები	30
პროზა	
კობა ცხაკაია – ფანტასტიური რეალობის ორი ნაბიჯი.....	32
იტალიური შთაბეჭდილებები	
ერეკლე სალიანი – „მე გამიხლდა სოფელი“	37

ღირსსახსოვარნი გრიგოლ მეგრელიშვილი – ლექსები	39
თარგმანი მეგი მოლოდინი –.....	41
მოთხრობა ნინო ბაქანიძე – სულის არპეჯიო რეჯიოში	42
ისტორიული ექსკურსი თინა იველაშვილი – მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია.....	47
მოგონება ვაჟა ჩორდელი – „ნამეტნავი ჭკვიანი გურული“ ანუ ფრაგმენტი გივი ძნელაძის ცხოვრებიდან	51
რეცენზია რუსუდან ჭანტურიშვილი –პერიოდული ჟურნალი „ბედნიერი ოჯახი“	53
პოეზია დალი კახიანი	56
რელიგიურ-ფილოსოფიური რაკურსი ნანა ერემაძე – კაცი სრული და ღმერთი სრული.....	58
ერთი ლექსის გაელვება შოთა ხოდაშნელი – ქეთევან	60
გიორგი შიმშიაშვილი – ***	60
ომის ქრონიკა მარინა თექეთუმანიძე – წარსულის ფურცლები.....	61
პოეზია ზეინაბ მეტრეველი –	62
კრიტიკა მარსიანი – გამომხაურება დისკუსიაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“	63
პოლიტპატიმრის ჩანაწერები შალვა მჭედლიშვილი – როცა განვლილ გზას გახედავ.....	65
ნორმანდიული დღიურები რეზო ადამია – ჩანაწერები	68

რედაქტორის წინათქმა

სამწერლო პროცესებში უშუალო და აქტიური მონაწილეობა შეუღამაზებლად და უშეღავათოდ ავლენს ვის რისი ძალა და უნარი შესწევს; ამიტომ ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ სოლიდურმა, გემოვნებიანმა პუბლიკამ და კეთილსინდისიერმა თანამოკალმებმა „ისინდი“ ყველაზე მეტძოლ ჟურნალად აღიარეს. ეს-ესაა წელიწადი შესრულდა, რაც ყველაზე მკაფიო ეროვნული პროფილის გამომხატველი ჟურნალი ლიტერატურულ სივრცეს მოეწვინა და უმრწემესობის მიუხედავად უმაღლესი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა. ეს ფაქტი ცალსახად მოწმობს, თანამედროვე სამწერლო პოლიტიკის მიმართულება – კრიტიკის წაყრუებას უყოყმანოდ რომ მიეჩვია, პრინციპულობის გამოვლენით დავძლიეთ და დამოუკიდებელი სარედაქციო კურსის წყალობით კლანური და-ჯგუფებებისა და ცენზურის ზეწოლის მიუხედავად უახლესი მწერლობის სარბიელზე მეტძოლი პუბლიცისტიკის სტილის დომინანტობა აღვადგინეთ და დავაკანონეთ.

ის გარემოება, რომ „ისინდი“ ფინანსური ჩამომათხოვრების ტრადიციას სათავეშივე გაემიჯნა და სხვადასხვა სახის სიძნელების მიუხედავად ჟურნალის გამოცემას საკუთარი ხარჯით შეუდგა, სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ფაქტორია, რაც ეროვნული საკითხების გაბედულ და მიუკერძოებულ წარმოჩენასა და ანალიზს სხვების ჩაურევლად და შეუფერხებლად განსაზღვრავს და განაპირობებს. ეს ნიშნავს ათასი ჯურისა და მისწრაფების მქონე ავანტიურისტისა და მალაღჩინოსანი ზემდგომის შეკვეთას გვერდი აუარო; შესაბამისად, წერო და გამოაქვეყნო ის, რაც ქართული კულტურის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და გადაწყვეტი. სასიკეთო კარდინალური ცვლილებების განხორციელება სამინისტროებთან და გავლენიან მწერლურ კლანებთან ვასალური დაქვემდებარების პირობებში მიუღწეველია. ამდენად, „ისინდის“ დევიზი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს!“ მუდამ ძალაშია და არანაირ მეტამორფოზას არ ემორჩილება. აქვე დავძენ: ვისურვებდი, ამ მხრივ თანამოაზრეები მოგვმრავლებოდა და როგორც ჩვენ ვახერხებთ საველე პირობებში აურაცხელი სიძნელის მიუხედავად გაბედულების უწყვეტ გამოვლენასა და პრინციპულობის თანმიმდევრულ დაცვას ეროვნული მსოფლმხედველობის გასაძლიერებლად, სხვებსაც ანალოგიური გზა აერჩიათ, რაც საუცხოოდ დაფინანსებულ მოწინააღმდეგეებთან გაჩაღებულ უთანასწორო ბრძოლას ნამდვილი მწერლობის სასარგებლოდ შემოაბრუნებდა. ერთობლივი ძალისხმევის გამომჟღავნება მწერლის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას ზრდის, რის დეფიციტსაც სამწუხაროდ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვეხლებით.

კონფორმისტების პარპაშის ფონზე „ისინდის“ მიერ ქართული მწერლობის დასაცავად და გასაჯანსაღებლად გამოვლენილი განუხრელი კურსი იმდენად თვალსაჩინოა და წინაღუდგომელი, ჟურნალის დაარსებას და აქტიურობას მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებიც კი მიესალმნენ. ეს მართლაც მისაბაძი პრეცედენცია, რის გამოც „მწერლის გაზეთის“ რედაქტორსა და რედკოლეგიას დიდ მადლობას ვუხდით. მათ ჩვენი ბირთვის ობიექტურობასა და პრინციპულობას ხაზი გაუსვეს, რაც მოწმობს, რომ ანტიეროვნული ძალების თარეშის საპირონედ მწერლური სოლიდარობის გამომჟღავნების დრო დადგა. მართებულად მოაზროვნე მწერლებმა მსოფლმხედველობრივი სხვაობის მიუხედავად საერთო ენა უნდა გამოიხატონ და ფინანსურად ძლიერ და იდეოლოგიურად სახიფათო ანტიეროვნულ ძალებს ორგანიზებულად შეებრძოლონ.

საიმედო მოკავშირის მიერ საჯაროდ დადასტურებული პატივისცემა – კოლეგიალური ერთსულოვნების მკაფიო და ნათელი მაგალითია, რაც საერთო მტერთან ბრძოლისას ზურგის გამაგრების მწერლურ კოდექსს ეხმიანება. მართალია ეს ტრადიცია მეტწილად დავინწყებულა, მაგრამ ვინც სოლიდარობას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით ავლენს, ფაქტია, მზადაა ქართული მწერლობის წინაშე მდგარ გამონვევებს მზად

დაუხვდეს და საჭიროების შემთხვევაში კეთილმეზობლური პრინციპის გათვალისწინებით მოკავშირე სათანადოდ დააზღვიოს; ამიტომ დიდ მადლობას ვუხდით ეროვნული მიმართულების ფართოფორმატიანი ჟურნალის, „ამერიმერის“ ენერგიულ რედაქტორს, ვაჟა ჩორდელს, რომელმაც „ისინდის“ წარდგინებაზე მხარდაჭერა გამოგვიცხადა და თავისი ჟურნალის ფურცლებზე არა მხოლოდ „ისინდის“ გამოცემის დაანონსებას შეგვპირდა, არამედ მწვავე წერილების შეუფერხებელი გამოქვეყნება აღგვითქვა, რაც ნაყოფიერი და სასარგებლო თანამშრომლობის პრეცედენტის მყარი და სასურველი გარანტია.

სასიხარულო ფაქტია, როდესაც კოლეგიალობას ჯანსაღი, ეროვნული მიმართულების ბეჭდვითი ორგანო გამოხატავს; პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოცემული ჟურნალი „ბედნიერი ოჯახი“, რომელიც „ისინდზე“ მხოლოდ ერთი თვითაა უფროსი, თავის ფურცლებზე ჩვენს ჟურნალს დადებითად ეხმაურება და ანონსის კვალდაკვალ თქვენი მონა-მორჩილის წინათქმას აქვეყნებს, სადაც „ისინდის“ დანიშნულება და საქმიანობა სათანადოდაა წარმოჩენილი. მსურვალე მადლობა „ბედნიერი ოჯახის“ რედაქტორს, ნანა გაგნიძეს მხარდაჭერისთვის; რაც უფრო მეტი ჯასაღი, სწორი მიმართულების ჟურნალი გამოჩნდება სამწერლო სივრცეში, მწერლობის წინსვლის პერსპექტივა მით უფრო გაიზრდება. ძალა ერთობაშიაო, ნათქვამია. ცხადია, სოლიდარობა სოლიდარობის წილ; „ისინდი“ „ბედნიერი ოჯახის“ დაბადებას შესაბამისი რეცენზიით მიესალმება, რასაც დაინტერესებული მკითხველი საიუბილეო ნომერში გაეცნობა.

ორმაგი რეკლამირების წესიც არსებობს ცხადია, როდესაც წინასწარ გამიზნული ტენდენციურობა შენიღბული ფორმით ვლინდება, რაც ორმაგ ხიფათს შეიცავს; ესოდენ მზაკვრული ტაქტიკის მეშვეობით დადებითის წარმოჩენის კვალდაკვალ ფაქტების მიზანმიმართულ გაყალბებას აქვს ადგილი, თუმცა საიუბილეო ნომერში ამგვარ გამომხაურებას მხოლოდ გაკვრით ვახსენებ; აქვე დავაზუსტებ, სამომავლოდ ამ თემას საგანგებო დრო და ადგილი დაეთმობა, რადგან გაყალბების საფრთხე სამწერლო პროცესების დამახინჯების წინაპირობაა; მსგავსი პრეცედენტი მომავალ ლიტმცოდნეებს სიმართლის დადგენას ხელოვნურად გაურთულებს და მონოპოლიზმის მიმდევრების ნიქვილზე დაასხამს წყალს. ეს საკმაოდ სერიოზული სატკივარია, მწერლობას საფუძვლიანად რომ აზარალებს და მეტწილად კლანის მეთაურთა თავკერძა ინტერესებს ასახავს და ემსახურება. „ისინდი“ ამ თვალსაზრისითაც პირველი მერცხალია, რომელიც აკრძალულ თემებს ფაქტებით გამოამხაურებს და არსებულ მანკიერებებს მიუკერძოებლად გააშუქებს.

რეგიონულ ბიბლიოთეკებთან დამყარებული კავშირის პარალელურად ჩვენს ერთგულ მკითხველებს სასიამოვნო სიურპრიზს ვთავაზობთ: ჟურნალის ვირტუალური გვერდის დაარსების კვალდაკვალ (გვერდის შექმნა და მისი ადმინისტრირება ბირთვის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა: გიორგი შიშინაშვილმა ითავა) „ისინდის“ პირველი ნომრის ელექტრონული ვერსია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ გვერდზე განთავსდა, სადაც მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ დეფიციტური ნომერი შეუფერხებლად დააგემოვნონ. დიდი მადლობა ბიბლიოთეკის მესვეურებსა და კოლექტივს, ვინც ჩვენს თხოვნას ოპერატიულად გამოეხმაურა და „ისინდის“ პოპულარიზაციაში უსასყიდლოდ შემოგვეხიდა.

და ბოლოს, დაარსებიდან ერთი წლის თავზე ჟურნალი „ისინდი“ კვლავ ლიტერატურული სივრცის ავანგარდშია და მზარდი აღიარების პარალელურად ნამდვილი მწერლობის გასაჯანსაღებლად და შესანარჩუნებლად ძალ-ღონეს არ იშურებს. ამდენად, კეთილსინდიერ თანამოკალმეთა და მკითხველთა შეფასება: ისინდი-სინდისის სიმბოლო, როგორც სინდისის სადარაჯოზე მდგარი მარადფხიზელი გუმბაგი უზარმაზარი ნდობის საპასუხოდ გაძლიერებული პასუხისმგებლობის გრძნობით შედუღებული სოლიდური ბირთვის მეშვეობით კვლავ სათანადო სიმაღლეზეა და ეროვნულ მწერლობის დასაცავად უშელავათო ბრძოლას უწყვეტად განაგრძობს!

19.05.2018.

(ამბროსი ხელაიას „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“)

იკა ქადაგიძე

„ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულელია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს ჩვენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი ალვირანყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეთათესაც ითხოვს“

მიხეილ ჯავახიშვილი

პოლიტიკურად ხელმოცარული ხელისუფლების ხელნერა მრავალგზის ნაცად ფორმულას ემყარება: გაუსაძლისი გარე და შიდა ფაქტორებით დაუძლურებულ ერს რელიგიური „ბუმი“ თავზე ხელოვნურად მოახვიოს, უამრავ მახინჯ ნარმონაქმნს გზა გაუხსნას და თანმდევი მოვლენების არსი გეგმაზომიერად გააყალბოს.

ჩვენ თვალწინ ეროვნული ღირებულებები დაიგმო და დაკნინდა. ბურჯს საყრდენი გამოეცალა. უძველესი მიწა-წყალი ცხვირწინ უბოდიშოდ აგვაცალეს. საბედნიეროდ, ათასჭირგამოვლილ ქართველობას მამაპაპური სარწმუნოება არასდროს დაუთმოია და ღვთის შეწევნით არც მომავალში დათმობს!

რთულია, როდესაც, შოპენჰაუერის თქმისა არ იყოს, „სახელმწიფო ბოროტების მანქანაა“ და კეთილდღეობის ნაცვლად გაუსაძლისი წნეხში გსრესს. ფილოსოფია ფილოსოფიად და ამ გავრცელებული შეხედულებისა და სახიფათო გამოცდილების მიუხედავად, რიგმა ქვეყნებმა, მაგალითად, რუსეთმა და საბერძნეთმა თავიანთი სარწმუნოება სახელმწიფო რელიგიად დააკანონეს და უმძიმეს განსაცდელთა შორის ყველაზე საშიშ და ვერაგ სექტანტურ ძალმომრეობას ჩინური კედელი დაუხვედრეს.

ჩვენ ამ თვალსაზრისით ერთმორწმუნე სახელმწიფოებს გვარიანად ჩამოვრჩებით. აქაოდა, უხსოვარი დროიდან ტოლერანტობა დაგვებდა, ბაბილონის გოდოლის როლი თავმომწონედ მოვირგეთ, პირწმინდად დავივინყეთ, რომ ქრისტიანობა ქართველობასთან იყო გაიგივებული და რჯულის შესანარჩუნებლად ჩვენს წინაპრებს სამსხვერპლოზე სიცოცხლე უყოყმანოდ მიჰქონდათ. მამაპაპური სარწმუნოების დაცვის პარალელურად, სხვა რელიგიის აღმსარებლებსაც პატივს მივაგებდით, თუმცა ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

თბილისში, რომელსაც ოთხასი წლის განმავლობაში მაჰმადიანი ამირები განაგებდნენ, XVI საუკუნემდე მეჩეთი არ არსებობდა. 1522 წელს შაჰისმაილმა პირველი მეჩეთი დანგრეული ეკლესიის საძირკველზე ააგო. მოგვიანებით, როსტომ ხანის მიერ აშენებული მუსლიმანური საკულტო ნაგებობა მინარეთითურთ ერეკლე II-ის მეფობის დროს დაანგრეს. ეს ისტორიული ფაქტებია, თუმცა ამის შესახებ რატომღაც არავინ საუბრობს, მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებლის გულმონყალების საილუსტრაციოდ უცხო აღმსარებლებისადმი სახელოვანი ქართველი მეფის მიერ გამოვლენილ კეთილგანწყობაზე ყველა დაუზარლად ჭიკჭიკებს. მედალს ორი მხარე აქვს და სრული სიმართლის ცოდნა ჩვენს თავზე დაკიდულ დამოკლეს მახვილს უკეთ დაგვანახებს და მიგვითითებს, ბედუკულმართობის დროს (გაბრწყინების უამრავი ახლაც არ გვიდგას!) ჩვენს მამაპაპურ სარწმუნოებას უთვალავი მტრის განუწყვეტელი შემოსევების დროს როგორ ვიცავდით, ჩვენს თვითმყოფადობასა და მეობას რა გზით ვინარჩუნებდით და რადგან სადღეისო პროპაგანდა ამ მხრივ ყოვლად გამოუსადეგარია, მომავალში



ვალში ახალი საფრთხის პირისპირ რამდენად პირნათლად, სათანადოდ მომზადებულები წარვსდგებით.

„მშვიდობიანობის დროს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დაიკარგა იმდენი საეკლესიო სიმდიდრე, რამდენიც მთელი რვა საუკუნის განმავლობაში მაჰმადიანთა მძლავრობის დროს არ დაკარგულა“, – ეს ჟრუანტელის-მომგვრელი, სასტიკი გაფრთხილება უაღრესად პატიოსანი მამულიშვილის გულისტკივილის გამოძახილია. იგი დღესაც ძალაშია და განგამის სახით საფეთქლებში რეკს, გვაძულებს დროთა განმავლობაში გადაუჭრელი საკვანძო, საჭირბოროტო საკითხები გონივრულად გავაზროთ და ნაკლოვანებების შესასუსტებლად რაიმე ვიღონოთ. დანაკარგის მიღმა, რაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია, დავინარჩუნოთ და თუ წინაპართა დანატოვარს ვერ გავზრდით და ვერაფერს მივუმატებთ, ყველაფერი დაუნანებლად არ გავაცამტვევროთ.

ამ სავალალო გაფრთხილების ავტორი უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ამბროსი ხელაიაა, რომელსაც ქართული ეკლესიის პატრიარქობა განგებამ ბოლშევიკების ზეობის უამრავი არგუნა წილად. 1921 წლის სექტემბერში აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონი) ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელად აირჩიეს. უღმერთოთა მძვინვარების უამრავი მან იცოდა, რომ უმძიმეს განსაცდელს შეამთხვევდნენ, მაგრამ უკან არ დაუხვევია.

ამბროსი ხელაიას ბიოგრაფია ღვთის მიერ ხელდასმული რჩეულის ეკლიანი გზაა, რომელზეც ღირსეულად ვიდოდა. იგი ძველი დროის მონაშენების შთამომავალია, ვინც თავის დროზე ქართველი ერის ხსნისა და გადარჩენის სიმძიმე მხრებზე განუხრელად იტვირთა.

ორჯერ გადასახლებულ და დევნილ პატრიარქს სასამართლო სხდომაზე ჰკითხეს, ვისთვის გადაძალა განძეული.

„ეკლესიისთვის და ქართველი ერისთვის!“ – წმინდანის პასუხი მრავლისმეტყველია, ისევე როგორც მისი დაუზოგავი ბრძოლა საქართველოს დამპყრობლების წინააღმდეგ, რასაც მან 37 დაძაბული წელი შეაღია. 1918 წლის 27 ივნისს ამბროსი ხელაიას შეუდრეკელობით გაცოფებულმა მტრებმა იგი მოსაკლავად გაიმეტეს, მაგრამ ღვთის ნებით

მას ძალადობრივი გზით აღსრულება არ ენერა.

თხემით ტერფამდე ქართველი მოღვაწე ამბროსი 1896 წელს ყაზანში გაემგზავრა და სასულიერო აკადემიაში სწავლის უფლება მოიპოვა, წირვა ქართულად ჩატარებინა, სადაც თანამემამულე სტუდენტები მშობლიურ ენაზე გალობდნენ. რუსეთის იმპერიაში ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო. ეს ფაქტი ამბროსი ხელაიას პიროვნულ სიმტკიცესა და მიზანსწრაფულობას წარმოაჩენს.

ამბროსი პირველად 1905 წელს აქტიური „ავტოკეფალისტობის“ გამო გადაასახლეს. ერთმორწმუნე რუსეთის მეოხებით 111 წლის მანძილზე ქართული ეკლესია რუს ეგზარქოსთა დიქტატს ექვემდებარებოდა, რასაც ერისკაცთა მხრიდან უწყვეტი პროტესტი ახლდა თან.

მომავალი პატრიარქი თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეებთან ერთად ავტოკეფალიის აღსადგენად შეუპოვრად იბრძოდა.

1907 წელს თბილისში ქართველ მღვდელმთავართა საეკლესიო კრება ჩატარდა. სასულიერო წოდებამ სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში ქართული ენის დამკვიდრება ოფიციალურად მოითხოვა. რუსი ეგზარქოსის, ნიკონის ბრძანებით, კრების მონაწილეებს მათრახით დაერივნენ. უმწვავესი დაპირისპირების ფონზე 1908 წელს ნიკონი მოკლეს, ხოლო მტრებს საშუალება მიეცათ, ამბროსი ხელაია მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით ხელახლა გადაესახლებინათ. უდანაშაულო მღვდელი სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად უმკაცრეს პირობებში იმყოფებოდა. ქართველ მოღვაწეს წირვა-ლოცვისა და მღვდელმსახურების უფლებაც წაართვეს!

1917 წლის 12 მარტს ქართველ მამულიშვილთა მრავალწლიანმა ბრძოლამ სასურველი შედეგი გამოიღო: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოცხადდა, მაგრამ ბოლშევიკების მიერ ანექსირებულ საქართველოს კვლავ უსასტიკესი დრო დაუდგა.

1922 წლის 7 თებერვალს ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთი საქართველოს დაპყრობაში დაადანაშაულა. გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საპროტესტო მემორანდუმით ამბროსი ხელაიას უმაგალითო სიმამაცე და თავგანწირვა გაცხადდა.

კათალიკოს-პატრიარქმა ბოლშევიკები უდამერტობასა და ქართული კულტურის შეზღუდვაში ამხილა და საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის გასვლა მოითხოვა. ბუნებრივია, საბჭოთა იმპერიის მესვეურნი მსოფლიოს თვალში თავლაფის დასხმას არავის აპატიებდნენ და ხალხის მტრად შერაცხულ „კონტრრევოლუციონერს“ თავს უმკაცრესი რეპრესიები დაატყვეს.

სასამართლოდან გამოსულ პატრიარქს აქტივისტები მიუსიეს. ლანძღვისა და ფურთხის თანხლებით მაცხოვარივით ჯვარცმული მიაბიჯებდა ღვთის რჩეული. სატანის ნაშიერთა დაცინვას უდრტვივლად იტანდა. უდიერთა ცილისწამების კვლადაკვალ მის შესახვედრად შეკრებილი მამულიშვილებიც იხილა, ცრემლიანი, ტკივილიანი თვალებით რომ უმზერდნენ. ამბროსი ხელაიამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ხალხს მიმართა და გონწართმეული ჩაიკეცა. მას შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. გმირულად აღესრულა კაცი, რომლის ღვანლი ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელია. ამბროსი ხელაიას მადლცხებული, მრავალმხრივი ნიჭი ყველგან გამოვლინდა, სადაც სამშობლოს უჭირდა და დაცვასა და მოვლა-პატრონობას

გადაუდებლად საჭიროებდა.

„ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ – ამ შეუდრეკელი, თავდადებული ბრძოლის საუკეთესო ნიმუშია. 1901 წელს რუსულ ენაზე შექმნილმა საკანდიდატო დისერტაციამ რუს სწავლულთა ყურადღება და მონონება დაიმსახურა. პროფესორ მალოვს სასულიერო პირისთვის უთხოვია, ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად წარედგინა.

წმ. ამბროსი აქ წარმოჩინდა არა როგორც ოდენ ფართო ერუდიციის მქონე მკვლევარი, სერიოზული ეთნოგრაფი, გამოცდილი ისტორიკოსი და მხატვრული სიტყვის ოსტატი, არამედ უპირველესად, ეროვნული მსოფლმხედველობის უდრეკი დამცველი, მოღვაწე, რომელმაც გადანყვიტა რუსული იმპერიის თვალში გამოეკვეთა ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიის დიდი როლი ქრისტიანობის დაცვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით.

ამბროსი ხელაიამ მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით სცადა ისტორიულ ჭრილში გადაეჭრა მოუგვარებელი, ფეთქებადი საკითხები, რასაც რუსები საკუთარი ძალებით ვერ გასწვდებოდნენ. მან ერთმორწმუნე „უფროს ძმას“ შეახსენა, თუ რა ურთულესი გზა განვლო ქართველმა ერმა მართლმადიდებლობის შესანარჩუნებლად და უძლეველ დამპყრობლებთან მრავალსაუკუნოვან ჭიდილში მამაპაპური სარწმუნოება უზარმაზარი მსხვერპლის ფასად დაიცვა და შემოინახა.

ნაშრომის შექმნის თარიღი მიუთითებს, რა უწყვეტ დაძაბულ ბრძოლას აწარმოებდა მომავალი პატრიარქი ავტოკეფალიის მოსაპოვებლად. ამბროსი ხელაიას სტრატეგია მართლაც განსაცვიფრებელია. იგი ყველა მძაფრ საკითხს სიღრმისეულად ანალიზებს და გადაუჭრელი პრობლემების მოსაგვარებლად უნივერსალურ გამოსავალს გვთავაზობს. უნივერსალურ ნაზრევში ქართული ჭირვარამის მოუშუშებელი ტკივილი მიუკერძოებლად განფენილი.

ნაშრომში კავკასიის ადგილმდებარეობა, სპეციფიკა და გეოპოლიტიკური როლი ღრმადან წარმოჩენილი.

„კავკასია ენათა მრავალფეროვნებითა და სიუხვითა განთქმული, რის გამოც „ხალხთა ჭიანჭველებს ბუდე“ ეწოდება. არაბი ისტორიკოსი ალ. აზარი კავკასიას ენათა მთას უწოდებდა“.

ავტორი შესავალში ქართველების უძველეს სამოსახლოს მონიშნავს და სახელგანთქმულ ისტორიკოსთა და მოგზაურთა ცნობებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ კავკასია უხსოვარი დროიდან ქართველთა სამკვიდროა. ქართლის გაქრისტიანების თარიღიც მართებულადაა დადგენილი. აქ ამბროსი ხელაიას უტყუარი გუმანი და ენციკლოპედიური ცოდნა მჟღავნდება, სერიოზული მიდგომა ე.წ. წვრილმანებისადმი, რაც ურღვევ კავშირს ქმნის რეალური სურათის განსაზღვრისათვის.

ძალზე საინტერესოა აღწერილი საქართველოს ურთიერთობა ერთმორწმუნე ბიზანტიასთან. ბიზანტიურ პოლიტიკაზე მსჯელობისას მომავალი მწყემსმთავარი იმჟამინდელი პატრიარქის, კირიონის მოსაზრებას ეყრდნობა და ითვალისწინებს. სიღრმისეულად აღწერს იმპერიის დაცემა რამ განაპირობა. შინაომში ჩათრეულ ბიზანტიელებს ახალი მტრის, თურქსელჩუკთა გაძლიერება გამოეპარათ. იმის ნაცვლად, მაჰმადიანების აგრესიის შესასუსტებლად ერთმორწმუნე საქართველოსთან კეთილმეზობლური

დამოკიდებულება დაემყარებინათ და სახიფათო მოქიშპის წინააღმდეგ ერთობლივი ძალით გაელაშქრათ. ბიზანტია კარზე მომდგარ საფრთხეს ვერ აცნობიერებდა და კვლავინდებურად ცდილობდა, საქართველოს მინა-წყალი დაეკავებინა, დიდგვაროვანთა ნაქეზებით სამთავროები ერთმანეთისგან გაეთიშა.

ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ოდესლაც ძლევამოსილ იმპერიაში ძალაუფლების მისასაკუთრებლად უსასტიკესი ბრძოლები არ წყდებოდა. მეფობის პრეტენდენტთა ძალადობრივ მოკვდინებას ბოლო არ უჩანდა. შუღლითა და უგუნური ქმედებით დაუძლურებული ბიზანტიელები ახალ, მრისხანე ძალას ველარ გაუმკლავდნენ და საბედისწერო მარცხი იწვინეს.

ბიზანტია – ქრისტიანობის უმთავრესი ციტადელი დაეცა და მის ნაცვლად იმპერიის ტერიტორიაზე თურქულენოვანი გაბატონდნენ. მსოფლიო რუკა მკვეთრად შეიცვალა.

ავტორი ბიზანტიელთა არასწორ პოლიტიკას სათანადოდ აფასებს. მათი უგუნურება იმდენად თვალშისაცემი იყო, „ბერძნების ეს თავდასხმა ისე აუტანელი იყო, სამღვდელოებაც კი იძულებული გახდა, მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერატორთა ჯარებისგან სამშობლოს დასაცავად იარაღი აეღო“. ვითარება განსაკუთრებით ბაგრატ IV-ის მეფობის დროს დაიძაბა, რომელსაც იმპერატორის მსტოვრებმა მესხი დიდაზნაურები ორგანიზებულად აუშხედრეს.

ამბროსი ხელაია მართებულად ასკვნის: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიელ იმპერატორთა ეს არაგონივრული პოლიტიკა გახლდათ ყველა იმ უბედურების მიზეზი, რაც როგორც საქართველოს, ისე თვით ბიზანტიას დაატყვევებდა თავს ეკლესიის მტრებმა მაჰმადიანებმა“.


მართლაც, კონსტანტინოპოლის დაცემით საქართველო მთლიანად მუსლიმ მეზობელთა ალყაში მოექცა და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად გაჩაღებულმა ბრძოლამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

თურქების გაუნებელი აგრესიის მაგალითია 1726 წელს ახმედ II-ის მიერ გაცემული ბრძანება, რომლის თანახმადაც ისა-ხან ახალციხელს წმ. სოფიის ტაძრის მსგავსად, თბილისის სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთება დაევალა. თავად გივი ამილახვარის მუქარითა და ძალისხმევით თურქეთის სულთნის ოდიოზური ჩანაფიქრი ჩაიშალა.

ნაშრომში მეცნიერული სიზუსტითაა ასახული ის უსასტიკესი დევნა და წამება, რასაც ქართველი ქრისტიანები მაჰმადიანთა ურდოების შემოსევისას მუდმივად განიცდიდნენ.

ცნობილია, რომ სისატიკით განთქმულმა თემურ-ლენგმა „ურჩ“ ქართველთა დასამონებლად საღვთო ომი ანუ ჰაზავათი გამოაცხადა, რაც ნიშნავდა, რომ გიაურების წინააღმდეგ ყველა მორწმუნე მაჰმადიანს უნდა გაელაშქრა. ჰაზავათი ისლამის, ყველაზე მეტრძოლი რელიგიის აუცილებელი ატრიბუტია. იგი „ურჯულოებისადმი“ სრული შეუწყნარებლობით ხასიათდება.

თემურლენგი საქართველოს რვაჯერ შემოესია, არნახულად ააოხრა და გააჩანაგა, სისხლიანი კალოს სახელით ცნობილი ხოცვა-ჟლეტა განმარტებული ისტორიული ფაქტია და მომხდურთა ფანატიკურ დაუნდობლობაზე მიუთითებს. ველური რბევის დროს მან რუისის, სამთავისის, სიონისა და სამშვილდის სახელგანთქმული ტაძრები მი-



ნასთან გაასწორა.

„უსამღვდელოესი კირონის თქმით: „ყველაზე სამინელი სანახავი გახლდათ მაშინ საქართველო: ქალაქები და სოფლები ნანგრევებად იყო ქცეული, გვამები გროვებად ეყარა ქუჩებში. მათი ლპობის მყრალი სუნი ჰაერს წამლავდა და ადამიანებს პირვანდელი საცხოვრისიდან ერეკებოდა. ასობით ვერსზე ადამიანის ხმას ყურს ვერ მოჰკრავდი...“

ცოცხლად დარჩენილ მამაკაცებს მაჰმადიანი დამპყრობლები სამხედრო სამსახურში, ყველაზე რთულ სამომარ ექსპედიციებში ერეკებოდნენ, რაც ისედაც დაქცეული ქვეყნის განახევრებულ მოსახლეობას არანაკლებ ამცირებდა.

შეუძლებელია ამ წუხსაში ირანის შაჰის შაჰ-აბას პირველის მიერ განხორციელებული რეპრესიები არ მოვიხსენიოთ. 100 ათასი კახელის აყრა და სპარსეთის პროვინცია ფერეიდანში გადასახლება, თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, კლასიკური გენოციდის მაგალითია.

„შაჰ-აბას I-ის შემოსევა ისე საზარელი იყო, გოცებას ინვევს, დარბევს შემდეგ როგორ მოახერხა აღმოსავლეთ საქართველომ გადარჩენა. რანაირად შეძლო შეენარჩუნებინა საკუთარი რწმენა და ეროვნულობა?“ – მომავალი პატრიარქის მიერ დასმულ კითხვას მასობრივი გათათრების საგანგებო პოლიტიკა სარჩულად გასდევს, რასაც თურქი, არაბი და მონღოლი თუ სპარსელი დამპყრობლები ისლამის მეშვეობით ახორციელებდნენ.

XVIII საუკუნის დასაწყისში, თურქეთსა და სპარსეთის სამხედრო ინტერესების დასაცავად შორეულ ლაშქრობებში განწვეული ქართული ჯარის არყოფნამ აღმოსავლეთ საქართველოში სათარემოდ დაღესტნელ მთიელებს, იგივე ლეკებს გზა გაუხსნა. მათი თავდასხმებით განსაკუთრებით კახეთი ზარალდებოდა. დაღესტანი – ყოფილი მოხარკე ქვეყანა – დასუსტებული საქართველოს რბევასა და ძარცვას შეუდგა. შესაბამისად, ყმადნაფიცობისა და კეთილმეზობლობის დრო წარსულს ჩაბარდა. გამაჰმადიანებული ლეკები მუსლიმთა კოალიციას შეუერთდნენ და ქრისტიანულ საქართველოს უწყალოდ ანიოკებდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიული სინამდვილე მსგავს მაგალითთა სიუხვით გამოირჩევა და სწორედ ამ გაუსაძლისი მტრობის ფონზე მართლაც განსაცვიფრებელია, ქართველების შემწყნარებლობა. ბედუკულმართობამ ძვრა რომ ვერ უყო და აგრესიის წილი ძალადობა არ გამოიწვია. ქართველთა ტოლერანტული ბუნება თანამედროვე ლიბ-

ერალებისთვისაა „მეუმჩნეველი“, მაშინ როცა ამ თვისებას ყველა ეპოქაში მოღვაწე არაქართველი, მაჰმადიანი თუ სხვა რელიგიის აღმსარებელი მკვლევარები ერთხმად აღნიშნავდნენ.

მუსლიმი მწერლის – ელანის სიტყვით, სახელოვანი მეფე დავით აღმაშენებელი მაჰმადიანებს მეტი პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე თავიანთი მბრძანებელი. დავითი მსოფლიოში დაქსაქსულ სომხებს სწყალობდა. როდესაც მან მაჰმადიანთა ხანგრძლივი ბატონობისგან ანისი გაათავისუფლა, გადანყვიტა, მეზობელი ერი კვლავ მართლმადიდებლობაზე მოექცია. მეფის ყოველ ღონისძიებას კეთილი ნება ედო საფუძვლად. ისტორიული წყაროები ლაღადებენ, რომ დავით აღმაშენებელს უცხო რჯულის აღმსარებლებისთვის მართლმადიდებლობა თავზე ძალით არასდროს მოუხვევია. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერ მკვლევარს უფლება არა აქვს, ვინმეს გულის მოსაგებად, რაიმე მიჩქმალს ან შეგნებულად გააუკუღმართოს, რაც უკვე საბჭოთა ისტორიოგრაფიის ურყევი ხელწერაა!

ნაშრომის მესამე თავი მაჰმადიანთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართული სამღვდლოებისა და ბერმონაზონთა ღვანლის წარმოჩენას ეთმობა. ისლამის მიმდევრებთან გამკლავებას მუდამ სასულიერო წოდება და მეფეები მოთავებდნენ. ამ თვალსაზრისით, ეკლესიის როლი განუზომელია. იგი ეროვნული იდენტობისა და სარწმუნოების შესანარჩუნებლად ოდითგანვე მუხლჩაუხრელად იბრძოდა. მრავალრიცხოვან მაჰმადიანებთან უთანასწორო ომში ჩაბმული სამღვდლოება გაძარცვული და დანგრეული ეკლესიების აღდგენის პარალელურად, ცეცხლად ეწირებოდა. ვილით შემოჭრილი მტერს ხშირად ცოცხლად ეწირებოდა.

ბუნებრივია, ქვეყნის ძნელბედობის ყამს სასულიერო პირები მხოლოდ საგანმანათლებლო მოღვაწეობით ვერ შემოიფარგლებოდნენ და მრისხანე ძალას იარაღსხმულნი უპირისპირდებოდნენ.

ამბროსი ხელაია ამ მოსაზრების დამადასტურებელ ფაქტებს უხვად გვანდის. განუწყვეტელი შემოსევებით გაჩანაგებულ საქართველოში სამღვდლოება გულზეხელდაკრეფილი ვერ იჯდებოდა და ქვეყნის განადგურებას მოსერიე მაყურებლის თვალთ ვერ აღიქვამდა. მომავალი პატრიარქი ამ ფაქტორს საზგასმულად წარმოაჩენს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე დემაგოგების ყაღბი ლოზუნგები: სამღვდლოება ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად არასდროს მონაწილეობდა, რომ იგი მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს განაგებდა, ეს გეზიძმართული მონაწილეობა და ამგვარი განაცხადები სასულიერო წოდების დაკნინებას ემსახურება. მაგანს ქართული ეკლესიის უზარმაზარი ავტორიტეტი გუნებას უნამლავს და ტენდენციური შეხედულებების გავრცელებით სინამდვილეს განზრახ აყალბებს.

თბილისის მიტროპოლიტი, თარხნიშვილთა გვარის შთამომავალი, იოსებ III ბაზალეთის ბრძოლებში მონაწილეობდა, სადაც მოკლეს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. კათალიკოსმა ევდემონმა მეფე თეიმურაზი გამაჰმადიანებულ როსტომ ხანის წინააღმდეგ განაწყობა. იმავე საუკუნის შუა წლებში კახეთში ჩასახლებული თათრები ქრისტიანებს სასტიკად სდევნიდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. მათ ალავერდის ტაძარში ღვთისმსახურება აკრძალეს და უფლის სახლი პირუტყვთა სადგომად აქციეს, ძარცვავდნენ და შეურაცხყოფდნენ ეკლესიებს, მართლმადიდებლურ ტრადიციებს აბუჩად იგდებდნენ.

შექმნილი ვითარებით შეწუხებული ერთი პრესვიტერი ზაალ ერისთავს ეახლა და მაჰმადიანთა თარემის ასალაგმად თავისი მოვალეობა შეახსენა. ერისთავმა სასულიერო პირის რჩევა ყურად იღო, თუმეტი, ხეცსურები და ფშაველები შეკრიბა და გაერთიანებული ლაშქარით თავგასულ მტერს კუდით ქვა ასროლინა.

ქართლის მეფე ლუარსაბს ბრძოლაში მუდამ თან ახლდა მანგლისის ეპისკოპოსი იოანე, რომელიც მცხოვანი ხელმწიფის ვაჟკაცურ აღსასრულს თავად შეესწრო.

„ეს ყველაფერი ეკლესიისა და სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ქართველ სამღვდლოებათა მონაწილეობისა და ღვანლის წარმოსაჩენად ზღვაში წვეთია. კათალიკოსსა და ზოგიერთ ეპისკოპოსს თავისი ლაშქარი ჰყავდა, ვახუშტი ბატონიშვილის რწმუნებით, ამგვარი ჯარები საქართველოს მე-80 მეფე დავითის (1505-1525) დროს უნდა შექმნილიყო, თუმცა არის იმის დამამტკიცებელი ფაქტებიც, რომ ისინი ჯერ კიდევ XIV საუკუნეში არსებობდა“.

სამონასტრო გლეხებისგან შედგენილ ჯარს კათალიკოსი ან რომელიმე ეპისკოპოსი სარდლობდა. სასულიერო პირები ბრძოლის წინ ლაშქარს ჯვრით წინ მიუძღვოდნენ და მეომრებს ლოცავდნენ.

სასულიერო წოდება ერის ზნეობრივ სადარაჯოზე იდგა და მეფეებს აიძულებდა ტყვეთა სყიდვის უმძიმეს და სამარცხვინო ჩვევაზე ხელი აეღო. სახელმწიფო საქმეებშიც აქტიურად მონაწილეობდა და მეფისა და მსხვილი ფეოდალების მიერ გატარებულ არასწორ რეფორმებს მკაცრად ამხელდა და ეწინააღმდეგებოდა.

სასულიერო წოდების უზარმაზარი ავტორიტეტის დასტურია 1776 წელს შედგენილი აქტის შინაარსი, სადაც მკაფიოდ წერია, რომ „საქართველოში არავის არასდროს სმენია ვინმეს უარი ეთქვას საეკლესიო გადასახადებზე“.

ნაშრომში საგანგებო ყურადღება ეთმობა აფხაზეთს. ამბროსი ხელაიას განსაკუთრებული ინტერესი ამ კუთხისადმი სავსებით ბუნებრივია, რადგან მამამისი აფხაზეთში წლობით ცხოვრობდა და ღვთისმსახურებას აღასრულებდა. ამბროსის აქაურობისადმი სიყვარული გენეტიკურად გამოჰყვა.

1885 წელს თბილისის სასულიერო სანაგებლის დამთავრების შემდეგ იგი აფხაზეთში გაემგზავრა, სადაც მღვდლად აკურთხეს. მომავალი მწემამთავარი სოხუმში, ახალ აიონსა და ლიხნში მოღვაწეობდა და იქაურ სკოლებში ქართულს ასწავლიდა.

შესაბამისად, ამბროსი ხელაია აფხაზეთს ზედმინეწით კარგად იცნობდა. ადგილობრივი მოსახლეობის ჭირვარაში სათანადოდ გარკვეული, ამ კუთხის სპეციფიკური სიძნელების გადასაჭრელად ხელისუფლებისგან ქმედითი, ხალხისთვის სასიკეთო რეფორმების გატარებას ითხოვდა. იგი საკვანძო საკითხების მოსაგვარებლად იმ სინამდვილეს ღრმად და მიუკერძოებლად ანალიზებდა, რაც რუსეთთან შეერთების შემდეგ აფხაზეთში წარმოიშვა. მას გულწრფელად ადარდებდა რუსული იმპერია თავის მფარველობაში შესულ კუთხეს როგორ განაგებდა და XIX საუკუნის განმავლობაში გავრცელებული მაჰმადიანობის აღსაკვეთად სასულიერო წოდება რამდენად აქტიურად იბრძოლებდა.

ქრისტიანობის განმტკიცებას ამ ძირძველ ქართულ სამოსახლოში სამკედრო-სასიციოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამბროსი ხელაია ამ მოვლენის მნიშვნელობას შესანიშნავად აცნობიერებდა და სანდო ცნობებზე დაყრდ-

ნობით ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობის ხელშეწყობის აუცილებლობაზე მიუთითებდა.

აქედან გამომდინარე, ნაშრომში რუსეთთან მიერთებულ აფხაზეთის ხელახალი გაქრისტიანება დანვრილებითაა მოცემული.

კერძოდ, 1810 წელს აფხაზეთის მთავარმა საფარ-ბეიმ გაქრისტიანება რუსეთის ქვეშევრდომობით აღიარა. აფხაზეთში ქრისტიანულმა ორიენტაციამ იმდღავრა. საფარ-ბეის ძმა მაჰმადიანი ასლანი დამარცხდა.

ამ კარდინალური ცვლილებების ფონზე, ამბროსი გამოყოფს სამეგრელოს მმართველის – ნინო გიორგის ასულ ბაგრატიონის განსაკუთრებულ ღვაწლს, როგორც აფხაზეთის მართლმადიდებლობის, აგრეთვე ამ კუთხეში რუსეთის გაბატონების თვალსაზრისით.

ნინო, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ასული, დიდი ნებისყოფით, ენერგიულობითა და გამბედაობით ხასიათდებოდა. საფარ-ბეიმ, რომელიც სამეგრელოს მმართველს სიძედ ეკუთვნოდა, სიდედრის რჩევით რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ნინომ საფარ-ბეისგან წერილობითი თანხმობა მოიპოვა, რომ აფხაზეთში მართლმადიდებლობის აღდგენის პარალელურად, ყველა ეკლესია ამოქმედდებოდა. სამეგრელოს გამგებელმა თურქული ორიენტაციის მიმდევარ ასლან-ბეის წინააღმდეგ მანუჩარ შერვაშიძის მეთაურობით თავისი ჯარი გაგზავნა.

ნინომ საფარ-ბეი მოშულარ ბიძაშვილებთან შეარიგა, რის შედეგადაც აფხაზეთში მშვიდობამ დაისადგურა, შემდეგ კი ნებულდელი მარშანიები (ისინი შერვაშიძეებს არ ემორჩილებოდნენ) დაიყოლია, რუსეთის ბატონობა ეცნოთ. „ნინო გიორგის ასული თავის შვილთან, ლევან დადიანთან ერთად იბრძოდა ფოთის სიმაგრის ასაღებად, სადაც თავისი ლაშქარი ამ სიმაგრისთვის ალყაშემორტყმული ჯარების მოსახმარებლად გამოიყენა და მისივე გულმოდგინებით მეგრელთა ლაშქარი ახალციხისა და თურქების ხელში მოქცეული სხვა ადგილების სანაღმდეგო ექსპედიციებში მონაწილეობდა!

სამეგრელოს მმართველის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ერთი შეხედვით, პარადოქსული მოვლენა განვითარდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქრისტიანობამ აღმავლობის ნაცვლად, პოზიცია ვერ გაიმყარა. მომავალი პატრიარქი ამ ცვლილების მიზეზად თურქეთთან აფხაზ თავადთა სავაჭრო ინტერესს ასახელებს, ხელსაყრელი გარემოებით მაჰმადიანობის პროპაგანდისტები სარგებლობდნენ და ხალხს რუსული მმართველობის წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

გარდა ამისა, თურქები, რუსებისგან განსხვავებით, აფხაზეთის საშინაო საქმეებში ნაკლებად ერეოდნენ, რაც აფხაზებს თავიანთი ადათ-წესების შენარჩუნებაში ხელს არ უშლიდა. ახალი წყობილების დამყარებამ კი მათი მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია. გარუსების საგანგებო პოლიტიკამ აფხაზები უკიდურესად გააღიზიანა.

რთული ვითარებიდან გამომდინარე, 1830 წლამდე აფხაზეთი ეკლესიურად არცერთ ეპარქიას არ ეკუთვნოდა.

ამბროსი ხელაია ასეთ არასტაბილურ დროს აფხაზეთში ცალკეული სასულიერო პირების მისიონერული მოღვაწეობით ინტერესდება.

ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ცნობა ბიჭვინთის ტაძართან დაკავშირებით, რომლის განახლებასაც ცაგერის მონასტრის წინამძღვარი, მოგვიანებით აფხაზეთის ეპისკოპოსად არჩეული ანტონი მოთავეობდა. რუსები

ამ წამოწყებას იმ მიზეზით აფერხებდნენ, რომ აღდგენილ ტაძარში ადგილობრივი მოსახლეობა არ ივლიდა.

ნმ. ამბროსი რუსი მაღალჩინოსნების ცდომილებას ააშკარავებს და დასძენს, რომ გამაჰმადიანებული აფხაზები ტაძარს პატივისცემით ეპყრობოდნენ. ბიჭვინთის ტაძრის დასაცავად საგანგებო მცველიც ჰყავდათ, ვინც სიძველეებს უფრთხილდებოდა. რუსის ჯარის მიერ ბიჭვინთის ალების შემდეგ ტაძრის ტრაპეზზე XIII საუკუნის ქართული სახარებები აღმოაჩინეს. მიურიდიზმის ჩამოყალიბებისა და გაძლიერების შემდეგ აფხაზეთში კვლავ ისლამის ზეგავლენა განმტკიცდა.

ამბროსი ხელაია სახიფათო ვითარებას გრძნობს და აფხაზეთის, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი, ძირძველი კუთხის შესანარჩუნებლად ძალ-ღონეს არ იშურებს. კავკასიის, როგორც არამდგრადი რეგიონის, რელიგიური სხვაობა საბედისწერო როლს ასრულებდა და ამ საფრთხეს უწყვეტი მისიონერული მოღვაწეობა თუ აღმოფხვრიდა.

ამას თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილები კარგად აცნობიერებდნენ და აფხაზეთში რთული მდგომარეობის განსამუხტად თავდაუზოგავად ირჯებოდნენ.

კავკასიელი მთიელების გასაქრისტიანებლად განსაკუთრებული ღვაწლი უდიდეს ქართველ ერისკაცს, იმერეთის ეპისკოპოსს, გაბრიელ ქიქოძეს მიუძღვის. ეს ის ლეგენდარული სასულიერო პირია, ვისი უზარმაზარი ნიჭი და ავტორიტეტი პატივმოყვარე ეგზარქოსს მოსვენებას უკარგავდა. ევსევი ეგზარქოსი ხვდებოდა, რომ უმაღლესი ტიტულის მიუხედავად, ქართველი ერი მასზე წინ გაბრიელს აყენებდა. უპირველეს სასულიერო მოღვაწედ იმერეთის ეპისკოპოსს ცნობდა და აღიარებდა.

თავისი რისხვის გამოსავლენად, ეგზარქოსმა გაბრიელ ქიქოძის მნიშვნელოვანი ნაშრომი: „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ სარეცენზიო კომისიის ნებართვის გარეშე დატოვა. ევროპაში მოწონებული ნაშრომი თავმოყვარეობას უღახავდა და ცდილობდა, „მონაწილედ ეგეს“ აკრძალული მეთოდებით შებრძოლებოდა. მის ნება-სურვილს ვერც ვერავინ გადავიდოდა, მაგრამ საქმეში იაკობ გოგებაშვილი ჩაერთო და უარის მიუხედავად, სარეცენზიო კომისიის წევრებისგან ნაშრომის დაბეჭდვის უფლება გამოითხოვა. ევსევი ეგზარქოსი დამარცხებას შეურიგდა.

გაბრიელ ქიქოძე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად თავგანწირვით იბრძოდა და, ბუნებრივია, ამ დაძაბულ ომში აფხაზეთს უყურადღებოდ, რუს მოხელეებს საჯიჯგნად ვერ დაანებებდა.

იმერეთის ეპისკოპოსმა, საქართველოში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ქუთაისის ტაძრის ამბიონიდან პროტესტის ნიშნად შესძახა: „შესდექ, რუსეთის ხელმწიფე!“ ქართველმა მწემსმთავარმა იმპერატორს საქართველოს სულისკვეთება გაბედულად ამცნო და დაადუმა, დაუფარავად პირში მიახალა, რომ იგი რუსეთის მეფეა და საქართველო მისგან სხვაგვარ მოპყრობას იმსახურებს. არსად თქმულა, უზარმაზარი იმპერიის გამგებლისთვის „კოლონიის“ სასულიერო პირს ჩადენილ საქციელზე პასუხი საჯაროდ მკაცრად მოეთხოვა.

გაბრიელ ქიქოძე გაუტყეველი ნების სიმბოლოდ იქცა და რა გასაკვირია, ამ გაქანების მოღვაწეს აფხაზეთის გასაქრისტიანებლად მისიონერული მოღვაწეობა დაენყო.

ამბროსი ხელაია უდიდესი ქართველი ეპისკოპოსის ღვაწლს სათანადო პატივს მიაგებს და აღნიშნავს, რომ

„კავკასიელი მთიელებისთვის ნამდვილ მოციქულად ან განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსი უსამღვდელოესი გაბრიელი უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც კავკასიაში სახელი გაითქვა საგანმანათლებლო და გონივრული მოღვაწეობით. მან სამისიონერო მოგზაურობა დაიწყო აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და ამ ადგილების მამამადიანურ მოსახლეობას სახარებას უქადაგებდა.“

იგი, როგორც სახელგანთქმული მქადაგებელი, მჭევრმეტყველებით არამარტო ქრისტიანს, არამედ მამამადიან მსმენელთა მასებსაც იზიდავდა. სამისიონერო მოგზაურობისას უაღრესად თავგანწირული გახლდათ და არავითარი წინააღმდეგობა და გაჭირვება არ აშინებდა“. გაბრიელი უღრან ტყეებსა და მთების ნიაღვრებისგან წარმოქმნილ ვიწრო ხეობებში სიარულსაც არ ერიდებოდა. ერთგან უშიშარი ეპისკოპოსი მთის წვერიდან ნაბდით დაეშვა.

გაბრიელ ქიქოძის ძალისხმევამ სასურველი შედეგი უმოკლეს დროში გამოიღო. 1868 წლიდან მოყოლებული 1877 წლის ჩათვლით, მცირე გამოწვევის გარდა, 18 ათასი აფხაზი მოინათლა. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო, რასაც პროგრესულად მოაზროვნე რუსი მწერლებიც აცნობიერებდნენ. ერთ-ერთი მათგანი ა.მურავიოვი ეპისკოპოსს გაბრიელს ესოდენ ფართო და დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობისთვის მხურვალე მადლობას სწირავდა. მას განმანათლებელს უწოდებდა და ნატრობდა, ახალციხესაც გაბრიელის მსგავსი ქადაგი მოვლენოდა, რომლის მჭერმეტყველების ძალმოსილებით აფხაზეთი სრულიად გაქრისტიანდა.

ის, რაც იმპერიამ მთელი თავისი რესურსებით ვერ შეძლო, გაბრიელმა სულ რამდენიმე წელიწადში მოახერხა. ეს „წერილმანი“ იმერეთის ეპისკოპოსის უსაზღვრო მადლმოსილებასა და უდრეკ ნებისყოფას მოწმობს.

გაბრიელ ქიქოძის ღირსეულმა მემკვიდრემ, იაკობ გოგებაშვილმა წერილების აფხაზურ ციკლში დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ დაცარიელებულ აფხაზეთში ძირითად მოსახლეობას მეგრელები, ბარის გურულები და იმერლები შეადგენდნენ. რუსი მოხელეები იაკობის უაღრესად გაბედულ შეფასებას უარყოფითად გამოეხმაურნენ, თუმცა სოხუმის მხარის უფროსმა ვედენსკიმ „დედა ენის“ ავტორის რკინისებურ არგუმენტებს ბოლომდე ვერ გაუძლია და პოლემიკა შეწყვიტა. უფრო მეტიც, მან იაკობ გოგებაშვილის პროექტს, რომელიც აფხაზეთში ამ კუთხის მკვიდრი მოსახლეობის: მეგრელებისა და გურულების ჩასახლებას ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით ასაბუთებდა, მხარი დაუჭირა. შავრაზმელი კატკოვის ჩარევა რომ არა, იაკობ გოგებაშვილის პროექტის განხორციელების შედეგად აფხაზეთს აღარ დაეკარგავდით. სამწუხაროდ, იმპერიული იდეოლოგიით მონამულელი მალაჩინოსნის საბედისწერო გადაწყვეტილებამ დაცარიელებულ-გაუკაცრიელებული აფხაზეთის ქართველებით დასახლების გეგმა საძირკველშივე მოსპო.

იმპერიასთან შეჭიდებულმა მოღვაწეებმა საბოლოოდ უზარმაზარ სახელმწიფო მანქანასთან ვერაფერი გააწყეს.

ამბროსი ხელაია გულისტკივილით აღიარებს, რომ გაბრიელის შემდეგ აფხაზეთში ქრისტიანობა კვლავ შესუსტდა და იმერეთის ეპისკოპოსის მოღვაწეობის დროს გაქრისტიანებული სოფლები ერთიანად გამამადიანდა. თურქული ორიენტაციის აღდგენას რუსეთ-თურქეთის უკანასკნელმა ომამაც (1877-1878) დიდწილად ხელი შეუ-

წყო. იქიდან დაბრუნებული აფხაზები ფანატიკოსი მამამადიანების თვისებებს ამჟღავნებდნენ. საბოლოო ჯამში, აფხაზეთი კვლავ სახიფათო კერად რჩებოდა. რუსეთმა ხისტი პოლიტიკის მიუხედავად, ამ კუთხეში მართლმადიდებლობის განმტკიცება ვერ უზრუნველყო.

თურქთა ექსპანსიის მუდმივ სამიზნედ სამცხე-საათაბაგო იქცა. ამბროსი ხელაია ამ კუთხის დახასიათებისას ჩვეულ კეთილსინდისიერებასა და საფუძვლიან ცოდნას ავლენს და აღნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლის ალბიდან ასი წლის შემდეგ თურქები სამცხის სამთავროს უტყვევენ. აჭარის ხელში ჩაგდებისთანავე იპყრობენ ტაოს, შავშეთსა და კლარჯეთს.

სამცხეში გამამადიანებულ საფარ-ფაშას ძალისხმევით მოსახლეობის შევიწროება გაძლიერდა. მართლმადიდებლობის აკრძალვის საპირწონედ მუსლიმანური წეს-ჩვეულებები იწერებოდა, ურჩებს კი აუტანელი გადასახადი დაეკისრათ, რამაც სასულიერო წოდების პირები აიძულა თავშესაფარი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ეძიათ. ეკლესია-მონასტრები დაცარიელდა. სინმინდებები და განძი სამცხედან განადგურების შიშით გაიზიდა. საეკლესიო ღვთისმსახურება პრაქტიკულად ჩაკვდა.

როსტომ ფაშას დროს მამამადიანური ზნე-ჩვეულებების დაცვა არისტოკრატებს ევალებოდათ, უმძიმესი ვითარების მიუხედავად, XVIII საუკუნის მრავალი აქტიდან ირკვევა, რომ ხალხი ქრისტიანობას ინარჩუნებდა და მამამადიანი მქადაგებლების ზეგავლენის ქვეშ იზივითად ექცეოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებითაც დასტურდება, რომ წარჩინებულებისგან განსხვავებით, გლეხობა ქრისტიანობას მტკიცედ იცავდა, თუმცა ხშირად ქვეყნის მმართველი ფაშები ისლამს ფორმალურად აღიარებდნენ. სახელდობრ, ამის საუკეთესო მაგალითია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ახმედფაშა, რომელიც გადმოცემით ფარულად მოინათლა და ქრისტიანულ ტრადიციებს აღასრულებდა. მამამადიანები მას ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდნენ.

1772 წელს მან ახალციხის სიმაგრეში მართლმადიდებლური ეკლესიის გეგმის მიხედვით მეჩეთი ააშენა, ვინაიდან ითვალისწინებდა, რომ ახალციხის ალების შემდეგ მეჩეთი მართლმადიდებლურ ტაძრად გადაკეთდებოდა. ამ „მკრეხელობისთვის“ თურქეთის მთავრობამ ახმედ-ფაშას თავი მოკვეთა. მეჩეთს შიგნით ჯვრის ფორმა ჰქონდა და როცა 1828 წელს რუსის ჯარმა ახალციხე დაიკავა, ტაძრის სიღრმეში მართლმადიდებლური საკურთხეველი ადვილად გაიმართა. ახმედ-ფაშას წინათგრძნობა ასე აცხადდა.

„იმისათვის, რომ ქართველებისთვის თვალი ედევნებინათ, თურქებმა ახალციხეში ართვინსა და სხვა ადგილებში მათ სომხები ჩაუსახლეს. ჩასახლებულ სომხებს თავისუფალი ღვთისმსახურების უფლება მისცეს იმ პირობით, რომ ქართველებისთვის ეთვალთვალათ და თურქეთის ხელისუფლებისათვის მათ შესახებ ყველაფერი მოეხსენებინათ.“

ამ სამწუხარო ფაქტიდან ბევრი რამ ირკვევა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებული სომხების საქმიანობის უარყოფითი შედეგი სახეზეა. დროთა განმავლობაში ამ რეგიონის ავტონომიის დასმის მიუღებელ პრეტენზიაში გადაიზარდა აგრეთვე ე.წ. რეგიონული ენის სტატუსის მოთხოვნა, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოს არ ახსოვს.

ამბროსი ხელაია ამ საფრთხეზე ჯერ კიდევ 1901 წელს მიუთითებდა. იგი რუსულ ენაზე რუსეთის იმპერიის მეს-

ვეურთ თვითმპყრობელური პოლიტიკის გატარებაში უშიშრად ამხელდა, უმტიციკებდა, რომ კავკასიაში „გათიშე და იბატონეს“ პრინციპიდან გამომდინარე, სარწმუნოებასაც პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად იყენებდნენ. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით უსაბუთებდა, რომ ხიმტის დამკვიდრებამ, კავკასიაში მაჰმადიანობის ბუმი გამოიწვია და სწორედ რუსეთთან შეერთების შემდეგ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავისუფალ თემებად მცხოვრები კავკასიელები ერთ მუშტად შეიკრნენ და საძულველი მმართველობის წინააღმდეგ ისლამის დროშის ქვეშ დაირაზმნენ. თურქეთმა ამ მიზეზით მოიპოვა დასაყრდენი და, შესაბამისად, ვითარება მკვეთრად გაუარესდა. მიურიდობის ჩასახვა-აღმავლობა რუსეთთან შეუთავსებლობის გამოძახილად იქცა.

„ასეა თუ ისე, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთთან საქართველოს დიდი ნაწილის მიერთების დროიდან ქართველებით დასახლებულ დაპყრობილ მიწებზე მაჰმადიანობა ძლიერდებოდა“, – ეს ამონარიდი საბრალდებო დასკვნასავით მჭრელია.

მომავალი პატრიარქი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად გრაფინია უვაროვას ჩანაწერებს იმონებს. იგი აცნობიერებს, რომ ქართველებისგან სასულიერო პირის მეშვეობით გაცხადებულ შეულამაზებელ სიმართლეს რუსები „შოკინისტის“ იარაღის მიაკერებენ და ამიტომ ეროვნებით რუსი ქალბატონის შეხედულებებს ამზეურებს, რომელიც მეჩეთებსა და მაჰმადიანური თემების დაარსებაში თურქ ხელისუფალთა აშკარა მხარდაჭერას ხაზს უსვამს, რაც შეუძლებელია „არ იყოს საშიში ნებისმიერი ხელისუფლებისათვის, არ იყოს ნამქეზებელი მცირე მოძრაობისაც კი, სულ მცირე პოლიტიკური ბრძოლის გასაჩაღებლად. სადღა აქვს ძალა მართლმადიდებლობას, – კითხულობს გრაფინია, – რომელსაც არა აქვს საკმარისი ეკლესიები და არა ჰყავს საკმარისი ეკლესიის მსახურები, რომელსაც არა აქვს სკოლები, რომლის წარმომადგენლებს თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნათ, დაეუფლონ ადგილობრივ ენას, ადგილობრივ ადათნესებს?!“

წმ. ამბროსი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების სრულ უგულვებლყოფაში იმპერიის მესვეურებს ღიად ადანაშაულებს და შესაფერისი მისიონერული მოღვაწეობისთვის საგანგებო პირობების შექმნას მოითხოვს.

ბუნებრივია, ფაქტების ნუსხა (ნაშრომს მოღვაწის ეროვნული მსოფლმხედველობა მაგისტრალურ ხაზად გასდევს) ერთი, თუნდაც უაღრესად მნიშვნელოვანი და მაღალმხატვრული ნაშრომის ფარგლებს სცილდება და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის ქრისტიანულ-ეროვნულ მრწამსს გაბედულად და მიუკერძოებლად წარმოაჩენს.

აქ ამბროსი ხელაიას მებრძოლი სულისკვეთება ცხადდება, სამშობლოს დაცვის მოქალაქეობრივი მოვალეობა ყველაფერს ჩრდილავს და წინდახედულების მუხტს ახშობს. მას სხვაგვარად არ ძალუძს. მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას დაჩაგრული ქვეყნისა და მამაპაპური სარწმუნოების დაცვასა და აღდგენას ახმარს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ვახტანგ VI-ის პოლიტიკას ზედმეტი რევერანსების გარეშე აფასებდეს. სწავლულ მეფეს ლიტერატურულ ნიჭსა და ამაგს არ უკარგავს, რაც სრულებითაც არ უშლის ხელს ვახტანგის გადაწყვეტილება მკაცრად, თუმცა სამართლიანად გააკრიტიკოს.

„უნდა შეინიშნოს, რომ კარგი ლიტერატორი და სწავლული ვახტანგ VI შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არ იყო. ამას აღნიშნავს დავით გურამიშვილი – XVIII საუკუნის პოეტი. იმის მაგივრად, რომ საქართველოში დარჩენილიყო და ხალხის ჭირ-ვარამი გაეზიარებინა, ოჯახთან ერთად რუსეთში გადასახლდა. ამას გარდა, ქვეყნის საუკეთესო ძალები, ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები თან წაიყვანა: რუსეთში ვახტანგთან ერთად 1500 ქართველი გადასახლდა, ხოლო ქვეყანა მმართველებისა და თავისი საუკეთესო შვილების გარეშე დარჩა!“ – ესოდენ მიუკერძოებელი, წრფელი, სამართლიანი და სამშობლოს ბედით გულმტკიცებული მოღვაწის შეფასება გულის სიღრმეში ატანს და ხედები, ილიასი არ იყოს, რამდენი ვარამი მსჭვალავს კაცს, ვისაც გულში მამულის სხნა ამოუჭრია და მზად არის, ნებისმიერ ავტორიტეტს წინ აღუდგეს, თუ სამშობლოსა და სარწმუნოების გადარჩენა ამ „მოუთმენელი“ პატიოსნების გაცხადებაში ვლინდება!

ვახტანგ VI-ის ამ საბედისწერო გადაწყვეტილების უარყოფით შედეგს ხომ დღემდე ვიძიებთ. როგორი ასატანია, ქვეყნის საუკეთესო შვილები ოფლს სხვისი კეთილდღეობისთვის ღვრიდნენ. მათ არა მხოლოდ გენეტიკურად, კულტურულად და მატერიალურად აძლიერებდნენ და ამდიდრებდნენ, მაშინ როცა, ჭირ-ვარამიდან გამოუღწეველ სამშობლოს თითოეული მათგანის დახმარება ფეხზე წამოაყენებდა და სულს მოათქმევინებდა!

ამ ტრაგედიას ნამდვილი ქართველები მუდამ სიღრმისეულად, მტკიცებულად და გულწაკლულად განიცდიდნენ.

„რუსეთში მრავალი ქართველი ცხოვრობს. ზედმეტი ინტელიგენცია გვყავს“, – დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში ეს ჩანაწერი მიძიმედ სუნთქავს, სათქმელი თითქოს შეკუმშულია, მაგრამ სიტყვა „ზედმეტი“ ყველაფერი გაცხადებულია. ვახტანგ VI-ის მიერ უცხოეთში განვეული ქართველების მონაგარი ეროვნულ ნიადაგს მონყვეტილა და ვინც ამ მწარე სიმართლეს უარყოფს, მას საამისოდ ალბათ პირადი ინტერესი ამოძრავებს, რაც ქვეყნის ინტერესთან არ არის გადაჯაჭვული. ზედმეტი ინტელიგენციის ყელყელაობისა და უსაფუძვლო თავმოწონეობისა თუ ლიდერობის მანიას „პროვინციულ სამშობლოში“ ამჯერად არ გამოვეკიდებით.

გადასახლების სიმკაცრენანგნევი წმ. ამბროსის პოზიცია შეუვალა. მას მიაჩნია, რომ საქართველოს იმის ფუფუნება არა აქვს, თავისი შვილები სხვა სახელმწიფოების სამსახურში გაამწესოს. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ამ თვალსაზრისით ნებისმიერი რეკორდი მოხსნილია! შედეგიც შესაბამისია – საქართველო უქართველებოდ ათასი ჯურის ავანტიურისტისა და უცხოტომეულის უცვლელი სამიზნეა!

ნიგნში ცნობილი კონდოტიერის თემაც ძალზე მოკლედ, თუმცა სახიერად შემოიღის. საბჭოური მითოლოგიური გმირის, გიორგი სააკაძის სახე ნაშრომში ძუნწად, მაგრამ რელიეფურად იკვეთება.

ლუარსაბ მეფის მონამეობრივი აღსასრულით გამხნეებული ქართველობა მართლმადიდებლურ რწმენას უმძიმესი წნეხის პირობებშიც ინარჩუნებდა. წმ. ამბროსის თქმით: „უბედურებათა ჟამს მუდამ გამარჯვებული მართლმადიდებლური რწმენა ამ დროისთვის ქართველებში კიდევ უფრო განათდა და თვით სიკვდილში სიცოცხლის დაურეტელი წყარო აღმოაჩენინა“.

ამით გაღიზიანებული შაჰ-აბასი უარესად გაცოფდა. „გიორგი სააკაძე და სხვა ქართველი დიდებულები აქამდე სპარსელებს ხელს რომ უწყობდნენ, ახლა მწარე სინამდვილემ დააფიქრა. სამშობლოს მოღალატეებში სინდისმა გაიღვიძა“.

გიორგი სააკაძისადმი მომავალი პატრიარქის დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითია. ბევრ თანამედროვე ინტელიგენტს, გალაკტიონი მოსწრებულად ინტელიგენტებს რომ უწოდებდა, ამის გაგონება დიდად ემცხეთება. ქართლის მოურავის სინდრომი ორმაგი სტანდარტის სახელითაა დამკვიდრებული და დიდი გასავალითაც სარგებლობს. სააკაძის გაფიქტირებაში იმ ადამიანების შიში ჩაბუდებულია, ვისაც სარკეში ჩახედვისა ეშინია და რეალობას ათასმაგი ნიღბის მორგებით ეტმასნება.

შერეული ქორწინების თემა ნაშრომში პოლიტიკურ რანგში აყვანილ მოვლენადაა გააზრებული. ამბროსი ხელაია ჩვენი თანამედროვე რომ ყოფილიყო, ჯიშის სინმინდის ქადაგებისთვის მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციები მინიმუმ „ორლობის ფაშისტის“ ან „ფუნდამენტალისტი მართლმადიდებლის“ სტატუსს მიაკუთვნებდნენ. ბედის ირონიაა, რომ შერეული ქორწინების აპოლოგია, ტოლერანტობის არ იყოს, ჩვენი ურყევი „საკუთრება“ თუ „პრივილეგია“. მისი დაცვა და აღიარება განუხრელად მხოლოდ ქართველებს გვევალება! ფაქტია, ეს უძველესი კოზირი დასუსტებულ ქვეყნებში მცხოვრები „არასრულფასოვანი ცნობიერების მქონე“ მოსახლეობის „უმტკიცუნელო“ ასიმილაციისთვისაა განკუთვნილი. ეს მომაკვდინებელი საფრთხის ძალა ამბროსი ხელიას, როგორც ნამდვილ ქართველს, შეგნებული აქვს და ამის თაობაზე პირდაპირ, „მოურიდებლად“ მიუთითებს:

„ცნობილია, რომ ოჯახური ცხოვრება ყველაფერს გადახარბავს. შერეულ ქორწინებათა ნყალობით ეროვნული გადმოცემები, რწმენა, ნეს-ჩვეულებები თუ საერთოდ არ ქრებოდა, იცვლებოდა, ახალ იერს, ახალ ფორმას იძენდა, კარგავდა პირველყოფილ სინმინდეს და ეწინააღმდეგებოდა ნიშნებს. ასეთი შერეული ქორწინებებით გაჩენილი ბავშვები უეჭველად მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევრები უნდა ყოფილიყვნენ“.

ერთს დავძენ, შერეული ქორწინების „კოზირს“ ყველა იმპერია წარმატებით მიმართავს და ვაი, იმ ერის ბრალი, ვინც წითელ წიგნში შესატან გადაჯიშებულ ეგზემპლარად დაახარისხეს!

ნაშრომის ბოლო ნაწილში ანტიმაჰმადიანური ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების განხილვაა მოცემული. ტომის შემდგენელ-რედაქტორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ბ-ნ მიხეილ ქავთარიას საყურადღებო დასკვნის თანახმად:

„ქართულ სინამდვილეში ანალოგიური შრომა ამ პერიოდში არ დაწერილა. მიხეილ საბინინის მიერ გამოქვეყნებული იყო ძეგლები, ალ. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილისა და სხვათა მიერ ძეგლებიდან მოძალადე მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდები აქცენტირებული იყო, მაგრამ ეს იყო მაინც ცალკეული ეპიზოდების წარმოჩენა. ერთადერთი, ზოგადი მოთხოვნით ერის საერთო განწყობის ჩვენებით, მთელი მასალა XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დამდეგს არავის არც წარმოუდგენია და არ განუხილავს. ეს მომენტი ამბროსი ხელიას საკვალიფიკაციო ნაშრომში არგუმენტირებულად არის წარმოგენილი და ამით იგი განსაკუთრებულია ქართული მწერლობის ისტორიაში“.

ძალზე სასიხარულოა, რომ ნაშრომის ორიგინალობა და თვისობრივი სიახლე მნიშვნელოვან მიღწევადაა შეფასებული, რაც მოღვაწის უნივერსალურ ნიჭს აამკარავებს და თხზულების მაღალმხატვრულ დონეს განსაზღვრავს. ცნობილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების ანალიზის გარდა, ამბროსი ხელიაიმ 1880 წელს გამოცემული წიგნის, „პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილო ეფენდისთან“ ავტორის, მღვდელ სიმეონ ბეგიევის (ბეგიაშვილის) შესახება მართებული მოსაზრება გამოთქვა. იგი განსაზღვრავს, რომ მრავალფეროვანი მასალის მიუხედავად, თხზულებას კონკრეტული ავტორი ჰყავს. ამბროსი ხელიაიმ შეხედულება მეცნიერებმა გაიზიარეს, ეს გარემოება გამოჩენილი მოღვაწის უტყუარ ალლოსა და ფართო ერუდოციას ამჟღავნებს.

ძალზე ყურადსაღებია წმ. ამბროსის მსჯელობა ისლამზე, როგორც რელიგიაზე, სადაც იგი უამრავ წყაროს ეყრდნობა. მათ შორის, იმ ქართველთა მოსაზრებებს, ვინც მაჰმადიანობის არსს საუკეთესოდ იცნობდნენ და მათ აღმსარებლებს მუჰამედის განანესთა დარღვევაში ამხედდნენ. ამის საილუსტრაციოდ კი ყურანის იმ ადგილს მიუთითებდნენ, სადაც ქრისტიანული ეკლესიების წგრევა და ღვთისმსახურთა დევნა აკრძალულია (ყურანი XXII,41).

სამეცნიერო სტატიაში ანტიმაჰმადიანური საპოლემიკო თხზულების სრული ჩამონათვალი აუცილებელია, მაგრამ ეს ისედაც ვრცელი წერილის მოცულობას ხელოვნურად გაზრდის, ამიტომ მოკლედ დავძენ, რომ ამბროსი ხელიაიმ იმჟამად ხელმისაწვდომი ყურადსაღები წყაროები გამოწვლილვით შეისწავლა და გააანალიზა. ნაშრომის უნივერსალურობიდან გამომდინარე, იგი თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მწერლობის, აგრეთვე ისტორიისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით.

თავს უფლებას მივცემ, შესანიშნავ მწერალს, გამომცემელსა და მთარგმნელს, ბ-ნ აკაკი ბრეგაძეს გამოვცხადო. იგი XIX საუკუნის მოღვაწის უანგარობითა და თავდადებათი დიდი ხანია ქართულ მწერლობას ემსახურება და რომ არა მის მიერ ჩინებულად გამოცემული მრავალტომიანი სერია: „მნიგნობრობა ქართული“, ამბროსი ხელიაის ამ ეპოქალურ, უაღრესად საჭირო, ფასდაუდებელ ნაშრომს ქართული საზოგადოება, ვინძლო, როდის იხილავდა!

ამაგდარი მოღვაწისა და მთარგმნელის არჩევანს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და ძალზე სასიხარულოა, ბ-მა აკაკიმ ესოდენ ძვირფასი საჩუქრით რომ გაგვანებივრა. „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ ზნეობრივ საქართველოს ღირსეულად დაამშვენებს და ჩვენს უკულმართ დროში სულიერებადაქვეითებულ ადამიანს გამოაფხიზლებს, მომავლის რწმენასა და სამშობლოს სიყვარულს გაუღვიძებს.

ამბროსი ხელიაის ნამუშევარი ტკივილამდე ნაცნობი და განდევნილი მრწამსის გამოძახილია „ენა, მამული, სარწმუნოება“ თავიდან თუ არ შევისისხლბორცვით ქართველებმა, ღვთისმშობლის ნილხედრი ქვეყანა ხელიდან გამოგვეცლება! გამართული დარბაისლური ენა ტექსტის შესამეცნებლად ნდობით განგანყოფს, რაც მწერლისა და მთარგმნელის, ბ-ნ ზურაბ თორიას უდაო ოსტატობის მაჩვენებელია. ეს გარემოება საკმაოდ რთული შინაარსის ნაშრომის ათვისებას აადვილებს და მკითხველს იმ უზენაეს საუფლოში თავდაჯერებულად მიუძღვის, სადაც „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან...“

ბონდო არველაძე

თანდოიანის ღვთისმშობლის ეკლესია თბილისში

თანდოიანის ღვთისმშობლის ეკლესია დგას დავით აღმაშენებლის № 38-ში (ყოფილი პლუხანოვის პროსპექტი). საბჭოთა წლებში მასში გახსნილი იყო მეეზოვეთა კლუბი, 1949 წლიდან მიხეილ ნებრინცევის პროექტის მიხედვით გადაკეთდა კინოთეატრ „კოლხიდად“.

ეს ეკლესია აუგია საჰაკ თანდოიანს 1865 წ. რესტავრაცია ჩატარებია 1890-იანი წლების ბოლოს (იხ. ჩვენი წიგნი „ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება... თბ., 2006, გვ. 44). მას გაკვირვებულნი პ. მურადიანი და აღნიშნა. მისი ერთ-ერთი კედლის სურათი გამოქვეყნებული აქვს წიგნში – „ძველი თბილისის სომხური ეკლესიები“, ეჯიმიანი, 2009, გვ. 112, სომხ. ენაზე).


ამ ეკლესიის სამრეკლო (1883) განხილული აქვს მ. ლილუაშვილს – „ფუნქციონირებადი ეკლესიები თბილისში და არქიტექტურა“ საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918) პროექტის მაცნე 2015, გვ. 58-59).

ვახუშტის თბილისის რუკაზე (1735) ამ ადგილას აღნიშნულია ახალი სოფელი. აქვეა დატანილი პატარა ქართული ეკლესია, რომელიც 1844 წლის თბილისის გეგმაზე აღარ ჩანს, მაგრამ მონიშნულია სასაფლაო. პროფ. მ. ძნელაძის მიერ 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მასალების მიხედვით ამ ადგილას ყოფილა ქართული სასაფლაო. ამას ადასტურებს აღმოჩენილი საფლავის ქვები და მათზე ქართული ეპიტაფიური წარწერები, თუმცა, 1867 წლის თბილისის გეგმაზე აქ უკვე თანდოიანის ღვთისმშობლის ეკლესია დგას.

ამრიგად, მოტანილი ცნობების მიხედვით ვახუშტის რუკაზე აღნიშნული ქართული ეკლესია XIX ს-ის პირველი ნახევარში „გამქრალია“. მის ადგილას დგას თანდოიანის ეკლესია. ეს არის ისტორიული მოცემულობა, მაგრამ მას აქვს სამართლებრივი მხარე. ამას კი გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე. წ. სადაო ეკლესიების ამა თუ იმ მხარის მიკუთვნების საკითხში.

გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით (1783 წ.) ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში, იმ პირობით, რომ ქართული სამეფო და ბაგრატიონთა ტახტი არ გაუქმდებოდა, მაგრამ რუსეთმა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი პირობა არ შეასრულა – გააუქმა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო და გუბერნიების სახით შეუერთა იმპერიას. აგრეთვე, ანულირება მოახდინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის (1811) და სათავეში ჩაუყენა რუსის ეგზარქოსები, რომელნიც არცთუ ურიგო ურთიერთობაში იყვნენ ეჯიმიანთან. ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ცდილობდნენ ქართველი ხალხის დენაციონალიზაციას. აგრეთვე ეგზარქოსები პრაქტიკულად არავითარ

ღონისძიებას არ ღებულობდნენ სომეხი სასულიერო და საერო პირების მიერ ქართული ეკლესიების მიტაცების პროცესის შესაჩერებლად. პირიქით, იყო შემთხვევა, როცა ქართულ ეკლესიას გადასცემდნენ სომხურ მხარეს.



ამჯერად გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ დროს არსებულ კანონდ ქცეულ წესზე, რომლის ძალით საქართველოში, რა თქმა უნდა, თბილისშიც, საკულტო ნაგებობის აშენების უფლებას გაცემდა რუსის სასულიერო ან საერო მაღალი ჩინოსანი – მეფის ნაცვალის, ეგზარქოსის. სიმართლე უნდა ითქვას, ამ კანონს ერთგვარად წესრიგში მოჰყავდა საკულტო მშენებლობა თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში. ეს იმით საპასუხოდ, ვინც ფიქრობს საქართველო იყო „ნინიას ბაღი“ და ვისაც რა მოეპრიანებოდა, იმას აშენებდა.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით დღეს ჯავახეთის შესახებ. რუსეთში გამდიდრებული სომეხი ბიზნესმენები ყოველგვარი ნებართვის გარეშე აშენებენ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიებს. XIX ს-ში ძველი ქართული ეკლესიების გადაკეთება და მითვისება რომ ხდებოდა და ახლაც ხდება სომხური მხარის მიერ, ეს კიდევ ერთი საჭირობოროტო საკითხია (იხ. ჩვენი მონოგრაფია „ქართული და სომხური ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“, თბ. 2017, ქართ. ინგ. და რუს. ენებზე).

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უნებართვოდ აშენებული სომხური ეკლესია ჯერჯერობით 50-მდეა. ეს ნიშნავს, ჯავახეთი მართლაც დაემსგავსა „ნინიას ბაღს“...

მივდივით პირველ სიტყვას, მივხედვით თანდოიანის ეკლესიას: არა აქვს მნიშვნელობა თავის დროზე გაცემულ აშენების ნებართვას, მთავარია, რამდენად აქვს მას სამართლებრივი საფუძველი და ძალმოხილება, სომხეთის მხარე რომ ითხოვს ამ ეკლესიის გადაცემას.

ვიმეორებ, ამგვარ ნებართვას იურიდიული ძალა არ გააჩნია იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მეფის რუსეთის და საბჭოთა იმპერიების სამართალმემკვიდრე არ ყოფილა და არც დღეს არის. მეფის რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ და კოლონიად ქცეულ საქართველოში, ამა თუ იმ სომხური ეკლესიის, ამ შემთხვევაში, თანდოიანის ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების ნებართვა ბათილია, ისევე როგორც შაჰ-აბასის (1571-1629) მიერ გაცემული სიგელი თბილისში (ელიაზე) ხოჯავანქის ეკლესიის აშენების თაობაზე (1621). აღნიშნულიდან გამომდინარე, სომხური მხარის მოთხოვნა თანდოიანის ღვთისმშობლის ეკლესიის გადაცემის შესახებ სამართლებრივად საფუძველს არის მოკლებული ისევე როგორც მათი პრეტენზია საქართველოში არსებულ 442 ეკლესიაზე...



მანანა ბრაჭული

იმღერე ხარულა! ხარა ალექსიუს

შენს ხმაში სამხრეთის ვარდები ტირიან.
მწუხარე წვიმები ოხრავენ ხარულა,
მღერი და ელადა იღვიძებს მაღალი,
სიკვდილს ეფერება სიცოცხლე მაღულად...
„ლისში“ ბრონეულებს უსკდებათ გულები-
მიწასთან მზე ისე, ისეა ახლოს...
შენს ხმაში რიცოსის დარდი იღიმება,
ჩემში საქართველოს ტკივილი მაღლობს.
გუმანით მოგვევ და მისანი რად მინდა-
„ახუ, კარდულამუ“!... კენესი და ვკვდები...
საკუთარ ქორნილში უბედურ პატარძლებს
რად ჰგვანან ჩემი და ელადის მთები?!

* * *

თუ უხერხდება უარყოფას თქვენგან შენდობა,
ამ შემოდგომით მომიტევეთ შორი უარი.
სექტემბრის გულში მარტოობის გვაღვა თუ არის,
თქვენს სახლთან ახლა წვიმა ჰკოცნის მწვანე ბუერებს.
ო, არ იფიქროთ, სინანული თითქოს ცრუ არის,
ხო, მენანება თქვენს თვალებში ლურჯი სინათლე...
იყო წინათვე განწირული ბრონეულები,
სხვა მზე უყვარდათ და ესაა მთელი სიმართლე.

უცნობს

შენ, ბოტიჩელის დახატულ ქალებს
ჰგავხარ, თავს გიხრის ღიმილით ქუჩა,
მოღიავებულ კარს და აივნებს
ზაფხულის ცხელი თითები უჩანთ.
რა უმონყალოდ, სიცხიან ღრუბლებს
მზე დავინყებულ სიზმრისგან ჩურჩავს,
შენი მშვენივით გაფითრებული,
ტორტმანებს სივრცე და თვალებს ხუჭავს...
შენ, ბოტიჩელის დახატულ ქალებს
ჰგავხარ, და ლამის წაიქცეს ქუჩა...

თოვლი

ნიკოლოზ ბარათაშვილს

ცა თოვლად იქცა, გაუვალ თოვლში,
დაკარგულია გზები სამერნე,
რა მწუხარეა კალამი შენი,
მელანდამშრალი შენი სამელნე...
სამ საფლავს ნანოლს, მზის დანაკოცნი,
ისევ გამნარებს ფიქრი საჩემო,
„თუ საძირკველი დანგრეულია“,



ტრფობის ტაძარი სად აგიშენო?!
როგორ მჭირდება შენი სიმართლე
და „განწირული სულისკვეთება“,
დაბრმავდა ღამე, ხელის ცეცებით,
თოვლის სამოსით დაეხეტება...
რა სიბნელეა ამ სითეთრეშიც...
უნდა ვეძებო გზები სამერნე,
ცრემლით განვბანო ჩემი კალამი,
სისხლით ავაგსო ჩემი სამელნე.
მიზეზი სხვაა, თოვლი-საბაბი,
„მწუხრი გულისა-სევდა გულისა“,
ეს თავისთავით სწეული თოვლი
ბორკილი ჩვენი გაზაფხულისა.

ელვა შორეთის

ძუძუმტეებო თეთრი თქორების,
ნანინავებნო ბერი ქორების,
ლურჯო პეშვებო ხრიოკ გორების,
გადამწონავნო ყველა ქონების-
სსოვნავ „ქორულდის“, სსოვნავ „ორეთის“,
შეუღეველი ქართულ შორეთის,
ჩემი მამულის წყალთა შრიალო,
ფიქრიდან როგორ განმეშორები?!

სიზმარი

და იძრა სიმრავლე ამაზრზენ უნასთა,
შიშიან ფეთებად საშინელ სიზმარში,
გაფითრდა მომცემი ყოველთა უნართა,
ბოროტის დამნთქმელი სურვილის წინაშე.
შორეთში შრიალი მეშავთე ქარის ფრთის-
შემოუნერელი სიბნელე სივრცეთა-

ახალ სასაკლავოს სცილის და ქარიბდის,
უცდის მღვიმეებში ამღვრეულ ცირცესთან.
გაშავდა ალვებზე ტოტები საფოთლე-
უიშვიათესი მფარველის ტოტემი,
ინგრევა სამყარო წარღვნიტ და სამოთხე
თავდება შიშიან სიზმართა მკლავებში.

სად ვატკობო ყოფნის მღვრიე სამსალას,
არარაობის სიბრძნეს რომ მივწვდე.
სად საიდუმლო არ ეთქმის არც რას,
აღარც სფინქსისას და აღარც კაცის,
სად შეცნობილი ყველა სამყარო
სიზმარ-ცხადივით ერთურთში გადის...
დაბადებიდან, საათ და საათ,
იმ „საითისკენ“ მივყვები ქარებს.

თეატრალის ქარი

გატკეპნა ქარმა ბილიკი სველი.
დარდიანს მღერის მცივანი ლაჟო.
ალაჟღაჟდება ეს მთა და ველი,
თუ გადაასწრო თებერვლის ლადოს.
ღარღალს არ იშლის ხეებთან ქარი,
ძეძვზე იკანრავს ქარქარა წვივებს,
გრილი მიწიდან ატეხილ ბოჭირს
ძარღვებში უღვრის ლალიან წვიმებს.
მძინარე მზის სულს აქეზებს ქარი,
მთის კალთებს აფხრენს ძენძიან ჯვალოს,
და, მიხარია, ეს ღაზო ქარი
გაზაფხულისთვის ასე რომ წვალობს.

ცაო!

დაედრები როცა ნაცარს,
სული ქრება, ცოტა მაცა,
მოვეფერო ალიონს.
იქნებ, იქნებ ქარი დაძრა
და ღრუბელი არიო-
სული ჩემი სულსა შენსა შერიო.
ძველ ღობეზე სველი ჩიტი
სიცოცხლისთვის სასჯელს ვიხდი-
შენსკენ მზერა შარია და შორია.
რად იფერებ უფერობას,
იცი, ფერი ფარია,
მე რაღა ვქნა შავ-თეთრი რომ ჟღალია...
შენეული ხავერდების
სილურჯეს რომ გავედრებდი,
მემალეები ხანია,
თვალს გარიდებ ფერფლს
და ნაცარს,
სული ქრება, ცოტა მაცა,
ბედი ისევ, ისევ მედღეხვალეობს.

საით?!

დაბადებიდან, საათ და საათ,
იმ „საითისკენ“ მივყვები ქარებს,
სადაც არ არის ადამის ფიმი,
სადაც არ სძინავთ საუფლო ქნარებს.
სად ვახმაურებ ჯოჯოხეთის სულის,
სადაც დგას ჩემი ლამაზი ქრისტე,

შენი „ვარსკვლავმორბედი“

იკა ქადაგიძეს

შენ, მნათობთა დაო, „ქვიშის სიბრძნით ნაიარევო“,
სხივო, მუჭში მოუმწყვდეველო, განფენილო მართალთ
სიზმრებში – „შენში სხვა დროა“ და შენშია ყველა დრო,
რადგან იმ ვარსკვლავთ ემეგობრები, მხოლოდ ყვავილთა
მტვერს რომ ჰგუობენ.
დღევანდელ კვირას გეფიცები, დღეის სავესე
მთვარეს, გზა-დაკარგულს, მზეს რომ ნაჰკიდებია
და ხიფათს გვპირდება, ცრემლით დავხურე შენი
„ვარსკვლავმორბედი“.
რა ხელოვნებით მამოგზაურე იუპიტერის მგზნებარებით
მთრთოლავ სივრცეში?! განმაშორე „ცოდვამოშებიულთ“,
სინათლის ბილიკით მავალთ გადამყარე...
როგორ გაცხრილე საუკუნეები ქალო – „ღრუბლის
თავშალდაკოცნილო“, „გალაქტიკის ქვიშის სუნთქვის
ცეცხლში გამშრალო, სინათლის ხამლეებით ფენმოსილო
მგზავრო უცნაურო. ამ პანია წიგნში როგორ ჩატიე
ყოფის „ანი“ და „ჰოე“ – ამირანი და პრომეთე, კოლხეთი
და იერუსალიმი, მედეას ბედისწერა და მაგდალინელის
ქვიშისფერი მზერა, ღმერთი და მოციქულნი, შენი-
ჩვენი იბერიუსი წარმართი?! ასე სუსტმა და ნაზმა
ვით დასძარი ცისა და მიწის ღერძი-ქართული სიტყვა
და მახილვე სამშობლო – „ხავერდგაფოთლილი“,
„ფეხადგმული ვაზების ქვეყანა“, სადაც „...ლაზარეს
საკუთარი სისხლით განბანილი ენის აღდგინებას
დაუმონმებდნენ“...
რომელი ცხოვრებიდან დაიწყე კითხვებთან თამაში,
მათ შორის ურთულესთ უპასუხე კიდევ.
სიფრიფანა თითებით როგორ მოაგროვე იმდენი
სინათლე, წყვდიადი გაქცეულიყო, სმენა ისე
დანმენდილიყო, კაცობრიობას გაეგონა, დაენახა და
ეგრძნო კეთილმოვანება ადამიანისა და სამყაროს
თანაცხოვრებისა.
ფერი დავიდე ლაზარეს „გულიდან ამოტეხილი
ლოცვისა...
ოდეს უფალი დაგეძებს, მკვდრეთით აღმდგარად მაშინ
ინოდები,
როცა თვითონ ეძებ უფალს, მკვდრეთით აღდგომა აღარ
გესაჭიროება!“

გიგი ხორნაული

ბაბურთი ეშმა

ბოლო ხანს უძილობა დასჩემდა დავითს. დანვებო- და დასაძინებლად და სად იყო ძილი?! აეშლებოდა მწარე საფიქრალი თავისი უპატიური ყოფისა და ძილი სათოფეზე არ ეკარებოდა. ახლა იმაზე ანერვიულდებოდა, რატომ არ მეძინებო, გვერდსაც მალ-მალ იქცევდა და გათენებამდე ასე იტანჯებოდა.

იმ ღამესაც ასე იყო. გამთენიისას ძლივსლა ჩაეძინა და უცებ გაეღვიძა უცნაური სიზმრისაგან დაზაფრულს. ჯერ ადრე იყო. მეუღლეს იქვე, გვერდზე სანოლზე მშვიდად ეძინა. დავითმა სანოლის თავზე შეაცერა ბალიში, მიწვა და ისეთნაირად იცქირებოდა, თავი ისევე სიზმარში ეგონა. ასე ცხადად ნანახი სიზმრები დიდხანს არ გამოდის არც თავიდან და არც გულიდან. ბავშვობის დროიდან მოკიდებით ბევრი ასეთი სიზმარი ახსოვდა, რადგან თითქმის ყველა აშკარა წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. დიდად მორწმუნე არ იყო დავითი, მაგრამ სიზმარისა სჯეროდა. თხუთმეტ-თექვსმეტი წლისას უკვე ჰქონდა დაცდილი სიზმრები, რომლებსაც ნადირობის წინა ღამეს ნახულობდა და იცოდა, იმ დღის ნადირობა შედეგიანი იქნებოდა, თუ უშედეგო. ანუ გაემარჯვებოდა, თუ ხელი მოეცარებოდა. სიზმარში ყვითელთმიანი მწყემსი ქალა გაჩვენებოდა და ის თუ შემოსცილებდა, ნადირს იმეტებდა დავითისთვის, თუ მოუხედავად ჩაუვლიდა ან ზურგს შეაქცევდა, ტყე რომ ნადირით ყოფილიყო სავსე, მაინც ვერაფერს მოინადირებდა. ჰქონდა რამდენიმე ისეთი სიზმარიც, რომელიც წამოწყებული საქმისა, მოსალოდნელი ავად გახდომისა თუ სხვათა ამბავთა საწინასწარმეტყველონი იყვნენ. აი, ისინი, ძალიან გამორჩეულნი და შთამბეჭდავნი კი, მოულოდნელად გამოიტყვრალნი იყვნენ.

იმ ღამეს ასეთი რალაცა ესიზმრა: ვითომ თავისი სოფლის მთაზე, საორბეს თიბდა. უცებ მოპირდაპირე ფერდობზე წითელკაბიანი ქალი გაჩნდა, მას ხის ტოტი ეჭირა, ბალახს უსვამდა, ვითომ მეც ვთიბავო და თან სულ დავითისკენ იცქირებოდა. მიხვდა დავითი, ეს გაბურთ ეშმა იყო. ის არხოტული ლეგენდა ვინ არ იცოდა, გაბურთა ეშმაკობით რომ აჯობა ეშმას და შეპყრობილი შინ წამოიყვანა, ბჯღლები დააჭრა, ხანჯლის ქარქაშში ჩაყარა – ეშმა რომ ვერ მიჰკარებოდა. ასე დაიმონა და ეშმამაც ღამ-ღამობით თავისი გასაოცარი შრომით ზღაპრულად გაამდიდრა ოჯახი.

დავითმა რაკი იცოდა, თბილისში ვერაფერში გამოიყენებდა გაბურთ ეშმას, არც უფიქრია მისი შეპყრობა. უცებ კი ეშმა თავად გაჩნდა მის წინ და ერთ-ერთი უდროოდ გარდაცვლილი ნადობის, სანათას სახით ეჩვენა. მან საკოცნელად წამოიწია, მაგრამ დავითმა რაკი იცოდა, რომ სანათა მკვდარი იყო, უკან დაიხია. უცებ თვალი ჰკიდა წითელი კაბის დაბლა ეშმას ბალიან, კოჭუკულმა ბჯღლიან ფეხებს. კიდევ წამოიწია საკოცნელად გაცინებულმა და დაფეთებულს გაეღვიძა დავითს, ისეთი გამოფხიზლებული იყო, თითქოს ცივი წყლიდან ამოსულიყო. „ნეტავ რაზე ამიხდება, რაზე ამიცხადდება. ასეთი სიზმარი უერთოდ არ იქნებაო“ ფიქრობდა თავისთვის დავითი და ცდილობდა, ამოეხსნა რისი საწინასწარმეტყველო შეიძლება ყოფილიყო.

ცოტა ხანი და იამზე გაიჩურჩა, გაიღვიძა, დავითს შემოხედა.

- დათიკუნა, გაიღვიძე?!
- სიზმარმა დამაფეთა.



- რა ნახე? შენი ძველი წანალი ვინმე გესიზმრებოდა, აბა სხვა რა დაგაფეთებდა.

- კუდიანი ხარ, კუდიანი. გიამბობდი, მაგრამ არ მინდა სიზმრის დაბეზლება.

- მე კიდევ იცი რა მესიზმრა... აი, აქ, შუა ოთახში იატაკზე ჩამომჯდარიყო ერთი წრუნუნა, თათებს მიშლიდა და თან მენრიბინებოდა: ქალო იამზე, არ გრცხვენია ასეთი გამოფხეკილი ოჯახის, ლამის შიმშილით ფეხები გავფშოკო. მე ვანუგეშე: ნუ გეშინია, ჩემო წრუნუნ, ჩვენი მალაზიის გამყიდველი ემა გვიცოცხლოს ღმერთმა, არაფერი გაგვიჭირდება. ჩავალ ეხლა, ნისიების რვეულს გადავამლევიანებ კიდევ ერთხელ და იმდენს მაინც ამოვიტან რამეს, რომ არც შენ გაფშოკო ფეხები და არც ჩვენაო.

ამ სიტყვებზე წამოხტა იამზე, შვილები სკოლაში ჰყავდა და გასასტუმრებელი, ქმარი – ინსტიტუტში.

დავითმა მთელი დღე ისე მოიარა ინსტიტუტი და კერძო უნივერსიტეტი, რომ თავისი სიზმარი წამითაც არ დავიწყებია. სულ მოლოდინი ჰქონდა სიზმრის გაცხადებისა. საღამოს შინ რომ დაბრუნდა, უკვე აღარაფრის იმედი არ ჰქონდა. მაკარონის სუპით ნასადილევი, ჩვეულებრივ, აქაც სამუშაო მაგიდას მიუჯდა, რათა მუშაობისთვის გადაეყოლებინა გული. ეს იყო ერთგვარი ხსნა. მარინემ კი შვილები სტუმრად წაიყვანა თავისი „საქმოსანი“ ძმის ოჯახში. კარებზე ზარი გაისმა. არ ესიამოვნებოდა სტუმარი, აშკარად კი სტუმარი იყო, რაკი არ იცოდა, რომ მათი კარი მუდამ ღია იყო, კარს არა ჰკეტავდნენ. ვილაცა უცხო ქალი იდგა, სახეშეღებილი, უცინოდა, დავითს კი არ ეცინებოდა.

- ვინ გნებავთ?.. შემობრძანდით!

მიმართა და უკან დაიხია, უცნობმა გადაიხარხარა: ვერ მიცანი?! ხმაზე შეიცნო დავითმა, თავისი ბიძაშვილის ქალი მზეხა.

- მზეხა ეს შენა ხარ? – რანაირად შეგიღებია სახე, რას დამსგავსებხარ.

საკოცნელად წამოხრილს თვითონაც ლოყა მიაგება, რადგან ასეთ სახეს ვერ აკოცებდა. მისი სახის უცნაურმა გამომეტყველებამ უსიამოვნოდ დაახვეინა უკან. შემოდი, შემოდი, შინ შეიპატიუა დავითმა, ოთახში ჩამოსხდნენ. ერთი კი ჰკითხა, როდის ჩამოხვედიო და მერე, სიბრაზისაგან ფერდაკარგულმა, მრისხანე სახით მიმართა:

- არ შემიძლიან ასე შეთხიპნილს გელაპარაკო, შედი აბაზანაში, დაიბანე!

მზეხა უხმოდ ადგა, შევიდა და ცოტა ხნის შემდეგ გაცინებული გამოვიდა. დავითი ფეხზე ამდგარი შეეგება და გულში ჩაიკრა. ამ ბუნებრივად მშვენიერ გოგოს რაში გჭირდება ხელოვნური ვითომდა შელამაზება.

– ისევ ის ბიძა დავითი ხარ, კარგად შემახურე, ეს არ დამავინწყდება. რა ვიცი, რა ეშმაკმა შემაჯდინა. საბერძნეთში ექვსი წელი ვიყავი, სახეზე არაფერი მიმიკარებია. აქ ჩამოვედი და რაკი ყველას სახე ჰქონდა შეთხიზნილი, აყყევი. დღეის ამას იქით თუ მე სახეზე რამე მივიკარო, ქალი არ ვიყო.

– აბა ეხლა დაჯექი და მიაბზე როდის ჩამოხვედი?

– ორი კვირა იქნება... სანამ მივიხედ-მოვიხედე შინ, სამსახურში და აი, ეხლა ძლივს მოვალნიე შენთან.

– რამდენი წელი გაგიხდა იქ ყოფნის, ექვსი თუ შვიდი?

– მეშვიდე წელია.

– რა ჰქენი, მორჩი ჩასაბანი ბერძნების ჩაბანვას?

– ვიცი, შენ ამას ხუმრობით მეუბნები, მაგრამ ნათქვამია, „ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, შიგ სიმაართლის ნატამალი რომ არ ერიოსო.“ ისიც ვიცი, მთელ საქართველოში როგორ ქილიკობენ იქ, საზღვარგარეთ წასული ქალების ამგვარ საქმიანობაზე, მაგრამ ვერ გამოვიდა, რა არის აქ საქილიკო, სათაკილო. რა, საქართველოში არ ენევიან ამგვარ საქმიანობას. არ უვლიან ჩავარდნილ მშობლებს შვილები, რძლები. არ უვლიან მოხუცთა თავშესაფრებში, საავადმყოფოებში. იქ ეს საქმიანობა კეთილშობილებად ითვლება, ის კი არა, ასეთი ქველმოქმედებისთვის დედა ტერეზას ნობელის პრემიაც კი მისცეს. მაშინ რაზე დასცინიან ქართველ დედებს, ვინც ამ საქმიანობას ეწევა მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილით სიკვდილისგან იხსნან შვილები და შვილიშვილები. პირველ რიგში კი ქილიკობენ ისინი, ვისი მიზეზითაც წავიდნენ თავის ოჯახზე შეყვარებული დედები ლუკმა-პურის საძებნელად. ვისმა გაუგონარმა სიხარბემაც დატოვა ისინი ხელფასის, დახმარებისა და თავშესაფრის გარეშე. რა, იმ საცოდავ ქალებს რა უხარიათ იქ? იციან იქ ისინი რა ჯოჯოხეთურ პირობებში არიან? არც ბევრ სხვას ასეთი მომვლელებად მუშაობა არ შეგვეძლო, მაგრამ იმაზე აუგს არავინ ვამბობდით.

– არა, არა, მე იმათ სალანძღავად არ მითქვია, შენ გაგეხუმრე. რასაც შენ ამბობ, მე ეგ ვიცი და არ მიკვირს.

– მე იქ ისე კი არ წავედი, რომ მხოლოდ ფული მაინტერესებდა, მიზანი მქონდა. აგრარულ უნივერსიტეტში მიღებული ჩემი განათლების მიხედვით – მესაქონლეობის შესწავლის მიზნით უნდა მექებნა სამუშაო. ათენში ჩასვლისთანავე მოვიკითხე მესაქონლეობის ფორმა. რძისა და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ასეთი ფირმა – ბარაქა (სახელმა მიმიზიდა) ქალაქგარეთ სადაც იყო. ჩვენმა გოგოებმა, ვისთანაც მე ჩავედი, მითხრეს, გამოგყვებითო. არ გავიყოლე არავინ, მარტო წავედი. მალე შემიშვეს ფირმის მეპატრონესთან, ერთ-ერთ უდიდეს ბიზნესმენტთან. პირდაპირ მოვახსენე: თქვენ საწარმოებში, სადმე მინდა ვიმუშაო-მეთქი. მკითხა, ვინა ხარო, ვუთხარი ქართველი ვარ-მეთქი, გაელიმა და მითხრა: რა შეგიძლიათ შემოგვთავაზოთო. ეკალივით მომხვდა ეს სიტყვა. გოგოებმა მითხრეს, სადაც მივიღვართ სამუშაოს გამოძახებაზე, ეს ბებერ-ბებერი კაფერესტორნების მეპატრონენი სამუშაოსთან ერთად იქვე გვიცხადებენ, სექსითაც უნდა მოგვემსახუროთო. ქალების უმეტესობა უარს ეუბნებიან, ისე არ არის, აქ რომ რაღაცეებს თითხნიან და ჭორაობენ. მე ამ ბიზნესმენტის ნათქვამში სექსზე მინიშნება მომეჩვენა. წამოვდექი და ვუთხარი: მე არაფერს არ შემოგთავაზებთ- მეთქი: კიდევ უფრო ინტერესით შემომხედა და კიდევ უფრო მეტად გაელიმა. დაბრძანდით, დაბრძანდით, თქვენ ვერ გაიგეთ ჩემი ნათქვამი. მე გეკითხებით, ამ დარგში რაიმე ცოდნა-გამოცდილება თუ გაქვთ-მეთქი. ვუთხარი, რა ცოდნაც მქონდა და ისიც,

რომ მე პრეტენზია არ მქონდა სამსახურზე. ასეთ ფორმებში მე ყოველგვარ სამუშაოზე ვიმუშავებდი.

– საინტერესოა! ქართველ ქალს პირველად შევხვდი და მესიამოვნა თქვენი ხასიათი. მეც წარმოშობით ქართველი ვარ, ლაზი, ზეკი მემიშიში. თქვენი სახელი და გვარი?

– მზეხა მებარიაული.

– ძალიან სასიამოვნოა, პირველად მოხვდა ჩემთან ქართველი ქალი და ნაწყენს როგორ გაგიშვებო. უთუოდ რაღაცა უნდა გამოგინახო, აი, ამ წუთში კი მძლოლი მჭირდება. ხომ არ შეგიძლია მანქანის მართვა? მე ამოვიღე და გავუნოდე მანქანის მართვის ჩემი საერთაშორისო წიგნაკი. აქ ხომ ჩვენი ოფისის მანქანა ძირითადად მე დამყავდა. ჩვენი ოფისის ლიდერმა ბიჭიკო ჩიკვაიძემ ხომ მთლიანად მე გადმომაბარა – მანქანაცა და ოფისის საქმიანობაც.

– ძალიან კარგი, – შესძახა მან და მითხრა: აბა, ჩავიდეთ მამ მანქანასთან, სასწრაფო საქმე მაქვს ძროხის ფერმამში. ჩავედით და რას ვხედავ, ზუსტად ისეთი ტოიოტა, როგორც ჩვენი ოფისის გყავდა, მუშა მანქანა. ამაზეც მივხვდი, რომ სერიოზულ კაცთან მქონდა საქმე, თუმცა შემდეგში მის გარაჟში ძვირფასი მანქანებიც ვნახე. ჩემი მანქანასთან ურთიერთობით აღფრთოვანდა ბიზნესმენი და როგორც კი უკან დავბრუნდით, მაშინვე უბრძანა, იქ მძლოლად გავეფორმებინე და ხელფასიც კარგი, ორი ათასი ევრო დამინიშნა. დამყავდა თავის საწარმოებში, მაცნობდა რძისა თუ ხორცის გადამამუშავებელ საწაროს.

ერთხელ მანქანაში დატოვა წიგნები მანქანის უკანა ტახტაზე. თვალი შევაღე და ერთ-ერთი მათგანი იყო ინგლისში მცხოვრები ბერძენი ბიზნესის თეორეტიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ქრისტეფორე ანასტასიადის წიგნი, რომლის შესახებაც გაგონილი მქონდა თბილისშივე, ბენდუქიძის მიერ მოწვეული უცხოელი ლექტორებისაგან. ნებართვა ვთხოვე ზეკის, თუ შეიძლება ამ წიგნის აღება-მეთქი – კი ბატონო, აიღეო, გაკვირვებულმა შემომხედა. მთელი დღე დიდი ინტერესით ვკითხულობდი მოსაცდელ ოთახში, სანამ ზეკი დაამთავრებდა მუშაობას. ვთხოვე, შინ ეთხოვებინა, რომ გულდაგულ წამეკითხა ბოლომდე. იმ ღამეს თითქმის დავამთავრე. მეორე დღეს ზეკიმ მკითხა, მოგეწონა წიგნიო.

– მომეწონა, მაგრამ ეგ უფრო ისეთი თანამედროვე ფერმებისათვის არის დანერგილი, როგორც თქვენია, საქონელი ბაგურ კვებაზე გყავთ. ჩემთან, საიდანაც მე ვარ, საქართველოს მაღალმთიანი კუთხიდან, ასეთი მოსაზრებები ვერ ივარგებს-მეთქი. ძირითადი ეკონომიკური მიდგომები საინტერესოა და ძვირფასი, მათ მე ჩემებურად გამოვიყენებდი-მეთქი.

ზეკი ინტერესით შემომცქეროდა და უცებ სიცილით თქვა: საოცარია! ჩემ წინ ვხედავთ გურჯი ხანუმს, რომელთა ქებაშიც იყო მუდამ მამარეში. მერე მკითხა, ჩემ მეურნეობასთან დაკავშირებით თუ გაქვს რამე შენიშვნები? კი მაქვს-მეთქი, ვუთხარი. რაო, გაუკვირდა. – თუ არ გეწყინება, გეტყვი. თქვენი ჩქაფაჩქუფით მომდინარე რძისაგან თითქმის ნახევარი, თუ მეტი, ფუჭად იღვრება, შრატის სახით იკარგება. ამიტომ რძის მაქსიმალურად გამოსაყენებლად მე თქვენ ადგილას წარმოებაში ჩაუშვებდი რძის ისეთ პროდუქტს, როგორც არის მანონი, ყველისა და კარაქისაგან, ხაჭოსაგან მორჩენილი შრატით კი ხბორებს და ღორებს დავასუქებდი. რაო, რაო, დაინტერესდა ზეკი, ფირმაში რომ მივედით და მანქანა დავაყენეთ, წამოდი, აბა, ჩემ კაბინეტში ავიდეთ,

ნესზე გამაგებინე, რას მეუბნებიო. ავედით და ყველაფერი კარგად ავუხსენი. ზეკი ისე დაინტერესდა, იმავე დღეს დამარეკინა თბილისში ჩემ მეგობართან, თბილისის რძის გადაამამუშავებელი ქარხნის დირექტორის მოადგილესთან – მარლენ ვიბლიანთან. შედგა მოლაპარაკება. აქედან მთელი ჯგუფი ჩამოიყვანა და სასწრაფოდ დააფინანსა მანვინის ხაზი. მისი ალერტოვანება მაშინ უნდა გენახათ, როცა მისმა პროდუქტმა მთელ ქალაქში უცებ მოიპოვა დიდი პოპულარობა და ფირმასაც თითქმის გაუორმაგა შემოსავალი. მე დიდი პრემიით დამასაჩუქრა და ხელფასიც თოთხმეტი ათას ევრომდე გამიზარდა. მანვინის ხაზზე და რძის გადამამუშავებელ ქარხანაზე მეთვალყურეობა მე მომანდო. მანონს ტემპერატურა არ უნდა დაერღვეს, ძალიან ცივ ან ცხელ რძეში ჩადედა არ შეიძლება, მანონი უხარისხო გამოდის. ნელთბილი უნდა იყოს რძე, რომ კარგად შედედდეს. საამქროს უფროსების მკაცრად გაფრთხილება დამჭირდა რამდენჯერმე. მერე უკვე უკინოდათ გურჯი ხანუმი. ზეკიმ თავის თანამემნედ დამნიშნა შეთავსებით, ხელფასი კიდევ უფრო გამიზარდა და მითხრა, მძლოლად სხვას ავიყვან, თქვენ აღარ გეკადრებათო. მე უარი ვუთხარი, მე ასე მიჩვევია-მეთქი. მინდა, რომ მანქანით მე მოგემსახუროთ, სანამ აქ ვიქნები-მეთქი.

– ჰოო, ეს დამავინცდა მეთქვა, როგორც კი მისი სრული ნდობა დავიმსახურე, მითხრა, ჩემ სახლთან ახლოს იქირავე კარგი ბინა, ქირას მე გადაგიხდით. შემიცოდა შორიდან რომ დავდიოდი და ეხლა უკვე მის სახლამდე, გარაჟამდე ხუთი წუთის სავალიც არ მექონდა ფხით. ისე, რომ ჩემი ხელფასი აღარც ბინის ქირაზე მენარჯებოდა და აღარც საკვებზე, ოფისში უფასო კვება გვექონდა.

ისე, რომ ჩემი ცხოვრება იდეალურად აენყო. ზეკის მეუღლემაც თავიდან ჩემ გამოჩენაზე ძუ მეგელივით აიშალა ბალანი, მერე და მერე, როცა დაინახა, რომ მე არ ვიყავი ის, ვინც მას ვეგონე და არც ფულის სიხარბით ვიყავი გაგიყვებული, მაშინ ძალიან დამიხსლოვდა, ვახშამზე მტოვებდა თავისთან, თავისუფალ დროს თავისი მანქანით დაეყავი მოდების ჩვენებაზე, კონცერტებზე და სხვაგან. მაჩუქა თავისი ძვირფასი კაბები და სამკაულები. კი, ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ თანდათან მომეძალა ჩემი ქვეყნისა და ჩემი შვილის მონატრება, ღამე დასაძინებლად რომ დაგნებოდი, ველარ ვიძინებდი. ფული ეხლა უკვე იმდენი მექონდა დაგროვილი, რომ შემეძლო ფშავ-ხევსურეთში რძის გადამამუშავებელი საწარმო ამეშენებინა მთიელებისათვის, კარგი ანაზღაურება მიმეცა, ხალხი დამეინტერესებინა, გაქცეულები მთაში დამებრუნებინა, მეზრუნა მთისა და მთიელების სიკეთეზე და არა ჩემ გამდიდრებაზე. ავდექი და ეს ჩემი მოსაზრება ზეკის გაგაცანი. ვუთხარი, აღარ შემიძლია გაჩერება, უნდა წავიდე-მეთქი. მითხრა, ნუ ნახვალ, დარჩი, ხელფასს ოცდათექვსმეტი ათას ევრომდე გაგიზრდით. უარი ვუთხარი – მე რაც თანხა მაქვს ბიზნესის დასაწყებად, ეს მეყოფა-მეთქი. ჩვენ მთაში ჰოლანდიური ჯიშის ძროხების შეყვანა არ შეიძლება, ვერ ივარგებს. ჩვენთან არის შემორჩენილი ხევსურული ჯიშის ძროხა, ტანად პატარაა, ცოტას ინველის, მაგრამ ცხიმიანობით ყველას სჯობია. მე მინდა ამ ძროხის გაუმჯობესება ახალი ტექნოლოგიებით. გაგებული მაქვს, ისრაელში, ებრაელებს ზუსტად ასეთივე ჯიშის ძროხა ჰყოლიათ და ამ ძროხის საფუძველზე გამოუყვანიათ ისეთი ჯიში, რომელიც 900 ლიტრის ნაცვლად, 12000 ლიტრს ინველის. მინდა მას მივეშველო...

მაშინ ზეკიმ ხელი ხელზე მომიჭირა და მითხრა: რაკი შენ ეგეთი ნამდვილი გურჯი ხათუნი (თუ: ხანუმი? – ზ.ქ.) აღმოჩნდი, მე მარტოს არ მიგატოვებო. ნადი თბილისში, ბიზნეს გეგმა შეადგინე, ყველაფერი კარგად გაიანგარიშე, შეათანხმე და იმ შენი მთის ასალორძინებლად დიდ ინვესტიციას ჩავდე. მარტო რძის საწარმოს კი არა, ხორცკომბინატსაც ავაშენებო. ეგ შენი ფული შენთვის მოიხმარეო, მე ადრევე ვფიქრობდი ჩემი მემლექეთის ალორძინებაში მიმელო მონაწილეობა. ვერ მოვახერხე, ეხლა მეძლევა შესაძლებლობა და გახარებული ვარ... (ეტყობა აქ ამკრეფმა ხელნაწერი ვერ ნაიკითხა – ზ.ქ.)

მე ყოველგვარი ტექნიკით დაგეხმარები, ხალხს მინიტრატორებითა და სატვირთო მანქანებით მოვამარაგებთ, სახლები ავუშენოთ, გზები გაუყვანოთ და კიდევ სხვა, რაც საჭიროა, ეს შენ უკეთესად იცი.

მე ჩემთვის მაქვს ნაფიქრალი, რძის ქარხანა შუაფხოში ავაშენო. იდეალური ადგილია. შუაფხოს თავზე ვაკე მთა რომ არის, უბისთავი, საიალალეობია 15-20 კმ-ზე გადაჭიმული. ათასობით ცხვარ-ძროხა გაიკვებება. იქვე მონველილი რძე მილით ჩამოვა ქარხანაში საბაგირო გზით, ტრატორებით მოთიბული თივა ჩამოვა ქალაში, სადაც ქარხანასთან აშენდება გომური 600-700 ფურზე. ხორცის კომბინატს ბარისახოში ავაშენებ. ოოო, რომ იცოდე დავით, რა გეგმები მაქვს.

ფშაველ-ხევსურებს იქ ჩამორეკილ საქონელში უმაღლეს ფასს მივცემ, რათა მათ სწრაფად გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები, მთაში ცხოვრებისა და შრომის ხალისი მიეცეს. მთა ისევე ხალხით გაივსოს, ალორძინდეს. მე ჩემი გამდიდრება და ფუფუნება არ მაინტერესებს. მერე როგორი გეგმები მაქვს, იმ ხორცით რა სურსათს გამოვუშვებ. გარდა იმისა, რაც საბერძნეთში ვნახე, რასაც ევროპაში უშვებენ, მინდა ჩვენებური რაღაცები დავამატო. გახსოვს ყალი, კიტა, არაფერს არ დაგკარგავ, სისხლი რომ სისხლია, იმასაც კალმანის საკვებში შევურევ, ჩემი საკალმანებისათვის... დიდი გეგმები მაქვს, დავით, და ამ გეგმების განხორციელების იმედიც მაქვს. აი, ნახავ!

საპარლამენტო არჩევნებია, უნდა დროზე ჩავიდე, ჩვენ პარტიას წავეხმარო, რომ პარლამენტში მოვხვედეთ-მეთქი. მითხრა, მაგ საქმეში ნამოგებმარებიო. რომ ჩახვალ, დამალაპარაკე თქვენი პარტიის ლიდერი, საჭირო თანხებს ამისთვისაც გადმოგირიცხავო. აი, ეხლა ორი კვირაც არ იყო ჯერ გასული, რაც ჩამოვედი და უკვე ოთხმოცდაათი ათასი ევრო დავავსე ანგარიშზე.

– კი მაგრამ, ხალხი მისცემს ხმას თქვენ პარტიას? – იკითხა დავითმა.

– ხალხის ხმა თურმე არავის სჭირდება, არჩევნები ბლეფი ყოფილა. ყველაფერს წყვეტს თურმე ძალაუფლება და ფული. პარლამენტში რომ „მიგიღონ“, „სანვერო“ უნდა გადაიხადო 60 ათასი დოლარი. მთავარია ფული. პარლამენტარიც იქნები და ხელშეუხებელიც.

– მზეხა, გიცქერი ეხლა და იცი, რა მასხენდება? შენ რომ ცამეტი-თოთხმეტი წლისა შიშველ ცხენს მოახტებოდი და აღქაჯივით დააქროლებდი, კაცები თავის გვერდით რომ მოისვამდნენ თურმე და მესისხლეობის საქმეთა გარჩევის დროსაც კი ხშირად იმის სიტყვას გვერდი არ ექცეოდა.

– მე კიდევ იცი რა მასხენდება? შენ ასპირანტობის დროს სოფელში რომ ამოდიოდი და კაცებთან საუბრისას შენ ფეხებთან მომჯდარი ისე შემოგცქეროდი თვალანთებული, როგორც ზღაპრული სამყაროდან მოსულ გმირს და ჩე-

მთვის სულ იმას ვიმეორებდი, თუ მეც ნასწავლი არ გავხდებოდი, ქალი არ ვიყო-მეთქი. წიგნებს ვაკლავდი თავს, რომლებსაც შენ მიზიდავდი, ინგლისურს ვიზებოდადი დღე და ღამ... მე ჩემი ამბები მოგაყარე, შენსას კი აღარ გეკითხებოდი... ალბათ იქვე ხარ, ლიტერატურის ინსტიტუტში.

– კი, ჯერჯერობით არ დაფუხურდი.
– ბესიკის ინსტიტუტის საქმეც ისევ ისე გაურკვეველი ყოფილა. იმედს მაინც არ ჰკარგავს, ალგვადგენენო, ისიც ძველებურად სულ მაგიდასთან ზის შენსავით. ადრე, ცოტა არ იყოს, ნერვებს მიშლიდით, საარსებო საქმეს რომ არ ეძებდით სხვადასხვებივით. ეხლა მემამყებით. რამდენი წიგნი გაქვს ეხლა გამზადებული?

– სამი. მეოთხეზე ეხლა ვმუშაობ, მაგრამ ვის სჭირდება.

– ნუ გეშინიათ, შენც და ბესიკსაც ეხლა მე მოგხედავთ, დისერტაციებსაც დაგაცვევინებთ, წიგნებსაც გამოგაცემინებთ და არც ლუკმა-პური გექნებათ საფიქრალი. ნახავთ, როგორ საქმეებს შეეგების თქვენი მზეხა... დედას ვუტყვირებ დედას! ჯერ-ჯერობით, დასაწყისისთვის ეს იყოს: მზეხამ ჩანთიდან გაბერილი კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

– აქ 18 ათასი ევროა, ჩემი ერთი თვის ხელფასი, – ეს თქვა და ფეხზე წამოდგა.
დავითი ერთხანს გაოგნებული დარჩა სკამზე. მერე წამოდგა და კარისაკენ წასულ მზეხას წამოეწია, გულში ჩაიკრა და გულაჩუყებულმა ყურთან წაუღულღულა, ჩვენი სალოცავები დაგიმადლებენ ჩემო მფარველო ანგელოზო. მზეხამ ერთი მთის წესზე ტურნებში აკოცა მაგრად და თავადაც გულაჩუყებული ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

დავითი ოთახში შემობრუნდა და სავარძელში ჩაეშვა აფორიაქებული.

– აჰა, გამიცხადდა თუ არა კიდევ ერთი ჩემი საკვირველი სიზმარი? გამომეცხადა თუ არა მზეხა გაბურთ ემმასავით ხელბარაქიანი! ეტყობა, ჩემმა ძმობილმა დავით გაბურმა დამაფასა. ის ეტყოდა თავიანთ ეშმას, მიდი ძმობილს მიმიხედე, რაღაცა ძალიან ყურებჩამოყრილი ჩანსო. ეშმაკს მიმართა, რადგან ანგელოზებს ძალა აქვთ დაკარგული. ჩვენ დროში ეშმაკია გამაღლებული, სიკეთე ბოროტებას სადღაც კუთხე-კუნჭულში გადაუჭურთია – „და თავის მონად უქცევია ბოროტს კეთილი“. დროებითა ბოროტებაო, მაგრამ ეს დროებითობა სულ ასე გრძელდება ქრისტედან დღემდე. ხალხიც ეშმაკისკენ არის შებრუნებული. ეშმაკისგან ტყუილი დაპირებებით ნაცდუნები საცოდავი ხალხი ელის უფასო ფულს. მგონი მე ერთილა დავრჩი ეშმაკისთვის ზურგშექცეული. კი ბატონო, მე ჩემდა თავად არ შევეკვრი ეშმაკს, შენ სადა ხარ, ჩვენი მფარველო, წმინდაო გიორგი?! შენ რამლა გაგიქავრა ძალა, ზეციდან ხომ უფრო კარგად უნდა ჩანდეს შენი სამკვიდრო, რომელსაც ჩრდილოელმა გველემაჰმა ნაკვინიტა ზედა ყბა, მერე წელში ჩაკბინა, იცოხნის და ეშმადება კიდევ ჩაკბენისთვის, თუ მთელ ერიანად გადაყლაპვისთვის. ან შენ სადა ხარ, გმირო კოპალავ? ნუთუ შენც ვერ ხედავ, არაგვის შეუფუბებლად როგორც გააქრეს ფშაველ-ხევსურნი ახალი ტიპის დევებმა და ქაჯ-ავსულეებმა. შენ იმათ ისევ ბნელ ხევ-ხუეებში ხომ არ ეძებ? ისინი ეხლა მთელ ქვეყანას ასხედან კისერზე.

მე ისევ და ისევ თქვენ ერთგულ ყმად მიგულვით, მზეხა კი...

ოი, შე ჩემო თავო – მზეხა! ეს ანგელოზიო, ეს ეშმაო და მზეხა არაფერი? მე რაღა მემართება? ჩემ წინ მდგომ, ჩემ

ჭიდან ამომთრევ, ჩემ შემწე, მართლაც ანგელოზივით გოგოს ვერა ვხედავ ანგელოზად, მართლაც მფარველ ანგელოზს ჩემსას, ჩემი ოჯახისას და სადღაც ავხედავ, სადღაც ვავხედავ, რა აბლაბუდაშია გახვეული ჩემი ტვინი, გონგამოცლილი ჩემი თავი, რომ მაღლის მქმნელს, მაღლს ვუუფასურებ, ვუშუბუქებ. ამ წუთას ჩემი ანგელოზიცა და ჩემი ღმერთიც მზეხაა, მზეხას ჩამოსვლამდე სად იყვნენ ანგელოზები და ეშმანი?

ეხლა მზეხას ნაქნარი სიკეთისათვის იმათ რატომ უნდა დავემალო. ანგელოზს აქაც ისევ ეშმა აჯობა, წაიეშმაკა და სიზმარში მომელანდა, სიკეთე გემარჯვებაო.

„ადამიანი არის ადამიანის ღმერთი“ – ხომ იყო ნათქვამი ძველი დროიდან და ხალხსაც ასე სჯეროდა. კეთილი ადამიანივით ვინ ამოუდგება მხარში ადამიანს, ვინ დააყენებს გზაზე, ვინ გაუნაწილებს ლუკმას... ასეთი ადამიანობით სავსე ადამიანი ღმერთია, აბა რა არის. წუთისოფელში კი... „ფლიდია წუთისოფელი, ფლიდთა საყრელი ხელისა“...

ფიქრებიდან კარის გაღება-გაჭრიალეობამ გამოარკვია დავითი.

მიხვდა, რომ ცოლ-შვილი დაბრუნდა. როცა კარი ასე იღებოდა, შინაური იყო. შინაურებმა იცოდნენ, რომ მათი კარი დღისით არ იკეტებოდა. შემოვიდნენ და... აჰა, ესაც ჩემი ოჯახის მთავარანგელოზი, ფიქრი გააგრძელა დავითმა.

იამზე სახტად დარჩა, როცა დავითი სანერ მაგიდასთან კი არა, სავარძელში დაინახა და თანაც მომლიძარი.

– რა მოხდა დათიკო?! – მიაძახა იამზემ. დავითი წამით მიაშტერდა თავის მეუღლეს, თითქოს პირველად დაენახოს, ჩამონაკეთულ ტანზე მორგებული, უბრალო ჩითის კაბა, მისი ბუნებრივად ლამაზი, მუდმივად მომლიძარი და სიკეთის მფრქვეველი სახე, სხივიანი თვალები. უცებ, თითქოს არც კი დაეჯერა, რომ ეს ანგელოზივით ქალი მისი ცოლი იყო. „აჰა, ეს არის ეხლა ხორცშესხმული ანგელოზი; ეს არ არის ჩემი ოჯახის მფარველი ანგელოზი, ქმარ-შვილზე გადაამკვდარი და გადაყოლილი? ანდაც, მზეხა ვინ არის, თუ არა ხორცშესხმული სიკეთე, ღვთიური ძალა, ის ვიხეც ამბობენ: „ადამიანი ადამიანის ღმერთიაო, ესენი არ არიან ჩემი მფარველი ანგელოზები? აბა, მაშინ ვინ არიან?... იქნებ მზეხაშია შეერთებული ანგელოზიცა და ეშმაც?!“ სიტყვა გრძლად წავა, დავითს წამში გაუელვა ამ აზრმა. სიტყვით კი სხვა თქვა:

– ეშმა ხარ ეშმა, კუდიანი!..

მზეხამ რაღაც კონვერტი დაგვიტოვა, აგე მაგიდაზე დევს, მიდი, მიხედე შენს საქმეს. იამზე მიხვდა, იმ კონვერტში ფული იქნებოდა. დავითს ფულის თვლა არ უყვარდა, ხელფასსაც კი დაუთვლელად იღებდა ყოველთვის ჯიბეში და შინ მოტანდა იამზე თვლიდა. მაგრამ ამ დიდმა ფულმა როგორღაც მაინც შეძრა დავითი, გუნება გადაუსხვაფერა. მამაძალია დიდი ფული. იამზე უცებ ღიმილი ჩამოესხიპა სახიდან. მიხვდა, რომ რაღაცა სახუმაროდ არ იყო საქმე. სწრაფად მივიდა, კონვერტში ჩაიხედა, დავითის ახლოს, მეორე სავარძელში ჩაჯდა, ცხვირსახოცი აიფარა თვალებზე და ცხარედ ატირდა. დიდი ხნის ნაგუბარი ცრემლი თქრიალით წამოუვიდა, შეკავება აღარ უცდია. დავითსაც არ შეუძახია მისთვის: რა გატირებსო, ელოდა როდის მოეფონებოდა გულს და თავადაც ცრემლს ვერ იკავებდა.

ვანო გელაშვილი
(თორელი)


მარიჯანის სახლი ნალვერში

თბილისი, 2018 წ., 8 აპრილი


ჩემი ასაკის ადამიანისთვის მუდამ სევდისმომგვრელია წარსული წლების გახსენება. განვლილი ჩემი ბავშვობა, სიყმაწვილე, საშუალო სკოლა, ინსტიტუტი, სტუდენტობა. სამამულო ომის სამინელებები....

ჩემი მამულეთ-დედულეთი ბორჯომის ხეობაა, ეს თვალწარმტაცი კუთხე თავისი მრავალფეროვნებით: მთებით, ნაძვნარ-ფიჭვნარი ტყით, წყაროებით, მსოფლიოში განთქმული, უნიკალური „ბორჯომის“ მინერალური წყლით. ბორჯომის ხეობას 1830 წლამდე, თორის ხეობა ეწოდებოდა.

ისტორიულად ცნობილია, რომ თამარ მეფე ბორჯომის (თორის) ხეობას, თავის „სამეფო გვირგვინის მარგალიტს,, უწოდებდა, ანუ მისი მეფობის დროსაც, თორის ხეობა წარმოადგენდა ქრისტიანი ადამიანებით დასახლებულ ადგილს, სადაც შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, და სადაც ასევე იყენებდნენ მინერალურ წყლებს და სწორედ ეს უნიკალური ლეთის მიერ ნაბოძები კუთხე, ძველთაგანვე იზიდავდა დამსვენებლებს, როგორც საქართველოში, ისე უცხოელ სტუმრებს. გასულ საუკუნეში გაყვანილმა „კუკუშკა“ – მატარებელმა ხომ სულ დაამშვენა აქაურობა. ბორჯომის უნიკალური ჰავა, ბუნებრივი კლიმატი, ხომ მისწრებაა და მუზა იყო მწერლებისათვის, პოეტებისათვის, მხატვრებისათვის, კომპოზიტორებისათვის. აკი ზაქარია ფალიაშვილმა აქ არ დანერა თავისი უკდავი ოპერა „დაისი“? ბორჯომის (თორის) ხეობა, უცხოელებსაც იზიდავდა. ბაკურიანის კობტა გორისა და ცხრანყაროს მთების ხილვით მოხიბლული რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი მთელ ზაფხულს ცხოვრობდა ბორჯომის ხეობაშია, სადაც მრავალი ნაწარმოები შეუქმნია. აქ ხშირად დაუსვენია გრიგოლ ორბელიანს, აკაკი წერეთელს, რომელმაც ლექსიც კი მიუძღვნა ბორჯომის მინერალურ პარკში არსებულ ჩანჩქერს. ასევე ხშირი სტუმარი ყოფილა ნალვერ, ბორჯომ-ბაკურიანის გალაკტიონი. აღტაცებული იყო ტბა ტაბანყურის მიდამოებით, მოხიბლული იყო ცხრანყაროს მთებით მწერალი ალხაზიშვილი; მას უნახავს დილით ალიონზე მზის ამოსვლა ცხრა წყაროს მთებში: „ჯერ სიბნელე ნელ-ნელა გაირღვა, შავი ფერი სხვადასხვა სიმუქემ შეცვალა, გაჩნდა; მუქი, ლურჯი, მუქი იისფერი, მუქი მწვანე, ფერები. ეს მთები და ხეობები შეფერადდნენ, სიბნელემ ფერთა ფანტასმაგორია წარმოშვა, უცებ ჩვენ წინ ბნელ ცაზე განათდა ნითელი ხაზი და თოკივით გაიჭიმა დასაველეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მწერვალები შეფერადდნენ ნითლად, შემდეგ ამ ცეცხლოვან „თოკზე“ ამოხტა ცეცხლოვანი ბურთულა და ისევ უკან „ჩახტა“. ჯადოსნური ხილვა ჩქარა დამთავრდა, როცა ჰორიზონტზე



სრულად ამობრწყინდა დიდებული მზე“. მეც ტელევიზიაში მუშაობის დროს, ვყოფილვარ ცხრანყაროს მთებში, გადამღებ ჯგუფთან ერთად და კინოკამერით გადამიღია ეს საოცრება. და მართლაც, ამ ჯადოსნურ მხარეს ვინ არ სტუმრობდა და ვინ არ დამტკბარა მისი ხილვით. ბორჯომის ხეობის ულამაზესი ადგილი ნალვერი – ყოველ ზაფხულს, საქართველოს ამ შესანიშნავ კუთხეში, დედაქალაქიდან ამოდიოდნენ დასასვენებლად და ერთგვარ კულტურულ „საკრებულოს“ ქმნიდნენ ჩვენი ერის საამაყო, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: ზაქარია ფალიაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამაარსებელი ირაკლი ტატიშვილი, მიტროფანე ლალიძე, სიმონ ხეჩინაშვილი, ალექსიძეების სახელოვანი ოჯახი, პოეტი იოსებ გრიშაშვილი, კინო ვარსკვლავები ნატო ვაჩნაძე და სხვანი. ბორჯომის რაონის სოფელ სადგერში, სკოლაში მასწავლებლობდა პოეტი ნიკო სამადაშვილი. ნალვერში ფიჭვნარით დაფარულ ბორცვზე, ერთი კობტა სახლი მოჩანდა, ეს ცნობილი ქართველი პოეტის, იოსებ გრიშაშვილის აგარაკი იყო. იქვე ორ ნაბიჯზე, ყურადღებას იქცევდა მეორე აგარაკიც, რომელიც ცნობილ ქართველ მსახიობს, ლიზა ჩერქეზიშვილს ეკუთვნოდა. ხოლო მის გვერდით, ფიჭვნარში ალექსიძეების აგარაკი, ლურჯად შეღებილი კოპწია ლამაზი ხის შენობა, რომელსაც მარიჯანის სახლს ეძახდნენ. და სწორედ ეს სახლი გახლდათ, იმ ხანად ერთგვარ „შემოქმედებით“ სალონად, სადაც იკრიბებოდნენ საღამოობით იქ ჩასული, პოეტები, მსახიობები, რომლის მასპინძელი და დასახლისი გახლდათ მარიამ ტყემალაძე „მარიჯანად“ – ნოდებული. ჩვენ სკოლის მოსწავლეები, ჩუმად ბურქებში მიმალულან, გაფაციცებით ვუგდებდით ყურს, ლექსების



კითხვას, მსახიობთა გამოსვლებს, რომლებიც იქვე, იმპროვიზებულად ასრულებდნენ პატარა პატარა სცენებს. ვინ იყვნენ ესენი: ლადო მესხიშვილი, ნიკო გოცირიძე, ნატო ვაჩნაძე, ელო ანდრონიკაშვილი, ქეთო ჯაფარიძე, თამარ წერეთელი, პოეტი იოსებ გრიშაშვილი, ლიზა ჩერქეზიშვილი. ისინი მარიჯანის აგარაკზე რეპეტიციებს გადიოდნენ და შემდეგ კეჩხოზის სანატორიუმის აგარაკზე, ღია ესტრადაზე წარმოდგენებს მართავდნენ.

იმხანად მე, ძალიან გატაცებული ვიყავი თეატრითა და კინოთი. ჯერ კიდევ პატარა ბავშვს მონაწილეობა მაქვს მიღებული ერთ-ერთ კინოსურათში, რომელსაც ერქვა „ჯულბარსი“, სადაც სანდრო კავსაძე, ურემზე მჯდარი ურმულს მღეროდა. ჩვენ, ბავშვები იქ ვეჯექით. მინახავს სანდრო ახმეტელი, ჩვენი სოფლის ტბაზე რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად მთელს ზაფხულს რომ ატარებდა. ვესწრებოდა ბავშვები რეპეტიციებს, სადაც ისინი – მინდორში, ტყეში გადიოდნენ. მასხოვს აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, დავითაშვილი, სტეფანე ჯაფარიძე და სხვანი. ჩვენ პატარა ბიჭები და გოგონები „ვარტისტობდით“ – და სპექტაკლიც კი წარმოვადგინეთ, სადაც დავპატიჟეთ მარიჯანი და რუსთაველის მსახიობები. მე საშუალო სკოლის მონაწილე, ძალზე გატაცებული ვიყავი ქართული პოეზიით, და ხშირი სტუმარი ვიყავი მარიჯანის სახლში; როდესაც იგი ჩამოდიოდა წალვერში,

დიდის მორიდებით, ვუკითხავდი, – სხვადასხვა პოეტების ლექსებსა და რა თქმა უნდა ქალბატონ მარიჯანისას. ერხელაც გაკვადნიერდი და ჩემი ნაცოდვილარი, – ლექსების რვეული მიუტანე, მან გადაფურცლა ეს საერთო, მასხოვს შავყდიანი რვეული და შემომხედა, თავზე ხელი გადამისვა და დამლოცა. მე არ ვიცი იმ „ლექსების“ რვეულს რა ბედი ეწვია, მაგრამ, როდესაც დრომ მოაწია და თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარებას ვაპირებდი, სარეჟისორო ფაკულტეტზე, სხვა გამოცდებთან ერთად, ქართულ ლიტერატურის წერით გამოცდაზე თავისუფალი თემა „რად მიყვარს თეატრი“ დავწერე და მარიჯანის შვილმა თეატრალური ინსტიტუტის პროფესორმა, კათედრის გამგემ დიმიტრი ალექსიშვილმა დამიძახა და იქ შეკრებილ პედაგოგებთან ერთად თვალცრემლიანმა მითხრა: მადლობა შენ, რომ გამახსენე ახალგაზრდობა, წალვერი, დედაჩემი მარიჯანი და ჩვენი აგარაკი წალვერში „მარიჯანის სახლი“.

მე ამ თავისუფალ თემაში „რად მიყვარს თეატრი“ – აღვწერე იმდროინდელი შეხვედრები, მსახიობებთან, პოეტებთან და ყველა იმ შემოქმედ ხალხთან, ვინც იქ იკრიბებოდა, – ჩვენ კი, ბუნებრივად მიმალულნი სახლთან ახლო, ვუყურებდით, ვუსმენდით. ასე ჩამოყალიბდა ჩემში ალბად, მსახიობი, რეჟისორი გამოვსულიყავი. დღეს უკვე ხანში შესული, ხშირად ვიგონებ წარსულს, და სოფელში ჩასულმა, რომ არ მოვინახულო წალვერში „მარიჯანის სახლი“ – არ იქნება. თითქოს დღესაც ყურში ჩამესმის პოეტ იოსებ გრიშაშვილის გაბმული, მელოდოური ხმით ნაკითხული ლექსები, მარცხენა ხელაპყრობილი, მარჯვენა ხელით გადაშლილი წიგნით მსმენელებს რომ აჯადოებდა. „მარიჯანის სახლის“ ფართო აივანზე, მთვარით განათებულ შუქზე მასხოვს მარიჯანი, სათნო თეთრთმიანი, მარათი ხელში, და იქ მყოფი მსახიობებისა, და პოეტების სახეები, რომლებიც მრგვალ მაგიდასთან მსხდომნი ჩაის მიირთვევდნენ და ხანდისხან დაბალ ხმაზე ლილინებდნენ.

ეს ჩემთვის დაუვიწყარი დღეები, იყო, შემომრჩა ბავშვობის წლებიდან. მე თბილისში მარიჯანის სახელობის ქუჩასთან ახლოს ვცხოვრობ, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას გამზირთან, მის ძეგლთან გადაკვეთაზე მდებარეობს. სადაც აფხაზეთის ომში დაღუპული ისევ ქართველი არაკაცის ხელითა დახვრეტილი, ჟურნალისტის, დათო ბოლქვაძის ძეგლია აღმართული ხშირად ჩავლისას მარიჯანის ქუჩაზე, მაგონდება ბავშვობა, წალვერი, საშუალო სკოლა, პოეტი ქალი მარიჯანი, (მარიამ ტყემალაძე-ალექსიშვილისა) მასთან შეხვედრა და მისი ჭკვიანური დარიგებები, რომელიც ალბათ ჩემი მომავალი ცხოვრების გზის გამკვლევად იქცა...

ზურაბ ჯაფარიძე

1995 წლის 10 ნოემბერი... ხევსურეთი... მდინარე არაგვი. 30 წლის პოეტის ლოდსჩახუტებული, გაყინული სხეული... მას დეკემბერში მეორე შვილი – პატარა ზურაბ ჯაფარიძე ეყოლება, მასში კი თოვლი გადნება და იპოვნიან, 15 წლის შემდეგ მისი წიგნი „სულის ანარეკლი“ გამოვა. – ეს ბედისწერის წიგნში იყო დაწერილი...

მას შემდეგ 23 წელი გავიდა.

თვალები – დამფრთხალი შვილი

ქეთის

თვალები – დამფრთხალი შველი,
ბაგენი ატმების კრთომა,
ნაილე სიცოცხლე ჩემი...
თორემ დაიწყება თოვა.

თორემ მე სხეული შენი
ვამგავსე ჩუქურთმას ნაქარგს,
თორემ მე ხსოვნა ვარ ძველი,
ვხატავდი მცხეთას და არმაზს.

ხან ხმალი ვიყავი გორდა,
სისხლით ვისრულებდი წადილს,
ოცნება, ოცნება მქონდა,
მოვჭედე ხახულის ხატი.

ხან მკლავი მოვკვეთე მუცალს,
ავილე სისხლი და დავტკბი,
ხან ლექსის მორევში მდულრავ
ხახაბოს, არდოტს და შატილს.

ხან გადარეული მოყმე
ვეფხისგან დამსისხლე მთაში
და ხანაც კრწანისთან მომკლეს
და პირზე ღიმილად მაჩნდი.


ოცნება, ოცნება მქონდა,
მოვედი და სხვარა მინდა,
ნაილე სიცოცხლე ჩემი,
მომხსენი ჯვარცმული ჯვრიდან.

თვალები – დამფრთხალი შველი,
ბაგენი ატმების კრთომა,
ნაილე სიცოცხლე ჩემი...
თორემ დაიწყება თოვა.

არაბჰს

თუმცა კლდეები
ბეჭებს გიკანრავს,
მინც სიმღერით
კვდები, არაგვო,
დღეს დაცემული
თუ ხარ კლდეებში,
ხვალ ღმერთებს უნდა
ელაპარაკო.
ვიცი, დარჩება
შენი კურთხევა,

ჩუქურთმა სულში
დამათოველი,
მოჭრილი მკლავი
თუ არ ხორცდება,
ამაყად ხომ დგას
სვეტიცხოველი.
ვიცი, მეც მელის
არაგვის ბედი
და თაობები
ლექსს გახედნიან,
რა არის ერთი
პოეტის სისხლი,
საუკუნენი
როცა კვდებიან.

**ღეღას**

ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან,
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება,
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

იქ წევს ჩემი გაყინული სიყვარული
და წარსული აცრემლდება დარდად,
საფიცარი ანი არვინ მეყოლება,
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან,
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება,
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

როდესაც ბოლო სასმისი მოთავდა,
როცა ვაპირებდით დაშლას შემთვრალეები,
სურათზე საქართველოს ზეცა მოჩანდა,
ხერთვისის ციხის დათხრილ თვალებში.

უეცრად თამადამ ჯიხვის რქა აავსო,
წმინდა სადღეგრძელო ჩააგდო მთვრალეებში:
— ძმებო, უამმა რომ თვალები დავგეთხაროს,
ქართლის ცა იელვებს ჩვენს დათხრილ თვალებში!

ჩემს მარიამს

ნუხელ თურმე ანგელოზი მოფრინდა,
შენს აკვანთან ანთებულა ლოცვად,
რა ვქნა, შვილო, ჩემს გაჩეხილ გულიდან
დანგრეული მრავალძალი მოსჩანს.

სიამაყით სული ზეცას სწვდებოდა,
სვეტიცხოვლის ჩუქურთმების კოცნა,
მაგრამ რა ვქნა, რომ ამ წმინდა ტაძრიდან
წინამურის ტრაგედია მოსჩანს.

ჩემი ერის ღირსება და ნაკლი ვარ,
მის ცოდვისთვის დამხობილი ლოცვად,
მინც რა ვქნა, რომ გაჩეხილ გულიდან
დანგრეული კვარაციხე მოსჩანს.

ბადრი პატაშური

ლისაბონის „შავი“ მეტრო

მესამე თვე სრულდებოდა, რაც ლისაბონში ვცხოვრობდი და რატომღაც ისე მოხდა, რომ ლისაბონის მეტროში არ ვიყავი ნამყოფი. სამსახური სახლის სიახლოვეს მქონდა; უფრო სწორად, პირდაპირ სამსახურში ვცხოვრობდი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... საშიში უბანი იყო, „ბაირუ და ანგოლა“, ლისაბონის აეროპორტს გადმოჰყურებდა. ქუჩის თავში შავკანიანების კორპუსები იდგა, ქუჩის ბოლოში ბოშათა დასახლება იყო.. ჰოდა, ასეთ საშიშ უბანში ჩემი ფირმა ხუთსართულიან კორპუსს აშენებდა. მე დღისით მშენებლობაზე ვმუშაობდი, ხოლო ღამე ობიექტს ვიცავდი. მქონდა შესანიშნავი ოთახი ტექნიკის მიღწევებით განყოფილი თავისი მუსიკალური ცენტრითა და ანტენის თეფშით, რომლითაც ჩვენი არხებიდან მხოლოდ აჭარის ტელევიზიის არხს ვიჭერდი და მიხაროდა მშობლიური ენის გაგონება... ჩემს მისვლამდე ობიექტიდან 15 ათასი ევროს ღირებულების მხოლოდ კონდიციონერები იყო გატანილი, ჩემი მისვლის შემდეგ ობიექტს არაფერი დაუკარგავს. მთელი უბანი მეცნობდა და კაფეში ლუდსა და ყავაზეც ხშირად მეპატიჟებოდნენ... და საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ოკეანისპირა ქვეყანაში ჩვეულებრივი მშრომელი მაცხოვრებელი უფრო ზნეკეთილი და კარგი იყვნენ, ვიდრე მშენებლობისა და სამშენებლო ფირმათა მეპატრონეები. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ლისაბონის მეტროში არ ვიყავი ნამყოფი და ეს „ნანატრი“ დღეც დადგა. წინა დღეს, კვირას მოლდაველებთან მომინია ერთი კარგი კაცის დაბადების დღეზე თამადაობა (რუსებს, უკრაინელებს, მოლდაველებს ეგ ზნე სჭირთ, ქართველს რომ ჩაიგდებენ სუფრაზე, აუცილებლად თამადაობას მიანდობენ, აბა ვინ იქნება „თამადა“, თუ არა „გრუზინი“) ნაბახუსევზე ადრიანად ნამოვხტი, მოგნესრიგდი, დავემშვიდობე კარგ მოლდავეურ ოჯახს და გამოვეშურე ჩემი ბინა-სამსახურისკენ. როგორც შევედი მეტროს სადგურში, პირველი რაც ვიგრძინე იყო, რაღაც განსხვავებული სუნი, მანამდე უგრძობი, რასაც შემდეგ ჩავნვდი მხოლოდ. ეს ფერადკანიანთა სუნი იყო სხვადასხვა დეზოდორებში აღრეული. გაინაპირეს და ერთ სკამზე მოვჯექი, თან გონებაში ნუხანდელი ამბები ამოტივტივდა. ბევრი ვიგიჟეთ, მოლდაველებთან და მათი თხოვნით მთიულური დავუარეთ. მოგონებებში ჩემს თავს გავუღიძე კიდეც და ამ დროს იქვე მჯდომი სიმპათიური ქალბატონი, რომელიც მანამდე არც კი შემიჩინავს, გამომელაპარაკა. – ხედავ, შვილო, ამხელა სადგურში მხოლოდ მე და თქვენ ვართ მხოლოდ ნამდვილი პორტუგალიელი, დანარჩენები სულ ფერადკანიანი აფრიკელი ან ინდოელი ემიგრანტები არიანო. მე მანამდე არ მიმიქცევია ყურადღება, ახლალა ავნიე თავი და ელდა მეცა, მეტროს თეთრი შენობა ჩამავებულ იყო ფერადკანიანებით და შიგადაშიგ ინდოელთა თეთრი ჩალმებიც ჩანდა. არ ვიცი რატომ და უცებ რაღაც ცუდი შეგრძნება დამეუფლა. ჩემი პორტუგალიელი „თანამემამულე“ ქალბატონი კი განაგრძობდა: – რაც ჩვენმა წინაპრებმა ქვეყნები იპყრეს, ნახეთ, რა ცუდად შემოგვიბრუნდა, ჩვენს დედაქალაქში

უმცირესობაში ვართ მოქცეულნი ამ შავი ხალხის გამო და სალამოს კაფეში ბავშვი და ქალი ველარ გამოგვიშვიაო... მე ის ქალბატონი გულით შემეცოდა და შევეცადე მოკლევასუხებით შემოვფარგლულიყავი (მაგ: სი სენიორა – დიას ქალბატონო), რათა მისთვის კიდეც უფრო არ გამეფუჭებინა ხასიათი, რომ გამოთქმით გამეყიდა ჩემი თავი, ადამიანმა ამხელა სადგურში, ამდენ შავ ხალხში ერთი თეთრკანიანი მნახა და ისიც ემიგრანტი!!! აი, მოვიდა მატარებელიც და მე შევებით ამოვისუნთქე, დავემშვიდობე „კომპატრიოტას“ (თანამემამულე-პორტ) და შევედი ვაგონში. მაგრამ თურმე სადა ხარ, იქ კიდეც სხვა განსაცდელი მელოდა ნაქეიფარ კაცს. რაღაც მძაფრი სუნი სხვადასხვა „ჭყეტელა“ დეზოდორანტისა და მე მაშინ ვილოცე, ღმერთო, ნურასდროს დაუშვებ, რომ ჩემს თბილისში ასეთი უცხო ჯიშისა და გენის ხალხი მომრავლებულიყოს, რომ მხოლოდ ისინი ირეოდნენ საზოგადო ტრანსპორტში-მეთქი...



მიუნხენის აეროპორტი

ეს ამბავი 2005 წელს მოხდა. მთელი ორწელიწადნახევარი არ ვიყავი სახლში ნამყოფი, ამიტომაც როცა მოვახერხე ყველაფრის მონესრიგება, იქაური, ადგილობრივი საქმეების მოგვარება, ბარგის ჩალაგება და ორმხრივი ბილეთის აღება ლისაბონი-მიუნჰენი-სტამბოლზე (სტამბოლიდან ავტობუსით მიყვარდა ჩამოსვლა-ნასვლა), ბიჭებმა ქალაქ-მუზეუმ სანტარემში, სადაც ვცხოვრობდით, ლისაბონიდან 70 კილომეტრში, კარგი ქეიფი გამიმართეს... შუალამისას აეროპორტშიც მიმაცილა ტაქსით რამდენიმე და დამშვიდობებისას ხელბარგში ერთი-ორი ქილა იქაური ლუდი სუპერ ბოცკი ჩამიდეს, ვინიცობაა ნაქეიფარზე თვითმფრინავში (ცუდად შეიქნეო)... მაგრამ აილო თვითმფრინავმა სიმაღლე თუ არა, კარგად მიმეძინა... გამოღვიძებულს და უხასიათოს გამახსენდა, რომ ხელბარგში იქაური ლუდი მედო; ამოვიღე ერთი ცალი, გავხსენი და ნელ-ნელა დავიწყე წრუპვა. მობრძანდა ძალიან ლამაზი გერმანელი გამცილებელი გოგონა ლუტჰანას ავიაკომპანიის და თავაზიანად მითხრა ინგლისურად, რომ თვითმფრინავში სხვა ლუდის შემოტანა არ შეიძლებოდა და ჩემი ქილა ჩამორთმევას ექვემდებარებოდა. თან დაამატა, რომ რამდენიმე წუთში სადილი გვინევდა და მათი ლუდი შემეძლო დამელია რამდენიც მინდოდა. მე გავუღიძე, ბედსა და გერმანელ ფრეილინას მივენდე, გავუნოდე ჩემი სუპერ ბოცკი და ძილი განვაგრძე. დაემუა თვითმფრინავი მინაზე, ჩამოვდგი ფეხი მიუნჰენის აეროპორტში თუ არა, ორმეტრანი პოლიციელები მიუნჰენის აეროპორტისა ამომიდგნენ გვერდში და მომახსენეს, რომ მათ უნდა გავყოლოდი... უკვე გადაცემული ვყავდი იმ ლამაზ გერმანელ ფრეილინას) თან არ დაგავიწყდეთ, რომ სტაჟიანი, მამაპაპური ნვერი

მქონდა მოშვებული და მეც კარგი ტერორისტივით კარგი მერსედესით მიმბრძანეს აეროპორტის პოლიციაში... იქ ჩვეულებრივი პროცედურები გავიარე, კარგად გადაამოწმეთ ყველაფერი, საექვო ვერაფერი რომ ვერ აღმოაჩინეს ჩემს პერსონაში, ბოდიშიც მომიხადეს „გულდანყვეტილებმა“, მიუნჰენის რეისზე პორტუგალიურ ლუდს რა გასმევდაო). მეც არ დავაკელი, იქაც კარგი ლუდია და თქვენებური ხომ საქვეყნოდ განთქმული-მეთქი – მივაძახეს. სტამბოლისაკენ რეისამდე სამი საათი იყო, ამიტომაც თავს მოღუნების საშუალება მივეცი წლობით ნამუშევარმა. გავისეირნ-გამოვისეირნე მიუნჰენის უზარმაზარ საერთაშორისო აეროპორტში და უცებ ჩემი ყურადღება ერთმა წარწერამ მიიპყრო... ზედ აეროპორტის ცენტრალურ ნაწილში ოთხკუთხედი, კვადრატული ფორმის კაფე აღმოვაჩინე. ხოლო კაფეს ზედა ნაწილში რამდენიმე ენაზე წარწერა შევნიშნე, ინგლისურად, უკრაინულად, ესპანურად (სხვათაშორის რუსულად ვერ შევნიშნე) და შიი, საოცრებავ, ქართული „პური“... არც მეტი არც ნაკლები, სიხარულისგან შევყვირე, გავაძრე უცებ ჩემი ახალთახალი, ჯერ კიდევ ხალხში გაუვრცელებული, იმ დროისთვის სუპერთანამედროვე ვერცხლისფერი „ნოკია“-ს მობილური და გადაღება დავიწყე... გადაღების დაწყება იყო და ერთი ამოლტილი, თეთრ მაისურ-შარვალ-წინსაფარში გამოწყობილი გრძელთმიანი ფრიცი დამადგა თავზე და გერმანულად რაღაც მითხრა. – საუბრობთ ინგლისურად, რუსულად, ესპანურ-პორტუგალიურად? – შევეკითხე. პორტუგალიის გაგონებაზე გაიქცა და პატარა, დამრგვალებული და მისნაირად გამოწყობილი შავი ბრაზილიელი მომიყვანა... ბრაზუკა მიხსნის, ჩემს შეფს ანტიერესებს რას იღებდით, აქ გადაღება აკრძალულიაო. მეც მოვასხენე, რომ პორტუგალიაში ვმუშაობ, მთელი ორწელიწადიანაა ჩემი, სახლში არ ვყოფილვარ და ახლა ჩემს ენაზე წარწერამ ისე აღმაფრთოვანა, გადავიღე-მეთქი... ბრაზუკას თარგმნა დამთავრებული არ ჰქონდა, აყლაყუდა გერმანელი გაქრა და ერთ წუთში ჩემს მაგიდაზე ლიტრიანი ბაკლით სუფთა ბავარიული ჩამოსასხმელი ლუდი და გოგრის გულისდარი ლუდზედასაყოლებელი იდგა... მე, რა თქმა უნდა, აღმაფრთოვანა ამ „ცივი“ გერმანული ჯიშის ასეთმა გულთბილმა შესტმა და ორივეს გულით გადავხევი... შემდეგ უკვე, სტამბოლის სასტუმროში, გერმანიიდან მანქანებით მოვაჭრე, ნაცნობ ავტალელ ბიჭებთან ქეიფისას ეს ამბავი გავისხენე და მათი ღიმილიანი პასუხი ასეთი იყო, შენ მიუნჰენის ქუჩებში მარკეტებში უნდა გაგველო, ქართულ და რუსულ ენებზე რომ ნახავდი წარწერებს, „არ მოიპარო“, რა ხასიათზე დადგებოდიო.. არ ვიცი, ეგეთი წარწერები არ მინახავს, მაგრამ რაც ვნახე და რა შემთხვევაც გადახდა თავს, ისე კარგად დამამახსოვრდა, არასდროს დამავიწყდება. ღმერთმა ჩვენ დავგლოცოს, ჩვენი სამშობლო და მშვიდობა ბრძანოს მთელ მსოფლიოში.

პორტუგალიელი სენიორ პერირა

სენიორ პერირა სამოცდათხუთმეტი წლის ქარმაგი მოხუცი იყო, მკაცრი და პირდაპირი, რთულ ცხოვრება გავლილს არც გამოცდილება აკლდა და არც ფული...

სიჭაბუკეში 6 წელი იყო ნაბრძოლი ანგოლაშიც, პორტუგალიის კოლონიურ არმიაში და პირველი თანხა იქიდან

ჰქონდა შეგროვილი... სამშენებლო ბიზნესში იყო ჩაბმული და ახლაც რამდენიმე მოზრდილ კორპუსს აშენებდა ლისაბონის გარეუბნებში... ერთ-ერთი ასეთი კორპუსის მშენებლობაზე თქვენი მონა-მორჩილიც მუშაობდა..

სენიორ პერირა, ასეთი გამოცდილი კაციც მოცუვდა. საკუთარმა სიძემ, გოგოს ქმარმა 550 ათასი ევრო „მოუტეხა“ და ბრაზილიაში გაექცა... მაგრამ ბებერი მგელი არაფერს იმჩნევდა, სანაქებოდ უფლიდა შვილსა და შვილიშვილებს და ხანდისხან გულს გარეთ იტყოდა, კიდევ კარგი იმ ბურომ (ვირმა) დროულად გამოამყლავნა თავი და მთელი ბიზნესი მაგას არ ჩავაბარეო...

ჰოდა, ასეთი კერკეტი მოხუცი მილიონერი მეპატრონე ჩემთან ისე იყო დაახლოებული, კაფეში ბუტერბროდის რომ იყიდოდა, ნახევარს მე ამომიტანდა მშენებლობაზე, აბა ჯორჯიანო, შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ და თავი არ მოიშლიო... გინდა, არ გინდა, უნდა გამოგერთმია, კაცი პატივს გცემდა თავისებურად...

ხანდისხან, ალბათობით, რამდენიმე თავისთვის „ნარჩევ“ მუშა-ხელოსანს თავის სახლში გვპატიჟებდა, სენიორა არგენტინას (მისი მეუღლის) მიერ მომზადებულ ბაკალიაუს, პორტუგალიელთა ეროვნული კერძის (თევზით) დასაგემოვნებლად. მათივე სახლის შავ ღვინოსაც გეახლებოდი (თეთრ ღვინოს მაინცადამაინც პატივს არ სცემენ პორტუგალიაში).

ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას, როდესაც კარგად გეახელით და კიდევ შევეთვრით, პერირამ თავისი ხელით დაჭრა მოზრდილი ნესვი, გადმოგვანოდა ყველას და მაინცადამაინც მე შემეკითხა: – ჰეი, ჯორჯიანო, თქვენთანაც მოდის მელუა-ო (ნესვი, პორტუგალიურ)...

მე მივუგე, ბატონო პერირა, ეს რა ნესვია, არომატი არა აქვს. ნესვი ჩვენთან არის თუ არის, რომ გაჭრი, მთელ ოთახში მისი სურნელი ტრიალებს მეთქი...

და მართალიც ვიყავი, რადგან პორტუგალიაში, ამ ოკეანისპირა ქვეყანაში, სილაში მოჰყავთ მოსავალი, შავმიწადადაგინი ზოლის უქონლობის გამო, იქ არც ვარდს აქვს სურნელი, არც მარწყვს სიტკბო, ყველაფერი ქიმიურია, ხოლო პერირა რის პერირა იქნებოდა, ეგ რომ მოეთმინა და პირდაპირ მომაჯახა: – თუ ასეთი კარგი ქვეყანა გაქვთ, აქ რას მორბოდიო?!

დასავლეთ უკრაინელი ვიტია, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, წყნარი ხმით მეუბნება, უთხარი, ბიჭოო, აბა ერთი რუსი ივანი იყოს თქვენი მეზობელი, მაშინაც ასეთ კარგ ქვეყანას ააწყობდითო! მეც არ მოვერიდე და ბ-ნო პერირა, თქვენ ამისთანა ძვირფასი მეზობლები გყავთ, ესპანეთი, საფრანგეთი და კიდევ არ ხართ კმაყოფილნი და აბა ერთი რუსი დათვი გემეზობლებოდეს, ვნახავდით, რა ქვეყანას ააშენებდით მეთქი...

კარგიო, რაა პერირამ თქვენ რუსეთით მაშინებთ და კიდევ არ იცით, რა არის ამერიკა, როცა გაიგებთ, უკვე გვიან იქნებაო... პორტუგალია პირველ ადგილზე იდგა ევროპის მასშტაბით, როგორც ყველაზე უფრო პატიოსანი ქვეყანა, გოგონები გათხოვებამდე ინარჩუნებდნენ ნამუსს, დღეს კი ნატოსა და ევროკავშირის წევრები, პირველ ადგილზე ვდგავართ მსოფლიო მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე შიდასი დაავადებულთა რიცხვით...

სენიორპერირა, როგორც ყოველთვის, მართალი იყო...

ხოლო კალენდრით 2006 წელი იდგა და მე კარგად ვიცნობდი ევროპას და არც ისე კარგად აშშ-ს...

ლერი ალიმონაკი

**ნიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალების
100 წლისთავის გამო**

„დათვი მთვარიან ღამით“ 1980-იანი წლებია.

ნიკო ფიროსმანაშვილზე ფიქრი საშველს არ მაძლევს. საშველს არ მაძლევს ფიქრი მის გაიდუმალეზულ გარდაცვალებაზე, გაუჩინარებაზე, გაქრობაზე.

ფიქრი მის „აღდგომაზე“.

საშველს არ მაძლევს ფიქრი, დაწვნილი ბიოგრაფიული რომანი ამ მოწამე კაცზე.

მაგრამ როგორ, რა ფორმით.

ესეისტიკური ფორმა, რაგინდ გავაფართოვო მისი საზღვრები, აღდგომის საიდუმლოს ტრანსცენდენტური წარმოსახვის უფლებას არ მაძლევს.

ბევრს ვფიქრობ.

და ასე, დროთა და წესთა განმავლობაში როცა ფიროსმანის „აღდგომის“ საიდუმლო ჩემში მხატვრულ კონცეფციად ჩამოიძერწა, ის ბუნებრივად „გადალაგდა“ ელიაზარის მეტაფიზიკურ-მისტიკურ სახეში, რომლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად შეიძლება ლეგენდარული ქართველი მხატვარიც ვიგულოვო.

ასე დაიბადა რომანი „ელიაზარის დაბრუნება“.

წლობით შევყურებდი „დათვი მთვარიან ღამით“, ფიროსმანის ამ მისტიკურ საკვირველებას, ჩემს ნახევრადმრუმე ოთახში, მეიდანში, მირზა შაფის ქუჩაზე, თითქოს სააღდგომო ლიტურგიას ვისმენდი და გამუდმებით ტანჯული ელიაზარის მთავარ პროტოტიპზე, „აღმდგარ“ ნიკო ფიროსმანაშვილზე ვფიქრობდი.

მაგრამ ეს ერთი, გარე შრეა რომანისა.

ელიაზარი, მითიური ამირანის მხატვრული რეინკარნაცია, თუმცა ხელოვანია, მისთვის ხელოვნება, საღმრთო საშრომელი, როგორც ამირანისთვის – ცეცხლისმფრქვეველი ლახტი, თვითმიზანი კი არა, გზაა ბოროტულ ძალთა ძლევისა, პირველკაცში – გენეტიკურ ცივილიზაციაში დაბრუნებისა, ანუ ამ პირველხატის მის წიაღში გამოხმობისა, განახლებისა.

დროდადრო, 2001-2002 წლებში, დღიურების სახით ვინიშნავდი ჩანაწერებს ელიაზარზე, როგორც პერსონაჟზე. ვინიშნავდი ნიკო ფიროსმანაშვილზე, როგორც ელიაზარის პროტოტიპზე, მათ პროვიდენციურ თანაკავშირზე, რაც მოგვიანებით, 2012წელს, გამოქვეყნდა ფრაგმენტებად ჩანაწერების წიგნში „შვიდი დღის ქრონიკა“.

გთავაზობთ სრულ ტექსტს.


* * *

ელიაზარზე ვფიქრობ.

ელიაზარი, მასსოვრობის საკვირველი ძალით, იხსენებს როგორც თავის ამყამინდელ, ისე ოდინდელ ყოფიერებას, იქ ჭვრეტს თავის პირველსახეს, გოლიათს ცეცხლისმფრქვეველი ლახტით, ნაჯაჭვარი, მაჯა-კოჭებით. ვინ არის ის, თავისი ხორციელი და ბუნებითი სახით, საქმენით, აღჭურვილობით?!

მითიური ამირანია.

„ზეცის ქარცეცხლიან თავანს წითელ რაშზე ამხედრებული გოლიათი მოარღვევს, ხატადქცეული და გვამს ჩაბრუნებული, პირქუში, წითელი ნისლით სახემობურული, საცრისხელა თვალებს აბრიალებს და იქნევს უშველებელ ხმაღს, მისივე ხელით თუბალ-კაენის ბერო-სამჭედლოში გამოჭედლოს, ლაშქრავს დევთა, ქაჯთა ნასადგომარს, ცეცხლისმფრქვეველი ლახტით მთებს გლეჯს“. მის წიაღში დასაბრუნებლად, უფრო სწორად, თავის წიაღში მის გამოსახმობად, ზეკაციური ძალით იღწვის ელიაზარი, რომ აღდგეს მასში, აღორძინდეს, განახლდეს. „და მე მგონია, მე ვარ ის გოლიათი, ათასწლებში მთვლემარე, გამოღვიძებული“.



* * *

ხოლო მე ელიაზარზე ვფიქრობ.

დაბადებითვე ამირანისეული ნიშნები დაჰყოლია: ნაჯაჭვარი მაჯა-კოჭები, დაკორტნილი გულმკერდი, ბეჭებშუა – საღმრთო ნიშანი. მღვრიედ გრძნობს, კიდევ ვიღაც ჩასადგურებია, ვიღაც იდუმლად შემოხიზვნია სადღაცადან, როდის-როდესღაც, კიდევ ვიღაც ფშვენს მის არსებაში, ვიღაც იძვრის. თუმცა ვერ გაუცხადებია, ვინ არი ეს უცხო გოლიათი, მთელი მისი ფიქრი, არსება რომ დაუპყრია. ბუნდოვნად გრძნობს მასთან რაღაც კავშირს, დაუმცხრალად მიელტვის გაიცხადოს, ვინ არი ის, ასე მაგნიტივით რომ იზიდავს. „გოლიათის ქმენა შემადოდგმანებს, როგორც ცას და ქვეყანას ადოდგმანებს ჭქეა და ქუხილი, იმისი ლახტისქნევა ბურანიდან გამოიმხმობს“.

* * *

და მე ისევ ელიაზარზე ვფიქრობ.

ოთხი-ხუთი წლისა იქნებოდა, რომ მონათლეს. ემბაზში ჩამდგარს ეცხადება მამა ბასილი კი არა, ის უცხო თხოველი ასხამს თავზე მუჭით აიაზმას, წელან კარიბჭესთან თვალი რომ მოკრა, შუბლზეც, თვალ-სახეზეც, ნაჯაჭვარ მაჯა-კოჭებზეც ის სცხებს მირონს, ერურჩულება – მოგეტევა! ვინ არის ეს უცხო თხოველი?! მაცხოვარი. ელიაზარის წიაღში გადმოჩუმებულ სახე ამირანისა, რასაკვირველია, ბუნდოვნად მაინც გაიხსენებდა თავისი ნათლის სახეს. თუ მითის თანახმად, ქრისტე გამწყრალია ამირანზე მისი მოჯანყეობის გამო, რისთვისაც დასაჯა კიდევ – კლდეს მიაჯაჭვა, ახლა მისი ხელითვე მირონცხებულ ელიაზარს – რეინკარნირებულ ამირანს, სხვა ხვედრს განუმზადებს და ამ ხვედრის მონამეობრივი დათმენით, მიუტევებს. სწორედ ეს უცხო თხოველი – მაცხოვარი ეცხადება გზაბოძალზე ქალაქიდან ექსორიაქმნილ ელიაზარს, ახლა



უკვე მეორედ და უკანასკნელად, ვინც ტანჯვით განვლო სანუთობის გზა და, მაცხოვრის ხელით მირონცხებულნი და ზიარებული, უახლოვდება თავის ბოლო სადგურს, და ჩაესმის უფლის ხმა: მოგეტყვა!

* * *

ვუმზერ მოპირდაპირე კედელზე ნიკო ფიროსმანაშვილის სურათს „დათვი მთვარიან ღამით“ და ვფიქრობ: რომელი დიდი მხატვარი-იმპრესიონისტი არ მოანერდა ხელს ამ შედეგს. ღმერთს ეს კაცი რომ არ ებოძებინა, წარმომიდგენია, რა სიცარიელე დაისადგურებდა ჩვენს სულიერ ყოფიერებაში. ის ხომ იგავია, ჩვენი მინიერი ცხოვრების საკვირველებაა. ვფიქრობ და რაც მეტი ჩაგულისხმებით ვუმზერ სურათს, მით მეტად შევიდევარ მის წიაღში, მგონია, სრულად ვითქვიფები ამ მისტიურ შუქრდილებში, მგონია, მხატვრის ნაწყენი ხმაც ჩამესმის...

...თქვენთან არ ვიყავი, თქვენში არ ვერიე?! მიცანით?! ახლა რა ფაციფუცი აგიტყდათ, რა საფლავს ეძებთ?! ავდექი და გაგეპარეთ, დაგეკარგეთ, ზეცაში დაგემალეთ!.. თქვენ ისევ იქ ხართ, სადაც დაგტოვეთ, ნაბიჯი წინ არ წაგიდგამთ... საფლავო, აგიჩემებით!.. რად გინდათ, ყვავილებისთვის?! ყვავილებს მე გიკრეფდით, ყოველცისმარე, თქვენ აჭკნობდით, სთელავდით ერთი წყაროსწყლიანი დოქი ვერ გაიმეტეთ, ის ყვავილები გეხარებინათ, მისი სურნელი შეგეგრძნოთ... უკრძალველი ხალხი ხართ... რით აღარ მამკობდით – მღებარო, ლოთიო, სანყალიო, თვითნასწავლიო!.. ამდენი აბრა გულზე რომ დამკიდეთ, მე რა, დუქანი ვარ, მიდი-მოდი ვარ?!. უკრძალველნი რომ არ იყოთ, მიხვდებოდით, ვისგანაცა ვარ – ვინც სულს ჩაგბერ-

ავს, ფებს აგადგმევენებს, ხელში სანთელს მოცემს, გაგიშვებს ქვეყანაზე... დამინახეთ?!. გაგეპარეთ, ზეცაში დაგემალეთ!.. ხორციელი თვალთ ვერ დამინახეთ, სულიერი თვალი კი არ გაქვთ – ზეცაში როგორ დამინახავდით?!. რა გთხოვთ – ერთი პატარა სინათლიანი ოთახი, ერთი ხელი სუფთა ტანისამოსი, ფუნჯი და საღებავები... ეს იყო, მეტი რა?! გაიმეტეთ?!. რა ფუნჯი, რა საღებავი, – ხაფანგებს მიგებდით, აბლაბუდებში მხვევდით, მაგისი ამოცნობა მე სად შემეძლო?!. მე ქართულ ზეცას შევჩერებოდი, ერეკლეს გულისთქმას ჩავგულისხმებოდი... „გრაფსაც“ იმად კი არ მეძახდნენ, ამპარტავანი ვიყავ, თქვენის უკრძალველობისგან თავი შორს დამეჭირა, იმად... მე თქვენ ხატები მეგონეთ, ხატებივით გძერწავდით, ხატებივით ფერსა და მადლს განიჭებდით... ღმერთი ხომ ჩვენშივეა, ვფიქრობდი, როგორც ცეცხლი – ღუმელში... დამინახეთ, მიცანით?! მე, ნიკო ფიროსმანაშვილი, გოლიათი, ქვევიდან ზევით ხატებივით შემოგყურებდით თქვენ. ხოლო თქვენ, ქონდრისკაცები, მე, გოლიათს, ზევიდან ქვევით დამყურებდით, აბა ერთმანეთს როგორ დავინახავდით?!. ავდექი და გაგეპარეთ, დაგეკარგეთ, ზეცაში დაგემალეთ!..

* * *

პარადოქსული რამ ხდება:

აქეთ – ილია ჭავჭავაძე, გოლიათური საქმენით, რასაც თვალს ადევნებს საქართველო, რუსეთის იმპერია, ევროპის მოწინავე საზოგადოება. იქით – ნიკო ფიროსმანაშვილი, დუქან-დუქან მოხეტიალე „მღებარო“, უჩინო, დღეს კი – მთელი კულტურული მსოფლიოსთვის ცნობილი მხატვარი.

განა ეს საკვირველება არ არი?!.

განა ეს ღვთის სასწაული არ არის?!.

ჩვენი დიდი კლასიკოსები ისე წავლენ წუთისოფლიდან, ამ მხატვრის სახელს ვერ გაიგებენ.

ესეც ხომ საკვირველებაა!

თუმცა არსებობს გადმოცემა, ვითომც ვაჟა-ფშაველა და ნიკო ფიროსმანაშვილი „ქოსების დუქანში“ შეხვედროდნენ ერთმანეთს, მხატვარს პოეტისთვის დუქნის კედელზე მოხატული მისი „შვლის ნუკრი“ ეჩვენებინოს.

* * *

ვფიქრობ და მივჩერებივარ ფიროსმანაშვილის ნახატს, მთვარიანში ხეზე გასულ დათვს – ო, რა მისტიური ხილვაა! მეჩვენება თუ რა, მგონია სხვა განზომილებაში ვარ, ფიქრიდან ფიქრში გადავდივარ, მხატვრის დადუგული, ნაწყენი კილო მესმის, მე მებაასება თუ ვის, ვერ ვარჩევ...

...ჩემზე ფიქრობ, ვიცი. ისიც ვიცი, ელიაზარზეც რომ ფიქრობ. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთი საშოდან შობილნი, ერთი ხვედრით თანაშობილნი, ერთი ხვედრით თანაშეკრულნი: მე – ის ვარ, ის – მე ვარ. და ამიტომ, მე რომ ჩემზე ვფიქრობ, ცხადია, ელიაზარზეც ვფიქრობ, ვინც თავისი საღმრთო საშრომლით – ხელოვნებით სძლია ურომომარჯვებულ მჭედლებს, იმათ თავკაცს – ფილასონას, ამირანის ბორკილთა გამომჭედებს... საფლავი?! არაფრით იმისი დაჯერება არ გინდათ, რომ

გაგეპარეთ... ელიაზარიც ხომ თქვენგან მოძულებული, გაძევებული, განმინდავებული გაგეპარათ, ზეციურ სოფლად დაგემალათ... უკრძალველნი ხართ, თქვენ აღდგომისა რა იცით, ან გოლიათების ენას თქვენ რას გაიგებთ?!. ელიაზარი ხომ ამირანია, როგორც მე, საღმრთო საშრომლით ავ ძალთა მძლეველი. დაგვინახეთ?! არც გამტყუნებთ, ძნელია გოლიათის დანახვა, თქვენ მხოლოდ კოჭისთავებს თუ ხედავთ ჩვენსას. მთელი ჩვენი ნუთისოფელი ჩვენში დავინყებულ, დაკარგულ ამირანს ვეძებდით, მონამეობრივად ვიღწვოდით გავლვიძებულიყავით ამირანში, ანუ ის გაგვეღვიძებინა ჩვენში, განვახლებულიყავით. ჩვენ ამირანის ცეცხლივით ვგიზგიზებდით, თქვენ ამ ცეცხლზე ხელებს ითბობდით. გვიცანით?!. უფქრალნი ხართ. ქვეყანას სატანა დაპატრონებია, სრავს, თქვენ ფიქრიც გეზარებათ. ფილასონა შემოპარვია სოფელს, მჭედლის ხორხმარნუხით სულსა და ხორცს გვგლეჯს, ნანილებად გვფლეთს, როგორც სამშობლოს, თქვენ თვლემთ, გძინავთ, ათასი ხარახურით მახსოვრობა ამოგიქოლავთ. ვიდრე წმ.გიორგის სანაცვლოდ ფილასონას კერპზე არ ვულოცებოვართ, ვიდრე კერპთათყვანისმცემლებად არ ვუქცევოვართ, არ გაიღვიძებთ?! ჩვენთვის განა იოლი იყო?! მძიმე გზები გამოვიარეთ, რომ ლამპარი – საღმრთო საშრომელი რწმენით ხელთგვეპყრა და ჩვენთა ნამიერთათვის მზაკვართაგან გაუდაბურებული გზები გაგვემინდა, შეგვეცნო ჩვენშივე ჩასადგურებული გოლიათი, აღვმდგარიყავით მასში, ავლორძინებულიყავით.

* * *

მე კი ისევ ელიაზარზე ვფიქრობ. ერთ დღეს, უცაბედი აღგზნების ჟამს, ჭაბუკი ელიაზარი ბუხრიდან ნაკვერჩხალს ამოიტაცებს და ხილვებში მოლანდებულ გოლიათს პალატის კედელზე გამოსახავს. ასე დაიწყება ამათ შორის ათასწლებში ჩარღვეული კავშირის აღდგენა. და ელიაზარს ეჭვიც აღარ ეპარება, რომ ეს გოლიათი თავად არის, მისი ოდინდელი სახე-ხატია: „ვერ ვეტევი სადგომში, გამოქვაბულში ჩამწყვედიული გოლიათივით ვბორგავ“. მორჩა, ამათი დაშორება აღარავითარ მინიერ ძალას აღარ ძალუძს. მან არ იცის გოლიათის სახელი, არც არასოდეს ეცოდინება, მაგრამ მისი მახსოვრობა, ხილვები, გამოცხადებანი, სრულად მისი საარსო მასზე ფიქრს დაუპყრია, ნამი არ არი, მასზე არ ფიქრობდეს: „შუალამე რომ გადავა და მთვარე პალატში ჩამოანათებს, ამოვა ბუხრის ფრთაზე ნაკვერჩხლის გოლიათი, პირქუში, დაყენდილი, მგონია რალაცას მეჩურჩულება, მგონია მიხმოზს“. დაუცხრომლად ეძიებს ყოველგან, ნამითაც მუხლი არ ჩაუდრეკია, მისი ზეკა-

ცური სახე-ხატი რომ არ დაშრეტოდა, გაღვიძებულიყო მის ნიაღში ანუ ის გაღვიძებინა თავის ნიაღში, აღმდგარიყო მასში და საღმრთო საშრომლით – ხელოვნებით ეძლია ავ ძალთა ყველა დაბრკოლება, როგორც მაშინ, როდესაც, ამირანმა ცეცხლისმფრქვეველი ლახტით როს სძლია დევებს, დევთა ნაბიჭვრებს.

* * *

და მე კვლავ ელიაზარზე ვფიქრობ. ელიაზარიც, მოლანდებული გოლიათიც რალაც გამოუცნობ დარდს დაუპყრია. რა არი ამათი დარდის მიზეზი?! იქნებ ის, რომ ავ ძალთა მოდგმას უპყრია სადავენი კაცთა მოდგმისა?! გოლიათი, ანუ ამირანი, როგორც ღვთისსწორი, სანმიდარი აღჭურვილობით ებრძვის ავ ძალთა – დევთა მოდგმას. ელიაზარიც ამირანის რეინკარნაცია და მისგანვე ძალაჩაღვრილი, ამ სანმიდარ აღჭურვილობათა მემკვიდრეა: „ვისხენებ ჩემსავ თავს ჩემსავ საარსოში – უძმოს, უმამისძმოს, პირცეცხლა ტახის ტყავით შემოსილს, მშვილდკოდალით, ცეცხლისმფრქვეველი ლახტით შეჭურვილს, მოურევნელს“. მაგრამ ელიაზარისთვის სანმიდარი ნივთები – საღმრთო საშრომელი, ანუ ხელოვნებაა, გზაა სანუთოების მალაღმურვალეობაში მონამეობრივი ცხოვრებით განმედილი, როგორც ჭურჭელი გავარვარებულ ქურაში, დაუბრუნდეს თავის პირველსახეს – ნაკვერჩხლის გოლიათს, აღდგეს, განახლდეს მასში და არაკაცებრი სულიერი მოღვაწეობით გზა დაათმობინოს როგორც ბოროტეულ ძალთა მოდგმას, ისე საკუთარ საარსოშივე ჩარჩენილ ცოდვათა ნაშთებსაც. მისი ეს მონამეობა ერთი გაბმული მისტერია, ცნობიერი მსხვერპლშენივრვაა მთელი მისი ყოფიერი, ფშვინვიერი სანუთოსი. ელიაზარის გარდასვლის ჟამს, ნანისქვილარის სარკმელს ყრიყინით ღენავს ნითელფრთება ორბი – ამირანული სულის შეტაფორა, იქ შეღწეული კაშკაშა შუქი შლის ობობას ქსელში გაბლანდულ დროსა და სივრცეს და ათასწლებში დადუმებული დოლაბი ინყებს ბრუნვას, ელავს და ვარვარებს ობმოკიდებული ცეცხლისმფრქვეველი ლახტი – საღმრთო საშრომელის სიმბოლო, და კერიაზე ცეცხლივით ამონთებული გოლიათი უხმოზს. და ელიაზარიც, ამბროზიით გალიცილიცებული, ოქროსფერი ნიმბით თავდაბურული, გაზეკაცებული უბრუნდება ნაკვერჩხლის გოლიათს, ანდერძივით სიტყვას უტოვებს მწყალობელთაც, არამწყალობელთაც, მანამებელთაც: „კედლებზე ფრესკებად დამონმებთ ჩემს გენიას, მუხლს მომიყრით, სანუთოების სანიადაგო მდგმურად შემრაცხავთ. მე დავბრუნდები. და მე მოვალ, როგორც მითი, როგორც იგავი. და მე ნიადაგ თქვენში ვიქნები“.

დათო არახამია

ჟურნალ „ისინდის“ რედაქცია დათო არახამიას
ულოცავს საიუბილეო თარიღს

სულგა შეულო

ვით დაკოდილი ტაიჭის სუნთქვა,
ცოდვის სიმძიმეს, რომ ვერ მიათრევს,
ბნელეთის რისხვა სამყაროს თრგუნავს,
განწყობას სუსხავს დარდის სიმძაფრე.

ზებუნებრივი განცდის წყალობით
სულმა შეულო ლაჟვარდს დარაბა,
უკვე აღვიქვი სულ სხვა განვრცობით
ამ წუთისოფლის დავიდარაბა.

რადგან ჩამქოლა

განწყობა ციციქნა და სიფრიფანა,
ბედმა რისხვისგან ვერ დაიფარა.
მაცდური ხანი კვესავს რაც უფრო,
ბინდისფერდება ჩვენი საწუთრო.

მამული – ჩვენი ფიქრის დურბელა,
შემომეცრიცა სიტყვა უთქმელად.
ანმყო წარსულის ლანდს ედავება,
შეუცნობელი რჩება ღვთაება.

არ იყოს მწირი და შესაბრალი
უკანასკნელი თავშესაფარი.
რადგან ჩამქოლა სეტყვამ ტრამალში,
სიკვდილ-სიცოცხლის მესმის თამაში.


დილის ღუმელი

თვალი ვერ უძლებს ფერების ლივლივს,
აისს ღრუბელი გაუნალდია...
დარდივით დნება ღუმელი დილის
და უხიაგი წლები გადიან.

ეს გული ისე დასევდიანდა,
ველარ მამფოთებს ვნების ძახილი;
ნათელს წყვდიადი ტანჯავს ნიადაგ,
ჟანგმა დაცხრილა ბასრი მახვილი.

არავინ უწყის ვის რა მოელის,
როგორ იკვნესებს ჩემი ნალარა.
არას შემარჩენს წუთისოფელი,
ვერ ეგუება გული ჭაღარას.

ველარ დავდივარ, მე ნება-ნება,
ველარ ვიშუშებ იარას ლექსით.
ნავა დღეების თამაში წყება,
მომავლის კვარცხლბეკს გასანთლავს ღმერთი.

**ეს ანმყო**

ეს ალენილი ფიქრები მზაფრავს,
მყუდროება ჭირს დროს და დრო ხაპავს,
ჟამმა ცბიერმა იფეთქა სწრაფად
და ჩაისუნთქა წარსული ხარბად.

ვერ გამოვკვეთე აზრის კრებული,
ვერ ვუსადაგე ჰანგი „ჩაკრულოს“,
აისს შევყურებ განცვიფრებული,
შენი ტკივილი მტკივა რაც უფრო.

ეს ანმყო მაინც მიემდეგა,
ოცნება ელავს ვით საფირონი,
გული ადვილად აღარ ბერდება,
მომავლის რწმენას ეცხო მირონი.

ვერ ვიზიარებ

ხარბად გავცქერი კამკამა სივრცეს
და წინათგრძნობა მაფორიაქებს,
უიმედობის ლანდი რომ მიმზერს
ვერ ვიზიარებ განცდის სიამეს.

გაუფერულდა ისე მყოფადი,
გაბზარულია სიბრძნის კარიბჭე,
ჩამოქროლილი სიო მომავლის
განწყობილებას ვერას ანიჭებს.

რადგან წყვდიადი მძლავრობს და მეფობს,
უფერულდება სამყარო წუთით,
როგორ ხანმოკლე აღმოჩნდა ერთობ
გაბრწყინებული გონების შუქი.

მაკართობს ხარხარი

სასონარკვეთის სიფითრე დაჰკრავს
განწირულობის გარდუვალობას,
უნდა ეშველოს ამ სულის კანკალს
რომ შეიფეროს უფლის წყალობა.

ბუნდოვანია არსი მყოფადის-
მწუხარებისგან სასომინდლილი
და ძილბურანში რომ მოგოგმანდი,
სივრცემ შეიგრძნო გულისტკივილი.

გარინდებულმა დავძაბე მზერა,
სანუგეშოა ცრემლი დამშრალი.
სულს ღვთაებრივი სწავას აღმაფრენა,
მარადისობის მაკრობოს ხარხარი.

როს გამრთელდება

ოცნებამ სადღაც შორს გადამალა
სევდის სარკეში ცრემლის ჭავლები,
დრომ ხოდაბუნი გაატრამალა
ღვარცოფის თქეშში ამონავლები.

მოგონებების ღვივდება ალი
ჩამონალვენთი ფიქრის ქედებთან,
ველარ ბობოქრობს სვლის არეალი
გარდასულ ჟამის პირქუშ კედლებთან.

თუ განმიქარვა ხილულმა წყენა
და აკიაფდა რწმენის ლამპარი,
შევეურთდები იმ აღმაფრენას,
როს გამრთელდება სულის ნაპრალი.

ვამკე არსი

მინა ფიქრით,
ცა რისხვით.
საით მივქრი,
ბილწ სიტყვით?
გულის ძგერით,
ტიტინით.
თვალი ცრემლით,
ქვითინით.
შუბლი ღარით
ნაწრთობი.
დრო ნაღარით,
გამრთობით.
ხელი თასით,
ბადაგით.
ვამკე არსი
სარკაზმით.
ვეაჯები
სანუთროს,
რომ ქაჯები
ამწუხროს.

არ ჩანს

გულმა ტკივილი ბოლომდე იგრძნო,
ცის კიდეს მძაფრად ეხვევა ნისლი.
ცრემლთა ნაკადმაც იდინოს ვინძლო
და შეიფეროს დაღვრილი სისხლი.

ვერას ვუხერხებ ამ წუთისოფელს,
გაყურსულია ტყე დაბურული,
აქ სულიერი არ ჩანს სათოფე,
არ მელოდება ხიბლი „ურმულის“.

შორს, აუხდენელ ნატვრათა სევდამ,
კვლავ ამითრთოლა ღანვები ქარში.
განბილებული მწვერვალს კი ვხედავ,
მაგრამ არა ჩანს ზღაპრული რაში.

მომიკაკუნებს

როცა ქმედებას გრძნობა განაგებს,
ყოფის საუფლო მაფორიაქებს,
დუმბილის სიბრძნე ბრჭყალებს ჩაავლებს
მაცდური ძალის სულის სიავეს.

სანუთროს ვუმზერ ისე ალერსით,
რომ მითრთოლდება გული ბებერი,
ხმალივით ვიქნევ სიტყვას ალესილს-
სულის სითეთრის მაძიებელი.

ამ გაზაფხულის მარტი შეშლილი,
თუკი განწყობას ცრემლებს აპკურებს,
მინა, მზის სხივით გამოკვებილი
ჩასახუტებლად მომიკაკუნებს.

ველარ

მომფერე და უჯიათი
აღტყინებით ფერადით,
მირაჟების ჭიატით
საუცხოოდ ელავდი.

ხსოვნის სიანკარეში
ჩემი ლოცვა-ვედრება,
ღამეული კაეშნით
ცის კაბადონს ეხება.

არ მასვენებს ფიქრები –
ნატყვიარი დამღები,
მშვიდად ველარ ვიქნები
სისხლის წვეთად დამღენი.

კობა ცხაკაია

ფანტასტიური რეალოზის ორი ნაბიჯი

მნა-მნა (1)

„ღამეა ბნელი, დეღგმაა,/დგანდგარებს არე მარეო,
ღმერთო მოჭედე ტანჯულთა,/უშველე,
შეინყალო...“

ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძელი“

შეაგვიანდა საკონფერენციო დარბაზში მისვლა. უნდოდა ელეგანტური გამოჩენილიყო და ამიტომ, გონგის შემდეგ ცოტა ხნით სარკესთან შეჩერდა... ამან, დრო დააკარგინა და მისთვის, იმ საღამოს, ბევრი რამ გაუგებარი დარჩა.

ყველაზე მეტად ხაშლამის ნაჭრებით გავსებულმა ჯამმა დააბნია, რომელიც მას დარბაზში შესვლისთანავე შესთავაზეს, უფრო სწორად შეაჩერეს. ახლად დაჭრილი მწვანელი, ზურმუხტისფერ ხალხბად ევინა ცხელ ხორცზე. ნახარშის მოტკბო სუნი, პირდაპირ ცხვირში ეცა. არ ესიამოვნა. კინაღამ გული აერია. შემოთავაზებული კერძი გვერდზე გასწია და მორცხვად მოიტყუა, „ვეგეტარიანელი ვარ“.

მისმა სიტყვებმა ტალღასავით გადაუარა აყაყანებულ დარბაზს და რამდენიმე წამით ყურადღების ცენტრში მოექცა. ძალიან დაიბნა, თუმცა ამ უხერხული მდგომარეობიდან, უფროსის მეგობრულმა შეხებამ გამოიყვანა:

– ხორცს არ ჭამთ? – ღიმილით ჰკითხა დაბალი ტანის, შუანალებს მიტანებულმა, ულვაშებგანკეპილმა კაცმა, მუსა დარქინაზანაშვილმა, – კარგია! ქოლესტერინი, ათეროსკლეროზი, წნევა... ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევთ?

პასუხად რაღაც ნაილულულა.

– კარგია! მხოლოდ იცოდეთ, ვინც ბალახით იკვებება, მას ხორცის მჭამელები მიირთმევენ! ჰა-ჰა-ჰა! – მუსას სიცილს თითქმის ყველა თანამშრომელი აჰყვია...

საზეიმოდ გამოწყობილი კოლეგები ისტერიულად ხარხარებდნენ. ეგონა, ეს არასოდეს დამთავრდებოდა, მაგრამ საერთო მხიარულება უცებ შეწყდა და ყველა, ოდნავმეგრძობულ კერძს მიუბრუნდა... თითქმის ყველა.

ის, ფინჯანი ყავით ხელში ფანჯარასთან მივიდა და ჩამავალი მზის მოსისხლო-მოოქროვილი ფერებით დაფარულ ქალაქს გახედა... სხივების ნაწილი, მის პერანგზე, მკერდთან, პატარა ლაქასავით ანათებდნენ და ახლადანთებული კოცონივით მონითალო-მოყვითალო-მოლურჯო ფერებში ლივლივებდნენ. ეს პატარა ცეცხლი თითქოს გულს უთბობდა. ესიამოვნა, დამშვიდდა და გაეცინა...

...

ლაგაზათ ალხასტაიძემ შემთხვევით გაიგო, რომ შეჭმას უპირებდნენ... თუმცა, ეს ამბავი არც კი გაჰკვირვებია...

რამდენიმე წელი იყო, რაც უცხოეთიდან დაბრუნდა და ხვდებოდა ირგვლივ, რაღაც შეიცვალა... თითქოს ადამიანები სხვანაირები გახდნენ... ურთიერთობის დროს იყო მომენტები, როცა ზოგიერთ მათგანს მზერაში ველური ნაპერწკალი გაუელვებდა... ხანჯალივით მჭრელი და სისხლიანი. ეს, ჯერ ახლობლებში შეამჩნია, მერე შორეულებშიც... სულ ბოლოს, კი თანამშრომელთა, კოლეგათა დამშუქლმა მზერამ მიიქცია მისი შემოფოთებული ყურადღება.

– გემრიელი კაცი ხარ, ბატონო ლაგაზათ! – საქმიანი საუბრისა და კვალიფიციური რჩევების მერე ასე ხშირად ეუბნებოდნენ... ეს ფრაზა, ან ფრაზები – ანუ ტრადიციული ქათინაურების, ან ეტიკეტით მიღებული საქები სიტყვების მაგივრად „ჭამისთვის“ დამახასიათებელი მნიშვნელობების გამოყენება, ჯერ ხუმრობა ეგონა, მერე მავნე და გაუცნობიერებელი ჩვე-

ვა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, რწმუნდებოდა, მათ მიზანდასახულობასა, სერიოზულობასა და საფუძველიანობაში... თუმცა, საბოლოოდ „საღმა აზრმა“ გადასძლია და სიტუაციას იუმორით შეხედა. ამ კანიალურ შექებაზე საპასუხო ტექსტიც კი მოიგონა.

– გემრიელი კაცი ხარ, ბატონო ლაგაზათ! – როგორც კი ეტყოდნენ, იმშუთასვე ხარხარით პასუხობდა:

– გემრიელი კი ვარ, მაგრამ იალაღებზე გაზრდილი ცხვრის ჩაქაფულს, მაინც ვერ ვჯობივარ!

– ვნახოთ! ვნახოთ! – „ემუქრებოდნენ“, მისი იუმორით გახალისებული მოსაუბრენი...

მოკლედ, სულ ასე სიცილ-ხარხარში გადიოდა დრო...

მაგრამ მოდით ყველაფერი თანმიმდევრულად მოვყვით...

ლაგაზათი დიდი ხანია ოცნებობდა იალბუზის ანუ ღმერთების მთის დაპყრობაზე...

არ იყო პროფესიონალური მთამსვლელი, მაგრამ ბოლო ხუთი წლის (სამი უცხოეთში და ორიც აქ მშობლიურ ქალაქში ცხოვრების) მანძილზე, სულ ერთი და იგივე სიზმარი „ანუხებდა“...

ალბური, ცივი ნიავი, გაოფლილ ულვაშებს გათოშილ სახეზე აყინავდა და ჩასუნთქული ჰაერი, ფილტვებში სუსხიან ფენად ერეოდა სიამაყით აჩქროლებულ სისხლს... ქედუხრელი და კმაყოფილი ლაგაზათი მწვერვალზე იდგა, ხელში ძალაყინი ეჭირა და კავკასიონის მყინვარებს შორის გაჭედულ მთვარეს გულისფანცქალით შესტრფოდა.

ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ხეობები, ნისლითა და ფუმფულა ღრუბლებით დაფარულიყო. ალხასტაიძე გახარებული იქნევდა მთვარის შუქზე მოლაპლაპე ძალაყინს და ხმამაღლა გაიძახოდა საყვარელი ანსამბლი ცნობილ სიმღერას:

„აივ ჰაიდ მი დუეს!/ ტაიმ ავთერ ტაიმ!

იავ დონე მი სენტენცე/ ბუტ ქომიტედ ნოუ ქრიმე...“

...ვე არ თზე ჩემპიონს მაი ფრენდზზზ...“


ეს სიტყვები სმენით ჰქონდა დაზეპირებული... ენა არ იცოდა, მაგრამ ყოველ ფრაზაში ხმოვნებს წელავდა. ხმა შედარებით დაბალ რეგისტრში გადაჰყავდა და გემის საყვირივით გუგუნებდა, მხოლოდ წინადადებას – „ვე არ თზე ჩემპიონს...“ შეუპოვრად, ფილტვების დახეთქვამდე გაიძახოდა და ტონალობით თითქმის ჯაბნიდა ან განსვენებულ ფრედი მერკურის...

„აი... აი... იიი უესსსს... აიმ ერ... აიმმმ...“

ვე არ თზე ჩემპიონს მაი ფრენდზ!“...

ამ უკვდავ ჰანგებს გაჰკოდა იალბუზის კინკრიხოზე, ამაყად შემდგარი ლაგაზათ ალხასტაიძე... ოღონდ სიზმარში... ყოველ ღამე... მაგრამ თუკი ნასვამი ან ძალიან დაღლილი იყო, რაც იშვიათად ხდებოდა, კუნაპეტი სიბნელის მეტი არაფერი ეზმანებოდა...

საზღვარგარეთ ყოფინისას, ამ ძილისმიერ აკვიატებულ ხილვას „ნოსტალგიას“ ეძახოდა, ხოლო სამშობლოში დაბრუნებისას „უსიკვდილოდ ალხასტაიძელებელ ოცნებას“: – „რომ-



ლის ხორცშესხმის გარეშე შესაძლებელია ჩემს ცხოვრებას, მხოლოდ არსებობა, კარიერიზმი და ტანჯვა ვუნდო!” – ამ დასკვნას, ახლად გაღვიძებული, სარკეში არეკლილ გამოსახულებას, თითქმის ყოველ დღე ეუბნებოდა და შემდგომ გამომავიზღებელ – გამაკაჟებელ ყინულ-შხაპს მედგრად უმკლავდებოდა...

ჰოდა ბედი არ გინდა? სექტემბრის შუა რიცხვებში, ორკვირიანი გეგმიური შვებულება უნევდა...

თუმცა, მოვლენებს წინ არ გავასწრებ და ჩვეული მანერით გავაგრძელებ – ბუნებით, ცოტა ზოზინა, მკვეთრი ცვლილებების ნაკლებად მოყვარული და მორიდებული ალხასტაიძე, ტრადიციულად დასასვენებლად კვლავ ახტალაში აპირებდა წასვლას... იქ, ტალახის აბაზანებს მიიღებდა პროფილაქტიკის მიზნით. შემდეგ, ფშავის გზაზე, თორღვას აბანოებსაც მიაკითხავდა და შვებულების ბოლო „ველურ“ კვირას შეაღებდა, იქაურ ხასხასა ბუნებით ტკობას და ჟანგბადით გაპენტილი ჰაერის ყლაპვას, ვულკანურ ცხელ წყალში დათვივით ფრუტუნს და ხვანცალს, და ნახევრად გატყორებული დაუბრუნდებოდა მშობლიურ სამსახურს, სადაც მისი გათვლებით – სულ მალე დიდ, გასაოცარ, შორსმიმავალ მოვლენებს მოელოდა...

ჰოდა, სექტემბრის შუა რიცხვებში, ორკვირიანი შვებულებაში გასვლის წინა დღეს, ბედად ძველი ნაცნობი, ასი წლის უნახავი ჯოყოლა ბაბურაული შეხვდა და სწორედ მან შესთავაზა თითქმის უსასყიდლოდ (მხოლოდ მგზავრობის ფული უნდა დაედო), იალბუზის დასაპყრობად წასვლა... დანარჩენი აღჭურვილობა, აუცილებელი იარაღები და საკვები – უკვე მომარაგებული ჰქონდათ.

ამაზე უკეთესს რას ინატრებდა, იალბუზზე, ანუ რუსულად ელბრუსზე, ანუ ჩერქეზულად „ამ გამახოზე“ (წმინდა მთა), ყაბარდოულად „ომხო-მახოზე“ (ბედნიერების მთა), ბალყარულად „ჯინ ფადიშაჰზე“ (მთების სულთა მეფე), ოსურად „სტირ-ხოხი“ (დიდი მალული მთა), ყარაჩაეულად „მინგი თაუზე“ (ათასი მთის კრებული), ოცნებებ და სიზმრებ გატანჯული კაცი?

ლაგაზათ ალხასტაიძეც სიხარულით დასთანხმდა. უფროსს ამის შესახებ, იმავე დღეს უამბო. არაფერი გაჰკვირვებია, როგორსაც ელოდა, ზუსტად ისეთი პასუხი მიიღო, მაგრამ დაფარული აზრით გაჟღერებული სიტყვები ყურში მაინც უცნაურად მოხვდა... კიდევ იყო დასისხლიანებული, ლამის ბუდეებიდან ამოვარდნამდე მისული თვალები... ეს უბრალო გამოხედვა არ იყო, ეს განაჩენს უფრო ჰგავდა – თითქმის ცივი, ღრმა, გამჭოლი... და ბასრი, მხოლოდ წამის მეასედში გაეღვებოდა, დაფარული საშიშროების გამამუჟღავნებელი... რომელიც მიიმედ თუ წაიშლებოდა მესხიურებიდან...

– გემრიელი კაცი ხარ, ჩემო ლაგაზათ! გემრიელი! ელბრუსის იალბუზზე ნანავარდევია კი ასმაგად უფრო გემრიელი დაგვიბრუნდები! – გაუხარდა უფროსს, მუსა დარქინაზანამვილს და კაპუჩინო საკმაოდ ხმაურიანად მოსვა, – ხხვვვვვრ-რუოჰნი!

თუკი გინახიათ და მოგისმენიათ, როგორ გამონოვენ – „ხვრეპენ“ ძვლიდან გემრიელ ტვინს... ხმაურით, და ამასთანავე სიამოვნებისაგან კრუსუნებენ?... სწორედ ასეთი ხმა გამოსცა უფროსმა:

- ხხვვვვრ-რუოჰნი!
- მისი შემყურე ლაგაზათმაც კი, ნერწყვი გადაყლაპა:
- მნტჰ..
- ...ჯგუფი, რომელსაც ალხასტაიძე შეურთდა, თანამოაზ-

რეების მიერ, სულ ერთი წლის წინათ ჩამოყალიბდა და „არსაკიდის, ანუ დიდოსტატის მარჯვენის“ შეუპოვარ შთამომავალთა კლუბის სახელს ატარებდა. ასე იმიტომ ერქვა, რომ ამ ჯგუფის ყოველ წევრს სხეულის რალაც ნაწილი, ანუ კიდური აკლდა. ზოგს, ხელი, ზოგს ფეხი, ზოგს თვალი, ყური... იყო, ერთი უხმოც და ერთი „უხერხემლოც“ (ყოველ შემთხვევაში მას ასე ეძახოდნენ). ეს „უხერხემლო“, ლაშქრობის დროს, მისივე კონსტრუქციით შექმნილი, ტანზე გამობმული, გაბერილი საჰაერო ბუმტებისა და თხილამურების ჯოხებით გადაადგილდებოდა... მარცხენა ბუმტზე ერთმანეთის ქვემოთ ეწერა შემდეგი სიტყვები:

„ჩვენ... /დავიპყრობთ... /და ვერაფერი..“,

ხოლო მარჯვენაზე:

„მაინც... / მწვერვალებს...“

შეგვაჩერებს“... ამ სიტყვების აზრს ლაგაზათი პირველ ხანს ვერ ჩასწვდა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, ხეობიდან მოვარდნილ ქარს ეს ორი ბუმტი ერთმანეთს „მიხეთქ-შევეერთა“, რომ ყველაფერი გასაგები გახდა. ნარწერა გვამცნობდა, კლუბის ლოზუნგს:

„ჩვენ, მაინც დავიპყრობთ მწვერვალებს და ვერაფერი შეგვაჩერებს“.

მოკლედ ძალიან საინტერესო, შეუპოვარი პიროვნებებით დაკომპლექტებულიყო. ეს ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური კლუბი იყო... რომლის ჰიმნიც, ყველასათვის ცნობილ ტექსტზე აეგო, ჯგუფის ცალფეხა და ცალთვალა ლიდერს – ჯოყოლა ბაბურაულს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს, /მცხეთა ისე ამიგია,

დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, /რატომ კარგი აგიგია!“

(ჰიმნის მისამლერიც ასევე ხალხური შემოქმედებიდან იყო მოძიებული):

წუთისოფელი ასეა, -/ლაშე დღეს უთენებია,

რაც მტრობას დაუქცევია -/სიყვარულს უშენებია.“

მელოდიაც მთიულური ფოლკლორიდან აედოთ, არც თუ ცნობილი სიმღერის „კომშმა თქვა მეც ხილი ვარო“-ზე აგებული ვარიაციებით... სწორედ ამ „ვარიაციების“ ავტორის, ამჟამად მოლოცინე ქალბატონის, ალაზა გიგაურის მაგივრად იყო წამოსული, ჩვენი ლაგაზათ ალხასტაიძე...

არსაკიდის მარჯვენოსანთა კლუბი წელი, მაგრამ მიზანსწრაფული ნაბიჯით მიუყვებოდა იალბუზისკენ მიმავალ კლდოვან და ციცაბო ბილიკებს. წინ, ფანდურით ხელში, კლუბის თავჯდომარე, ბაბურაული მიუძღებოდა, თანამოაზრეთა ჯაჭვს კი საჰაერო ბურთებზე ჩამოკიდებული „უხერხემლო“ კრავდა...

დაბალ ხმაზე შესრულებული ჰიმნი, ერთ რითმში მოძრავი კოლონა და მიუვალი მთების მედიდური პეიზაჟები, ალხასტაიძეს ტრანსში აგდებდა და მისტიური რიტუალის თანამონაწილედ ხდიდა...

ალპინისტები, ღამ-ღამობით სახელდახლოდ დანთებული კოცონის ირგვლივ იკრიბებოდნენ და უსიტყვოდ, მხოლოდ გამოხედვით, მზერით „ესაუბრებოდნენ“ ერთმანეთს და შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. თითქოს არ სურდათ კავკასიონის სიმყუდროვის დარღვევა და მისი უტყვი სიბრძნისეული სინმინდის, ზედმეტად წამოსროლილი სიტყვებითა და ფრაზებით გასვრა.

...ექსპედიციის მესამე დღეს, ლაგაზათმა წევრებს შორის აღმოაჩინა ისეთებიც, რომლებსაც გული, თირკმელი, ღვიძლი, კუჭი, და თქვენ წარმოიდგინეთ ორივე თვალიც კი აკლდათ, თუმცა მიუხედავად ამისა დისკომფორტს არც ერთი მათგანი არ გრძნობდა... ეს უსინათლო, (უფრო სწორი იქნე-

ბოდა გვეთქვა „უთვალეო“, ან „თვალის ჩინ დაკარგული“, რადგან „უსინათლოდ“ მისი მოხსენიება საკმაოდ აღიზიანებდა და შეეძლო კარგა გვარიანადაც ეთხლიმა სახეში, თან ისე, რომ მხედველობითი ორგანოებიდან ნაპერწკლებსაც კი გადმოგაყრევინებდათ), სწორედ ეს უთვალეო, იყო, ყველაზე მეტად ხალისიანი, და უშიშარი. ის, თავისი უშრეტეი ენერგიით, სხვა კიდურნაკლულებსაც კი მუხტავდა...

მწვერვალზე ასვლის წინა ღამეს, ვეღარ მოითმინა და ცნობისმოყვარე ლაგაზათმა, დაარღვია დუმილი, და ბავშვობის მეგობარს ჰკითხა: – „სად, როგორ და რა ვითარებაში დაკარგეს ამ დალოცვილებმა ზემოთაღნიშნული კიდურები, ან ორგანოები?“

ბაბურაულის მხრიდან იყო მოკლე, ცინიკური და ამასთანავე სევდიანი პასუხი:

– არ იცი რა დროში ვცხოვრობთ?

– მაინც?

– იყო გამორჩეული, ნიშნავს განაჩენს! აუცილებლად შეგჭამენ ან, მოაჭამენ! თუ ძალიან გამწარდნენ – მოაგლეჯენ! ეეჰ, ზოგს კი „შემთხვევით“ დაუფსებენ, ანუ დათხრიან!

– თავს შევაკლავ და კიდურებს არ დავთმობ! – წამოიყვირა ლაგაზათმა, მაგრამ რაკი მის შემართებას, მოსაუბრეში თანდაგობა არ გამოუწვევია, კვლავ მორიდებით ჰკითხა, – უგულოდ, უთირკმელოდ, უღვიძლოდ, როგორღა ცხოვრობენ?

– უგულოდ, უთირკმელოდ, უღვიძლოდ, უკუჭოდ, უეღენთოდ – სული წმინდა აცოცხლებს! – ჯანმრთელი თვალი ჩაუკრა ჯოყოლამ.

– უტვინოებიც, ხომ არ არიან თქვენს გვერდითო? – დაინტერესდა ალხასტაძე.

– უტვინოები? – ეჭვით შეხედა მოსაუბრეს, თუმცა შემდეგ რალაცის შერცხვა და თვალი აარიდა ალხასტაძის გულუბრყვილო მზერას, – უტვინოები და თავხედები, კაცოჭამიები არიან!

– მართლა?

– ეეჰ! ნეტავ ვინ იცის, ვის რა ელის! – ამოიხრა მან, კიდევ რალაც მნიშვნელოვანის გამხელა მოუნდა, მაგრამ ნერწყვი გადაყლაპა და სევდიანი სახით ჰკითხა ლაგაზათს, – შემთხვევით რომელიმე საქმლის მაგვარი ქათინაურებით, ხომ არ მოგმართავენ?

– ამ ბოლო დროს ინტენსიურად დაინყეს! როცა რაიმე პროექტს წარვადგენ, სულ ნერწყვებს ყლაპავენ!

– ჰოო! – თავისი საქციელის შერცხვა ბაბურაულს, პირველი გადაინერა, – თავდაუზოგავი კაცი ყოფილხარ! მაგრამ რა ექნათ! დრო მიდის, დრო მოდის – რალაც კი, ყოველთვის უნდა დასრულდეს...

მიუხედავად ძალიან ჩახლართული და გაუგებარი მნიშვნელობისა, არც ეს სიტყვები გაჰკვირვებია ალხასტაძეს... ასეთ ბუნდოვან აზრებს, ანუ ფრაზების ზუსტად ასეთ ნყოფას, არ ელოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ რალაც ამდაგვარს ეტყოდნენ...

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ – ლაგაზათი, ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი ერუდიციით, შორსმჭვრეტელობითა, შესაბამისად გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი, მიზნების სწორი ანალიზით... აქედან გამომდინარე, ის შექმას დიდი ხანია ელოდა და ამიტომ არაფერი გაჰკვირვებია. თუმცა, როცა ამაში სრულებით დარწმუნდა, გული მაინც სხვანაირად აუფანცქალდა... არ შეშინებია, მხოლოდ სპეციფიური ინფორმაციის ნაკლებობა აბნევა და ეს იყო მისი გულის აჩქაროების მიზეზი...

მან არ იცოდა, შექმული ადამიანის სული, ანუ ის რაც

ხორცის, ძვლების, ნერვების, სახსრების, სისხლის, გონების, გრძნობების – მამოძრავებელ ძალას, სუბსტანციას წარმოადგენდა, სიკვდილის შემდეგ სად მოხვდებოდა?... არ იყო დარწმუნებული, რომ კანიბალიზმის მსხვერპლი და წამებული, ან თუნდაც სიკვდილისაგან, „იქ – საიქიში“, მოხვედრისას ერთნაირ ფაზებს გაივლიდნენ და ერთნაირ სამოთხეში, ჯოჯოხეთში, თუ განსაზღვრულში მოხვდებოდნენ?..

...მას არ აშინებდა სიკვდილი, რადგან ეს გარდაუვალი იყო, მას აფრთხობდა იმ ქვეყნად გადაბარების რიტუალი, რომლის შემდეგ სანუგემო და ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვოდა... კაცოჭამიობის მრავალსაუკუნოვანი მითოლოგიის არცოდნა, განმარტებების არ არსებობა და აქედან გამომდინარე, გაურკვეველობის თეთრი ლაქების არსებობა, სულიერად არყვედნენ ალხასტაძეს და ხშირ შემთხვევაში არ აძლევდნენ სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას. ეს კი მისთვის დიდი დეპრესიის, ან მძიმე ნევროზის დანყების საფუძველი იყო...

თუკი ახალი გვინესი, კალუფოს ტომის კანიბალების წესებსა და მითებს დაუჯერებდა, დამაიმედებელი და სასიხარულო იქ არაფერი ჩანდა. ეს პრიმიტიული განვითარების დონის კაცოჭამიები თვლიდნენ, რომ ლაგაზათის ყველანაირი ნიჭი, ძალა და გონიერება მის შემქმელებს უნდა გადასცემოდათ. ეს კი, ნიშნავდა, რომ ალხასტაძე, როგორც პიროვნება დანაწერდებოდა ათას ნაჭრად, ლუკმად და საკვების გადამამუშავებელი ორგანოების წყალობით, არსებობას შეწყვეტდა და სხვა, დაბალი ინტელექტის, სულიერების, თუ ცნობიერების მატარებელ პირთა დროებით დანამატად, ცხოვრების გამაადვილებელ ხელსაწყოდ იქცეოდა... მაგრამ მას არ სურდა თავისი ინდივიდუალურობის, „მე“-ობის დაკარგვა... რადგან ის თვლიდა, რომ სული, როგორც გონების, სიბრძნის, გრძნობების, ემოციების და რაც მთავარია, რწმენის კოდბანი, „მე“-ობის სუბსტანციიდან იყო წარმოქმნილი... „უ-მე“-ობოდ – ერთგვროვან და ერთგვაროვან ჯოჯოხებად, მხოლოდ ჯოჯოხეთში დადიან! „მე“-ობის გარეშე, შეუძლებელია ცხოვრება!..

როცა უფრო განვითარებულ კაცოჭამიათა მითები და გადმოცემები აღმოაჩინა ინტერნეტში, უფრო სავალალო დასკვნებამდე მივიდა: – „სიკვდილის შემდეგ, ყოველი შექმული ადამიანი კანიბალის მონა ხდება!“...

საცოდავი ლაგაზათი, ამ ინფორმაციამ საშინელ დეპრესიაში ჩააგდო. იყო მომენტი, რომ ჩემოდანსაც კი დაავლო ხელი უცხოეთში გასაქცევად, მით უმეტეს, რომ იქიდან სულ მუდმივად ურეკავდნენ, უწყვეტად მოხდიოდა ტელეგრამები, იმიელები და ფაქსები: – „დაგვიბრუნდი! გვენატრები! აქ დიდი პერსპექტივები გელოდება!“ – მაგრამ რამდენჯერაც ჩაალაგა, იმდენჯერ ამოალაგა ეს წყეული ჩემოდანი...

და ამის მიზეზი, აეროპორტის გზა ბრძანდებოდა, რომლიდანაც ნათლად მოჩანდა კავკასიონის მშობლიური ქედი. ალხასტაძისთვის, ენით აღუწერელი იყო მისი მიმზიდველობა და მომზადობელი მშვენიერება.

ის, აღფრთოვანებისგან ხევედებოდა, როცა ხედავდა ღრუბლებიდან გამოხეთქილი ოქროსფერი სხივები, ცეცხლოვან ყელსაბამად როგორ კიაფობდნენ სამართებულოვით ბასრ, „ხაშლამისფერ“ (შინდის, ყაყაოსა და ნაცრის ნაზავ ფერთა) კლდეებზე. ლაგაზათს, თითქოს ყურშიც კი ჩაესმოდა ამ არამატერიალური, მისტიური ცეცხლის ტკაცავ-ტკუცი, რომელსაც ნამიანი ბალახის და თრთვილ-მოკიდებული სუსხიანი ქედების სურნელი ასდიოდა.

სწორედ, ეს ბუნებრივი და ამავე დროს არარეალური სილამაზე, აბამდა უხილავი ჯაჭვით, და საკმარისი იყო, აეროპორტის კარს მიმდგარიყო, სუნთქვა ეკვროდა, თვალთ უბნელო

დებოდა და იძულებულს ხდოდა, პირველ მომხვედურ ტაქსში შეხიზებულიყო და უკანმოუხედავად გამოძურნულიყო და უიმედობის, შიშის და თუნდაც შავბნელი ბედისწერის მომავ- ვდინებელ მკლავებს ჩაკვროდა. ის, აქაური იყო, კავკასიონის აქეთა მხარისა... იქეთა მხარისობას ველარ იტანდა, ველარ უძლებდა და რა უნდა ექნა?..

ამ ფიქრებში იდგა ძალაყინმომარჯვებული ლაგაზათი, იალბუზის თოვლიან მწვერვალზე, მთაზე, რომელსაც წინაპა- რი კავკასიელები ღმერთების საუფლოდ მიიჩნევდნენ. გვერ- დით, დიდი ხნის მეგობარი, ჯოყოლა ბაბურაული ედგა და მასთან ერთად გაჰყურებდა კავკასიონის უტყვ ხერხემალს და მღეროდა, ისე როგორც არასდროს. მისი ხმა, ნისლივით იმ- ლებოდა შემოდგომის მზით ცეცხლდანთებულ ჰორიზონტზე და მოგუგუნე ექოდ უბრუნდებოდათ ოცნებაასრულებულ ადამიანებს.

...ნაშვებულარი ლაგაზათი კვირა საღამოსვე თანამშრომ- ლებს ტელეფონით ესაუბრა.

ცნობისმოყვარე კოლეგებს – ძალიან მოკლედ და მშრალად მოუყვა თავის თავგადასვლებზე... მიუხედავად ასეთი „მწირი ენით“ თხრობისა, მის სულს საოცარი, ზემალელებული შეგ- რძნება არ ტოვებდა, და ეჩვენებოდა, რომ კვლავ იქ იდგა, თა- ვისი ოცნების მწვერვალზე და ღმერთებს ჰიმნს უძღვნიდა... ხმაც კი უთრთდა და მოსაუბრეს ეს, რომ არ ეგრძნო, ხშირად ახველებდა... მოკლედ ძალიან გაუჭირდა თავის შეკავება... გრძნობდა, როგორ შეეძლო მთაში დაგროვილი, დადებითი ზე-ენერგიით გაეჟღინთა ქალაქის ქვაბულებში გამოკეტი- ლი კაციჭამები – „ისინი“, მაგრამ არა ახლა, არა დღეს, არა ტელეფონით, არამედ ხვალ... როცა, ყოველ მათგანს თვალებ- ში ჩახედავს...

ეს აზრი და გადანყვეტილება, რომელიც ექსპრომტად დაე- ბადა თავში, ძალიან მოეწონა და ესამოვნა...

დარწმუნებული იყო: – „როცა უანგაროდ გასცემ სულიერ ალტყინებას, შედეგიც არ დააყოვნებს!“...

„მაათ“, უკეთესებს და რაც მთავარია, იალბუზის, ღმერთების საუფლო სილამაზეს მონყურებულებს და დანა- ტრებულებს გახდიდა: – „როცა მწვერვალი გიყვარს, შეუძლე- ბელია ადამიანი არ იყო!“...

ლაგაზათს სჯეროდა, რომ „მაათ“, ალბიური ზონის მზის სხივებს შემოახვევდა სხეულებზე და წარმოსახვით აიტაცებ- და მყინვარის ქიმზე, საიდანაც რეალურ ყოფიერებაზე უფრო მნიშვნელოვანი, უკიდევანო სამყაროს ჰორიზონტებს აზი- არებდა, სადაც...

ამ ხილვებითა და სურვილებით გართული, უცებ დაიღალა, ცოტა დასევდიანდა, რადგან საკუთარი ოცნება უკვე ასრულე- ბული ჰქონდა... ხვალინდელ დღეზე დაფიქრდა, გაეცინა, არა ცინიკურად, არა ბედს შეგუებულივით, არამედ კმაყოფილმა, როგორც ყველაფერის დამძლევემა და ღირსეულად მიძლე- მა... შარვალი, შალსტუხი და ქამარი ლამაზად დალაგა, შხ- აპი მიიღო. სანთელი დაანთო და ძილისწინა ლოცვების ნა- საკითხად მოეზადა... ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა.

- ალო, გისმენთ!
- ვერ შევიკავე თავი და პირდაპირ უნდა გითხრა! ხვალ შენს შეჭმას აპირებენ!.. – უპასუხა ნაცნობმა ხმამ.
- ნუ მეხუმრები! – ვითომ გაბრაზდა ლაგაზათი.
- ყველაფერი აქეთ ამისთვის მომზადებული!.. მაპატიე, მა- გრამ მეც უნდა შეგჭამო! ასე თუ არ გავაკეთე, ცუდ ტონად ჩამეთვლება! გამრიყავენ! – გულისტკივილით იმართლა თავი მოსაუბრემ.

– რაკი ასეა, რა გაენყობა! – გაეცინა ალხასტაიძეს და დან- თებულ სანთელს გახედა.

– დედას გეფიცები, ეს უკვე გადანყვეტილი ამბავია! ისიც კი იციან შენგან რა უნდა მოამზადონ! ამის გაკეთებას, სალ- ამოს ბრიფინგისთვის აპირებენ! უამრავი ხალხია ჩართული!.. რა გინდა? რეკლამა შენ თვითონ გაუკეთე შენს ხორცს?! კა- ვკასიონის იალალებიდან დაბრუნებული, ქალაქის ტოქსიკური მინარევებიდან გათავისუფლებული, ალბური ჰაერით გაჟღენ- თილ, საკმაოდ გემრიელი და მიმზიდველი, რომ იქნებოდი არ იცოდნენ?... – გაუბრაზდა კოლეგა, – ამიტომ, შესვენებაზე არავინ აპირებს სადილს და კუჭის ამოვსებას! ყველას უნდა გემრიელად შეგჭამოს! ჰოდა... ჰოდა... ჰოდა...

- რაა, ჰოდა! – გაბრაზდა ლაგაზათი.
- თუ გემინია, ეგებ არ მოხვიდე?! – შეაპარა მოსაუბრემ.
- მე არაფრის მეშინია!

– ვიცი! – გაუხარდა მას, – დამიჯერე, ძალიან გემრიე- ლი იქნები, მაგრამ... მაგრამ...- ვერ გაებედა რაღაცის თქმა, დიდხანს იმზუნებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც უთხრა, – თუ არ გინდა, თუ ოდნავ მაინც გემინია, მაშინ გაუპარსავი და დაუბანელი მოდი!

- რატომ? – გულწრფელად გაუკვირდა ლაგაზათს.
- შენს გაპატიოსნებას, დრო დასჭირდება! მაგარი მშვირე- ბი იქნებიან და ველარ მოითმენენ! სხვას შეჭამენ, ან რაიმეს მოიფიქრებენ..

– არა მგონია, ჩემმა წვერებმა გადააფიქრებინოთ! – დარ- ნმუნებით თქვა ლაგაზათმა.

– თუ სუფთა მოხვედი, ეგრევე დაგკლავენ და მოგამზა- დებენ! – ნერწყვი გადაყლაპა, ლამის სასულეში გადასცდა. ჩახველა და ამაყად გაუმხილა – დაკვლა, მე მავალი!.. მა- მაჩემი ყასაბი იყო და იმიტომ... იცი, რა სწრაფად ვაკეთებ ყველაფერს! თუმცა ხვალვე დარწმუნდები! ნადვილად კმაყ- ოფილი დარჩები!

- რას?... – რაას? – დაიბნა ყასაბის შვილი, – ალბათ გინდოდა გეკითხა, რითი?

– არა! მაინტერესებს, რის მომზადებას აპირებენ?

– ხარჩო უნდოდათ, ნიგვზიანი!.. მერე „ოსტრი“, მე შევთავაზე, საოცარი ოსტრი გამომდის. მაგრამ, მაგას ის უნ- დაო, ეს უნდაოო... თან თანამდებობით და ინტელექტით არ შეეფერებაო! მოკლედ, მთელი ამბებიო! ამიტომ, ძველი დამ- სახურების და მთის სიყვარულს გამო, გადანყვიტეს შენგან ჩაქაფული მოამზადონ!

– ჰოო! – თითქოს დაეთანხმა ლაგაზათი, – მეც ეგრე ვფიქრობდი! მწვადი, რომ არ ვიქნები, ამისთვისაც დიდი მად- ლობააა...

– მწვადი, ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება! ტრადიციულად, მოხარშული ხორცი უნდა იყოს! ხინკალიც მიღებულია! – თა- ნამშრომელი, საქმის დიდ ცოდნას ავლენდა, კერძებზე საუ- ბრისას, ხალისი და აზარტი ემატებოდა, – მაგრამ თუ შენი უკანასკნელი სურვილი იქნება, გავითვალისწინებ...თით... სუკებს და არტალას ამოგაჭრი... მწვადის შენვა ვიციი?! ცვრიანის! თითებს ჩაიკვნეტ. უკმაყოფილო არ დარჩები! გინ- და?

– ვნახოთ! – ამოიხრა ლაგაზათმა, – კარგი ტყემალი მა- ქვს! მთიელების დაკონსერვებული! იქიდან, ტარხუნაც და ყვე- ლანაირი მწვანილი ნამოვიდე! თითქოს ვგრძნობდი! – ნერწყვი გადაყლაპა, – ნაღდა! ნატურალური! პესტიციდების გარეშე. მთის ჰაერზე მოყვანილი! ხასხასა! არომატული! – თითქოს კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა.

– რა საოცარი კაციხარ! – გული აუჩუყდა „ყასბოვიჩის“, – წამოიღე! არანაირი სიკეთე არ დაგეკარგება! უანგაროდ გაცემული, აუცილებლად შეგეწევა! ოღონდ ერთი თხოვნა მექნება?

– რა თხოვნა?
– არაფერი ისეთი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია!
– ამოღერღე! – უბრძანა ლაგაზათმა.
– ყელის გამოჭრას, რომ დაგინყებ, არ დამწყევლო! ნუ დაიბოლმები, გთხოვ!

– ნყეველა არ მეხერხება!
– იმ დროს გამწარებულ კაცს ყველაფერი ეხერხება! ჩვენ კიდევ მაგრა გვწყინს! კაციჭამიები კი ვართ, მაგრამ ბოროტები არა ვართ! არ ვიმსახურებთ! ვიცი ბოლმა არა ხარ, მაგრამ მაინც...

– შევთანხმდით! – დააიძვრა ლაგაზათმა.
– მართლა, რა გემრიელი კაცი ყოფილხარ?! – აცუნდრუკდა მოსაუბრე, – ისა... მნია-მნია!
– რაა? – დაიბნა ლაგაზათი.

– მნია-მნია! არ გახსოვს ასეთი გამოთქმა? – ოცნებებში წავიდა „ის“, – ბავშვობაში, ცხონებული დედაჩემი საჭმელს რომ მომიზადებდა, სულ ასე მეუბნებოდა: – „მნია-მნია ხინკალიაო! მნია-მნია სუფიაო! მნია-მნია სოუსიაო!“... ეექ, ებარებოდეს უფალთან მისი ნათელი სული!.. კიდევ, ერთი თხოვნა მექნება! ყველაფრის მიუხედავად, მორწმუნე კაცი ვარ, სალოცავში დავდივარ! ლოცვების ნიგებზეც მაქვს სახლში!.. ვიცი შენც ლოცულობ, ანთებული სანთელი დავინახე შენს კაბინეტში... გვედრები! შენს უკანასკნელ ლოცვებში მომიხსენიე! ძალიან კარგია, თუ დღესაც ილოცებ ჩემთვის და ხვალ, ყელის გამოჭრის წინაც დამლოცავ. ამ სიტყვებს თუ ჩაიწერ და იტყვი, ძალიან დამავალდებ: „ღმერთო, მინდა რომ შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული, /რომ მტერთათვის-საც, რომელთა თუნდა გულს ლახვარი მკრან, /გთხოვდე: შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“.. „შეუნდე, – ღმერთო!“ შეუნდო!.. რა იცი მერე რაში გამომადგება... იტყვი?

– პარაკლისიც ხომ არ გადაგიხადოთ, შენცა და იმათ, ლოცვებისმოყვარე კაციჭამიებს? – უნდოდა ეყვირა ლაგაზათს, მაგრამ თავი შეიკავა, – ჰოო! მნია-მნია! – ამ სიტყვებით დაემშვიდობა თავხედს, თავის წარსულს და... სევდანარევი, ახალ ფანტასტიურ რეალობასთან შეხვედრის მოლოდინში, ლოცვებს მიუბრუნდა...

ზუსტად 17:00 წუთზე, დარეკა გონგმა და უახლოესი ტექნოლოგიების კვლევითი დაწესებულების თანამშრომლებს ამცნო სამუშაო დღის დასრულების და საღამოს ბრიფინგის დაწყების შესახებ... ამ დროს, ქათქათა პერანგსა და მუქ, ლურჯ შარვალში გამოწყობილი, სუფთად გაპარსული, ენერგიული, ლაგაზათ ალხასტაიძე, დიდ და მოვერცხლილ დაღესტურ სინზე ლამაზად დანყობილი მწვანელით: – „მწვანე ხახვით, მკვანე ვაშლისფერი ტყემლით, ქორფა ტარხუნით, ფართელბუნებანი ქინძით და ოხრაზუშით, მსუყელეროიანი ნიახურით და მონითალო-მომწვანო კახური, გრძელი წინაკით...“ ხელში ღირსეული ნაბიჯით მიადგა საკონფერენციო დარბაზს. გაოგნებული ჟურნალისტებით გარშემორტყმულმა, ფეხის მსუბუქი გაკვრით ხის მასიური კარი გააღო და სცენაზე აღამართული ტრიბუნისკენ გაემართა. მისი ასეთი თავდაჯერებული და სადღესასწაულო ქმედებებით დაბნეულ – დამშეულ კოლეგებს სახეზე კამაყოფილი ღიმილი, ჯერ დაედორცათ, შემდგომ კი გაურკვეველ, გაოგნებულ მიმიკიან ნიღბებად გადაექცათ.

ალხასტაიძემ, ჩიტებით, არაბული რაშებითა და ჩადრიანი

ლამაზმანებით მოჩუქურთმებული ვერცხლის სინი, წითელ წინსაფარში გამოწყობილ, მორცხვად მომლიმარ ყასაბს გადასცა.

– არ ინერვიულო, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება! – თავის მხრივ დააიძვრა დარცხენილმა „ყასბოვიჩმა“.

მოსალოდნელი მოვლენებისგან ალგზნებული ლაგაზათი, მიკროფონთან მივიდა, ჩაახველა და „დიდოსტატის მარჯვენის შეუპოვართა“ კლუბის ჰიმნის ფონზე აღილინდა. ალაპარაკდა. შეიძლება ითქვას – ენადაც კი გაიკრიფა... მან, ყველასათვის მოულოდნელ და დროისთვის შეუფერებელ თემაზე დაიწყო საუბარი: – „კავკასიონის იდუმალების და უღვევი საგანძურის, ასევე ცის, ორი კიდის შესახებ, რომელსაც შორიზონტი კრავს და ამით ამტკიცებს, რომ სამყაროს იქით კიდევაც სხვა უფრო დიდი და საოცარი სამყარო. ამას კი, მხოლოდ მწვერვალზე ასვლისას შეიგრძნობს ადამიანი, რომელსაც „იქითა“ სამყაროს არსებობის დასამტკიცებლად სიტყვები აღარ სჭირდება, ისინი უბრალოდ არ ყოფნის და ამისათვის ფრაზებს შორის დავანებული სიბრძნე, დუმილი უნდა გამოიყენოს!“.

ლაგაზათის ბობოქარი, ემოციებითა და უკიდევანო რწმენით გაყენითილი ხმა, დარბაზში სადღაც ზევიდან, თითქოს ჭერიდან იღვრებოდა...

ალხასტაიძე ხედავდა, მსმენელთა გაქვავებული სახეები ნელ-ნელა როგორ ცოცხლდებოდა. სასწაული „მათ“ სულბში თითქოს მართლაც ახლა ხდებოდა... ამ დროს, ფანჯრებიდან შემოჭრილმა ჩამავალი მზის სხივებმა, ღიმილმოფენილი კოლეგების სახეებზე, ცეცხლოვანი გვირგვინები ააგიზგიზეს. ყველამ გაიგონა, თუ როგორ აგუგუნდნენ, იქ შორს, კავკასიონის მთებში, ასწლეულების წინ მიძინებული ხმები, შეაზანზარეს ჯუნგლებად ქცეული ქალაქის რკინაბეტონის საბუნაგეთი და მიხვდნენ, რომ დღევანდელი დღე სხვა იყო...

და ღმერთების საბუდარ მწვერვალზე მოხვედრილთ, ვილას ახსოვდა „მნია-მნია“...

...თუმცა იყო მეორენაირი დასასრულიც.

პატარა-პატარა ჯამებში, ჩასმულ-ჩადებული, დასარიგებლად გამზადებული, ახლად მომზადებული ჩაქაფულის ოსმივარი, კედლებშიც კი ატანდა. ირგვლივ, ისეთი მსუყე არომატი და სურნელი ტრიალებდა, რომ მთელი დღის დამშეული კაცი, მხოლოდ მისი ყნოსვით გაძლებოდა...

საკმარისი აღმოჩნდა მუსა დარქინაზანაშვილს, მწვანილ-გაჯერებული, ოსტატურად მომზადებული კერძის თუნდაც ერთი ლუკმა ჩაედო, ნერწყვილი დამხრჩვალ ენაზე, რომ რამდენიმე წამით ნეტარებისგან გონიც კი დაკარგა და ყასაბს ხელი რომ არ შეეშველა აუცილებლად ნაიქცეოდა.

დარქინაზანაშვილმა, ხელის კანკალით, კიდევ ერთხელ გაუსინჯა გემო ორთქლმომდგარ ჩაქაფულს და მოლოდინში გარინდებულ აუდიტორიას კმაყოფილი სახით მიმართა:

– მნია-მნია მეგობრებო! მნია-მნია!..

– მნია-მნია! – თითქმის ერთხმად უპასუხა დარბაზმა.

უეცრად დინამიკებში გაისმა უკვდავი „We Are The Champions“. მართალია, სიმღერა სულ სხვას მეტყველებდა, საკონფერენციო დარბაზში მიმდინარე „ღონისძიება“ სულ სხვას, მაგრამ გაუთვითცნობიერებელი კაცისთვის ამ ორი ცხოვრებისეული დინების, ერთ ფანტასტიური რეალობად შერწყმა, საკმაოდ ბუნებრივი, იდეალური და გემოვნებიანიც კი იყო.

უეცრად, ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივები, კედლებზე კოცონებად აგიზგიზდნენ, მაგრამ ამ მოვლენამ, ჭამით გატაცებულ აუდიტორიაში, ვერც ასოციაციები და ვერც ინტერესი ვერ გამოიწვია.

ერეკლე საღლიანი

„მე გამიანსლდა სოფელი“

იტალიური შთაბეჭდილებები

სიტყვა თესლიაო, ხნული კი კაცის გული; აქ ჩავარდნილი სიტყვა არა ქრება, მხოლოდ დრომდე მამალულია და ნელ-ნელა ღვივის, რომ თავი იჩინოს. – ხშირად გამიგონია უფროსი ადამიანებისგან.

2017 წელი ერთ-ერთი განსაკუთრებული და გამორჩეული წელი იყო ჩემს ცხოვრებაში. სვანეთში ყოფნისას შევხვდი ჩვენს ლეგენდარულ საოპერო მომღერალს გიორგი გაგნიძეს, რომელიც ცოლ-შვილთან და მეგობართან ერთად მესტიაში ისვენებდა. ჩვენი შეხვედრა შედგა მიხეილ ხერგიანის მუზეუმში. დიდი ხნის განშორებულ ახლობელ ადამიანთან ხელახლა შეყრამ უზომოდ გამახარა.

ყოველი წარმატება, თუ უფლისგან არ არის, ვნებს ადამიანს. გიორგის აღზევებას საფუძვლად უფლის მოწყალება უდევს. ყველასთვის ცნობილია მისი სისხლბორცეული კავშირი დედა-ეკლესიასთან. გიორგი ცხოვრობს აქტიური სულიერი ცხოვრებით. თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში მისი ინიციატივით მოეწყო საქველმოქმედო აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟული საოპერო თეატრების სოლისტმა ქართველმა მომღერლებმა. შემოსული თანხა მთლიანად ხაშურ-სურამის ეპარქიის ანგარიშზე გადაირიცხა.

ნიშანდობლივია, რომ ამ ეპარქიას ჰყავს ღირსეული მწყემსმთავარი მეუფე სვიმეონი. მისი ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ახალ ბანასა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას.

გიორგი გაგნიძის მეუღლე მაია გოგოლაძე და მისი მეგობარი მაია ფაცურია აღფრთოვანებული იყვნენ მიხეილ ხერგიანის საქმეებით და თავიანთ განწყობას გიორგისა და მაიას შვილებს – მარიამსა და დავით-საბას გადასდებდნენ.

მეორე დღეს გიორგი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, თამაზ ნავერიანმა მულახში დაპატიჟა. გაიშალა ზღაპრული სუფრა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა. გიორგი სიმღერის გუნებაზე მოვიდა და შესარულა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ კიანოს ერთ-ერთი არია. „ამირანი სტუმრობსო ნავერიანებთან, –ამბობდნენ თურმე მულახელები.

აქ კი მე მივიღე ისეთი წინადადება, რომლის მსგავსიც მე არ მიმიღია არავისგან. გიორგიმ დამპატიჟა იტალიაში; კერძოდ, ქალაქ ვერონაში, სადაც მას უნდა ემღერა ჯუზეპე ვერდის „ნაბუქოში“.

თბილისში ჩამოსვლისას სამზადისს შევეუდექი. გიორგის მეუღლე, ქალბატონი მაია, აეროპორტის ერთ-ერთ სალაროსთან ბილეთით ხელში დამხვდა. 26 აგვისტოს კოპიტნარის აეროპორტიდან გავემგზავრე. თვითმფრინავით მგზავრობამ სამ საათზე მეტ ხანს გასტანა. მიღწევაში დამხვდა გიორგის მეგობარი, ჩვენი სასიქადულო მომღერალი- ნანა ქავთარაშვილი.

უდიდესი სიხარული სდევდა მის ყურადღებას. ის თავის მოქმედებით თან ვალს იხდიდა მეგობრის წი-

ნაშე და თან თავის თანამემამულეს ესმარებოდა გზის გაკვალვაში. ნანამ დროის მცირე მონაკვეთში დამათვალეებინა ქალაქის ღირსშესანიშნაობები და ბოლოს რკინიგზის სადგურში ამილო მილან-ვერონის მატარებლის ბილეთი. ვერონაში ჩასულს გიორგიმ სულის მოთქმის საშუალება არ მომცა და მაშინვე პრესტიჟულ რესტორანში გამაქანა. მან გამაცნო თავისი უმცროსი მეგობარი, უნიჭიერესი ახალგაზრდა მომღერალი-თამთა ტარიელაშვილი. რესტორანი განთავსებული იყო მაღლობზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მთელი ვერონა. სვანეთში უფროს ადამიანებისგან ხშირად მსმენია: „მაშინაც კი, როცა პირთან ლუკმა მიგაქვს, რიტუალს ასრულებო“, ასეთ მდგომარეობაში ვიყავი თითქმის.



პირველი, რამაც მიიქცია ჩემი ყურადღება, იყო ის, რომ იტალიელები მხოლოდ მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ და ამით გამოხატავდნენ საკუთარი ერისადმი პატივისცემას.

მე უკვე რომეოსა და ჯულიეტას მშობლიურ ქალაქში ვიმყოფებოდი. აქაურობას საკუთარი ენა და და საკუთარი ამღერებული სული გააჩნია. ამ ქალაქს ქალწულის სინმინდე და მამრის უმნივლო სიყვარული ამაგრებს.

მეორე დღეს თამთა ტარიელაშვილმა ვერონა დამათვალეებინა, რამაც დიდი სიხარული მომანიჭა. ვნახე მსოფლიოში უდიდესი ბაზილიკური ტაძარი. ის თითქოს ქვეყნის ძველი დიდების სუნთქვას ინახავს. ვერონას უნიკალურ მუზეუმში მე შეხვედრა მელოდა ალორძინების ხანის გამოჩენილ იტალიელ მხატვრებთან. XV-XVI იტალიამ ბიძგი მისცა დასავლეთ ევროპას, რომ უფრო ღრმად შეეცნო ადამიანი და მისი არსი.

ჩვენი მოგზაურობის აკორდი იყო ჯულიეტასა და რომეოს აივანი. თითქოს მთელი კაცობრიობის მისწრაფება ტრიალებს ამ აივნის გარშემო. უკვდავი სიყვარული ხომ საკუთარი თავისა და იდუმალი სამყაროს შემეცნების უმთავრესი საფუძველია.

შაბეჭდილებებით დამძიმებული ვემზადებოდი ვერონის დიდ ამფითეატრში ვერდის გმირებთან შესახვედრად. ჩემთვის დაუფინყარი იქნება 2017 წლის 29 აგვისტო. ჯერ მარტო ის რად ღირდა, რომ ჯუზეპე ვერდის ოპერა „ნაბუქოში“ მსოფლიოში უძლიერეს მომღერლებთან ერთად ერთ სპექტაკლში ორი ქართველი-გიორგი გაგნიძე და ნინო სურგულაძე მონაწილეობდა.

გამაოცა ამფითეატრის გრანდიოზულობამ და შიდა სივრცემ. აქ ძველი რომის ეპოქაში იმართებოდა გლადიატორთა ბრძოლები. რეჟისორმა შემოგვთავაზა ოპერის პარტიტურის ახლებური ნაკითხვა. ძვ. წ. აღ VI საუკუნის ამბები გადმოიტანა XIX ს. იტალიაში. ძველი ბაბილონის მრისხანე დამპყრობელი ნაბუქო ხდება იერშეცვლილი ავსტრიის კანცლერი ფრანცი იოსები.

XIX საუკუნე იტალიელთათვის ერთ-ერთი უსასტიკესი საუკუნეა. ავსტრო-უნგრეთის მმართველი წრეები ცდილობენ ჩაკლან იტალიელებში დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. იტალიელი ხალხი ცის სარკეში თავის განამებულ სახეს ხედავს. დამპყრობლის ბოროტ სურვილს დაპყრობილი კულტურას უპირისპირებენ. სიმტიანი თოფით შეიარაღებული ავსტრიელი ჯარისკაცი შედის ოპერის თეატრში, მაგრამ უძღურია. უძღური, რადგან იქ არც სამხედრო ძალაა და არც შეიარაღებული ჯარისკაცები. კულტურას იარაღით ვერ ჩახშობ, მას მისავე საპირწონე კულტურით უნდა ამოუდგე გვერდში. არენაზე შემოყვანილი ცხენები სპექტაკლს კიდევ უფრო ბუნებრივ იერს აძლევს. ამფითეატრის დიდი სივრცე მომღერლებს გარკვეული დღეების წინაშე აყენებს. რამდენიმე სოლისტის ხმა გაიწოვა უზარმაზარმა სივრცემ და თითქმის აღარც ჟღერდა; ადამიანი ხშირად სიმღერაში პოულობს იმას, რასაც ვერ პოულობს გარე სინამდვილეში.

გიორგის გამოჩენას ხანგრძლივი ტაში მოჰყვა. ჩვენს წინაშე იდგა ტიპური დიქტატორი, რომლის წარბის აზიდვაზე მდინარეებიც იცვლიდნენ კალაპოტს. უნიკალურ ხმას თან ახლდა ფრაზის მოქნილობა და დიდი სიწრფე. ჩვენ ვუსმენდით არა მხოლოდ თანამედროვეობის, არამედ ყველა დროის ერთ-ერთ დიდ მომღერალს.

ეს იყო მუსიკით შთაგონებული სუნთქვა და სუნთქვით შთაგონებული მუსიკის ზეიმი. ამ სპექტაკლში ქართველთა გამორჩეულობა აშკარად გამოიკვეთა. მეორე დღეს გაზეთები დაუფარავად აღნიშნავენ ქართველების ტრიუმფს და ქება-დიდებას ასხამდნენ ჩვენს ქვეყანას. აი, ასეთი დიდი წარმატება ხვდა წილად ჩვენს თანამემამულეებს, რაც ჩვენთვის საამაყოა.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ წინ უმთავრესი სანახაობა გველოდა. ამფითეატრთან თავმოყრილი მაყურებელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი „ნაბუქო, ნაბუქოს“ ძახილით აცილებდა გიორგი გაგნიძეს. უზომო იყო ჩემი სიხარული. უზომო, რადგან მისი სახით ჩემი ქვეყანა თავის ნიჭიერებას ამცნობდა საოპერო სამყაროს. გიორგის გვერდით ქართველების მცირე ჯგუფმა მოვიყარეთ თავი. აქ მე შევხვდი ნინო ლეჟავას, მიხეილ შემაბერიძეს, ნინო სურგულაძესა და სხვებს. სიტბოთი აღსავსე და გაჯერებული იყო ეს საღამო. ვახშობის შემდეგ მდინარე ადაჯოზე გადებულ ხიდზე გავისიერნეთ. თამთა ტარიელაშვილმა ამიხსნა, რომ ამ ადგილას შეყვარებულები ხვდებიან ერთმანეთს და მას „სიყვარულის ხიდს“ უწოდებენ.

მეორე დღეს გიორგიმ ვენეციაში წამიყვანა. ავიხდინე ჩემი დიდი ხნის ოცნება. გზაზე ვინახულეთ გიორგის კარგი ნაცნობი, ცნობილი მელომანი, „პიცერია მერკადოს“ მფლობელი. სასაუზმის კედლები მოფენილი იყო დიდი მომღერლების სურათებით, მათ შორის გიორგი გაგნიძეს საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

პიცერია თითქმის დაკეტილი იყო, მაგრამ როგორც კი გიორგიმ ნეაპოლიტანური სიმღერები შეასრულა, ხალხის ჯგუფი იქაურობას მოაწყდა. ისინი ტაშს უკრავდნენ „ნაბუქოს“ და გვთხოვდნენ არ გვეჩქარა. ჩვენ ბევრი რამ გვქონდა სანახავი, ამიტომ ვერ შევუსრულეთ

თხოვნა და ისინიც გულდანყვეტილები გაგვმორდნენ.

ვენეცია... ზღვიდან წამოდგარი ქალაქი. გასაკვირია, როგორ ძლებენ ამ ხნის მანძილზე ის შენობები, რომელთა საძირკველი მთლიანად წყალშია. ვენეციური სამხატვრო სკოლა ფლორენციულ სკოლასთან ერთად, გამორჩეულია შუა საუკუნეებში.

შორს რომ აღარ წავიდე, მარტო ტიცინის, ბელინის, ჯორჯონეს, ტინტორეტოსა და ვერონეზეს სახელების ხსენებაც საკმარისი იქნებოდა. გიორგიმ მითხრა: „ვენეცია რამდენჯერაც არ უნდა დაათვალიერო, მაინც გგონია, რომ პირველად ნახე.“ აქ ზღვის არომატს ისუნთქავს მნახველი და უსაზღვრო ძალით ივსება. ჰაერიც კი ზღვის სუნიტაა გაჯერებული. გვიან ღამით ვერონაში დავბრუნდით.

31 აგვისტო საქართველოში გამომგზავრების დღე იყო. ვერონადან მილანში ჩავედით. გიორგის წყალობით „ლა-სკალას“ ლეგენდარული საოპერო თეატრის დათვალიერება მოვასწარი.

შთაბეჭდილებებით დამძიმებული მასთან ერთად ვვადები თვითმფრინავში და ვემზადები ზემოდან დავხედო მიწას...

იტალიაში გატარებული ხუთი დღე, ეს ის ხუთი დღეა, რამაც ბევრი რამ შეცვალა ჩემში. თვალებიდან ვერ ვიცილებ იმ ბედნიერ სურათებს, რომლებიც მილანში, ვერონასა და ვენეციაში ყოფნისას ჩაიბეჭდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეს ლექსი დაიბადა.

შთაბეჭდილება ვერონაში გიორგი გაგნიძის კონცერტის შემდეგ

გადახრის ქარი სასწორის პინას, ვით კურცხლით ნაკურთხ დროების შედეგს, ის, რაც ხდებოდა დიდი ხნის წინათ, იგივე ხდება ათას წლის შემდეგ. დამწკრივებულან დღეები ჯარად, ტანზე ახმება ფოთლები ხესაც, არა, ნაბუქო, არ კვდება, არა, ის ცოცხალია, ცოცხალი დღესაც. ითვლი შიგ სულში გაჩენილ ბზარებს, დადიხარ, წამით არა გაქვს მოცლა, ევფრატის წყალში ბანაობს მთვარე, ადაჯოში მზე თავს იხრჩობს როცა. იგრგვინე, როგორც ხახმატში მესხმა, ჰანგი ვარაყში ჩადგი და ჩასვი, მოდის გულიდან, მკერდიდან ეს ხმა, მოდის სამშობლოს ნუხილის მსგავსი. წყდება ცას ეტლი ვით პერანგს ღილი, აგროვებ, ვით მძლე სამეფო ვენზელს, ეძებ რომეოს გაუმქრალ ღიმილს, სემირამიდას სევდის კვალს ეძებ. მოჰგავს მიწიდან წამოდგარ დილას, ის, ვინც გაფანტავს ეტნაზე ნისლებს, დროის მსაჯული ცხებულთან მივა, რომ ყოველი დრო გამთელდეს ისევ. დამწკრივებულან დღეები ჯარად, ტანზე ახმება ფოთლები ხესაც, არა, ნაბუქო არ კვდება, არა, ის ცოცხალია, ცოცხალი დღესაც.

იკა ქადაგიძე


ორიოდე სიტყვა პოეტ-მხედარზე

ახლახანს ჟურნალისტთა კავშირში გამართულ პოეტურ თავყრილობაზე 1919 წელს, თურქ ასკერებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული ჭაბუკი პოეტის, გრიგოლ მეგრელიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი რომ წავიკითხე, (იგი თურქებისგან მესხეთს იცავდა!) გული დამწყდა, ამ უნიჭიერეს პირველთაობელ უნივერსიტეტულ შემოქმედს (იგი მარო მაყაშვილის მსგავსად საქართველოს შეენირა), რომლის პოეტურ ნიჭსა და სამაგალითო მოქალაქეობრივ მრწამსს იმჟამინდელი თანამოკალმეები სათანადოდ აფასებდნენ, თანამედროვე საქართველო თითქმის არ იცნობს. არადა, როდესაც ახალგაზრდებზე საუბრობენ, გრიგოლ მეგრელიშვილი საუკეთესო მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, ნამდვილი პიროვნება, მით უფრო პოეტი და მამულიშვილი რა იდეალებით უნდა ხელმძღვანელობდეს. გიორგი ლეონიძის, ნიკო კეცხოველის, შალვა კარმელის, ალექსანდრე ქუთათელის თვალსაწიერს სამუდამოდ დააჩნდა უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა პოეტის ჰეროიკული ხატება; მედგარი მებრძოლისა და ფაქიზი, ფრიად ერუდირებული პიროვნების უდრეკი სულისკვეთება, სამშობლოს დასაცავად შემართულს მტრის მეოთხე ტყვიამ რომ გააგდებინა ხელიდან იარაღი; ბოლშევიკური რეჟიმის შემოღებისთანავე მის სახელს ტაბუ დაედო. 40 წლის შემდეგ ისევ გიორგი ლეონიძემ იპოვა მარადჭაბუკი მეგობრის საფლავი, ტრაგიკულად დაღუპული კოლეგისა და თანამოაზრის ლექსების წიგნის გამოსაცემადაც ამოქმედდა, მაგრამ აღარ დასცალდა. ბედისწერის განჩინებით გრიგოლ მეგრელიშვილის სახელი კვლავ დავინწყებას მიეცა. შემდეგ გრივერ ფარულავამ და ზაურ მეძველიამ – ღვანლმოსილმა მკვლევარებმა იღვანეს პოეტი-მხედრის სახელის წარმოსაჩენად; რამდენიმე წლის წინ საპატრიარქოს რადიო „ივერიაში თქვენმა მონა-მორჩილმა საგანგებო გადაცემა მოამზადა სახელწოდებით „ბედის მდინარე“; გრიგოლის ლექსის სათაური გრივერ ფარულავამ (ცხადია, იგი რადიოგადაცემის საპატიო სტუმარი გახლდათ) თავის უაღრესად მნიშვნელოვან მონოგრაფიას წაუძღვარა. ახალგაზრდებთან ერთად გრიგოლის ლექსები ჩვეული ოსტატობით წაიკითხა ზინაიდა კვერენჩილაძემ, მეც გავრისკე და საოცარი მუხტით გულმოცემულმა პოეტი-მხედრის სტრიქონები რადიოეთერში გავანმოვანე. ერთიანობის შეგრძნებამ ყველა თაობის ადამიანი შეგვაკავშირა. სამყარო თითქოს გამთლიანდა, შეიკრა, განათდა.

მოგვიანებით ჩემს რიგით მეორე კრიტიკულ-ესეისტურ კრებულში „ქართული კორიდა“ (2012) გამოქვეყნდა ჩემი წერილი „დაგვიანებული გმირობის მისაგებელი (მარო მაყაშვილი, გრიგოლ მეგრელიშვილი)“, სადაც ამ ორი გმირი ახალგაზრდა მამულიშვილის დრამატული ცხოვრების ამსახველი უცნობი პარალელებია დაძებნილი. იმდენი მსგავსება აღმოვაჩინე, სულმა წამძლია ჩემი შთაბეჭდილებები წერილობით ჩამომეყალიბებინა.

გრიგოლ მეგრელიშვილის დარი თავგანწირული მამულიშვილების ღვანლის შესახებ ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა შეიტყონ, რათა არასდროს დაივიწყონ, საიდან მოდიან და ვისი სისხლი უჩქეფთ ძარღვებში.

„საქართველოვ, შენ ვინ მოცა, შვილი დასაკარგავი!“



მხატვარი მარსანი

გრიგოლ მეგრელიშვილი

სონეტი გამგზავრების წინ

ამამჩქეფარებს, როცა ბრძოლად გავემგზავრები, ალერსი თოფის მოელვარის და ჩახმახ-მალის, დამიმორჩილებს სიალმასე მე პირ-ლალ ხმალის ანთრაკის ფერით გაშუქდება თვალთა მავრები.

და სულ ერთია – ვის ვუყვარვარ, ვის ვეჯავრები, სიკვდილის ჩრდილქვეშ დავინახავ ყოვლის მძლე ხალისს შარავანდედი ვერ შემამკობს ბრწყინვალე ხვალის გამასვენებენ მჭმუნვარებით ომის მთავრები

ნეტავ იმ ჭაბუკს, ვინც მტრის მკერდში ხმალს აამგოსნებს, სატრფოს მაგიერ ვნებით ჰკოცნის ტყვიებს ჯადოსნებს, ლაჟვარდ ძარღვებში უჩქეფს სისხლი ლალმენამული...

...მამ ბედაური! მსურს ავენთო ამაყი ყინით, მტრის რჩეულ რაინდთ თავს ვესხმოდე ამაყ ყიყინით, რომ ვერვინ მკადროს: „საყვარელი მომეც მამული“.

1918

წუ იფიქრავ

წუ იფიქრებ, რომ მიყვარდე, ჯადოსნურო სარო ტანო, როცა შენს წინ ლოცვად ვდგები, მინდა გეყმო, გეთაყვანო, წუ იფიქრებ, წუ იფიქრებ, თითქოს შენში ვეტრფი ქალსა, როცა მინდა დავემონო მკერდს მშვენიერს, თეთრს, ფიქალსა. მე ყოველგვარ სილამაზეს სულის ლტოლვით ვეგებები, მე თვითვე ვქმნი ტანჯვას ძლიერს, ჩემის ტანჯვით

ვიკვებები.

ვეტრფი წმინდა სიყვარულით მარწყვის დილას, წითელს,
სისხამს,
ვეტრფი ზეცას, როცა იგი ვარსკვლავთ სამოსს წამოისხამს.
მიყვარს, როცა სიოს სუნთქვით ირევა და თრთის
ფურცელი,
მიყვარს ყანა მოლალანე, ზღვა მლეღვარე, საზღვარ-ვრცელი.
მიყვარს მთვარე, როცა მისსა მოვერცხლილსა ისარ-კავებს
ათრთოლებულ ტბისა გული ველარ იჭერს, ვერ აკავებს.
მიყვარს, როცა გაზაფხულზე დედამინა იქარგება,
და შაშვისა სევდით სტვენა ფოთოლთ შორის იკარგება...
მიყვარს ბალი, სად ყვავილნი დააკმევენ გუნდრუკ-სურნელს,
წყარო როცა ჩამჩურჩულებს ყოფნის ზღაპარს საამოს,
ნელს,
მიყვარს ოხვრა, როცა დარდი გულს პირ-ბასრსა ეკალს
ასობს,
მიყვარს ღამე საოცნებო, მამინ ლტოლვა ერთი ასობს...
მიყვარს ტანჯვა-სილამაზე და თუ შენს წინ ლოცვად
ვდგები,
შენ არ გეტრფი, როგორც ქალსა, მე სიტურფეს ვემონები!
1915

ბედის მდინარე

იქროლე, ქარო, იქროლე...
ააჩუხჩუხე ქალებში ჩალა,
პირველი სხივი სასიყვარულო,
დიდი ხანია გადაიხარა...
ოცნება ტკბილი სიყმანვილისა
ტან-სილოვან მთებს შემოემალა
– და გაიპარა.
ქარო, დაჰქროლე ბედის მდინარეს,
ველურ ნაპირებს შეუთამამდი,
გაშალე მწუხრი, – გაშალე მწუხრი,
ფიქრს თანამგზავრად მხოლოდ შენ დაშთი.
ბედის მდინარე – ისევე ისე კვლავ მიმდინარე...
შავი ტალღები იშლებოდა, კვლავ ერთდებოდა,
ქარი კი ქროდა, მე ვუძახდი-ყრუ ნაპირებზე,
ჩემი ძახილი ქარის ზუზუნს ზედ ერთვებოდა,
აედევნა და მაცდურ ტალღებს დაემორჩილა,
ვინ იცის, როდის დაილუპება-განაპირდება...
ან ვინ დაეძებს, ვინ ინალღებს... ობოლ საფლაგზე,
მერე რა ვუყოთ, თუ არავინ არ ატირდება!
ფიქრი, რა ფიქრი, დაჰყვა ნაპირს გამალებული,
ბედის ტალღებმა შეათამაშეს, შეატივტივეს:
სული მისდევდა, მისტიროდა აცრემლებული,
მეც კი მოესთქვამდი, სამშობლოს მთებმაც კი დაიტირეს.
რა კარგი იყო... დაკარგულ დროში ტოლებში ვრბოდი,
ჩემი გრძნობები იმედიანად დაფრენდა ველად;
საყვარელ მდელს ვუაღურსებდი, არ ვშორდებოდი,
იდუმალ ძახილს თან მიყვებოდი მე უდარდელად.
რარივ მიყვარდა, როგორ ვეტრფოდი კეკლუც გაზაფხულს,
ტურფა გაზაფხულს, ოცნების ბაღებს ყმანვილობისას,
ნისლი დამძიმდა-ვხნავ მინდვრებს, უშნოდ გადახნულს,
ვინღა მომასმენს უმანკო ლოცვას პირველ ყრმობისას.
ფიქრი გამშორდა, მოცისკროვნე, შვების მომცემი,

სულიც მას გაჰყვა, მეც თან გავყვები ამ მოკლე დროში.
რა დამშთენია, რომ ვინუგეშო ამ ქვეყანაში?!
ქარი დაქშუის თეთრ სართულებში და ჩემს სადგომში.
ანი გავყვები ბედის ძახილს, ვერანა ტალღებს...
ის ხომ ისეა: ყველგან უნდობი და მოსიმღერე,
ქარი იქროლებს, ითარეშებს უსაზღვრო დროში,
უსიყვარულოდ დავილუპები, რა ვუყოთ მერე...
ბედის მდინარე, შენს ტლუ ტალღებში
თუ მომინახო სამარე ადრე-
შენ გენაცვალე, შენი ჭირიმი,
სამშობლოს ველზე გამრიყე სადმე...
ობოლ სამარეს, მიტოვებულს ხრიოკ ველებზე,
დასძახებს წერო, ღრუბლიანი როს დაბინდებ...
წყალი ჩაივლის... ტალღების ღლინს გაატანს სივრცეს,
მხოლოდ სივრცეში სამშობლოს ლანდი აქვითინდება.
ბედის მდინარე, – მე ვუძახდი ყრუ ნაპირებზე,
ჩემი ძახილი ქარის ზუზუნს ზედ ერთვებოდა.
იქროლე, ქარო, იქროლე...
შემოუბრე სივრცე, ეს დღე შენია:
მეც აგადევნებ თავგანწირულ სევდის სიმღერას...
აბა, მეტი რა დამშთენია...

1917

მატო

ვისროლე თვალი, ვით საფირონი,
ან ბედისწერას წინასწარ ვხედავ,
ნაგმალე შუბლზე ჯილა, მირონი.
გადამავინყდა სამშობლო, დედა.
მოკვდნენ ღმერთები: იშტარ, ტანიტი...
დაინგრეს ღმერთთა კერპები. მარტო
მიცდიან წლები ხელში დანითა,
ვით კართაგენი, მეც შენებრ, მატო.
ან ყველა ღმერთი ჩემთვის ფუჭია.
ავი მოლოხის დავგმე კერია.
არცა მსურს ვიყო მატლი და ჭია,
ჩემში ათასგვარ ჰანგს უმღერია.
ნარსული ყამი, ცხოვრება, ომი,
მონობის შანთით დადალულია.
საუკუნენი უკან ღმუიან,
როგორც სუდანის დაჭრილი ლომი.
ვიგონებ მე ჩემ დამღუპველ ამბორს,
უდაბნოს მზეზე უფრო მხურვალეს.
გაქრა გმირობა ცდუნების გამო,
და ახლა ვერვინ ვერ მიმკურნალებს.
ჰო, ჰამილკარის ქალო, სალაბო,
შენს ფერხთით ვკვდები, მე, ბარბაროსი,
გულს შემოედო, როგორც მალამო,
გველი, პითონის შხამი, ქაოსი.
შხამი ძარღვების გაპობას ლამობს,
თვალებს მიბრმავებს ღამე უკუნნი.
მიყვარდა წუთზე უფრო საამო,
უნდო უდაბნოს ცხელი გუგუნნი.

1919

მეგი მოლოდინი

**ვიქტორ ჰიუგო
სიყვარული
უცნოჲ ქალს**

„ეს მომხიბლავი სული“ (დიდრო)
მთელ ჩემს სამეფოს მოგიძღვნიდი, რომ ვიყო მეფე,
ჩემო გოგონავ, ტახტრევანიც შენ გერგებოდა...
ოქროს გვირგვინსაც დაგადგამდი და ძონისფერებს,
აბანოებსაც, გაჩუქებდი... ფლოტის დიდ გემებს,
მე მხოლოდ შენი ერთი მზერა რომ შემწვდენოდა.

ღმერთი რომ ვიყო, შენ გიძღვნიდი ზღვასაც და ხმელეთს,
რომ ანგელოზნი და დემონნი გადმომელოცა,
მინისქვეშეთსაც გიბოძებდი, მის განძთა ქვესკნელს
და მარადიულ სილაჟვარდესს, სამყაროს მხლებელს,
რომ მხოლოდ ერთხელ, კარგო, შენთვის მაინც მეკოცნა...

**რობერტ ბერნსი
წითალი, წითალი ვარდი**

წითელ ვარდს მიაგავს ჩემი სიყვარული,
თიბათვის თვეში რომ სათუთად იშლება,
ის ტკბილი ჰანგივით ოცნებას გარს უვლის
და სულში მეღვრება საამო სიმებად.

შენ, უწარმტაცესი მშვენიების მტარები,
გულს ჩამსახლებიხარ, არსებავ, მზის დარო,
ვიდრე სანაპიროს სტუმრობენ ტალღები,
მანამ მეყვარები უსაზღვროდ, ძვირფასო.

ჰო, სანამ ყველა ზღვა, ჩემო, გადამშრალა
და მწველი გვალვისგან დამდნარან კლდეები,
ეს წუთისოფელი ვიდრე არ დამშვრალა
ქვიშათა ღინებით, მანამ მეყვარები!

ჩემო ერთადერთო, ახლა კი დაგტოვებ,
არ გემშვიდობები, დროებით, ნახვამდის...
რა მანძილიდანაც არ უნდა გნატრობდე,
მე დაგიბრუნდები, შენი ვარ მარადის.

**ემილი დიკინსონი

თუ მომაკითხავდი შენ ფოთოლცვენისას,
ზაფხულს გადავწევი უსაზღვრო წადილით,
ვით დიასახლისი, მწერების დევნისას,
ღიმილმორეული და ზიზღით ალვისილი.

თუ ერთ წელიწადში მაინც მენწეოდი,
თვეებს, ვით ძაფისგან ნაქსოვს, დავართავდი,
უჯრებში ჩავტევიდი სათუთი შეფუთვით
და შევინახავდი მათ, სანამ მნახავდი.



თუ ასწლეულები მომიწევს ლოდინი,
დავთვლიდი იმ წლებსაც იმედის მითებით,
ვიდრე ვან-დიმენის შორეულ მიწაზე
არ დაეშვეებოდნენ დაღლილი თითები.

და თუ ჩვენ ამ სოფლის, დაგტოვებთ სამანებს
იქ, სადაც სხივები მზეს არ უმკრთალდება,
სიცოცხლეს ზედმეტი გარსივით მოვიცლი
და დავაგემოვნებ ზეცად უკვდავებას!..

დღეს კი უჩინოა დროის ის მანძილი,
რომელსაც აითვლის თმენა და ოცნება,
თუმცა ვით ავსული ფუტკარი, მაქეზებს,
ნესტრით, უხილავით, უცბად რომ მოგწვდება.

**შარლ ბოდლერი
მტარი**

მე სიჭაბუკის ბოროტ გრიგალს ვეგაზაფხულე,
სხივსაც, ელვარეს, თუმც მიმქრალი მზეების ნაცრემლს,
იავარქმნილა ჩემი ბალი, ვერ ვესათბურე,
უმნიფარ ნაყოფს შესცივინია, ავდრისგან ნაცემს...

და აი, სულში ფოთოლცვენის, მათოვს, ყულფები,
ფიქრს მიწრიალებს, დაცვარულან ნასეტყვი თაღნი,
მსურს, გადავხვეტო და დავაშრო მინის წყლულები,
ვით მის სხეულზე საფლავები, მენწყერთა დაღნი...

შენ, ვინც ოცნება დამინაცრე, დროის ლადარო,
ვით მაპოვნიებ ახალ ყვავილთ, ამ ცივ საღამოს,
იგუებენ კი ბერნ ნიადაგს ნორჩი ფესვები?..

ნაკვები სისხლით გადაივსო ჟამმა მარანი,
თუმც ვერ ნაყრდება და არ გვიწვდობს მტერი, საზარი...
როს ძლიერდება გადასერილ გულთა მყესებით...

ნიწო ბაქანიძე

სულის არაჯიწო რაჯიწოში

– როზინა, სად ხარ აქამდე? ათი წუთი მაინც იქნება, გეძახი. ზარიც რამდენჯერ დავრეკე! ყურთ მე მაკლია თუ შენ?!

– მომიტევეთ, სენიწორა, მესმოდა, მაგრამ რა მექნა? – შეცბუნებული გოგონა ქალბატონის წინ დაიხრება და ხმამაღლა ჩასძახებს, – კვლავაც დაუბატიუებული სტუმრები მოგვადგნენ – ვიღაც ორი ახირებული ახალგაზრდა. ირწმუნებოდნენ, ჟურნალისტები არა ვართ, სენიწორა დე ვიტას თანამემამულეები გახლავართო. უბრალოდ, მისი მონახულება გვსურსო. მთელი ეს დრო ვუხსნიდი, რომ რაც ჯანმრთელობამ გიმტყუნათ და რეჯიწოში გადმოსახლდით, სტუმრებს აღარ იღებთ, მაგრამ ბოლოს მაინც ძალით მივუკეტე კარი ცხვირწინ. – როზინა წელში იმართება და თავმოწმონედ შეჰყურებს ქალბატონს, თითქო შექებას ელისო. – სხვა დროსაც ყოფილა მსგავსი შემთხვევები, მაგრამ ახლა მაინც განსაკუთრებული ჯაფა დამადგა. კიდევ ჩემი ბედი, რომ გამართულად საუბრობდნენ იტალიურ ენაზე.

– ჰო, მაგრამ, – მოხუცი ქალბატონი მოულოდნელად სავარძელში აწრიალდება, თან აკანკალებული ხელით ყურის აპარატს ისწორებს. – წუთუ ვერ მიხვდი შე უგუნურო, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისი უნდა დაგეშვა?! თითქოს არ იცოდე, სამარის კართან მიუსულს, ეს ერთადერთი დარდი და ოცნება რომ მიმყვება თან – ჩემი სამშობლოს, ჩემი საქართველოს მონატრება და შენ კი... შენ... კარს მომდგარი ბედნიერება ხელიდან გამაშვებინე! – მოხუცს მრისხანებისაგან თითქო ძალა მოეცაო, ბორგავს, ლამისაა სავარძლიდან წამოიმაართოს. – ახლა კი დამდგარხარ უტიფრად ჩემს წინ! რაო, შექებას ხომ არ ელოდები?!

მოახლე მხრებს იჩეჩავს, სიტყვებს ვერ პოულობს.

– მაინც რა თქვეს, ვინა ვართო? – ოდნავ ცხრება ქალბატონი.

– ვერ გეტყვით, სენიწორა, მხოლოდ სახელები დამამახსოვრდა: თამარი და ვანო. მილანიდან საგანგებოდ ჩამოვედით ჩვენი სასიქადულო მომღერლის, ელენე თარხნ... თარხნიშვილის გაცნობის მიზნითო.

– ვინც არ უნდა იყვნენ, რაღაც არ უნდა დაგიჯდეს, სასწრაფოდ მოძებნე ეგ ხალხი და მომიყვანე. ჯერ შორს ვერ წავიღოდნენ. ჰო, ბოდიშის მოხდა არ დაგავინწყდეს!

– კი, მაგრამ, სენიწორა... წასვლით კი წავალ, მაგრამ ვიდრე მოვძებნი, მარტო ხომ ვერ დაგტოვებთ ვერანდაზე? თანაც უკვე საშინლად ჩამოცხა. პეპინოც საყიდლებზეა წასული. იქნებ ოთახში მაინც შეგიყვანოთ!

– წადი – მეთქი, დროს ნულარ კარგავ! მე არაფერი მიშავს. იცოდე, მარტო მობრუნება არ გაბედო! იმ წუთში დაგითხოვ!

– სადღა ვეძებო, სენიწორა? – ჯიუტობს როზინა. – ქალაქი ტურისტებითაა სავსე... თანაც, დილიდან შეუძლოდ ბრძანდებოდით, მაღე წამლებიც უნდა მიიღოთ და თქვენი მარტო დატოვება... –

– ნულარ აყოვნებ – მეთქი! – რისხვით შესძახებს

მოხუცი. – ყოველი წამი ძვირფასია. პეპინოს მოსვლას ვერ დაველოდები. მთელი დღეც რომ დაგჭირდეს, გიმეორებ, მარტო დაბრუნება არ გაბედო! თუ ვერ მოძებნი იმ ხალხს, შეგიძლია, თვალთ აღარ დამენახო!

აცრემლებული როზინა ვერანდიდან გარბის. მოხუცი სენიწორა კი სავარძელში ჩაეფლობა, სიბრაზე ერთბაშად გადაუვლის, სასიამოვნო მოლოდინში თვალებს მილულავს და ფიქრებში იძირება.

– მოდი, თამარ, აქ ჩამოვსხდეთ, ცოტა დავისვენოთ. ნაყინს შევეუკვეთავ... ნუ ხარ მოლუმული, რა გაეწყობა? არ გაგვიმართლა და მორჩა! მატარებლის გასვლამდე თითქმის სამი საათია. ქალაქის დათვალეერებას მაინც მოვასწრებთ. მართლაც, ძალიან ლამაზია აქაურობა, არა? – ვანო ხელში ქალაქის გზამკვლევს ატრიალებს.

– რატომ მაინც და მაინც აქ? ღია ცის ქვეშ, ამ სიცხეში? განა არ სჯობს, კაფეში შევიდეთ. იქ უფრო ეგრილება. – უხალისოდ ეპასუხება თამარი.

– ვფიქრობ, ეს სწორედ ის ტერიტორიაა, სადაც მესინას სრუტეს ტირენისა და იონის ზღვები უერთდება. აქედან ხომ პირდაპირ გავყურებთ ჰორიზონტს. ჰოდა, ვინ იცის, ეგებ ჩვენც დავტკბეთ იმ სახელგანთქმული მირაჟით, რის გამოც რეჯიწო კალაბრიას ფატა მორგანა-ს ქალაქს უწოდებენ! – იცინის ვანო. – აბა, დახურულ სივრცეში ჯდომა რა ხელს მოგვცემს?

– ჰო, სწორედ მირაჟისა და ნაყინის გამო გადმოვსერეთ ნახევარი იტალია. – გული მოსდის თამარს. – ეგ ყველაფერი სისულელეა!

– კარგი, ნუ ბრაზობ! იცი, სხვაც რამდენი რამეა სანახავი? – ვანო კვლავ ბუკლეტს ჩაჰკირკიტებს. – არაგონების ციხე-სიმაგრე, 540 წლით თარიღდება თურმე, კიდევ ცნობილი კათედრალი, მესინას 1908 წლის მიწისძვრის შემდეგ რომ აღადგინეს თავიდან. ოო, არქეოლოგიური მუზეუმიც ჰქონიათ, ანტიკური ხანის ნაშთებითა და ბრინჯაოს ქანდაკებებით. აი, აქ წერიი, რეჯიწოს თურმე „ბრინჯაოს ქალაქსაც“ უწოდებენ, მარტო მირაჟის ქალაქი არ ყოფილა.

– კარგია, კიდევ სხვაც იქნება რამე! – გესლიანად ჩაურთავს თამარი.

– ცხადია, – იხტიბარს არ იტებს ვანო. – აი, ეს მართლა დაგაინტერესებს! – მუნიციპალური თეატრი „ფრანცესკო ცილეა“! ვინ იცის, ოდესმე ჩვენც მოვხვდეთ ამ სცენაზე?!

– ნეტა, სადაც საჭირო იყო, იქ მოვხვედრილი-



ყავით. – უიმედოდ ოხრავს თამარი.

– რას ვიზამთ, თამარ? ხომ ვიცოდით, რომ ქალბატონი ელენე თარხნიშვილი დღესდღეობით მძიმედ დასნეულებული მოხუცია. მილანში ხომ საგანგებოდ გაგვაფრთხილეს? ჰოდა, ასეთი დახვედრისათვის მზად უნდა ვყოფილიყავით... აი, ბოტანიკური ბაღიც ყოფილა. ნეტა, მოვასწრებთ კი ამ ყველაფრის ნახვას?!

– შეგიძლია, მარტომ ისეირნო, სადაც გინდა, – ცივად ეპასუხება თამარი. – მე აქ დავრჩები... მირაჟის მოლოდინში.

ახალგაზრდების მაგიდას მიმტანი უახლოვდება. ვანო შეკვეთას აძლევს. მეგობრები ერთხანს მდუმარედ სხედან და სრუტეს გაჰყურებენ.

– რა ვიცი თამარ, იქნებ ყველაფერს თავი დავანებოთ და კიდევ ერთხელ ვცადოთ ბედი? – სიჩუმეს არღვევს ვანო. – იქნებ ქალბატონმა ელენემ იმ ჩერჩეტი გოგოსაგან ქართველების მისვლის ამბავი რომ შეიტყო, მოისურვა კიდევ ჩვენი ნახვა?!

თამარი მხრებს იჩეჩავს. – ჰო, ასე ვქნათ. მაინც აქვე ვართ, 15-20 წუთის სავალზე არც კი. ერთხელაც ვცადოთ ბედი.

– ყოველ შემთხვევაში, დასაკარგი არაფერი გვაქვს. – კუშტად ეპასუხება თამარი. – სად არის აქამდე ოფიცინანტი? თუ ასეა, რაც ჩქარა მივბრუნდებით, უკეთესია.

– რა ქნას, ვერ ხედავ, რამდენი ხალხი ირევა? შეკვეთებს ველარ აუდიან, ეტყობა. – ვანო აქეთ-იქით იხედება...

პეპინო, პეპინო, რა კარგია, რომ დაბრუნდი.

დიახ, სენიორა. რაც დამაბარეთ, ყველაფერი შევიძინე... ისა, სენიორა, როზინა შემომხვდა ჭიშკარში. სადღაც გარბოდა სახეშეშლილი. ერთი-ორი სიტყვა კი მომადახა, მგონი, ვიღაც ახალგაზრდები უნდა მოვძებნოო, ასე თქვა... ხომ მშვიდობაა სენიორა?

– ჰო, ჩემო პეპინო, მგონი ასეა. – მოხუცს კვლავ მღელვარება იპყრობს, სიტყვა უწყდება. – იცი... იცი... ოჰ, ნეტა დროზე მოძებნოს როზინამ და მომიყვანოს... რაღაც სული მესუთება, ძალა სულ გამომეცალა...

– ვინ, სენიორა, ვინ?

– ისინი, ქართველები... თა... თამარი და ვანო! ასე თქვა როზინამ. ჩემი ძველი მეგობრები იქნებიან, აბა სხვა ვინ? რა ბედნიერებაა, რომ გამიხსენეს და ამდენი წლის შემდეგ მაინც მომიძებნეს.

– რომელი თამარი, რომელი ვანო, სენიორა? – დაბნეული პეპინო ერთ ადგილს ტკეპნის. – განა თქვენთან...

– ეჰ, პეპინო, – ერთბაშად ბრაზი ერევა მოხუცს. – არც შენა ხარ როზინაზე საზრიანი. აბა, კარგად გაიხსენე ჩვენი მილანური პერიოდი. თითქოს არ გახსოვდეს, რა საზოგადოება იკრიბებოდა ჩემს მუსიკალურ სალონში. რა საღამოები და კონცერტები იმართებოდა, რა საინტერესო სჯა-ბაასი... მაშინ დიდების მწვერვალზე ვიყავ! ჰო, ჰო, ვითომ არ გახსოვს, შე ბრიყვო! ვინლა არ მსტუმრობდა – კარუზო, შალიაპინი, ტიტა რუფო... ჩვენებიც ხომ მოდიოდნენ და მოდიოდნენ! – სენიორას მოულოდნელად ნაზად ელიძება – ვანო, ვანო

არ გახსოვს, პეპინო? „საქართველოს ბულბულს“ რომ ვეძახდით. რამდენს ვთხოვდით, შალიაპინიც კი სულ ეშუადრებოდა, რა დაგრჩენია საქართველოში, აქ იმღერე, კარიერა გაიკეთე, ან ამერიკაში მაინც წამომყევით. მაგრამ სარაჯიშვილმა სამშობლოში დაბრუნება არჩია. სწორადაც მოიქცა. აგე, დრო შემობრუნდა და ისევ ჩამოვიდა. მე კი ჩავრჩი აქა. – მოხუცი აკანკალებული ხელით ცრემლებს იწმენდს. – ღმერთმა დასაჯა. ავადმყოფობის გამო სცენასაც ადრე ჩამოვშორდი, ყურთასმენაც ხომ იმდენად დამიქვეითდა, რომ პედაგოგიური საქმიანობაც ძალაუვნებურად შევწყვიტე. მეუღლეს გარდამეცვალა და დავრჩი სულ მარტო. ამიტომაც დავხურე ჩემი სალონი და აქეთ გადმოვსახლდი. ხომ გახსოვს, პეპინო, ქმრის ნათესავებმა დამიჟინეს, სამხრეთის ჰავა უფრო მოუხდება შენს მწვავე ართრიტს და მარტოც აღარ იქნებიო, ჩვენ მოგხედავთო. მოხუცი ტირილს წყვეტს, კვლავ ბრაზი ერევა. – მერე, რა გამოვიდა?! ათასში ერთხელ თუ მინახულებენ, შენი და როზინას ამარა ვარ დარჩენილი. ან ვის რაღაში ვჭირდები?... ჰო, ამიტომაც გავუწყერი როზინას, ვანო და თამარი რომ უკან გააბრუნა და საჩქაროდ მათ მოსაძებნად გავგზავნე. ამ დროს შენც გამოჩნდი ჩემდა ბედად... აი, ასეა საქმე.

პეპინო მთელი ამ მონოლოგის მანძილზე გაოგნებული შესცქერის მოხუცს. მერე უხერხულად ჩაახველებს და ფრთხილად წარმოთქვამს – მომიტევეთ სენიორა, მაგრამ როზინამ, როგორც მახსოვს, მომადახა, ორი ახალგაზრდა უნდა მოვძებნოო. ჰოდა, ის თქვენი ვანო სარაჯ...

– სარაჯინს ეძახდნენ იტალიაში, – კვლავ ღიმილი ეფინება სახეზე მოხუცს. – ახლა რომ ნახო, პეპინო, რა ლამაზი კაცია, თვალს ვერ მოწყვეტ!

– ჰო, მაგრამ, სენიორა, – კვლავ ფრთხილად განაგრძობს პეპინო. – თუ როზინა ახალგაზრდებს დაეძებს და ამავე დროს ის თქვენი სარაჯინი მილანში გსტუმრობდათ, დღეს, იძულებული ვარ, შეგახსენოთ, რომ 1961 წლის 2 აგვისტოა და აბა, როგორ შეიძლება, ეს ახალგაზრდა იგივე ვანო იყოს? ან თამარი ვინლა?

– რას მიედ-მოედები პეპინო, – წყრება სენიორა – რა ეს ვანო, ის ვანო აგიტყდა? ნადი დროზე, სადილს მიხედე, ჰო, სტუმრებიც გაითვალისწინე. დღეს საგანგებო სადილი უნდა მოამზადო, იცოდე!

– ოჰ, ღმერთო, ისევ დაეწყო, საბრალო სენიორა! – თავისთვის ბუტბუტებს პეპინო. ხმამაღლა კი მხოლოდ ერთს ამბობს – ყველაფერი გასაგებია, ახლავე მივხედავ საქმეს. თქვენ ხომ არაფერს ინებებდით? ოთახში ხომ არ შეგიყვანოთ? საცაა, მზე მოგადგებათ.

– არა, პეპინო. აქ ვიქნები. ერთხანს კიდევ დავტკბები ზღვის ყურებით და დროც უფრო მალე გავა იმათ მოსვლამდე. იცი პეპინო, გამოგიტყდები, ჩემი საუკეთესო გართობა და დასვენება ვერანდიდან ზღვის ცქერაა. ტყუილად როდი შეურქმევიათ რეჯიოსთვის ფატა მორგანა-ს ქალაქი. გამუდმებით ჩემი სამშობლოს თვალწარმტაც პეიზაჟებს ვხედავ, ჩემს ახალქალაქს, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც პირველად ამამღერა თქმის მორაკრაკე ტალღებმა. ვხედავ ჩემს

ახლობლებსა და მეგობრებს... ჰო, პეპინო, პირველად ახალქალაქში დავინყე სიმღერა. სულ ნორჩმა გოგონამ მარშლიანთ სასახლეში, მთლად აკანკალებულმა, შევასრულე „მხოლოდ შენ ერთს“. ეს იყო ჩემი პირველი საჯარო გამოსვლა. ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი ესწრებოდა ამ თავყრილობას. უყვარდა ჩვენი სოფელი, მამიდაჩემს, ეკატერინე გაბაშვილსაც დიდ პატივს სცემდა. კარგი მეგობრები იყვნენ. ძალიან მოეწონა მაშინ ჩემი სიმღერა. მერეც სულ თვალყურს ადევნებდა ჩემს კარიერას. ლექსიც კი მომიძღვნა, უბრალოდ, „სიმღერა“ დაარქვა, მაშ! ქვეშ წაანერა: „გუძღვნი ელენე თარხნიშვილის ქალს“-აო. გინდა, გითხრა, პეპინო? ყოველთვის ისე მემამაყებოდა ეგ ამბავი. დღემდე ლოცვასავით მეღვრება სულში. აი, მომისმინე:

ნეტავი მას,
ვინც შენს ტკბილ ხმას
ერთხელ კიდევ გაიგონებს!
გულის ვნებას
და გონებას
ათაყვანებს, დაუმონებს!!

მაგ სიტყვაში,
გამოთქმაში,
მომხიბლავი ისმის ძალა,
სასურველი,
სანყურველი,
უკვდავების ვით ფიალა.

ვხედავ!.. მჯერა!...
მაგრამ მე რა?
დაუნოშნავს სხვისთვის გულსა!..
იმას უთმობს,
იმას უტკობს
ოცნებას და სიყვარულსა.

მაგრამ მაინც,
მიყვარს მე ვინც,
მსხვერპლად ვსწირავ სულს და გულსა!..
ვით ბულბული,
გულმოკლული,
ვიგონებ ჩემს გაზაფხულსა...

ეჰ, ბოლო უცებ გადამაგინყდა, პეპინო. სამაგიეროდ სხვას გეტყვი. იცი, პეპინო, რას იგონებდა აკაკი შემდეგში ჩემს შესახებ? სამუდამოდ ჩამებეჭდა მესსიერებაში და დღესაც ზეპირად მახსოვს მისი სიტყვები: „როცა ის სწავლობდა, მომისმენია მისი, მთელ არსებაში უნებურად ჩამძრომი, სულთან გულის გადამბმელი, მომხიბლავი მღერა და მითქვამს, ცოდვა არ არის, რომ ეს ტკბილი ხმა დაბმული იყოს და სასცენოდ არ ვარგოდეს-მეთქი?“ – ჰო, პეპინო, ჩემო კარგო, აი, სად წამიყვანა ფიქრმა, აქ ნულა გაჩერდები. მე თუ მიყურე, საღამომდე ვერ მოვრჩები ლაპარაკს. რა ვქნა, რაც დავბერდი და დავუძღურდი, მთელი დღეები მოგონებებში და ზმანებებში ვარ ჩაძირული. ვეღარ გამიჩრჩევა, სად თავდება რეალობა და სად იწყება წარმოსახვა. ჰო, რა გაეწყობა! ასეა თუ ისე, მაინც საინტერესოდ

მიცხოვრია. პეპინო, შენ ხომ ყველაფრის მოწმე ხარ?... – პეპინო დაბნეულად იჩეჩავს მხრებს. – მართლა, წელსან მკითხე, თამარი ვინ არისო. ვანო სარაჯინი ხომ მოგაგონე. თამარი კი, ეგვენი ჯირალდონი ხომ გახსოვს, მისი მეუღლეა, ერისთავის ქალი. ეგა და ვანო იტალიაში დამეგობრდნენ.

– ეს ეგვენი ჯირალდონი ვინლაა, სენიორა? – თითქმის ბედს ნებდება პეპინო.

– ო, ღმერთო, გრცხვენოდეს, პეპინო! კარგი, ვანო შეიძლება არ გახსოვდეს, ქართველი რომაა, იმიტომ და ჯირალდონი ხომ მსოფლიოში სახელგანთქმული ბარიტონია. ჩემს სალონში ყოველ კვირა დაიარებოდა. მერე თამარიც მოიყვანა. როგორ შეიძლება, არ გახსოვდეს?

– სენიორა, სენიორა, მამატიეთ, – მოთმინება ეკარგება პეპინოს. – მაგრამ ნება მიბოძეთ, გითხრათ სათქმელი. თქვენი მილანური კარიერის დროს მე დაბადებულიც არ ვიყავი. იმხანად მამაჩემი გემსახურებოდათ. მე კი ოჯახში ნაბოლარა ვიყავი, მესხეთე შვილი. სამწუხაროდ, უკვე ათი წელია, რაც მამა აღარ არის.

– აა, ისევ ამერ-დამერია ყველაფერი. ნერვიულად იცინის ელენე. – ჰოდა, რაკი ასეა, მაშ ახლა გიამბობ ეგვენისა და თამარის სიყვარულის ამბავს. – მოხუცი მძიმედ სუნთქავს, სახე უბრწყინავს. ყურის აპარატი კალთაში უვარდება. მაგრამ ვერც კი ამჩნევს. ხმაც ძველებურად ლალად და სუფთად ჟღერს. – თამარ ერისთავი ეგვენიმ ქუთაისში ნახა პირველად. ჯირალდონი იმ დროის ცნობილ ტენორ ფიგნერთან ერთად კავკასიაში იყო გასტროლებზე. ჰოდა, თბილისსა და ქუთაისსაც ეწვივნენ. იმ დროს ქუთაისში იმყოფებოდა სახელგანთქმული პრინცი ოლდენბურგი, მერე აგრაფინა ჯაფარიძეზე რომ იქორწინა. მოკლედ, ოლდენბურგმა ძვირფასი სტუმრების პატივსაცემად დიდებული ვახშამი გამართა და რჩეული საზოგადოებაც დაპატიჟა. მოწვეულთა შორის გახლდათ სწორედ სილამაზით განთქმული თამარ ერისთავი მშობლებთან ერთად. ჯირალდონს ერთი ნახვით შეჰყვარებია ტურფა ასული და იმ საღამოსვე უთხოვია მისი ხელი. მაგრამ მშობლებმა ერთი წელი ვადა დაუთქვეს. თუ ამ ხნის მანძილზე გრძნობა არ გაუნელდებოდა, მაშინ შეეძლო, დაბრუნებულიყო ქუთაისში და ცოლად შეერთო მათი ქალიშვილი. ჯირალდონი, რა თქმა უნდა, ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა, იქორწინა თამარზე და იტალიაში წამოიყვანა. აი, ასე იყო მაგათი ამბავი. თითქოს პირველად გესმოდეს!

– აკი მოგახსენეთ, სენიორა, მაშინ მამაჩემი... – პეპინო უეცრად ამჩნევს, რომ ქალბატონს ყურის აპარატი კალთაში ჩასცურებია. მარდად უსწორებს აპარატს და მზრუნველობით ჩასძახის – სენიორა, ინებებთ რასმე თუ სადილის თადარიგს შევუდგე?

– ჰო, პეპინო, ნადი, ჩემო კარგო. ალბათ სადაცაა გამოჩნდებიან კიდეც...

– სენიორა, სენიორა... ერთბაშად ფერი დაკარგეთ. თავს როგორ გრძნობთ?

– არაფერია, ჩემო პეპინო. სიცხის ბრალია ალბათ. თან ამდენი მღელვარება ჩემთვის არც შეიძლება. ბარემ წამლები გამომიტანე, მალე დრო მომდის. შენ კი საქმეს

მეუღდექი.

– თითქოს ერთბაშად სისუსტე მოგეძალათ, სენიორა. გულის წვეთებს ხომ არ ინებებთ?

– არა-მეთქი, აკი გითხარი. გამომიტანე ჩემი ნამლები და სადილს მიხედე ბოლოს და ბოლოს. ჰო, მართლა, შედი ჩემს საძინებელში. სარკესთან პუდრი, პომადა და სუნამო დევს, ხელს გამოაყოლე, თავი მინდა მოვიწესრიგო. ძველ მეგობრებს ასე ხომ ვერ ვეჩვენებ.

პეპინო სიბრაღულით გადააქნევს თავს და ბრძანების შესასრულებლად მიემუშრება. ვერანდაზე რომ ბრუნდება, მოხუცი ქალბატონი ჩაძინებული ხვდება.

ყურის აპარატი კვლავ კალთაში ჩამოვარდნია. პეპინო შეყოყმანდება, მაგრამ მერე, ქალბატონი არ ვალვიძოო, უჩუმრად ყველაფერს მაგიდაზე ალაგებს და სწრაფად გადის. ცოტა ხანში მოხუცი შეტოკდება და მძიმედ ახელს თვალებს.

– აი, ისევ ნაცნობი სურათ-ხატები: თეძმის ამწვანებული ხეობა. ნაპირზე ლამაზი, ახლადმეღერებული გოგონა დგას. „მხოლოდ შენ ერთს...“ ნარნარი მელოდია, საკუთარი წკრიალა ხმა მკაფიოდ ჩაესმის ყურში. იქვე, შორიხლო, აყვავებულ მდელოზე მისი უსაყვარლესი მამიდა, ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილისა ხეს მიყრდნობია, სახე უღიმის. საამოვნებით უგდებს ყურს ძმისშვილის სიმღერას. აგერ, მშობლებიც გამოჩნდნენ.

– იოსებ, აქეთ, აქეთ! – გაიძახის ეკატერინე. – მოდი, ყური დაუგდე შენი ქალიშვილის სიმღერას. ამ გოგოსგან დიდი მომღერალი დადგება!

– იმღეროს, რამდენიც უნდა, მაგრამ სცენა და მსახიობობა არ გამაგონოთ!

იცოდეთ, ამას არასოდეს დავთანხმდები! – კუმტად პასუხობს იოსები...

– ეჰ, ჩემო ძვირფასო მამიკო, როგორ გაგანაწყენე, როგორ მოგიკალი გული!

– ელენე მძიმედ ოხრავს, სავარძელში წრიალებს. – ჰო, 1900 წელი იყო, შენი წინააღმდეგობის მიუხედავად, მალულად პეტერბურგში რომ გავემგზავრე.

კეთილმა ადამიანებმა მიპატრონეს, ხელი შემინყვეს, რომ ვოკალში მეცადინეობა დამეწყო. ჯერ ბაბო ბაგრატიონთან დავბინავდი. მოიცა, ვინ იყო ევა? საიდან ვიცნობდი? ჰოო, ივანე მაჩაბლის ცოლისდა იყო ბაბო. მახსოვს, იქაც მინახულა აკაკიმ. არ მეშვებოდა, მაგულიანებდა... მერე ნათესავებმა შემიკედლეს. ვერასთან ვცხოვრობდი, გიორგი თარხან-მოურავის ოჯახში...

– სენიორა, სენიორა, ველარ მოვითმინე და ისევ ამოგაკითხეთ. თავს როგორ გრძნობთ? – ჩასძახის პეპინო და მზრუნველობით უსწორებს ყურის აპარატს.

– პეპინო, ისევ შენა ხარ? რაო, რას მეკითხები? აა, გიორგი თარხან-მოურავი ვინ იყოო? ჰოო, გიორგი გენერალ-მაიორი გახლდათ, პეტერბურგში მსახურობდა. მაგან და მისმა ქალიშვილმა ვერამ შემინყვეს ხელი ძალიან, სამ წელიწადში იტალიაში გამაგზავნეს. ეჰ, კარგი დრო იყო სწორედ... – ელენე თითქო წამოდგომას ცდილობს, სავარძელში ადგილს ვერ პოულობს.

– დამშვიდდით, სენიორა, გთხოვთ. თქვენთვის ამდენი მღელვარება არ შეიძლება. სჯობს, გულის წვეთები მიიღოთ, აი, წყალიც. – პეპინო აჩქარებით ასხამს წვეთებს ჭიქაში და ქალბატონს აწვდის, მაგრამ ის უარის ნიშნად ხელს აუქნევს და თავისას განაგრძობს – იტალიაში მგონი ქალაქი არ დარჩენილა, სადაც არ მიმღერია. ჩემი ძვირფასი მეუღლე, ჩემი არტურო, სულ მხარში მედგა. სცენაზეც ხშირად მიწევდა პარტნიორობას და ისიც ხომ გახსოვს, რა ბრწყინვალე პიანისტი იყო, პარტიების მომზადებაში როგორ მეხმარებოდა.

– მე რა უნდა მახსოვდეს, სენიორა. თქვენ ხომ ლამის ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბებს იხსენებთ. – აღარ ეპუება პეპინო. – აკი მოგახსენეთ, მამაჩემი მსახურობდა მაშინ თქვენთან-მეთქი.

ელენე ამრეზით ახედავს პეპინოს და ხელს ჩაიქნევს.

– მიუხედავად იმისა, რომ უკურნებელმა სენმა სცენას ადრე ჩამომაშორა...

ეჰ, რა დამაწიწყებს, 1925 წელს შედგა ჩემი ბოლო გამოსვლა... მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ განვლილი ცხოვრებით. გესმის, პეპინო? წელან როზინასაც ვეუბნებოდი და შენც გეტყვი ბარემ, ერთადერთი დარდი მიმყვება თან, სამშობლოს მონატრება! აბა, იმ დანყველილ წლებში როგორღა ჩავადგამდი ფეხს საქართველოში?! ჩასვლა კი არა, ჩემმა ნათესავებმა იმ მტარვალ ბოლშევიკების შიშით ჩემთან მიწერ-მოწერაც კი შეწყვიტეს. იცოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში რა შავი დღეც დაადგებოდათ!

– სენიორა, გთხოვთ...

– ასე იყო, ჩემო კარგო. რა გაეწყობა, უფალს მადლობას ვწირავ, რომ იმათ მოსვლამდე, 1911-ში გასტროლებზე მოვახერხე ჩასვლა. ჰოი, რა სიხარული იყო, რამხელა ტრიუმფი! ზედიზედ ვიმღერე „ტრავიატაში“, „რიგოლეტოში“, „ფაუსტში“, „ბოჰემიში“. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ მეტად აღარ მეღირსებოდა მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმა?! მაგრამ ხომ ხედავ, პეპინო, უფალმა ბოლომდე არ გამწირა და აქეთ გამომიგზავნა ქართველი მეგობრები... არა, მაინც სად არიან ამდენ ხანს? რად იგვიანებენ?

– დამშვიდდით, სენიორა, გთხოვთ. აი, ნახავთ, საცაა გამოჩნდებიან. ეხლა კი მაპატიეთ, სამზარეულოში უნდა დავბრუნდე. ცოტა ხანში ისევ დაგხედავთ.

– ჰო, კარგი, წადი, წადი...

არაქათგამოცლილი ელენე სავარძლის საზურგეზე მიესვენება და თვალებს მილულავს. პეპინოც გადის.

– აი, მირაყიც ასეთი უნდა, თამარ. გაიხედე, ვინ მოდის ჩვენიკენ? განა ის მოახლე გოგო არაა, წელან რომ გამოგვაბრუნა?

– ჰო, მართლაც ის გოგოა! – თვალებს არ უჯერებს თამარი. წამიც და აქომინებული როზინა მათ წინ აისვეტება.

– სენიორა, სენიორ... მაპატიეთ, გთხოვთ. ერთ საათზე მეტია, დაგეძებთ. როგორ ვერ მოვისაზრე, სანაპიროს გამოვყოლოდი? ვიფიქრე, ქალაქის ცენტრში იქნებოდი კათედრალის სანახავად, ჰოდა ამ

გაუსაძლის სიცხეში...

– კი, მაგრამ, რა მოხდა, შეიცვალა რამე? – მოუთმენლად აწყვეტინებს ვანო სიტყვას ალღევებულ გოგონას.

– დიახ, ასეა. სენიორამ საყვედურებით ამავსო, უარით რომ გამოგისტუმრეთ და სასწრაფოდ გამოგზავნა თქვენს მოსაძებნად. თან დამაბარა, ბოდიშის მოხდა არ დაგავინყდესო... თუ უკვე მოგიხადეთ ბოდიში?.. მოკლედ, გთხოვთ, წამომყვეთ. სენიორა მოუთმენლად გელით. არადა, რამდენი დრო დაგვარგე თქვენს ძებნაში...

ვინ იცის, რა დღეშია საბრალო ქალი.

– ბოდიში მიღებულია! – სიხარულს ვერ ფარავს თამარი.

– სიამოვნებით წამოვალთ... დანახარჯიც უკვე გადავიხადეთ. მაშ, ნულა დავეყოვნებით. – ჩქარობს ვანო.

– აქვე ყოფილხართ ორ ნაბიჯზე და მე კი ლამის მთელი ქალაქი შემოვივრბინე. – არ ცხრება გზაში როზინა. – იმედია, სენიორა ძალიან არ გამიწყნრება, წარმოგიდგენიათ? სამსახურიდან დათხოვნით დამემუქრა, თუ კი ვერ მოგძებნიდით. კიდევ კარგი, გადავჩრი...

–დამშვიდდით, გეთაყვა. ჩვენც ვთხოვთ სენიორას, რომ გაპატიოს, – ალღევებული გოგონას დამშვიდებას ცდილობს ვანო.

– გმადლობთ, სენიორ, დიდი მადლობა. აი, აქეთ უნდა შევუხვიოთ. ცოტა ვიჩქაროთ, ჩამოიქუფრა რალაც. ეტყობა, ამინდი შეიცვლება. ასე იცის ჩვენს მხარეში. ერთ ნუთში პაპანაქება სიცხეა, მეორე ნუთში შეიძლება გრიგალი ამოვარდეს... ისე, ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ, – ენას არ აჩერებს გოგონა. – იტალიაში როგორ მოხვდით? ან ასე კარგად სად შეისწავლეთ ჩვენი ენა? ტურისტებს რალაც არ გავხართ და იმიტომ გეკითხებით.

– არა, რა თქმა უნდა. – ეცინება თამარს. – ჩვენ რამდენიმე თვეა, მილანში ვიმყოფებით, ლა-სკალას თეატრში, სტაჟირებაზე. ვოკალს ვეუფლებით. წამოსვლამდე შესაბამისი მომზადება გავიარეთ და ცხადია, ენაც საქართველოშივე შევისწავლეთ. მითუმეტეს, აქ პრაქტიკა არ გვაკლია.

– თბილისშივე შევიტყვეთ, რომ 20-იან წლებში ლა-სკალაში დიდი წარმატებით გამოდიოდა ჩვენი თანამემამულე ელენე თარხნიშვილი. რაკი ბედმა გავვილიმა და მილანში აღმოვჩნდით, მისი ახლანდელი ადგილ-სამყოფელით დავინტერესდით და გადავწყვიტეთ, ამ ლეგენდარული ქალბატონის მონახულება. გვჯეროდა, რომ გაუხარდებოდა ქართველების ნახვა. – ვანო აღმაცერად შეჰყურებს როზინას – თანაც ვიფიქრეთ, მოგვისმენდა კიდევ, რჩევებს მოგვცემდა.

– მერე რამდენ საინტერესო ამბავს მოგვითხრობდა, – ერთვება თამარი – ის ხომ იმ დროის ყველა საოპერო ვარსკვლავთან ერთად მღეროდა, კარუზოდან მოყოლებული და არა მხოლოდ ლა-სკალას სცენაზე.

– ჰოო, ეგ სახელი მსმენია თითქოს. – დაბნეულად აქნევს თავს როზინა. ახალგაზრდები ღიმილით გადახედავენ ერთმანეთს.

– „თითქოს“ ალბათ იმიტომ, რომ კარუზო 18 წელი ნიუ-იორკში მოღვაწეობდა, მეტროპოლიტენში, თორემ ცხადია, უკეთ გეცოდინებოდათ მისი სახელი. – ხითხითებს თამარი.

– მთელი უბედურება ისაა, რომ – წყენას არ იმჩნევს როზინა – სენიორა უკვე მეტისმეტად მოხუცდა. ისეც მძიმე ავადმყოფია. როგორც ჩანს, არ გაგიგიათ, რომ ყურთასმენაც წაერთვა. ამიტომაც თქვენც ისევე გეუბნებოდით უარს მიღებაზე, როგორც სხვა ყველა მსურველს. არც ახლა ვარ დარწმუნებული, შეძლებს თუ არა თქვენთან ხანგრძლივ საუბარს, მით უფრო – მოსმენას. ჰო, ბარემ აქვე მიხდა გთხოვით, ძალიანაც ნუ გადალლით სენიორას... სიმართლე გითხრათ, კარგად არ მექცევა, თანდათან სულ გაუფუჭდა ხასიათი, მაგრამ მაინც მებრალება.

– გასაგებია ყველაფერი. – ამშვიდება თამარი. – რა გაეწყობა, დიდხანს არ შევანუხებთ. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან ისეც ბევრი რამ ცნობილია. ოჰ, ეს ქარი... მგონი უკვე წვიმასაც იწყებს.

– მარტო ის რად ღირს, – აღფრთოვანებით განაგრძობს ვანო – წარმოგიდგენიათ? მასკანიმ თავისი „სოფლის პატიოსნებისთვის“ სანტუცას პარტიის შემსრულებელთა კონკურსზე 14 მომღერალს შორის თავად შეარჩია თურმე ელენე თარხნიშვილი და იტალიურ დასთან ერთად ამერიკაში წაიყვანა გასტროლებზე.

– ჰოო? ეგ არ ვიცოდი. მარტო ის ვიცი, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სენიორას მეუღლე, არტურო დე ვიტაც მიუწვევიათ ამერიკაში. – პასუხობს როზინა – აი, ამასობაში მოვედით კიდევ. ერთი ფეხით შემოვასწარით ავდარს...

აქოშინებული როზინა მოსაცდელში შეუძღვება სტუმრებს.

– გთხოვთ, ცოტა ხანს აქ დაბრძანდეთ. სენიორა ალბათ ისევ ვერანდაზეა.

ახლავე მოვასხენებ სასიხარულო ამბავს.

ვანო და თამარი შვებით ამოისუნთქავენ და მოხერხებულად კალათებიან რბილ სავარძელში. როზინა ქარივით შეფრიალდება ვერანდაზე.

– სენიორა, სენიორა, სტუმრები მოვიყვანე, ბოდიშს კი გიხდით, ვიდრე მოვძებნიდი... ქვემოთ იცდიან... სენიორა, სენიორა... – როზინა მოხუცს ფრთხილად შეანჯღრევს, მაგრამ ქალბატონი არ ეპასუხება. გაშეშებული ხელიდან პუდრის კოლოფი უვარდება. ძალამოცემული ქარი თეთრ ფეხნილს ნამქერივით ატრიალებს ჰაერში. სადღაც შორს, ჰორიზონტზე ავისმომასწავებლად დაიქუხებს და როზინას სასონარკვეთილ ხმას გადაფარავს: – სენიორა... გვიშველეთ, ჩქარა! პეპინო, სად ხარ, პეპინო?! სტუმრები მოგიყვანეთ... ქართველები... სენიორააა!..

თინა იველაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მასხათიდან გასახლებაში მუსლიმების
ისტორია**

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მას-
მადიანი მოსახლეობის ე. წ. „თურქი მესხების“ დაბრუნე-
ბა-არდაბრუნების პრობლემა და მათი ვინაობის გარკვევის
საკითხი ქართველი ხალხის წინაშე დიდი ხანია დგას და მის
შესახებ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.
ქვეყანაში პოლიტიკური ციებ-ცხელების გამძაფრების შე-
საბამისად ეს პრობლემა პოლემიკის სახით დროდადრო
აქტიურად წამოტივტივდება (თუ შეგნებულად წამოატივ-
ტივებენ, ესეც გასარკვევია).

დღეისათვის არსებული წერილობითი წყაროების,
სპეციალური თუ ზოგადი ლიტერატურის, საარქივო დო-
კუმენტებისა და ჩვენ მიერ ათეული წლების განმავლობაში
მოძიებულ-დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების
ურთიერთშეჯერება-განალიზება საშუალებას იძლევა
ერთხელ და საბოლოოდ განისაზღვროს რა ობიექტურ-სუ-
ბიექტური მიზეზების გამო მოხდა სამცხე-ჯავახეთიდან
მასმადიანური სარწმუნოების მქონე (განურჩევლად ეთნი-
კური კუთვნილებისა) მოსახლეობის შუა აზიაში გასახლება.

გამაჰმადიანებული მოსახლეობა (თარაქამები, ქურთე-
ბი, თურქები, მოგვიანებით ისლამიზებული ქართველები)
გასახლებამდე ძირითადად ახალქალაქისა და ახალციხის
მაზრებში ცხოვრობდა.

წერილობითი დოკუმენტებითა და ეთნოგრაფიული
მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ XX საუკუნის 40-იან წლე-
ბამდე ეთნიკური შემადგენლობითა და რელიგიური კუთვ-
ნილების მიხედვით ახალციხის მაზრის მოსახლეობა მეტად
ჭრელი იყო. აქ ცხოვრობდნენ ძირძველი – მკვიდრი ქრის-
ტიანი და ნაწილობრივ გამაჰმადიანებული ქართველები,
მოგვიანებით შემოცხოვრებული ქურთები, სომხები, ბერ-
ძნები, უკრაინელები თუ ყარაფაფახელები.

1870 წელს გამოცემული „თბილისის გუბერნიის აღწ-
ერილობის მასალების კრებულის“ მონაცემებით იმ დროი-
სათვის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ცხოვრობ-
და: „მასმადიანი ქართველი 20 855 სული, ქურთი – 1 067,
თარაქამა – 2 360, თათარი – 575“ [3, 7], სულ – 24 857 სული.

1916 წლის მონაცემებით მათი რიცხოვრივი რაოდე-
ნობა ასეთი იყო: ახალციხის მაზრაში „ქართველი მუსლიმე-
ბი – 52 000, ქურთები – 2 000, ახალქალაქის მაზრაში – 7
000 მუსლიმი ქართველი, 1000 – ქურთი და 1000 თარაქამა
ცხოვრობდა [4, 12]. ამ მონაცემებს თუ შევაჯამებთ დავი-
ნახავთ, რომ ორივე მაზრაში მთლიანობაში 59 ათასი ქა-
რთველი მასმადიანი, 3000 ქურთი და 1000 თარაქამა ცხ-
ოვრობდა, მთლიანობაში კი ორივე მაზრის მუსლიმანური
მოსახლეობა 63 000 სულს შეადგენდა.

1939 წლის აღწერის მასალებით ახალციხის რაიონ-
ში 83 სოფელი იყო 55 450 სული მოსახლეობით. აქედან
ქრისტიანი ქართველები 5 836 სულს შეადგენდა, გამაჰმა-
დიანებული ქართველი იყო 28 428 სული, სომხები – 16
454 სული, ქურთები – 1 423 სული. ქრისტიანი ქართველე-
ბი ცხოვრობდნენ 7 სოფელში, გამაჰმადიანებული ქარ-
თველები – 47 სოფელში, სომხები – 14 სოფელში, ქურთები
– 24 სოფელში და ბერძნები – 1 სოფელში [1;2,69]. თუ
შევაჯამებთ ამ მონაცემებს დავინახავთ, რომ ახალციხის

რაიონიდან გასახლებულთა რიცხვში მოხვდა 28.428 გამაჰ-
მადიანებული ქართველი და 1 423 ქურთი, სულ 29 851
სული [2,60].

ახალციხის რაიონის მდივნის გ. კირვალაძის მიერ
საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივან კ.
ჩარკვიანისადმი 1944 წლის ივნისში გაგზავნილ მოხსენ-
ებით ბარათში აღნიშნულია: ახალციხის რაიონის გამაჰმა-
დიანებულ ქართველებით დასახლებულ 47 სოფლებიდან,
რომელთა მოსახლეობის მუსლიმანიზაცია ფაქტიურად
18-ე საუკუნიდან დაიწყო (ალარას ვამბობთ ქურთების სო-
ფლებზე). „22 სოფელში კარგად ლაპარაკობენ ქართულ
ენაზე....12 სოფელში ქართულად სუსტად ლაპარაკობს
მცირე ნაწილი მოსახლეობისა და უმეტესობა მათ შორის
მოხუცებია, ახალგაზრდობამ და ბავშვობამ თითქმის არ
იცის ქართული ენა....დღეისათვის 47 სოფლიდან მხოლოდ
24 სოფელში ლაპარაკობენ და ესმით ქართული ენა“ [3,60].

იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ გამაჰმადიანებული
ქართველები ცხოვრობდნენ, უკვე დავიწყებული ჰქონდათ
მშობლიური ქართული, ფაქტიურად თურქულ ენაზე საუ-
ბრობდნენ და მათი უმრავლესობა ეთნიკურად თურქობას
აღიარებდა.

191-1919 წლებში ამ სოფლების გამაჰმადიანებული
მოსახლეობისაგან შემდგარი ფანატიკოსი ბანდები ე. წ. „ხუ-
ჟანები“ (ადგილობრივი მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობა
„ხუჟნებს“ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მცხოვრებ
გამაჰმადიანებულ ქართველთა მოთარეშე ბანდებს ეძახდა)
ქრისტიანებს, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა,
განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა.

გამაჰმადიანებული ქართველების იმ ნაწილს, რომ-
ლებიც ქრისტიან თანამოძმეებთან ერთად ცხოვრობდნენ,
ნაწილობრივ ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი ქართული
ეროვნული ცნობიერება და შეძლებისდაგვარად ეხმარე-
ბოდნენ კიდევ ძნელბედობის ფაშა გაჭირვებაში ჩავარდნილ
ქრისტიან თანამოძმეებს და მოძალადე თანამორწმუნე-
ებისაგან იარაღითაც კი იცავდნენ. სამწუხაროდ, ასეთი
ერთეულები ამინდს ვერ ქმნიდნენ, ამიტომ არა მარტო
ახალქალაქის, არამედ ახალციხის მაზრის ქრისტიან მოსახ-
ლეობასაც ამ წლებში ორჯერ მოუხდა აყრა და გაქცევა.

1944 წლისათვის სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სარ-
წმუნოებაგამოცვლილი ქართული მოსახლეობის, უდიდესი
ნაწილი უკვე თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით
თურქები იყვნენ და ნებაყოფლობით აირჩიეს გასახლე-
ბულთა ბედი. ეს რომ სიმართლეა, იქიდანაც ჩანს, რომ
იმ სოფლებში, სადაც შერეული ქრისტიანულ-მასმადიანუ-
რი სარწმუნოების მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა,
გასახლებამდე რამდენიმე დღით ადრე მოწვეულ იქნა სოფ-
ლის საერთო კრება. ყოველ მაცხოვრებელს განურჩევლად
რწმენისა მიეცა საშუალება ნებაყოფლობით თვითონ აერ-
ჩია ქრისტიანობა – ქართველობა თუ მასმადიანობა-თურ-
ქობა. (ამ რეგიონის მოსახლეობაში ქრისტიანობა ნიშნავდა
ქართველობას, ხოლო მასმადიანობა – თათრობა-თურქო-
ბას). არა მარტო ქურთებმა, თარაქამებმა და თურქებმა,
არამედ სარწმუნოება-გამოცვლილმა ქართველთა დიდმა
უმრავლესობამაც (რამდენიმე ცალკეული ოჯახების გარდა)
შეგნებულად თავის რჯულად მაჰმადიანობა, ე.ი. თურქო-
ბა აღიარეს და ამდენად თვითონვე გადაწყვიტეს თავიანთი
ბედი; მათ რჯულის დატოვებას სამშობლოს დატოვება არ-
ჩიეს და, როგორც მასალებიდან ჩანს, არა თუ ისინი, არ-
ამედ მათი დღევანდელი შთამომავლობაც არ ნანობენ.

უკვე ათეული წლებია ქართველი თუ უცხოელი „ჭკუის დამრიგებელი“ დაჟინებით გვიკვირებენ, რომ ამ მოსახლეობის გასახლება იყო „საბჭოთა ბოროტება“, ამ მოსახლეობის მიმართ შეგნებულად გატარებული გენოციდი“ და ა.შ. მაგრამ არავინ ხმას არ იღებს იმ ობიექტურ (თუნდაც სუბიექტურ) მიზეზებზე, რის საფუძველზეც გადაწყდა მაინც და მაინც საზღვრისპირა რეგიონებიდან, მხოლოდ მაჰმადიანი მოსახლეობის: ქურთების, თურქების, ჰემშირების, სარნმუნოება გამოცვლილი ქართველების და არა აქ მაცხოვრებელი სხვა ხალხის, მაგალითად სომხების, ებრაელების, უკრაინელების, ოსების ან დაუშვით, ქვემო ქართლიდან აზერბაიჯანელების გასახლება. ყველა ლაპარაკობს ამ გასაიდუმლოებული დადგენილების შესახებ, იშველიებენ „გადასახლების ჩატარების შესახებ არსებულ ინსტრუქციას“, მაგრამ სრული ტექსტი (თავისი პრეამბულით) ამ საიდუმლო დადგენილება-ბრძანებისა არც ერთ კრიტიკოსს დაფიქსირებული არ აქვს. ხალხის მესხიერებაში შემორჩენილ რეალობებს კი იგნორირებას უკეთებენ. ისე კი ყველა კერძო პირი და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, ვინც ამ გასახლებულთა საკითხებზე „მუშაობს“ მასალების და ინფორმაციის მისაღებად არა სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ რეპატრიანტებისაგან მიღებული ინფორმაციით კმაყოფილდებიან და მათ მონათხრობს მოპირდაპირე მხარესთან გადაუმონებლად საქმეში ჩაუხედავ მკითხველს უტყუარ საბუთად აწვდიან.

ცნობილი ფაქტია, რომ, „საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში საზღვარი თურქეთთან ისე მტკიცე არ იყო, რომ თავისუფალ მოძრაობას დაჩვეული თათრები მისვლა-მოსვლას დასწოდებდნენ... სასაზღვრო რეჟიმი 1937 წლიდან გამკაცრდა, მაგრამ მისვლა-მოსვლა მაინც გრძელდებოდა. თათრები საზღვარზე გადადიოდნენ და იქიდან ახლობლების მოკითხვა და დანაბარები მოჰქონდათ აქაურებისათვის. თურქეთში ბევრი ქრისტიანი ქართველიც იყო პოლიტიკური თუ სხვა მოტივით გადახვეწილი. 1944 წლამდეც კი არალეგალური მიმოსვლა და მათთან კონტაქტი არ შეწყვეტილა,“ – სამართლიანად აღნიშნავს მ. ბერიძე [6, 110].

„მეორე მსოფლიო ომის მოლოდინში მყოფი საბჭოთა ხელისუფლება ახალ აღწერას ატარებს და თან მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობასაც ფარულად ამოწმებს. 1937 წლის აღწერის შედეგები მთავრობამ „დეფექტურად“ ჩათვალა და 1939 წელს ხელახალი აღწერა ჩაატარა. ამ აღწერის დროს მთლიანად იქნა უგულვებელყოფილი ეროვნული მიკუთვნებულობის განსაზღვრის გენეტიკური და ისტორიული ფაქტორი. გამოსაკითხი პირი საკუთარ ეროვნულობას თვითონ ასახელებდა [8,59]. ამ აღწერისას კუთხის მაჰმადიანმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი ეროვნული მიკუთვნებულობა, საბოლოოდ, საკუთარი ნებით ოფიციალურად გაემიჯნა ქართველობას და თავი თურქად (აზერბაიჯანელად) ჩათვალა [6,112]. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ამ ფაქტში სამიში ტენდენცია დაინახა. სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანური სარნმუნოების მქონე მოსახლეობის (განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა) დიდი ნაწილი დაუფარავად აცხადებდა არა მხოლოდ თურქეთთან კონფესიურ და ეთნიკურ იდენტურობას, არამედ გამოხატავდა ფარულ პოლიტიკურ ნებასაც – თურქეთის სახელმწიფოსადმი სიმპათიას და მისგან შესაძლო მფარველობის იმედს.

როგორც ჩანს, მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევა საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის – ცკკას ბიუროს 1937 წლის 15 ივნისის დადგენილებით, აღწერის წინ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან შეიქმნა კომისია, რომელიც ვითარების გასარკვევად სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრა.

კომისია ადგილზე ატარებდა მოსახლეობის გამოკითხვას მათი ეროვნული კუთვნილების შესახებ. არაოფიციალური ცნობებით მაჰმადიანებს წინანდადებდა აძლევდნენ, რომ ქართველებად დაწერილიყვნენ. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში აკად. ს. ჯანაშიაც შედიოდა. მისი გადმოცემით მან მოიარა სამცხე-ჯავახეთის სოფლები, სადაც ხვდებოდა მაჰმადიან მოსახლეობას, არკვევდა მათ ეროვნულ მიკუთვნებულობას და სთავაზობდა, დაწერილიყვნენ ქართველებად. ამ წინადადებას მოსახლეობა სასტიკი უარით ხვდებოდა. მ. ბერიძეს მოტანილი აქვს არა ერთი ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორი წინააღმდეგი იყო მუსლიმანური მოსახლეობა მათ პასპორტისა თუ აღწერის გრაფაში ქართველი ჩაწერათ. ერთ-ერთი მთხრობელის გადმოცემით „ასპინძის რაიკომში მაშინ მუშაობდა ინდუსული გელაშვილი, სახელად მურთაზი ერქვა, ქართულად ჩვეულებრივად ლაპარაკობდა. რაიკომის მდივანს ეტყობა ენანებოდა გასასახლებლად და შესთავაზა, – კაცო, მაინც ქართული გვარი გაქვს და რა იქნება გაქართველდო, – არაო, რჯულს არ შევიცვლიო. – რჯულის შეცვლას და მონათვლას ხო არავინ ავალბებდა, მარტო პასპორტში უნდა ჩაწერა ეროვნებად ქართველი. – არ ქნა, არ აღიარა თავი ქართველად და გაასახლეს სხვებთან ერთად“ [6, 116]. მისი მართებული შენიშვნით: ამ საგანგებო აქციის, მიზანი „იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეიძლებოდა ქართველ მაჰმადიანთა თურქული ორიენტაციიდან შემობრუნება და მათში პოლიტიკური დასაყრდენის მოპოვება“ [6, 112].

ფაქტია, რომ 1941-1944 წლებში თურქეთის საზღვრებთან მოსახლე მაჰმადიანურმა მოსახლეობამ მთელი რიგი სირთულეების წინაშე დააყენა იმდროინდელი ხელისუფლება. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე ფაქტს მოვიტანთ. სამცხე-ჯავახეთში დარჩენილ ადგილობრივ მკვიდრ ქრისტიან ქართველთა გადმოცემით: „ჩვენი ქვეყანა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იყო, რადგან ის გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ომში ჩაბმულიყო ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ აქ საზღვართან ჩვენი სამხედრო ბატალიონები იდგა და თურქების გამო გერმანიის ფრონტზე ვერ მიდიოდა. მართალია, ჯარი იდგა, მაგრამ თათრების გადასვლა-გადმოსვლა მაინც არ წყდებოდა. თათრებში ჩუმად ძალიან მუშაობდნენ მოლები და ხალხს აქეზებდნენ, რომ ომში არ წასულიყვნენ. არაერთხელ მოხდა, რომ ვისაც პოვესტკა (ჯარში გასაწვევი ბარათი) მიუვიდა ომში განწვევისა ან საზღვარზე გადავიდა ჩუმად და თურქეთში გაიქცა ან შეირაღებული ტყეში გავიდა. ომის პერიოდში ადიგენის ტყეებში ასეთი 200 კაციანი შეიარაღებული რამდენიმე ბანდა იყო“ [7].

1942 წელს სოფელ მუსხის გამაჰმადიანებულ მოსახლეობისაგან შეიქმნა 300 კაციანი რაზმი და ფრონტზე წასვლის ნაცვლად ტყეში გავიდა. ამავე წელს სოფელ ხონიდან ფრონტზე განვეულმა ოცდამდე მაჰმადიანმა წევრანდელმა საზღვარი გადალახა და თურქეთში გადავიდა. თურქეთის მხრიდან მეორე ფრონტის გახსნის მოლოდინში თურქეთის ხელშეწყობით შეიარაღებულ, გამაჰმადიანებულ ქართველთა 300 კაციანი ჯგუფი მოხის ტყეში იყო

დაბანაკებული. მათ გასანიჭრალეზღად ხელისუფლებას სამხედრო ძალის გამოყენება დასჭირდა. ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია დავინახოთ თუ როგორი „ეროვნული სულისკვეთებით“ იყო გამსჭვალული სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებელი მუსლიმანი მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი.

ინფორმატორთა ინფორმაციით, „ომის დამთავრებისას ქვეყნის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა თურქეთისაგან მიტაცებული ჩვენი მიწები დაებრუნებინა. ამიტომ ამონებდა თათრების სანდოობას და მათ სოფლებში თავისი ხალხი შეგზავნა. მაგალითად გასახლებამდე რამდენიმე თვით ადრე 60 ჩეკისტი შევიდა ვალეში ვითომ ომიდან გამოქცეულები. ისინი საბჭოელ ცხოვრობდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ „მაღე თურქეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყებს ომს და ვისაც იარაღი გაქვთ ჩვენთან მოიტანეთ და შემოგვიერთდით.“ ძალიან ბევრმა თათარმა დამალული იარაღი (თოფი, ვინტოკვა, ტყვიამფრქვევიც კი) მათთან ჩუმად მიიტანა და თურქების შემოსვლას ელოდნენ.“[7].

„მაჰმადიანური მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია, როგორც ჩანს, დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა მხარის დანარჩენი მოსახლეობისათვის. თათრები თავიანთ მომავალს აშკარად აკავშირებდნენ სხვა სახელმწიფოს ბედთან. ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქართველ მოსახლეობაში გაუჩნდა თათრების აგრესიის შიში“[6,115].

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, 64-65 ათასი მუსლიმანური სარწმუნოების მქონე ადამიანი გაასახლეს და არა 125 ათასი, როგორც ამას ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია თუ მისი წარმომადგენელი წარმოგიდგენს [3,12]. ამ ციფრს თუ დავამატებთ სომხეთიდან რამდენიმე ათეულ ათას გასახლებულ მუსლიმანურ მოსახლეობას, რომელთა შორის „1926 წლის აღწერით მარტო ყარაფაჯახელი 6311 სული იყო [10,24], ამას თუ დავამატებთ იქ მაცხოვრებელ ათასობით სხვა ტომის წარმომადგენლებს, მაშინ კი გამოვა 125 ათასი.

მეტად საინტერესოა ერთი გარემოება. – სომხეთმა არ აღიარა მისი ტერიტორიიდან იმ რამდენიმე ათეული ათასი მუსლიმი მოსახლეობის გასახლების ფაქტი და, აქედან გამომდინარე, არც ვალდებულება აიღო მათი უკან დაბრუნების შესახებ. როგორც ჩანს, უცხოეთის გარკვეული წრეების მიერ მსუყე დაფინანსებით საქართველოში დაფუნდებულმა „კვლევითმა“ ინსტიტუტებმა და ნაწილობრივ ამოსული სოკოებივით მომრავლებულმა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს მოსახლეობაც მიზანმიმართულად „თურქ-მესხებად“ მონათლეს და საქართველოს თავსატეხად აქციეს.

ყველა პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია, ვისაც არ ეზარება ამ თემაზე საუბარი, რატომღაც სამხრეთ კავკასიიდან (როგორც საქართველოს სხვა კუთხეებიდან, ისე სომხეთიდან) გასახლებულ მუსლიმანურ მოსახლეობას გარკვეული პოლიტიკური მიზნით მხოლოდ და მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებლებად მიიჩნევს და მათ გენეტიკურ მესხიერებაზე ამახვილებს ყურადღებას.

საერთოდ, რაც შეეხება „გენეტიკურ მესხიერებას“ (რომლისთვისაც ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე თავს იკლავს), იგი სიცოცხლის უნარიანია მხოლოდ იმ ხალხში,

რომელსაც არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება, მშობლიური ენა, ტრადიციები და ეროვნული მეობა. ამ კუთხით გენეტიკური მესხიერება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სრულიად გააზრებულად შემორჩენილი აქვთ არა რალაც 60-70 წლის წინათ სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ გამაჰმადიანებულ ქართველობას, არამედ სამი-ოთხი საუკუნის წინ კახეთიდან ძალით აყრილ და ფერეიდანში გადასახლებულებს, ასევე თურქეთის საქართველოში საკუთარ მიწაზე მცხოვრებ მილიონობით ქართველს, რომლებსაც რამდენიმე ასეული წლის წინ სარწმუნოება შეუცვალეს, მაგრამ ეროვნული მეობა, მენტალიტეტი, თვითშეგნება არ დაუკარგავთ და დღესაც (ყოველ შემთხვევაში ოჯახში მაინც) მშობლიურ-ქართულ ენაზე მეტყველებენ.

ჩვენა საუბედუროდ, თავის დროზე შევარდნაძის ხელისუფლებამ 1999 წელს (მაშინ როდესაც ქვეყანას 300 ათასი იძულებით გადაადგილებული ლტოლვილი ჰყავდა) საერთაშორისო ინსტიტუტებში დამკვიდრებისა თუ გარეშე ძალების ფარული ზენოლით მიიღო 1944 წელს სამხრეთ კავკასიიდან გასახლებული მუსლიმანური მოსახლეობის უკან დაბრუნების შეუსაბამო გადაწყვეტილება და ვალდებულებაც აიღო, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა და დღესაც ეწინააღმდეგება ერისა და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს.

დღეს, როდესაც, ლუკმა-პურის შესაძენ გროშების მოსაპოვებლად საქართველოდან, რომლის მოსახლეობაც ოფიციალურად ოთხ მილიონს ძლივს მოითვლის, თითქმის მილიონნახევარი შრომისუნარიანი საზღვარგარეთ არის გადახვენილი, მათი დაბრუნებისათვის შრომითი პირობების შექმნის ნაცვლად, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან (და არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან) სარწმუნოებაგამოცვლილი და დიდ უმრავლესობაში ეროვნულ თვითშეგნებას დაკარგული გასახლებული მოსახლეობის უკან დაბრუნების შესახებ ევროკავშირისა თუ რალაცა გაურკვეველი ფუნქციების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ უაზრო ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობას გამოვიკვდივივართ.

ევროსაბჭოს, როცა დასჭირდება, დრო და დრო საქართველოს შეახსენებს ამ ვალდებულებების არსებობას. სწორედ „ამგვარი შეხსენების“ შემდეგ ქართულ პოლიტიკაში აქტიურად მუსირებს ე. წ. „თურქი მესხების“ „სამშობლოში“ დაბრუნებისა და მათი ინტეგრაციის საკითხი. ამ საქმეში ჩარეულია არაერთი პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ვითომდა საქმის შესასწავლად ასეულათასობით (დღეისათვის უკვე მილიონობით) თანხებს ითვისებენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სრულიად მართებულად აღნიშნავს ადამიანთა უფლების დამცველი გიორგი თევზაძე: საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის „გასახლების გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო საკავშირო ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე. საინტერესოა ევროსაბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომა. რატომ ავალდებულებენ საქართველოს საკავშირო ხელისუფლების ერთპიროვნულ გადაწყვეტილებების შედეგების ლიკვიდაციას“[9].

ამ არასამთავრობოების ნაცვლად (რომლის წევრთა უმრავლესობამ ხეირიანად არც კი იცის ახალქალაქისა და ახალციხის მასობრივი საზღვრები რა ტერიტორიებს მოიცავდა, ვინ ცხოვრობდა წარსულში ან ვინ ცხოვრობს

დღეს, (ამიტომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირად დაუზუსტებელი და მცდარია) უკეთესი იქნება შეიქმნეს კომპეტენტურ სპეციალისტთა მცირე ჯგუფი. (მასში აუცილებლად ჩართულნი უნდა იყვნენ გამოცდილი იურისტები და ისტორიკოს-ეთნოგრაფები), რომელიც დღევანდელ ცალ-ცალკე სიღრმისეულად შეისწავლის აღნიშნული მახრების იმდროინდელი მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას, შემოცხოვრების მიზანს, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, გასახლების ნამდვილ მიზეზს და არა შეთხზულსა თუ ყურით მოთრეულს, მათი მიღებისათვის ჩვენი ქვეყნის მზაობას და ა. შ. ასეთი საჭიროებების და უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ყოველი წვრილმანი თუ მეორეხარისხოვანი დეტალების გულდასმით საფუძვლიანი გაანალიზება. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემოგვრჩა ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ საკითხი უმოკლეს ვადაში ფუნდამენტურად შეისწავლონ და საფუძვლიანი რეკომენდაციები მიანდონ ხელისუფლებას.

შეიძლება ვინმემ გვისაყვედუროს, ყოველივე ეს კერძო და წვრილმანი საქმეა და კომისიების შექმნა თავის ატიკვებად არ ღირსო, მაგრამ როცა ასეთ რთულ და სადღეისოდ მეტად გამწვავებულ პრობლემაზე ვმსჯელობთ, ყოველი წვრილმანი თუ კერძო ფაქტი უნდა იქნეს გათვალისწინებული-გაანალიზებული, რომ საბედისწერო შეცდომა არ დაუშვათ.

საქართველოში შემოდინებისა და თავისი პოზიციების განმტკიცების სურვილით შეპყრობილი „მოძმისა“ თუ „კეთილი მეზობლის“ მიერ საგანგებოდ დამუშავებული და მომზადებული სუბიექტი დროებით არც ქართულ წარმომავლობაზე და არც ქართული გვარის „მასხოვრობაზე“ იტყვის უარს, რათა ჩვენი ქვეყნის საზიანოდ გარედან დაკვეთილი, შორს გამიზნული ვერაგული ჩანაფიქრის განსახორციელებლად როგორმე „სამშობლოში“ დაბრუნდეს. ამას გვაფიქრებინებს ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. კერძოდ: რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობის დაპირისპირების არაერთი შემთხვევა, მიხეილ სააკაშვილის მიერ თურქეთის ათასამდე მოქალაქისადმი უპირობოდ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, საქართველოში ისლამისათა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ თურქეთის გარკვეული პოლიტიკური წრეების განცხადებები და ა. შ.

ჩვენ ადრეც ვაცხადებდით და ახლაც ვამბობთ, რომ ქართველ კაცს, თუ მას შემორჩენილი აქვს ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამშობლოში დაბრუნების სურვილი, ეს ჩვენი საზრუნავია და შეძლებისდაგვარად კიდევ უნდა დავეხმაროთ. მაგრამ ისიც უნდა დავგვეხმაროს იმით, რომ გაითვალისწინოს ქვეყნის დღევანდელი შესაძლებლობები, შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასთანხმდეს იმას, რასაც არსებული ვითარებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესთავაზებს. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს მ. ბერიძე: „ერთმანეთის ნდობაა საჭირო. საქართველომ უნდა გაუფოს მაჰმადიან მესხებს თავის მდგომარეობის გამო, მაგრამ მესხებმაც უნდა გაუფონ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს (თუ მათ მართლა ისტორიულ სამშობლოდ საქართველო მიაჩნიათ – თ. ი.), ამით ყველა მხარე მოგებული დარჩება“ [5; 194].

რაც შეეხება სახელს, როგორც პირველ წერილში უკვე აღვნიშნეთ, მათი „თურქ-მესხებად“ მონათვლა გარკვეული მიზანმიმართულებით ხელოვნურია და ქართულ საზოგა-

დობაში შემოგდებული. ასეთი რამ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ხდება. საინტერესოა, სხვადასხვა საერთაშორისო და ჩვენს საქართველოში არსებულმა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებმა ეს არ იციან ან იციან, მაგრამ „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ მამამთავართა დაკვეთითა თუ მსუყე დაფინანსებით ერთ-ერთი უძველესი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველი ერის დენაციონალიზმისათვის, მისი ერთიანი ეროვნული მთლიანობის, ეროვნული თვითშეგნების განადგურების მიზნით შეგნებულად იქცევიან ასე.

„თურქი მესხები“ არა, მაგრამ „გათურქებული მესხები“ შეიძლება ვუნდოთ არა სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ ტომობრივად ჭრელ მაჰმადიან მოსახლეობას, არამედ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე საკუთარ ისტორიულ მინა-წყალზე (ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, შავშეთი, ლაზისტანი და ა. შ.) მცხოვრებ მილიონობით ძირძველ ადგილობრივ-მკვიდრ მაჰმადიანებულ ქართველობას, რომლებმაც დღემდე შემოინახეს ეროვნული თვითშეგნება, არაოფიციალურად გვარები და მშობლიური ქართული ენა (ყოველ შემთხვევაში ოჯახში სალაპარაკოდ მაინც).

P.S. აქვე გვინდა ხაზი გაუფხვავოთ იმ გარემოებას, რომ ქართულ მინაზე სახელმწიფოებრივი თვალთახედვით სოფლის მეურნეობას ქართველი კაცის გარდა მოწვეულ-მოპატიუბული არაბები, ინდოელები თურქები, ჩინელები თუ ბურები ვერ ააღორძინებენ. ისინი ჩვენს ქვეყანაში შემოდიან არა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკის აღორძინებისათვის, არამედ მხოლოდ საკუთარი პირადი შემოსავლის გაზრდის მიზნით. აქედან გამომდინარე, უცხოელების მიერ ჩვენს მიწებში გადმოგდებულ კაპიკებს კი არ უნდა დაეხარბდეთ, არამედ გარედან უნდა მოვიზიდოთ პირველ რიგში ქართველობა, თუნდაც 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული ქართული ეროვნული მენტალიტეტის მქონე ადამიანები, ვისაც სამშობლოში დაბრუნება და დამკვიდრება ქვეყნის აღორძინება-განვითარება სურს. მოქალაქეობის მიღებამდე დროებით მათ მფლობელობაში სახელმწიფომ უნდა გადასცეს გარკვეული რაოდენობის სახნავ-სათესი. (ჩვენდა სამწუხაროდ დღეისათვის საკმაოდ დიდი რაოდენობით – ასეულობით ჰექტარი ცალკეულ სოფელთა კუთვნილი სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი თაღლითური გზით ფარულად, უკანონოდ მიტაცებული აქვს მავანს და მავანს ისე, რომ სოფელმაც არ იცის. ეს უკანასკნელი კი მაშინ იგებს თავისი მიწების გასხვისების ამბავს, როცა იქ ვილაცა გადამთიელი უცხოელი – ჩინელი, ინდოელი თუ ჰოლანდიელი ფარულად შეისყიდის ე.წ. „ძველი მეპატრონისაგან“ და „ახალი მეპატრონის“ სახით მოევიწინება სოფელს). საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ, (როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია მიღებული, გარკვეული მოთხოვნების შესრულება უნდა მოხდეს) კი, თუ სურვილი ექნებათ, სახელმწიფომ უფადო სარგებლობით დაიმტკიცოს აღნიშნული მიწები. ყოველივე ეს ჩვენი შინაური საქმეა და თუ ჩვენ სრულუფლებიანი, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვჭირდება არც გაეროს, არც მსოფლიო ბანკისა და არც ევროკავშირის ნინაშე რაიმე ვალდებულებების აღება ან მათი, ხშირად ჩვენი სინამდვილისათვის მიუღებელი, მითითებებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება-შესრულება.

მწერლის ხურჯინში გადანახული ამბები...

ვაჟა ჩორდელი

„ნაგებნაპი ჭკვიანი გურული“ ანუ
ფრაგმენტი გივი ძნელაძის ცხოვრებიდან

გახსოვთ ალბათ (ანდა რა დაგავინებთ!), ახლო წარსულში, სულ რაღაც სამიოდე ათეული წლის წინ, ისეთი ფაში იდგა საქართველოში, დედას შვილი ვერ აყავდა ხელში! საითაც არ უნდა გაგეხედა, გაჭირვებულსა და შეჭირვებულს თვალს ვერ ააცდენდი!..

...ჰოოდა, ასეთი ფაშიანობის ერთი დღის საღამო ხანს, ის-ის იყო, ბინდი იწყებოდა, გამორჩეულმა პოეტმა, დარბაისელმა, სიტყვა ძუნწმა გურულმა (თურმე გურიაშიც ყოფილან სიტყვაძუნწები) გივი ძნელაძემ დამირეკა:

– ვაჟიკო, ჩემო უმცროსო ძმაო, ვარდენის-ძევე („იჩებოთ“ არავის არ მიმართავდა ბატონი გივი!), გურიიდან დამირეკეს, დედაჩემი ძალიან ცუდად ყოფილა, კიბეზე დაცდენია ფეხი, დღესვე, ამ წუთასვე უნდა წავიდე სოფელ ბურნათში, წამლები უკვე ნაყიდი მაქვს და უნდა ჩავუტანო! იქ თუ ვერ მივხედე, თუ ვერავინ მიმიხედა, აქეთ წამოვიყვან და... – გივი ცოტა შეჩერდა, მაგრამ მალევე გააგრძელა, – ეგებ დედა ცოტა ხნით მაინც ვაჩუქო ჩემ თავს!.. ერთი სიტყვით, არ დამზარდე, უნდა გამყვე სოფელში!.. – ისევ შეყოვნდა რამდენიმე წამით პოეტი, თუმცა საწუხარი, მძიმე-მძიმედ მაინც ამოღერდა, – ვიცი, რა გაჭირვებაც არის დღეს საწვავზე, რა ვაი-ვიში ტრიალებს ბენზინგასამართებზე, მარა, ისიც ხომ ვიცი, შენ რომ ისეც არ იქნები, შავი დღისთვის, გადანახული რომ არ გქონდეს მარაგი!


– სადარბაზოს წინ დამხვდი, ახლავე გამოვდივარ-მეთქი! – ჩავძახე ყურმილში და ტკივილნარევიად, ღრმად ჩავისუნთქ-ამოვისუნთქე.

...როგორც მჩვეოდა, ხალხში გასვლის წინ, ახლაც თეთრი პერანგი ჩავიცვი, რატომღაც, იმ დღეს, ლაჟღაჟა წითელი ჰალსტუხიც გავიკეთე, მერე ავტოფარეხში „შევილაღე“, გაჭირვების კი არა, გადაჭირვებისთვის შემონახული ოცლიტრიანი ღურალუმინის ბიდონი გამოვიტანე, მანქანის ავზში ჩავაპირქვავე (თხუთმეტლიტრამდე მესხა კიდევ!) და ელდანაკრავივით, კანდელაკის ქუჩისკენ მისაყვან გზას გავსდგიე...

სადარბაზომდე მისასვლელი ჭიშკრით იყო ჩაკეტილი, (ალბათ სხვა მანქანებს რომ არ ეხრიგინათ კორპუსის უკან), ბატონი გივი და მისი მეუღლე, ქალბატონი ლამარა, თითქმის ქუჩაში დამხვდნენ, გაჩერდი. გივი მანქანისკენ წამოვიდა. მეუღლემ მოაძახა, კარგად გაეიგონე, მეც წამოვალ, დედაშენს მე უკეთ მივხედავო, მაგრამ გივი მოჭრით მიახალა უარი: თუ უფალმა გვაცალა მე და დედაჩემს, საქმეს მეც მოვერევიო, შენ მინ იყავი, შვილებს პატრონი უნდაო...

...და, დავიძარით!

...ბურნათში რამდენიმე დღე დავყავით. რაიონის ექიმები თავს ეხვივნენ ბატონ გივის დედას. მეზობლე-



ბი ჰო და ჰო! ის კი არა, ერთი გაუპარსავი გურული, ხნედაკრული კაცი, მოვიდა გივისა და მისი დედის სანახავად და ხუთლიტრიანი პლასტმასის ჭურჭლით ბენზინიც კი მოგიტანა.

...ახლა პირი თბილისისკენ ვქენით. ბენზინის მაჩვენებელს მალი-მალ ჩავციცქვინებდი. ჩვენდა სამწუხაროდ, ისარი, ჯიქურ, ქვევით და ქვევით მთელი „მონდომებით“ მიცოცავდა.

„არ გეყოფა ბენზინი, – ველაპარაკებოდი ფიქრებში საკუთარ თავს, – რაღაც უნდა ვიღოთო, მარა, რა? თითქმის ბენზინგასამართების უმეტესობა დახურული იყო, თუ სადმე მუშაობდა, იმის ირგვლივ თავ-პირის გლეჯვა ტრიალებდა. ვინ მოგცემდა ახლა საწვავს რიგში დგომისა და ღამის თევის გარეშე.“

– ვაჟიკა ვარდენის-ძევე, რატომ არ იღებ ხმას, რას ფიქრობ ასე უსაშველოს? – მითხრა ბატონმა გივიმ და ეჭვის თვალით შემომხედა.

– ბენზინი მადარდებს! ხომ ხედავ, ყველაფერი დაკეტილია, არ ვიცი, საშველს სად წავადგებით თავზე, ანდა, ჩვენი გულის სამწუხაროდ, კაცმა არ იცის, სად წამოგვეწევა უსაშველობა.

– დაღმართები იგორავე, პედალს ფეხი არ დააკარო! ეგებ გორამდე ჩავჩოჩდე თ როგორმე! – დარიგება, კაი მედალიონივით, კისერზე ჩამოშვდა ბატონმა გივიმ.

...ჩასაფრებელი უსაშველობა მალევე გადაგვიდგა წინ – ცუდად აფიფხინ-აჯიკავ-დაჯიკავდა მანქანა და ძრავა ჩაქრა.

– ჩვენმა ლურჯამ (ცისფერი მანქანა მყავდა მაშინ!) დაიოჩნა-მეთქი, ოთხივე ფეხზე ნალი აეყარა... – მოვახსენე ბატონ გივის და ირიზად გავხედე.

– რომელი საათია და, საერთოდ, ახლა სადა ვართ? – მკითხა გივიმ და ღრმად ამოიხვნეშა.

– შუალამეა, გორში ვართ და ბენზინგასამართამდე, დაახლოებით, 80 მეტრი გვაშორებს! – ვუპასუხე თავჩაქინდვრით კოლეგას.

– ამ საქმეს ახლა, არც – მეტი, არც – ნაკლები, ნამეტნავი ჭკვიანი გურული კაცი ჭირდება! – წარმოთქვა გივიმ მთელი სიღინჯით და შემომხედა.

– არც ვაციე და არც ვაცხელე, ეგრევე ვუთხარი: ამ კინალამ ღამეგადასულზე, შუა გორში, სად ნახავ გურულს და თანაც ნამეტნავად ჭკვიანს?!

– აბა, ვინ ვარ ახლა მე, ბატონო ვარდენის ძევე! მე შენ გეტყვი, ტანი არ მიწყობს ხელს თუ შეხედულება მაკლია, ანდა სიტყვა-პასუხში ჩამჭრის რომელიმე აქაური!

...ღიმილით მოვუხადე ბოდიში.

– ხომ იცი, მე რომ ჰალსტუხებს არ ვატარებ,

მაგრამ გაჭირვებამ პატარძალთან დამანვინაო, ამ გამოთქმიდან გამომდინარე, მოიხსენი ეგ წითლად მოღვაწე ჰალსტუხი, ჩამომკიდე კისერზე, ყელთან ლამაზად მომიმარყუჟე, მერე ბენზინგასამართი ოფისისკენ წადი, არ შეიძლება, იქ ვინმე რომ არ იყოს მთავრობიდან – აი, აღმასკომი რომ ჰქვია, ზოგჯერ დაღმასკომსაც რომ ეძახიან, ან... ან... ერთი სიტყვით, ვილაც უფროსის მაგვარი, ზედამხედველი იქნება და მოჭრით უთხარი: მანქანაში თბილისის კიროვის სახელობის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიზის, ბატონი გივი ძნელაძე-თქო. – ისიც მოახსენე, აქა და იქ ვიყავით ამა და იმ საქმეზე, დედამისი ექიმებმა ფეხზე დააყენეს და ახლა თბილისში ვბრუნდებით, სამწუხაროდ, ბენზინის ბოლო წვეთიც აქ ჩამოგვეცალა და გავჩერდი-თქვა. – მთელი სერიოზულობით „დამმოძღვრა“ ბატონმა გივიმ.

– კი, მარა, რომ გაიკითხონ შენი აღმასკომობანა და ტყუილში გამოგვიჭირონ, მერე რა ვქნათ? – ეჭვქვეშ დავაყენე გივის ვერსია.

– შენ, ბიჭო, მართლა რაჭველი ყოფილხარ! ტყუილად ისწავლე ქუთაისში და, დავიჯერო, უბუჟოდ ჩაიარა შენმა საფიჩხიაზე ცხოვრების ხუთმა წელმა? ისეთი ტყუილი უნდა თქვა და ისე უნდა თქვა, რომ შენც უნდა გჯეროდეს! გაჭირვებაში ყველაფერი მოდის! – უფრო „გაფიცხდა“ ბატონი გივი.

...მივადექი ბენზინგასამართის ოფისის კარს, შიგ შესვლა არც დამჭირებია, ზედამხედველი ვიკითხე თუ არა, მე ვარო, მითხრა ერთმა წარმოსადეგი შეხედულების კაცმა. უმაღლ მოვახსენე კიროვის სახელობის აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გა-

საჭირი. ტყუილი რა სუფრაზე მოსატანია, დამხედური, ანუ მასპინძელი, მაშინვე წამომყვა მანქანამდე, ბატონ გივის გაეცნო, უკან წავიდა და ათ წუთში ტანწვრილი ბიჭი მოვიდა, ოცლიტრიანი ბიდონი მოიტანა, ჩვენი მანქანის ავზში მთლიანად ჩაცალა, მერე კი იმ კაცის დანაბარები მოგვახსენა:

– ბატონებო, სამსონიჩი ოფისში გელოდებათ, სულ რაღაც ათიოდე წუთით უნდა წამობრძანდეთ.

გივისი არ ვიცი, მაგრამ მე ტანზე დამბურძგლა.

ბიჭი ჯანმრთელი ნაბიჯით მიგვიძღვოდა წინ.

...ბევრი რომ არ გავაგრძელო, სახელდახელო მაგიდა გაეშალათ და ჩვენ გველოდებოდნენ. შენ თათარიახლი უძახე და კინალამ ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას...

...კარგა გვარიანად შევექვიფიანდით. თბილისისა და კოლეგების დიდი მოკითხვებით გამოგვაცვილეს.

...სამასიოდე მეტრი არც კი გვქონდა გავლილი, რომ ბატონმა გივიმ ბრძანება გასცა:

– გააჩერე მანქანა, მომხსენი შენი ოქროსმედლოსანი ჰალსტუხი და ისევ შენ ჩამოიკიდე! ისიც არ დაგავინწყდეს, საქარე მინაზე წარწერა გამოფინე, შენახული რომ გაქვს, საცხა მად...

...ასეც მოვიქეცი! საქარე მინას ორიოდ წუთში ასეთი წარწერა ამშვენებდა: უურნალ „ნიანგის“ რედაქცია!

– ეს ყველაფერი კარგი! ახლა ერთი დაიმახსოვრე: ყველა გურული ჭკვიანია, მაგრამ იშვიათად იყენებენ ჭკუას, რადგან სისულელე უფრო ფასობს ამ დაქცეულ ქვეყანაში და რა ქნას იმანაც, აყოლილია ფეხის ხმას, სიმართლეს ვერსად გაექცევი, ასეთია დღევანდელი ცხოვრების ამინდი! – „დამმოძღვრა“ ბატონმა გივიმ, მერე სიგარეტს მოუკიდა და „არხეინად“ გააბოლა...

რუსუდან ქანტურიშვილი

პერიოდული ჟურნალი „ბედნიერი ოჯახი“

ჟურნალ „ისინდს“ 2018 წლის ივნისში 1 წელი შეუსრულდა. 1 თვით ჩვენს ჟურნალზე უფროსია ჟურნალი „ბედნიერი ოჯახი“, რომელიც 1 წლისა მათში გახდა. „ისინდი“ ულოცავს „ბედნიერ ოჯახს“ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, წინსვლასა და ბედნიერი ოჯახების მომრავლებას უსურვებს!

ახლა კი „ისინდის“ მკითხველს ვთავაზობთ „ბედნიერი ოჯახის“ მოკლე ნომრების მიმოხილვას. მამ ასე, ჟურნალი იბეჭდება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის **ლოცვა-კურთხევით**. შეიძლება ითქვას, რომ უწმინდესი ამ ჟურნალის ნათლიაცაა, რადგან სათაური „ბედნიერი ოჯახი“ მან შეაჩრია და როგორც ნათლია ნათლულს, სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებს.

ჟურნალის მთავარი რედაქტორია **ნანა (ჯიალა) გაგნიძე**. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: **არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე-დვალის), სალომე ზვიადაძე, ქეთევან გაბინაშვილი, ციცო ჯაფარიძე, მარიკა დაუშვილი**.

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის **ნესტან მალალაშვილს**.

ყდაზე გამოყენებული ილუსტრაციების ავტორები არიან: **ნინო ჩაკვეტაძე „ბედნიერი ოჯახი“ და ლია სისარულიძე „ათი მცნება“**.

ჟურნალის რედაქტორი – დიდი გამოცდილებისა და საქმის კარგი მცოდნე ფილოლოგი **ნანა (ჯიალა) გაგნიძე** რედაქტორის მოკლე, მაგრამ ძალიან ბევრის მთქმელ წერილში **„რატომ „ბედნიერი ოჯახი“** ასაბუთებს ჩვენს არეულ დროში ამ მაღალზნობრივი და ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული ჟურნალის არსებობის აუცილებლობას. წერილი ასე მთავრდება: „ბედნიერი ოჯახის“ იდეა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს ეკუთვნის. უწმინდესის სურვილის განხორციელება მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერმა იდო თავს. რა არის ქრისტიანული სიყვარულით შექმნილი ოჯახისათვის ბედნიერება, რას მოითხოვს სიმშვიდისა და ჰარმონიის შენარჩუნება, როგორი უნდა იყოს ოჯახში მშობლების როლი, როგორ აღვზარდოთ ბავშვი სწორად, – ეს არის ჩამონათვალი იმ საკითხებისა, რომლებზე პასუხის გაცემას ჟურნალი შეეცდება.

აღბათ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ ეოცნებება ბედნიერი ოჯახი, ზრდილი და განათლებული შვილები, თანხმობა ოჯახის წევრებს შორის, სიმშვიდე და ბედნიერება. ამიტომ გვინდა, ეს ჟურნალი იყოს პირველ რიგში, თქვენი, მკითხველისა. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი სურვილები, შენიშვნები, მოსაზრებები, რასაც დიდი მადლიერებით მივიღებთ. იმედა, ერთად შევძლებთ მცირედით მაინც შევენიოთ დიდ ქართულ საქმეს.

წინასწარ დიდი მადლობა თანაზიარობისათვის! („ბედნიერი ოჯახი“, №1-2. მაისი 2017).

წერილში **„თაობათა ერთობა აერთიანებს“**, რედაქტორი საუბრობს ოჯახში ყველა თაობის წარმომადგენელთა მნიშვნელოვან როლზე და საზოგადოებას შეახსენებს, რომ ყველას უნდა ასსოვდეს უფლის მე-5 მცნება: „პატივ-ც



მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ...“

„ბედნიერი ოჯახის“ №4 სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის აღსაყდრების 40 და დაბადების 85 წლისთავის აღმნიშვნელ თარიღებს ეძღვნება.

ნანა გაგნიძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტურატივის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგედ, შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობდა ქართულ ხელნაწერთა საცავის მცველად, სადაც ხელნაწერთა ფონდი ებარა და ყველგან თავის საქმეს სიყვარულით, ერთგულად ემსახურებოდა. იგი ღმერთს მადლობს, რომ დღეს ჩვენი უწმინდესი პატრიარქის უსაყვარლეს ჟურნალს რედაქტორობს. ჟურნალს ნამდვილად ეტყობა გამოცდილი, ღვთისნიერი და გემოვნებიანი რედაქტორის ხელი.

„ბედნიერი ოჯახი“ არ არის მხოლოდ სასულიერო ხასიათის. მის ფურცლებზე გვერდი-გვერდ იბეჭდება სასულიერო და საერო ხასიათის წერილები, წმინდა მამათა სწავლებანი და მწერლების, პოეტების შემოქმედება. მსცოვან მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა ნააზრები. ჟურნალის ყველა ნომერს ამშვენებს ბავშვების სურათები.

ჟურნალის ხუთივე ნომერი იწყება და მთავრდება ლოცვით და უნეტარესი, უწმინდესი პატრიარქის სიბრძნით აღსავსე წერილებითა და ერის დალოცვით. ლოცვას გვერდს უმშვენებს პატრიარქის ფერწერული ავტოპორტრეტი მშობლებთან ერთად.

პატრიარქის მხარდამხარ, ერისა და ბერის საკეთილდღეოდ, ქრისტიანული ოჯახების განმტკიცებისა და მომრავლების მიზნით, თავიანთ საინტერესო და სულის სარგო წერილებს გვთავაზობენ სულიერი მამები: **დეკანოზი ბიძინა გუნია** – „ქრისტიანული ოჯახი“ (№1); **არქიმანდრიტი ლაზარე გაგნიძე-დვალის** – „ბიბლიური მცენარეები“ (№2); **დეკანოზი ბესარიონ მენაბდე** – „ოჯახური ცხოვრება – მსხვერპლშენიერება“ (№3); **დეკანოზი შალვა კეკელია** – „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა“ (№3); **დეკანოზი დავით ციციქიშვილი** – „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (№4); **დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე** – „შვილები – ოჯახის საგანძური“ (№1-2); **დეკანოზი აკაკი მეგრელიშვილი** – „მარხვა – ზეიმი სულისა“ (№4); **დეკანოზი გურამ ოთხოზორია** – „ქრისტიანული სინანული – გზამკვლევი სულის ცხოვნების გზაზე“ (№5);

სულიერი მამების გვერდით ბედნიერი ოჯახი ადგილს უთმობს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს და ოჯახის პრობლემებზე, აღზრდის სირთულეებზე გარდამავალ ასაკში მსჯელობენ ფსიქოლოგები: **ნანა ჩაჩუა, ლელა ტყემელაშვილი, სოციოლოგი იამზე ასანიშვილი;**

დემოგრაფიას, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი ხუნდაძე** და **დეკანოზ ბესარიონ მენაბდის მეუღლე**, თორმეტი შვილის დედა ქალბატონი **ნინო ალფაიძე**, დემოგრაფიული ფონდის დაარსების ინიციატორი; საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **აკაკი ზოიძე** და ექიმი ნარკოლოგი **თათა ასათიანი** თავიანთ წერილებში ნარკომანიასთან ჰუმანური მეთოდით ბრძოლასა და ნამალდამოკიდებულთა მიმართ მზრუნველობაზე მსჯელობენ;

მწერალი **ნაირა გელაშვილი** იხსენებს თავის ბავშვობისდროინდელ ტრადიციულ ოჯახს, დღევანდელიობაში ამ ტრადიციათა რღვევას ხედავს და ბედნიერ ოჯახად იმ ოჯახს მიიჩნევს, რომელიც „სამყაროსა და ქვეყანას კარგად ადამიანებს გაუზრდის, ისეთ ადამიანებს, სამყაროსა და ქვეყანას წყალივით რომ სჭირდება“.

ჟურნალის ფურცლებზე, რუბრიკებში: „ბედნიერი ოჯახი“, „სკოლა, ოჯახი, ეკლესია“ და „ქრისტიანული სათნოებანი: ქველმოქმედება“ დიდი ადგილი ეთმობა მრავალშვილიანი და წარმატებული ოჯახების წარმოჩენას. ვკითხულობთ მათ შესახებ რედაქციის წევრებისა თუ სხვა კორესპონდენტების წერილებს, ალბურ ინტერვიუებს, ვუყურებთ მრავალშვილიანი ოჯახების სიცოცხლით სავსე სახეებს და ვოცნებობთ იმრავლოს ასეთი ოჯახების რიცხვმა.

დეკანოზ ბესარიონ მენაბდისა და მისი მეუღლის – ქალბატონი **ნინო ალფაიძის** 12 შვილიანი ოჯახზე წერს **ქეთი გაბინაშვილი**, ქალბატონი ნინოსგან ალბურ ინტერვიუში სათაურით „დიდი სახლის დიასახლისი“ (სტუმრად ნინო მენაბდესთან). ასეთი დიდი და კარგი ოჯახის დედის ნააზრევის გაცნობა ყველასათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა დედებისთვის არის მეტად სასარგებლო. (№4).

XX საუკუნის უდიდესი ფეხბურთელის – **ბორის პაიჭაძის** უმცროსი შვილიშვილის – **სოფიოსა** და მისი მეუღლის – **მამუკარეხვიანიშვილის** 12 შვილიანი ოჯახზე მოგვითხრობს **ხათუნა ჩიგოგიძის** მიერ სოფიოსაგან ალბური ინტერვიუ. (№3).

სამთავროს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძრის მრევლის, 3 შვილის მამის, ქველმოქმედ **თამაზ შარიქაძისა** და მისი ოჯახის სამ თაობაზე მოგვითხრობს **ციცო ჯაფარიძის** მიერ ჩანერილი ინტერვიუ (№1-2).

მრავალშვილიანი, 8 შვილის მამა კიკეთის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დამფუძნებელი **ლევან ვასაძე**, რომლისგანაც ჟურნალისათვის **სალომე ზეიდაძემ** აიღო ინტერვიუ და გამოაქვეყნა სათაურით „საქმემან შენმან ...“ კიკეთშივეა **ნმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის ტაძარი** (ასევე ლევან ვასაძის ძალისხმევით აგებული), რომელთანაც სასწავლებელს მჭიდრო ურთიერთობა აქვს. ინტერვიუდან ვგებულობთ, რომ სასწავლებელში სწავლება მიმდინარეობს საჯარო სკოლის პროგრამით; ბავშვები აქტიურად არიან ჩაბმულნი პროცესში, თავად აცხობენ პურს, ალაგებენ სკოლას და ა.შ. დაკავებულნი არიან სპორტით, სწავლობენ ქართულ სიმღერასა და ცეკვას. (№4).

მარიამ დაუშვილის წერილი მოგვითხრობს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით რამდენიმე წლის წინ თბილისში დაარსებული კეთილმორწმუნე **მეფე თამარის სახელობის სკო-**

ლა-პანსიონის შესახებ, რომლის შექმნის იდეაც **დეკანოზ მირიან სამხარაძეს** ეკუთვნის. დეკანოზმა მირიანმა საპატრიარქოს დახმარებით მოახერხა აჭარიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ჰერეთიდან და ტაო-კლარჯეთიდანაც ჩამოეყვანა სწავლამონყურებული ახალგაზრდები. (№3).

მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ოჯახთან ერთად უდიდესი როლი სკოლას ეკისრება. ჟურნალი „ბედნიერი ოჯახი“ წარმოაჩენს იმ სკოლებს, რომლებიც საგნებთან ერთად ღვთის სიყვარულსაც ასწავლიან. ისევე, როგორც ყველა ზემოხსენებული სკოლა, ასეთია საპატრიარქოს **ნმიდა ილია მართლის სახელობის** თბილისის სკოლა, რომლის დირექტორის მოადგილეს – ქალბატონ **ნელი გიორგობიანს** ესაუბრა მარიკა დაუშვილი და სკოლის სხვა ღირსებებთან ერთად შეიტყო, რომ სკოლის დირექტორის – მამუკა თედიაშვილის თაოსნობით მისწავლეები კარვებითა და შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილი მოგზაურობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო ეკოლოგიურ კლუბში (№1-2).

ოჯახი რომ ბედნიერი იყოს, შვილები ისეთ სკოლაში უნდა სწავლობდნენ, სადაც აგრესიისაგან იქნებიან დაცულნი. მოზარდებში განიხილავს სწავლის ხასიათის ჩამოყალიბებას დიდად ხელს უწყობს მაღალ დონეზე ჩატარებული რელიგიის გაკვეთილები. ჟურნალ „ბედნიერი ოჯახის“ ფურცლებზე წარმოჩენილი სკოლების ბევრმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ ეს გაკვეთილები პროგრამაში შედიოდა, ახლა კი მხოლოდ ფაკულტეტურის სახით შემორჩენილა, რაც საკმარისი არ არის.

სკოლაში წასვლამდე ბავშვისათვის მეტად მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდა. სწორედ ამ საკითხზე წერს ჟურნალში „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების პროგრამის კოორდინატორი, ფსიქოლოგი, ადრეული და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი **ცირა ბარქაია**, რომლისგანაც ინტერვიუ აიღო ელენე (ელა) ნაჭყებამ (№5).

ჟურნალ „ბედნიერ ოჯახში“ ბავშვებსა და მოზარდებზე ზრუნვას რომ ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს – ცხადია. აღსანიშნავია, რომ ჟურნალი იმ ამგდარ ადამიანებზეც მოგვითხრობს, რომლებმაც მთელი ცხოვრება ახალგაზრდების ღირსეულად აღზრდას მოახმარეს. სწორედ ასეთ ამგდარზე – **ალექსანდრე კალანდაძეზე** წერს ხათუნა ჩიგოგიძე თავის წერილში „ამგდარი (ერთი კაცის სევდიანი ისტორია)“. წერილი თბილისის 161-ე სკოლის დირექტორის მიხეილ მინდაძისა და მისი კოლეგების მოგონებებზეა აგებული. მასწავლებლები დიდი პატივით საუბრობენ საოცარ ადამიანსა და დამსახურებულ მასწავლებელზე ალექსანდრე კალანდაძეზე, რომელიც ბავშვებს ხეზე კვეთის ხელოვნებას ასწავლიდა და საყვარელ საქმეს სამოცი წელი ემსახურა. (№5).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჟურნალ „ბედნიერი ოჯახის“ რუბრიკები: „**ტრადიციული ოჯახი**“, „**სულიერ-ზნეობრივი აღზრდა**“. ეს რუბრიკები ბევრ საინტერესო და დაუვინყარ ამბავს აცნობს მკითხველს.

ოჯახი და სკოლა თავის მიზანს აღწევს, როცა უფროს და უმცროს თაობას ერთმანეთისადმი სიყვარული და პატივისცემა აერთიანებს. ოჯახი შეიძლება მხოლოდ

სამი, ორი, ზოგჯერ ერთი წევრისგანაც კი შედგებოდეს, მაგრამ თუ ამ მცირერიცხოვან ოჯახში დიდი სიყვარული, უმაღლეს ღირებულებათა ხსოვნა სუფევს, ისიც მრავალრიცხოვან ბედნიერ ოჯახთა რიგს მიეკუთვნება. პოეტ სიმონ ჩიქოვანისა და მისი მეუღლის – მარიკა ელიავას სწორედ ასეთ – მცირერიცხოვან, მაგრამ სიყვარულით აღსავსე ოჯახზე მოგვითხრობს **შარლოტა კვანტალიანი** თავის წერილში „სიცოცხლეში და სიკვდილში ერთად“ (სიმონ და მარიკა ჩიქოვანების სიყვარულის ლეგენდა). წერილს ამშვენებს ამონარიდები სიმონ ჩიქოვანისა და მისი მეუღლის მიმოწერიდან.

ნინო არჩვაძის წერილი „არდავინწყება მოყვრისა“ მარიამ ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანის ასულისა (1852-1941) და ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანის ქველმოქმედ ოჯახზე მოგვითხრობს, სწორედ მათ გახსნეს სოფელ ლამისყანაში თავიანთ სახლში ბავშვებისათვის სკოლა, სოფელში ფოსტა და კოოპერატივები დააარსეს, წყალი გაიყვანეს. ნინო არჩვაძის წერილში სრულად არის წარმოდგენილი მარიამ ორბელიანი, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და დიდი საზოგადო მოღვაწე. (№3).

ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ ოჯახი შეიძლება 1 ადამიანისგანაც კი შედგებოდეს და იმ ერთსაც დიდი სიხარული და ბედნიერება შეუძლია შესძინოს თავის სამშობლოს. ეს აზრი ზუსტად მიესადაგება ჩვენი სამშობლოს ნამდვილ ეროვნულ სიამაყეს – **პოეტ ანა კალანდაძეს**, რომელთან სტუმრობასაც იხსენებს **შარლოტა კვანტალიანი** თავის წერილში „გარდამოვიდა ჩემზე ნათელი...“ (ანა კალანდაძის პორტრეტისათვის). წერილში, რომელიც თითქმის მთლიანად ანა კალანდაძის მონათხრობზეა აგებული, ვგებულობთ მისი I ლექსის („ბადრი მთვარე“) დაწერის ისტორიას 11 წლის ასაკში; ვეცნობით თუ როდის და როგორ მუშაობდა პოეტი, როდის წარსდგა პირველად საზოგადოების წინაშე როგორც პოეტი, რატომ აირჩია ფილოლოგიის ფაკულტეტზე კავკასიურ ენათა განყოფილება, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება, სადაც დიდმა მეცნიერმა – არნოლდ ჩიქობავამ მიიყვანა. (№4).

ამავე წერილიდან ცხადია, რომ ანა კალანდაძე, როგორც ოჯახის დიასახლისი, მართალია, მარტო ცხოვრობდა, მაგრამ ზუსტად მის გვერდით სახლობდა მისი ძმის ოჯახი და როგორც თვითონ აღნიშნა: მისი საყვარელი რძალი (ძმის ცოლი) ძალიან ანებივრებდა.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის კახეთში მცხოვრები მღვდლისა და ლოტბარის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმისათვის მზრუნველი **დიმიტრი ვარდიაშვილის**, მისი სახელოვანი წინაპრებისა და სახელოვანი ქალიშვილის – **ქეთევან ვარდიაშვილის** ნათელ ხსოვნას ეძღვნება **ნინო არჩვაძის** წერილი „ვარდიაშვილთა სახელოვანი დინასტია“ (№1-2).

ხათუნა ჩიგოგიძის წერილი „სიყვარულით აძგერებული გული“ ცნობილი კომპოზიტორის, **მარიკა კვალაშვილის** მოგონებაზეა აგებული. ქალბატონი მარიკა იხსენებს თავის ბებიას, ცნობილ ქართველ მომღერალსა და პირველ ლოტბარ ქალბატონს – **მარო თარხნიშვილს**, რომელმაც

1910 წელს ჩამოაყალიბა ანსამბლი, რომელშიც მისი მეუღლე და შვილები მღეროდნენ (№4).

ამირან-ლაზარე სინაურიძემ ინტერვიუ აიღო **ტიციან ტაბიძის** შვილიშვილის – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გივი ანდრიაძისაგან**. ბატონი გივი და მისი ანგანსვენებული მეუღლე **მანანა დოლიძე** აგრძელებდნენ ტიციან ტაბიძისა და ნინო მაყაშვილის სტუმართმოყვარე ოჯახის ტრადიციებს. ბატონმა გივიმ თავისი დედის – ნიტა ტაბიძის მოგონებებზე დაყრდნობით გაიხსენა ტიციანისა და ბორის პასტერნაკის მეგობრობა; ისაუბრა ტიციან ტაბიძის მუზეუმებზე თბილისსა და ქუყვიში.

„პირადადაც უმნიშვნლო ადამიანი, დიდი პიროვნება და დიდი ჩვენი მეცნიერი“ — ასეა დასათაურებული **ესმა მანას** წერილი, რომელშიც უკეთილშობილესი ადამიანისა და უდიდესი მეცნიერისადმი – **ივანე ჯავახიშვილი-სადმი** პატივისცემასთან ერთად უსაზღვრო სიყვარულია გამოხატული. წერილს ამშვენებს ამონარიდები **ივანე ჯავახიშვილის** შვილიშვილის **დალი გერსამიას** მოგონებებიდან, ექვთიმე თაყაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის წერილებიდან.

2018 წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელია, რაც ჟურნალ „ბედნიერ ოჯახში“ (№5) სათანადოდ არის აღნიშნული. „თეთრ ტაძარში“ მონყობილი საიუბილეო ღონისძიებების შესახებ რეპორტაჟი ჟურნალისათვის მოამზადა ფილოლოგიის დოქტორმა **სოფიო ჩხატარაშვილმა** – უნივერსიტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა.

„ბედნიერი ოჯახის“ რუბრიკაში „ქართველი ემიგრანტები“ ვკითხულობთ ისტორიის დოქტორის, პროფესორ **რუსუდან დაუშვილის** მეტად საინტერესო წერილს – „**თამარ და აკაკი პაპაევები – ქართული ოჯახი არგენტინაში**“. საარქივო მასალებზე აგებული ეს წერილი გვაცნობს იმ სიძნელეებს, რაც ემიგრაციასთან არის დაკავშირებული და თვალნათელს ხდის, რომ შორიდანაც შეიძლება დაეხმარო სამშობლოს, როცა იგი უსაზღვროდ გიყვარს. (№5).

მწერალი **ნინო ჩხიკვიშვილი** თავის წერილში ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს (რეცენზია **გურამ პეტრიაშვილის** ნიგნზე „ჩემი შვილები“)“ (№4) დიდი სიყვარულით საუბრობს ნიგნზე, რომელშიც მწერალი თავისი პატარა ქალიშვილების ნააზრევს გადმოგვცემს, მგრძობიარე მამის კომენტარებით. ეს ჩანაწერები უკრაინაში ემიგრაციაში იწერებოდა. ნიგნში საქართველოს ისეთი მონატრება იგრძნობა, რომ ყველა ემიგრანტს საქართველოში დაბრუნებას მოანდომებს.“

ჟურნალ „ბედნიერ ოჯახში“ გამოქვეყნებული ყველა მასალა უაღრესად საინტერესოა. მიმოხილული რუბრიკების გარდა ჟურნალს ამშვენებს რუბრიკები: „**საკითხავი ყმანვილთათვის**“, „**მედიცინა**“, „**პუბლიცისტიკა, პროზა, პოეზია**“, „**ადამიანი და ბუნება**“, „**ამბები**“ და ამ რუბრიკებში ყოველივე ის არის გამოქვეყნებული, რაც ადამიანის სულიერად და ფიზიკურად დახვეწას უწყობს ხელს, პიროვნებას ქვეყნად გაჩენის ბედნიერებას აგრძნობინებს და ახალგაზრდას ბედნიერი ოჯახის შექმნას მოანდომებს.

დალი კახიანი

მალე

მალე
ძეძვები გაიცრიცება,
დღე დაიმოკლებს კოპნია კაბას,
ქვაბებში სული დაეხუთებათ,
ხვირთქლით დაცვარულ ხინკალს და ქაბაბს,

ხე ზამთარს მოისხამს ქათიბ ქულებად,
ფიფქების ბურნა დაბინდავს ფარნებს,
აზარფეშები გადიდგულდება
და ლეკურივით დაუვლის მარნებს.

მალე
ბელურა სარზე მოიწყენს,
უგზაურ სოფლებს ქუფური დაბურავს,
ბოჩოლა ტბორში ხიფათს მოიწევს,
ნაჯაფი ციბას ეტყვის სამდურავს.

იგლოვს ნანდაურს პურის მტე ალაპით,
ნარეცხ ლაზლივით დღე რომ შეჯდება,
ლიანქერები ველებს დადლაბნის,
ხმელი ფოთოლი ხეზე შერჩება.

სევდის ქარები შესხნიან კარებს,
მიდამო რინდში ჩაიძირება,
საყოლის მოვლით გადაღლილ ქალებს,
ხის ჯორკო სკამზე ჩაეძინებათ.


მაძლარი ფერი გადგება განზე,
ჰორიზონტებზე განვება ნისლი,
სიტყვას მეზობლით აგდებულს ბანზე,
შემცივებულ სახლებს დახურულს ისლით,
მოემნუხრებათ.

ჩქარა და მალე
ძეძვები კვლავაც გაიცრიცება,
დღე დაიმოკლებს კოპნია კაბას,
ლადარში კვერი გაიფიცება,
პურობებისთვის რა დალევს საბაბს.

*ვუძღვნი ნაზი კილასონიას და
ელიზბარ მაისურაძის ხსოვნას*

სადლაა იმ დღეთა სადაგი სადარი,
დარი იცვალა უამურ ავდართი,
სადაა ის ბიჭი უხმოდ რომ მეტროფოდა,
უბნის კოლორიტი, სიტყვა რომ ეთქმოდა,
რა ღვთისმოსავი სითბო სუფევდა,
დეიდა აგრაფინა სარეცხს რო სულ ფენდა,
ციდან ბარდნიდა აკაციები,

ვის ემინოდა ან გაციების,
ციგები, ციგები, ქუჩებს
სერავდნენ,
საპირველმასოდ კაბებს
იკერავდნენ,
თუმც კი ჯერ ისევ
მძლავრობდა არმური,
სარკმლიდან მოჩქეფდა ხმა
საამური,
სკოლიდან ვიდოდით ყავისფერ
ფორმებით,
ხან ხუთით, ხან სამით, ხანაც
ორებით,



მაისის დიღები მირონად დგებოდა,
გზას არ კარგავდა, საკმევლად დნებოდა,
სახლის წინ სულ იდგა მწერალი ბიძია,
და ცოლიც პოეტესა... დღეს რაღა იციან.
დამტოვა დაქალმა ჩიტივით ლაბუამ,
რა დამავინყებს განსწავლულ ბაბუას,
ცხოვრებამ გვანახა არწივის ბრჭყალები,
დანყდა, განიბნა მძივის ბრჭყვიალები,
ყინჩად იარება, ყოჩია ცხრაუცხო,
არც ვიცით, არც გვახსოვს, რა ვთქვა, რა გაუწყოთ,
გარდაიმოსა ქუჩები, უბნები,
ჭადარიც არ დაგვრჩა, ის ძველი, უენები,
არ მინდა, ვერ ვჩემობ, მამორეთ გეთაყვა,
ქროლავენ ჯიპებით დაღმა და ზეაღმა,
მასხოვს ჭარმაგები სალმობდნენ შლაპებით,
ზოგს ტანგო ერჩია, მავანს კი შლიაგერი,
მე მაინც მიყვარდა ხრიგინა ტრამვაი,
დღენი ილევიან ხან ვუთ ხან ვაით.
მატარებლიდან ჩავიდნენ, მიდიან
ვისთვის ლეგენდა, ზოგისთვის მითია.
თოვლი რომ თოვლია
ისიც აღარ ბარდნის,
დღეს ფავორშია სტიქია ვარდნის,
რის აკაციები, რა აკაციები,
დადიან კაციები გულგანაცივები,
სადლაა ის ვაჟი,
სადლაა ის ქუჩა,
გამოზამთრებას პირი არ უჩანს.
წავიდნენ, გაგვშორდნენ, წავიდნენ რიგ-რიგად,
დრომ ჩამომარცვლა აპნისი, იგრიკა,
სადლაა მირონი, იმ დღეთა სადარი,
აღარ შეგვარჩინეს უენები ჭადარიც,
მაისის დიღები სავარდედ დგებოდა,
გზას არ კარგავდა, საკმევლად დნებოდა,
სარკმლიდან მოჩქეფდა ხმა საამური,
თეთრ აკაციების იდგა არმური.

გიტარის სიმზე თავს იხრჩობს ბოშა,
და ხრჩოლავს, ხრჩოლავს დამწველი ვნება,
კაბის მარმაში ფრიალებს დროშად

და ნება—ნება ფარფატებს ფოთოლი.
 ანცობს მადრიგალი გრძნობების გრიგალით,
 თოვლივით წრფელია ვით თეთრი თოლია.
 გიზგიზებს კოცონი შავ თვალთა ისრით,
 კალთებს უკოცნის, ნაპერწკლებს ისვრის.
 ქარს მოაქვს ველიდან უსამინის სურნელი,
 რეგისტრებს წენავს ჰანგი გახელებით,
 მძაფრია სურვილი თრობის ზარხოშით,
 აკორდებს მარცვლავს ხრინწიან ხველებით,
 ველურ ხმებს ერწყმის ხმა ბუკიოტის,
 როკვენ, ხვანცალებენ აზატი ბოშები
 ზემგრძნობიარეა ყოველი ნოტი.
 რიოში ჰაერი გაუთქმელს როშავს,
 და ბოლავს, ხრჩოლავს დამწველი ვნება,
 გიტარის სიმზე თავს იხრჩობს ბოშა
 და ნება-ნება ფარფატებს ფოთოლი.

ოქროვან სოლზე დაესო სოლ მზე,
 მხნეობენ აისით მერცხლები,
 მთვარე დაესო ვერცხლებით სოლზე,
 ლამურა ჰაერს კვეთს თვალის ცეცებით.

წვიმს მოშენილად.
 ცა იცრემლება ამდენის მნახველი.
 თითქოს ფოლადი მიგორავს უბეში,
 ნაწრეტი წვეთი მწუხრობს გუბეში.
 თვალებს უშტერებს ძახველი ცის ტილოს,
 ელავს და ქუხს, დაშვავდა კოხი,
 მარტი მარტივობს.
 მარტოა ქოხიც
 სარკმელი ალით სხინაფენია,
 დროული კაცის ჩრდილი ბარბაცებს,
 ცმუკავს ფინია
 და გამთენია საფირონს აბაცებს.

ეს თებერვალის გაზოზინდება
 კართა ჭრიალით,
 მოდიდებული მდინარეების
 ვერცხლის ჩხრიალით,
 და დაასრულებს პარტია სოლოს
 ზამთრის ნოქტიურნებს,
 ატმის ხესა და ქლიავს ოტურებს
 სხვა სისპეტაკით ააელვარებს
 ვითარც არილსა,
 შემოასკდება კვირტი აპრილსა.

გზაგასაყარზე იმ სადგურების,
 მობრუნდებიან
 თებერვლისა და მარტის მდგმურები,
 შენ კი აღარა,
 კვლავ შემოფიფქავს ხეებს ჭალარა,
 ატმის ხეებს და ქლიავს ოტურებს,
 რომ შემოასკდეს კვირტი აპრილსა,
 კვლავ დაასრულებს გამოსათხოვარ
 ზამთრის ნოქტიურნებს.

რალაც მეტად სანუკვარი ვიგრძენ,
 წნელის ღობე, თხილნარი და აწლი,
 ჩემს სამშობლოს, ნეკა თითის სიგრძეს,
 უბედობა დელგამასავით აწვიმს.
 ჩამონათალი და ნანაგლეჯი იარად გაზის,
 შენ კი, სჯულმტკიცე, რქას აკრავ ვაზის,
 და სასოებით ესათუთები ჩუქურთმ ასოებს,
 ეს უღვთო მსჯავრი თვალებს ასოვლებს.
 გიგანა ყველამ, შენ კი არც იმწნევ,
 ჯიუტად ისევ უფლის გზას ირჩევ,
 ელოდები ისევ რასმეს აწი?
 ჰოი, რალაც სანუკვარი ვიგრძენ
 ფუძის მადლი, გარდასულთა ღვანლი,
 ჩემს სამშობლოს, ერთი ადლის სიგრძეს,
 უბედობა დელგამასავით აწვიმს.

მთვარემ ტილოს აკოცა,
 მისი გზნება არგო ცას,
 მარადისის გრდემლზე სჭედს
 ფერთ ფენას და ხაზთა ბჭეს,
 სიომ უმბრა ალოკა,
 მარად, მარად – არს ღონგა!

ცა ქუფრი ნარბსაც იჭმუხნის
 ქვე მომზირალი წყრომითა,
 მანდილ აყრილი ტაოთი,
 ქონგურმრავალი ჭირუხვი
 პერანგნაცვეთი წრომითა,

ჯეჯილის ყვითელ ნაწნავებს
 ქარი წენს, ქარი აწვალებს,
 ჭოტის გაბმული კივილი
 სულს ამღვრევს და გულს აწყალებს.

ნანა ერემაძე

ტექნ. მეცნიერებათა დოქტორი

კაცი სრული და ღმერთი სრული

*ვერ იცნეს, იყო მოხილი**ღმერთი კაცობრივ ცმულითა;**კაციც ძნელია საცნობლად,**ღმერთს ვინ იცნობდა გულითა!**დავით გურამიშვილი*

ორი ათას წელზე მეტია ბიბლია ასაზრდოებს და ამდღეს ადამიანის სულს. რა ძალა აქვს მას, არის თუ არა მასში იღუმალის ქვეშარტება?

შევეცადოთ გავერკვეთ, შესაძლებელია თუ არა სახარებებში აღწერილი სასწაულების რეალურობა, ანუ, რეალურად ხდებოდა თუ არა ისინი იესოს თანამედროვეთა თვალწინ, რამდენადაც ძალუძს ადამიანის გონებას მარტოოდენ ლოგიკით გააანალიზოს მისგან დაფარული და მიუწვდომელი ზეცნობიერი მოვლენები.

დავიწყოთ აქედან – რას ნიშნავს თვით სიტყვა სასწაული? ამ კითხვაზე გაუნათლებელი ადამიანებიც კი დაუფიქრებლად გიპასუხებენ, რომ სასწაული არის ის, რაც ჩვეულებრივ მოვლენათა რიგში ვერ თავსდება და სამეცნიერო კანონებით ვერ აიხსნება.

მაგრამ, მოვლენათა დაყოფა რეალობად და სასწაულებად, იმის მიხედვით, შეგვიძლია თუ არა მათი ახსნა ჩვენ დღეს ჩვენთვის ცნობილი მეცნიერული კანონებით, მეტად პირობითი და სუბიექტურია. ადამიანის ტვინი, რომელიც მატერიალური სამყაროს კუთვნილებაა, ვერ სწვდება ზეცნობიერს. არათუ ზეცნობიერს ვერ სწვდება, რომელიც მატერიალური სამყაროს ფარგლებს სცილდება, არამედ თვით მატერიალურ სამყაროშიც, ცხოვრობს რა დედამიწაზე, შეჩვეულია მის გარემო პირობებს და ამ პირობებს აღიქვამს როგორც საყოველთაოს. ამიტომ უჭირს იმის წარმოდგენა, რომ მოვლენები სხვა პირობებში შეიძლება სხვაგვარად განვითარდეს. დედამიწაზე მიმდინარე პროცესები კი მხოლოდ კერძო შემთხვევებია სხვა, უფრო რთული, გლობალური ურთიერთობებისა მატერიალური სამყაროს სუბსტანციათა შორის. მოვიყვანოთ უმარტივესი მაგალითი; რა მოუვა ერთ ვედრო წყალს, თუ მას გადავღვრით დედამიწაზე? ცხადია, ლიკლილით წავა დაბალი ადგილისაკენ. ახლა ვუპასუხოთ კითხვას – რა მოუვა ერთ ვედრო წყალს, თუ მას გადავღვრით კოსმოსში, გრავიტაციის არის გარეთ? იგი შეიკვრება სფეროდ. ამ მოვლენას დედამიწელი ჩათვლის სასწაულად, არადა, იქ, სადაც ხდება, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და აიხსნება ფიზიკის კანონებით. სწორედ იმ კანონებით, რომელთა გამოც ყველა კოსმიურ სხეულს აქვს სფერული ფორმა.

თვით დედამიწის პირობებშიც კი სრულიად ბუნებრივი მოვლენა შეიძლება სასწაულად მოეჩვენოს ადამიანს, რომელსაც მისი არსის ახსნა არ შეუძლია; მაგალითად, ყველასათვის ცნობილი ქვეშარტებაა,

რომ წყალი იყინება ცელსიუსის შკალის 0 გრადუსზე და დუღილს იწყებს 100 გრადუსზე, ხოლო წყლის დუღილი 0 გრადუსზე სასწაულის ტოლფასი შეიძლება იყოს მოვლენის არსში გაურკვეველი ადამიანისათვის. საქმე ისაა, რომ წყალი იყინება 0 გრადუსზე და დუღს 100 გრადუსზე იმ წნევის ქვეშ, რომელსაც ბუნებრივად ახდენს დედამიწის ატმოსფერო, ხოლო თუ წყალს მოვათავსებთ შემცირებული წნევის ქვეშ, ჰაერის ბუშტულები დაიწყებს ამოდულებას მისგან ოთახის ტემპერატურაზე, უფრო მეტიც, რადგან დუღილი სითბოს შთანმთქმელი პროცესია, ეს გაგრძელდება მანამ, ვიდრე მობუშტუყე წყალი ბუშტულების სახით არ გაიყინება. აი, თითქოს დაუჯერებელი სასწაული! მაგრამ ეს მოვლენა არ ეწინააღმდეგება ბუნების კანონზომიერებებს, არამედ აიხსნება ფიზიკის კანონებით.

აქ ჩვენ მოვიტანეთ მაგალითები, საიდანაც სჩანს, რომ მოვლენები შეიძლება იყოს სრულიად რეალური, მაგრამ გამოიყურებოდეს სასწაულად, თუკი მათი ახსნა არ შეგვიძლია. და, რამდენი რამ არის სამყაროში, თუნდაც მატერიალურში, რასაც ვერ მეცნიერება ვერ ჩასწვდომია! მაგრამ ფაქტის შეუცნობლობა არ გვაძლევს უფლებას მისი არარეალურად გამოცხადებისა. მით უფრო, რომ შეუცნობელი საუკუნეთა განმავლობაში შეიცნობა და აიხსნება. ამის უტყუარი დასაბუთებაა მეცნიერების განვითარების ისტორია.

მაგალითად, დღეს ადამიანს უჭირს იმის დაჯერება, რომ თავისი დროის გენიალურმა მოაზროვნემ, არისტოტელემ, არ იცოდა, თუ რატომ ვარდება მიძიმე სხეული ძირს, მსუბუქი აირი კი მიიწვეს მაღლა. მას მიაჩნდა, რომ ყოველ სხეულს აქვს თავისი კუთვნილი ადგილი სამყაროში, საითკენაც ის მიისწრაფვის ბუნებრივად, და ეს აზრი, რომელიც დღეს ბავშვსაც ღიმილს მოჰგვრის, გაბატონებული იყო მეცნიერებაში 2000 წლის განმავლობაში, ვიდრე გალილეი შეისწავლიდა სხეულთა ვარდნას და ნიუტონი ჩამოაყალიბებდა მასათა მსოფლიო მიზიდულობის კანონს. თუმცა, მათ აუხსნელი დარჩათ თვით ბუნება ამ მიზიდულობისა, რასაც აინშტაინმა კვლავ ახალი შუქი მოჰფინა და გრავიტაცია ახსნა სივრცის დეფორმაციით, რაც ისევ ძნელი წარმოსადგენია ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, და ალ-

ბათ კიდევ საუკუნეები იქნება საჭირო, რომ ადამიანის გონება შეეჩვიოს ამ ახალ აზრს.

კაცობრიობას პერიოდულად ევლინებიან გენიალური მოაზროვნეები, რომლებიც ჰქმნიან პროგრესს ადამიანის ცნობიერებაში, ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ამალეებენ მას და აახლოებენ ზეცნობიერთან. ასე რომ, დადგება დრო, როცა ბიბლიურ სასწაულებს, რომლებიც დღეს მხოლოდ და მხოლოდ თავისი აუხსნელობის გამო არის დაუჯერებლად მიჩნეული, მეცნიერება მოუძებნის ახსნას და რეალურ მოვლენათა შორის მიუჩინებს კუთვნილ ადგილს. „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს, და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამოჟღავნდეს“ (მათე 10.26).

ძალიან საყურადღებოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ სახარებებში მოყვანილი 29 სასწაულიდან არცერთში არ არის აღწერილი რაღაც ზღაპრული მოვლენები, ისეთი რამ, რაც ბუნებაში არ არსებობს, მაგალითად, მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნური ჯოხი, ან ჯადოსნური სარკე, ადამიანის ცხოველად, ან საგნების ოქროდ გადაქცევა და სხვა.

როდესაც ეშმაკი აცდუნებდა იესოს, შესთავაზა, გადაექცია ქვა პურად, თუ ის მართლა ძე ღვთისა იყო. აი ეს რომ გაეკეთებია იესოს, იქნებოდა არაბუნებრივი მოვლენა – ქვა პურად ბუნებაში არასოდეს იქცევა. იესომ კი წყალი აქცია ღვინოდ, თევზით აუვსო ბადე მებადურებს, ამშვიდებდა ქარიშხალსა და ზღვას, არჩენდა ავადმყოფებს და ასე შემდეგ. განა ყოველივე ეს თავისთავადაც არ ხდება ბუნებაში?

განა ვაზი არ შეისრუტავს მიწიდან წყალს და არ გადააქცევს მას ტკბილ წვენად, რომელიც შემდგომ ღვინოდ იქცევა?

ავადმყოფთა განკურნება არ ხდება ბუნებაში თავისთავად? რა არის ავადმყოფობა? ეს არის ჰომეოსტაზის რღვევა ორგანიზმში, ანუ სიკვდილის დაწყებული პროცესი. თუ ეს პროცესი გაგრძელდა ერთი მიმართულებით, სიკვდილი გარდაუვალია. შექცეული მოვლენა, ანუ აღდგენითი პროცესი შეიძლება დაიწყოს თავისთავად, ან მკურნალობის შედეგად, ანუ სიკვდილის პროცესის ჯაჭვმა მიიღო შექცეული მიმართულება – ავადმყოფი გამოჯანმრთელდა, და ეს ბუნებაში რეალური მოვლენაა.

ან ქარიშხლისა და ზღვის დაშოშმინებაში რა არის არაბუნებრივი, ისეთი რამ, რაც ბუნებაში თავსთავად არ ხდება?

სასწაულებრიობა ამ მოვლენებისა მდგომარეობს იმაში, რომ ყოელივე ეს ხდება ერთი კაცის ნებით, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს კაცი არის ძე ღვთისა. ჩვეულებრივ მოკვდავს ამის გაკეთება, ცხადია, არ ძალუძს.

რა მოსაზრებით ვუსვამთ ხაზს ამ მოვლენათა ბუნებრიობას? ამითი გვინდა ვაჩვენოთ, რომ სწორედ ბუნების შემოქმედის უზენაესი ძალაა გამჟღავნებული იესოს ფენომენში, მისი ხელნერა იცნობა იესოს ქმედებებში, ძე კაცისას ძალუძს გააკეთოს ის, რასაც ღმერთი აკეთებს ბუნებაში. „რასაც მამა იქმს, ძეც მის მსგავსადვე იქმს“ (იოანე 5. 19).

იესოს ქმედების შედეგები ბუნებრივია, ხოლო ქმედების ძალა ზებუნებრივი, ისე როგორც თვით იესოს ფენომენის ფორმა ბუნებრივია, არსი კი ზებუნებრივი.

ძე კაცისა არის ძე ღვთისა. ამაში გამოიხატება მისი დიოფიზიტური ბუნება – იესო არის კაცი სრული და ღმერთი სრული.

რაც შეეხება ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებასა და იესოს მიერ სხვა მკვდრების გაცოცხლების მოვლენას, ცხადია, ასეთი რამ ბუნებაში თავისთავად არ ხდება, ბუნებრივად ადამიანის სიკვდილი შეუქცევადი პროცესია, მაგრამ მეცნიერებაში ცნობილია, რომ ბუნებაში მიმდინარე შეუქცევადი პროცესები თავის თავში მოიცავენ შექცეული მოვლენების განხორციელების შანსს, ოღონდ ეს შანსი უსასრულოდ მცირეა და ამიტომ ბუნებრივად ვერ ხორციელდება. თუ მხედველობაში მივიღებთ იესოს ღვთიურობას, შესაძლოა ეს უმცირესი შანსი რეალობად ქცეულიყო, მისი ჩარევით სიკვდილის პროცესების ჯაჭვი შექცეულად განვითარებულიყო და იესოს თანამედროვეთ ნამდვილად ეხილათ მკვდრეთით აღდგომის ეს სასწაულები.

იესოს მიერ მოხდენილი სასწაულების ბუნებრიობა ოთხივე ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ ოთხივე სახარებაში, საყურადღებოა იმიტომაც, რომ არის დასტური ამ ფაქტების რეალობისა. სხვაგვარად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ არცერთი მათგანი არ გადაიჭრა ზღაპრების სამყაროში იესოს სასწაულმოქმედების უკეთ წარმოჩენის მიზნით? მათ ობიექტურად აღწერეს საკუთარი თვალთ ნანახი და თვითმხილველისაგან მოსმენილი. მათე და იოანე უშუალოდ იესოს მოწაფეები იყვნენ, ლუკა და მარკოზი კი პეტრესა და პავლეს მოწაფეები.

იესოს სასწაულების ბუნებრიობა, ანუ ის, რომ ისინი თავიანთი გამომჟღავნების ფორმით არ სცილდებიან ბუნებრივ მოვლენებს, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იძლევა საფუძველს, გვაკეთოთ საბოლოო დასკვნა: სახარებისეული სასწაულები ემორჩილებიან მატერიალური სამყაროს კანონზომიერებებს, რომელიც ასევე ღვთის ქმნილებაა და მეცნიერება თავისი მომავალი მიღწევებით შესძლებს მათს ახსნასა და მათი ჭეშმარიტების დასაბუთებას. უნდათ ეს, თუ არა, მატერიალისტებს, მეცნიერების პროგრესი მაინც აქეთ-კენ მიდის.

შოთა ხოდაშენელი


გიორგი შიშნიაშვილი

ქ ა თ ი ვ ა ნ

„გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა...“
ვაჟა



გამოიყვანეს,
გამოიყვანეს
და ჩურჩულებდა მხნე და ამაყი:
– მეც მიმიტვალე, ჩემო ქვეყანავ,
შემონირული ერთი ზვარაკი.
...და ვარვარებდა რკინა და გრდემლი.
და უკან სწევდნენ ხალხს ძალისძალად,
მოსდიდებოდა თვალეში ცრემლი
იღლიებამდე გასისხლულ ჯალათს.
– შენს სადიდებლად დავიღუპები, სამშობლოვ,
შენთვის გავძელი დღემდე...
უკანკალებდათ ხელში შუბები
მრავალ ბრძოლაში გამოვლილ მხედრებს...
ალარ რცხვენოდა არავის ცრემლის,
მარტო ცრემლები? რა სათქმელია,
და მიხვდა უცებ დიდი და მცირე,
თუ საქართველო რასა რქმევია!
მოძალადეთა ამაოება
კვლავ დასდგომოდა თავის ეულ გზებს,
და უკვდავება წერდა პოემას
შანთით ქართველი ქალის სხეულზე...



მოთოვს და თოვლი ბილიკებს ნაშლის,
თოვლი ამაღამ მუხლამდე დადებს,
მარტო დარჩება მთის ოდა სახლი
და თავს ტირილით თავს შეაფარებს.

მოთოვს... ნინ დიდი ზამთარი გვიცდის,
იქნება ყინვამ ზღვებიც დახეთქოს...
– თქვი, მარტოობას ვინ არ განიცდის?
– ო... მარტოობა არ გამახსენო!



მხატვარი რეზო ადამია

მარინა თექეთმანიძე

ნარსულის უზრცლავი
ომიდან დანახული სიკეთის გაკვეთილები

ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა წარსული თავს გახსენებს, ამის სურვილი გაქვს თუ არა...

ამ სტრიქონებს რომ ვწერ, სამყაროსთვის არ ვიცი რას ნიშნავს, ალბათ ბევრს არაფერს, მაგრამ დედამიწაზე 9 მაისია, ფაშიზმზე გამარჯვების დღე. მე იმ ეპოქის შვილი ვარ, როცა 9 მაისები დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა. მე კი, პატარა ბავშვი, ამ დღეს, ყოველთვის, ტირილის სასიათზე ვდგებოდი, ისე მეცოდებოდნენ ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცები და განსაკუთრებით, ჩემი ბებების ძმები. მაშინ ალბათ ყველაზე ცუდ სიზმარშიც ვერ ვნახავდი, რომ თავად გაეზღებოდი რამდენიმე ომის და საქართველოს შავრენის ტყავივით დაპატარავების შემსწრე.

აი, ამ მომენტზე ვსაუბრობდი წელან, იმ ძვილად გასახსენებელ ტკივილზე, რომელიც იმ ადამიანებმა მოგვიტანეს, სიყვარულით რომ გვყავდა გულში ჩაკრული, სვეცსამსახურების როლზე მათ შეცდენასა და გაბრწყინებაში, შეცდომებზე თუ შეგნებულ დანაშაულზე, რაც ახალფეხადგმულ დამოუკიდებელ საქართველოს პირველ ნაბიჯებს ახლდა თან.

დაახ, 1991 წელი მასხენდება, ცხინვალის კონფლიქტი, მე კი ამ კონფლიქტის ერთ-ერთი მოწმე და ჩემი პირდაპირი მოვალეობის, უზრუნველყოფის თვალთ დახასხული რეპორტაჟების ავტორი. მძაგს ყველანაირი ომი – ბოროტების, აგრესიის, სიძულვილის ერთი მოლაპარაკე აქტი, რომ ანადგურებს ქვეყნებს და საბოლოოდ კი ამ უშემეწიერეს პლანეტას – დედამიწას, უნდობლობას რომ თესავს ადამიანთა შორის. და მიუხედავად ამისა, ომი ავლენს მაღალ ადამიანურ თვისებებსაც, არნახულ სიკეთეს და თავდადებას, ხანდახან მტრის მხრიდანაც კი.

ჩემივე სურვილით, მივლინებით, ცხინვალში მივიღეარ. ჰაერში დენთვის სუნი ტრიალებს. თუმცა, ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, დაპირისპირების დასაწყისია. ქართველებს ოსები იგდებენ ტყვედ, ოსებს – ქართველები. როგორღაც ვახერხებ ცხინვალში, ოდესღაც ჩემთვის უსაყვარლეს ქალაქში შესვლას, ქალაქში, რომელიც მთლიანად ვარდისფერი იყო გაზაფხულზე, ცხინვალური ზამთარი კი ისეთი ქათქათა თოვლით გამოირჩეოდა, საქართველოს ვერცერთ კუთხეში რომ ვერ ნახავდი. ქალაქში, სადაც ჩემი უახლოესი მეგობარი ჯულიეტა თასოევა მუდმივად მელოდებოდა...

ქუჩაში ორი გოგონა გავიცანი. ერთის გვარს ვერ მოგახსენებთ, ის ეროვნებით ოსია და დღემდე ცხინვალში ცხოვრობს, მეორე კი ჩემი თამარ კვადინიძეა, დღემდე რომ გრძელდება ჩვენი ურთიერთობა. ისინი დამყვებიან ქუჩებში. უკვე ღამდება, ქალაქში პიკეტებია. სიტუაციას ოსები აკონტროლებენ. ვცდილობ, პიკეტებზე ოსებს გამოველაპარაკო, ჩემს თანმხლებებს უმინიათ, ვინმემ შეურაცხყოფა არ მომაცნოს. მსგავსი არაფერი ხდება მეორე დღემდე. გაზეთისთვის მასალების შეგროვებას მაინც ვახერხებ. ღამეს იმ ოსი გოგონას სახლში ვათენებ და დიდ, ძველებურ სანოლში მათავსებენ... (სანამ მეორე დღის ამბებს გაამბობთ, არ შემოძლია ეს ამბავი არ ჩაუერთო. ამ ცოტა ხნის წინათ ცხინვალელი მეცნიერის და უზრუნველყოფის, რობინზონ ოდიკაძის წიგნის «ცხინვალის მეტატიანე» წარდგენა გაიმართა ცხინვალის ადმინისტრაციის შენობაში. აქ ვნახე ჩემი დიდი ხნის მეგობარი თამარ კვადინიძე და მან მითხრა, რომ თურმე ის სახლი, ცხინვალში ყოფნისას, სადაც მე ღამე გავათენე, სწორედ ამ წიგნის გმირის, დიდი კაცის, თვალსაჩინო მოღვაწის, მიხეილ ცოტნიაშვილის მონაგარის სახლი ყოფილა და ის ძველებური სანოლიც მას ეკუთვნოდა. რამაც, ბუნებრივია, ძალიან ამაღელვა. წარსული მართლაც რომ ყოველთვის თან დაგყვება ადამიანს და არ იცი, სად შეგახსენებს თავს).

ძილა გათენდა და ცხინვალის ქუჩებს მივაშურე. დღის სინათლე მგითი გამბედაობა შემმატა. ქუჩაში ორი ოსი ქალი გამოშ-

ლაპარაკა ქართულად. გაიგეს უზრუნველყოფისტი რომ ვიყავი და თქვენ რაც ოსების სისასტიკეზე წერთ, ახლა ქართველების სისასტიკე უნდა გაჩვენოთ, მითხრეს და საავადმყოფოში გამაქანეს. ომს თავისი სამინელი



კანონები რომ აქვს, ზემოთაც მოგახსენეთ და იქ რაც ვნახე, იმის აღწერას აღარ შევეუდგები, მხოლოდ ერთ ფაქტს გაიმბობთ. 16 წლის ყმაწვილი იყო საშინლად ნაცემი, ერთი კვირის მოყვანილიაო, მითხრა ექიმმა. რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და დღემდე არ ამომდის იმ ბიჭის აზელილი სახე თვალებიდან. ჰოდა, ამ ბიჭმა, – დავიფიცე ათი ქართველი უნდა მოგკლათო, – დიდახსა და ჩემკენ ისკუპა. რომ არა იმ ქორეგის ვაჟკაცობა და თანმხლები ოსი ქალების ცდა, ხელიდან გავეგდებინე ბიჭისთვის, დიდი ხნის მკვდარიც ვიქნებოდი და ვერც ვერავინ შეიტყობდა სად და როგორ მოგკვდი. ის ქორეგი გვარად თედევანი იყო. ეს კარგად მახსოვს და მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები. როგორც მითხრეს, მერე, მოგვიანებით, მასაც ვერ გაუძლია ორი მოძმე ერის ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის ყურებისთვის და ქალაქი დაუტოვება. სადაც უნდა იყოს, ღმერთმა ხელი მოუშართოს.

წელან, ომთან დაკავშირებული სისასტიკეები რომ ვახსენე, სიკეთეც ვახსენე, დაახ, ის სიკეთე, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას და ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას კი არა, მის შენარჩუნებას ემსახურება, ის სიკეთე, რაც ოსმა ქორეგმა ჩემ მიმართ გამოიჩინა...

მეორედ, უკვე, ავტობიუსებისა და ჰაუბიციების გრილის დროს ვიყავი ცხინვალში, იქ ინტერვიუ ჩამოვართვი იმდროინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს დილარ ხაბულიანს, გენერალური შტაბის უფროს გივი კვანტალიანს და ინტერვიუს მერე, როცა მოვთხოვე, ახლა ოსების მხარეს გადავალ და მათ მოვუხსნენ-მეთქი, მტკიცე უარი მივიღე. «ტყვედ აგიყვანენ და შენი გათავისუფლება ძალიან რთული იქნება. და თუ მაინც ამას შეეცდები, დაგაპატიმრებ», – მითხრა შტაბის უფროსმა. რა თქმა უნდა, ასეთ პერსპექტივას არ მოუუხიბლივარ და ჩემს განზრახვავზე ხელი ავიღე. თუმცა, როგორც გამოუხსნორებელ რომანტიკოსს, დღემდე არ მტოვებს განცდა, რომ მაშინ ოსების მხარეს რომ გადავსულიყავი, ხელს არავინ მახლებდა. ყოველთვის მჯეროდა და დღესაც მჯერა სახალხო ადპოლომატიის მნიშვნელოვანი როლის. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ...

მესამედაც ვიყავი ცხინვალში. ეს 2005 წელს მოხდა. ქალაქის მერიის თანადგომით, გაზეთ „ნერგის“ თანამშრომლებმა სამეწოვანი (ქართულ-ოსურ-ინგლისურ ენებზე) „ქართულ-ოსური“ მომავლის ნერგი“ დავსტამბეთ და კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართულ სოფლებში და სკოლებში შევიტანეთ. ცხინვალის გავლისას, ავტობუსის კიბეზე დავდექი, ადამიანებს ხელის ქნევით და ღმილით ვესალმებოდი. მინდა ვითხრა, რომ ისინიც ხელს მიქნევდნენ და ღმილით მესალმებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, ქართველები ვიყავით. წინ დაცვა მიგვიძღვებოდა...

P. S. როცა ჩემს ფრთებდატეხილ სამშობლოზე ვფიქრობ და გული საშინლად მტკივა, როცა ვერ ვუძლებ სოსუმის, ცხინვალის მონატრებას, მაშინ ის ბავშვები მახსენდებიან, ცხინვალში გაზადრულები რომ მიქნევდნენ ხელს და მომავლის იმედი მიჩნდებან. მჯერა, ახალგაზრდები აუცილებლად მონახავენ ერთმანეთთან მისასვლელ გზებს. მჯერა, ჩემი საქართველოს მთლიანობა აღდგება!

ზეინაბ მეტრეველი

იდაყვზე კბენით მოგებულ ნიძლავს,
 სული მრავალი წელი იკმარებს,
 ყოველდღე ისეთ სამშობლოს ვიცვამ,
 ღმერთიც თვალეზზე ხელეზს იფარებს...
 სხედან და ისეთ სახით მსჯელობენ,
 როგორც ჩანს, ყველას თავის ნირი აქვს,
 ჩამოტყავებულ საქართველოს ძვლებს,
 ვით მშიერ ძაღლებს ისე გვიყრიან,
 ჩვენც ვფეთდებით და ერთმანეთს ვასწრებთ
 საუკეთესო ნაჭრების ლოკვას
 და ისტორიის უკულმა დამწერთ,
 ნებას ვრთავთ, ჩვენიც მახვილით მოგვკლას..
 გავხედავ – ხოლომე ბანას და შატბერდს,
 რომელთაც ფესვებს უნდა ვუქებდე,
 კიდეც კარგი, რომ ძალით წაგვართვეს,
 თორემ ისედაც გააჩუქებდნენ...
 ვდგავარ საკუთარ ხერხემლის უკან,
 სისხლად, რომ მომწვეთს შევნატრი იმ ფერს
 და საქართველოს დაგლეჯილ რუკას,
 ხორაგით საგვე ტაბლაზე ვიფენ,
 ნეტავ, როდემდე უნდა ვლაჩრობდე,
 სხვისი ძალის და ნდობის ლოკვებით,
 როსინანტებზე დამჯდარ სანჩოებს,
 სახედრით დაჰყავთ დონკიხოტები...
 ხვალე ვინ მოწმენდს ჩემს ფესვებს ტალახს
 სხვისი ჯიშის და ჯილაგის ლორწოს,
 როცა დიდგორზე ამოსულ ბალახს,
 კვლავ არაბული ტაიჭი მოძოვს,
 ვიცი ამ ქვეყნად დიდი ძვრებია,
 მე ჩემის უნდა ვიყო მოსარჩლე,
 ვინ ამომკვეთავს ბებერ ძვლებიდან,
 უცხო გენების მრუდე მონარჩენს,
 ამ ძველი ჯავრით უკვე ვეწენ მე,
 ამ ჯავრს მივიტან ხვალე შვილამდეც,
 ან, უცხო ჯიშით გაგვაბევრებენ,
 ანდა, ჩვენივე გამოგვხმირავენ,
 იმ ოცნებადღე სული თუ მიგვყვა,
 რაშიც საკუთარ ფესვით დავრჩებით,
 ასი ლექსიც ვერ წაშლის იმ სიტყვას,
 მატინე, რომ დანერს, „ლაჩრები“!



სისხლის ღაღადი!


ავდგები ახლა და იმდაგვარ სტრიქონებს გავთლი,
 შელანუნებით გამოფხიზლდეს სრულიად ქართლი.
 ჰა და ჰა, ისე დაძაბუნდი, ჩემო ბებერო,
 ყვავ-ყორნებისგან წართმეული შენად გებევეროს.
 შენს ღვიძლ იუდეებს ოცდაათ ვერცხლს ისევ ესვრიან,
 ჯვარცმიდან რომ არ გადმოგიხსნან სულის მესიად,
 ნუთუ იმგვარად დაუძღურდი, დაპატარავდი,
 ბოლმას იცოხნი, მოთმინებით იცდი ხვალამდის,
 ჯაჭვის პერანგი ჩაგშლია და სისხლი მოგწვეთავს,
 ისე მოუნდათ შენი გულის შენგან მოწყვეტა,
 ამოინგრიე სველი მკერდი ახლის ძახილით,
 ნაჭრილობები შეიხვიე დედის მანდილით,
 ნუთუ დაბერდი, დაძაბუნდი, როგორც ლაჩარი,
 ნუთუ კრწანისთან ჩაგეხოცა მთელი ლაშქარი?
 ნუთუ იმგვარად აღარ ტაძრობ, აღარ დავითობ,
 ნუთუ ხორცივით მოგლეჯილი უნდა დაითმო,
 რა ნადიმით გაგიშლია სულის ტრაპეზი,
 ნუთუ მამულის ტვირთის ზიდვით უკვე გაბეზრდი,
 ნუთუ დანაყრდი მტერ-მოყვარის ლუკმის ნარჩენით,
 ნუთუ სამყაროს მოეძალე ქვეყნად გაჩენით.
 ადექი, მკვიდრად შემოეწე ციხეთ დარაჯად,
 თორემ იმასაც ხვალ დაჰკარგავ, რაც დღეს გადარჩა,
 ადექ, ჭრილობა შეიხვიე სისხლიან კვართით,
 ადექ, გამრთელდი და განათლდი სრულიად ქართველით,
 ადექ, დავითი ისევ გიხმობს ბუკით, ნალარით,
 თოვლივით დროშა შეგიკერა თეთრი ჭაღარით,
 სული გიკანდლა, ხორცი აბჯრით შემოგიტაძრა,
 კრწანისისაკენ სადიდგორო ჯარი ვინ დაძრა,
 ადექ, გულ-მკერდი ამოხიე გრგვინვა-ძახილით,
 განა ისეთი ბებერი ხარ? შეიბ მახვილი.

მარსიანი

გამოხაზება დისკუსიაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“

შეიკრიბა კავკასიურ სახლში ინტელექტუალთა ერთი ჯგუფი (2002წ, 17, XII) და „ქართული პატრიოტიზმის“ ფენომენის შესახებ მეცნიერული სჯაბაასი გამართა. საკითხი წინასწარ იყო დაყოფილი მრავალ შემადგენელ ნაწილად: ოთხ ბლოკად დაჯგუფებულ კითხვებზე უნდა გაცემულიყო პასუხი, მაგრამ ვერ მოხერხდა ასე ფართო და ამომწურავი განხილვა და ყურადღების კონცენტრირება ილია ჭავჭავაძის ერთი გამონათქვამიდან აღებულ ე.წ „ტრიადაზე“, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეროვნულ ლოზუნგად აქციეს. ეს ტრიადა გახლავთ „მამული, ენა, სარწმუნოება“. შეკრებაზე მრავალგზის ითქვა, რომ ეს ლოზუნგი თუ დევიზი ეროვნული იდენტიფიკაციისთვის მინცდამინც მარჯვე ვერ არის, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოში გარდა მართლმადიდებლური აღმსარებლობისა, სხვა მრავალი აღმსარებლობაც არსებობს (ქრისტიანული თუ არაქრისტიანული) და მეორეც, საქართველოს მოსახლეობა მრავალენოვანია (მრავალეროვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ). განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება მეგრელებზე, როგორც ენობრივი თვალსაზრისით „ორმაგი იდენტობის“ მქონე ქართულ ტომზე (არ მინდა სიტყვა „ეთნოსი“ ვინმარო, ეთნოსებად ქართველი ერის დაყოფის ტენდენცია იმპერიული რუსეთის მიერაა პროვოცირებული და ჩვენ, ქართველები, სასურველია არ ვაღრმავებდეთ ამგვარ, არსებითად ხელოვნურ ზღვარს მეგრელებსა და დანარჩენ ქართველობას შორის). ითქვა, რომ ქართული საზოგადოება ძნელად უშვებს მეგრულის, როგორც კულტურული შემოქმედების ენის, ლეგიტიმურობას, არადა ქართულ კულტურაში რაღაც „ახლის ასამოძრავებლად“ თურმე საჭიროა მან, ქართულმა კულტურამ, თავის წიაღში „თავისი სხვა“, კერძოდ, მეგრული დაუშვას.

უცნაური აზრია, რბილად რომ ვთქვათ: ცუდად ყოფილა ქართული კულტურის საქმე, მისი განახლება თუ ამაზეა დამოკიდებული. რაკი „შემოქმედების ენაზე“ ლაპარაკი, მოდით, უფრო დავაკონკრეტოთ ეს საკითხი, მაგალითად, ლიტერატურის კუთხით მივუდგეთ: ვინ აუკრძალა მეგრული წარმოშობის ქართველ მწერლებს, რომ მეგრულ ენაზე შეეთხზათ თავიანთი ნაწარმოებები? კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, დემნა შენგელაია, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, შალვა დადიანი და სხვანი, მგონი არ წუნუნებდნენ იმის გამო, რომ ქართულად უხდებოდათ წერა; ხოლო ჰიუ მაკდაიერმიდმა, როგორც ვიცით, ყველასთვის უცნობ ენაზე (თუ დიალექტზე) შექმნა თავისი პოეტური შედევრები, თუმცა საშუალება ჰქონდა მსოფლიოში გაბატონებულ ენაზე ეწერა, ანუ ინგლისურად; ალბათ, იმ დიალექტში ისეთი რამ აღმოაჩინა, რაც მის მხატვრულ ინტუიციას საშუალებას მისცემდა, სრულიად განსაკუთრებული რამ ეთქვა ლიტერატურაში. სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავ ფუტურისტულ ლე-



ქსებშიც ხმიანებს მეგრული ენა – საგანგებოდ „ზაუმური“ გაუცნაურება ვერ ფარავს სპეციფიკურ მეგრულ ინტონაციებს („ცირა“, „მეკამეჩის ურმული“, „სანაპირო სიმღერა“ „ხაბო“, „სიდუ“, „მორდუ“...), მაგრამ თავის სამწერლო ენად ს. ჩიქოვანს ქართული ჰქონდა არჩეული. თუმცა ეს სიტყვა, „არჩეული“ ზუსტი არ არის, რადგან ქართველი მწერლები საერთოდ არჩევანის წინაშე არ დგანან, როცა წერას იწყებენ: ისინი წერენ ქართულად, რადგან ქართველი მწერალი ქართულად უნდა წერდეს! მეგრულს არავითარი „დაშვება“ და „ლეგიტიმაცია“ არ სჭირდება: თუ ოდესმე ვინმე მეგრულ ენაზე დააპირებს შედევრების შექმნას, მას მამაზეციერიც ვერ აღუდგება წინ; ხომ თარგმნა ვიღაცამ „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად; მგონი ამისთვის არავის დაუჭერია, თუმცა ზოგი ქართველი მწერლის რეაქცია მართლაც ზედმეტად, იმპერატიულად უარყოფითი იყო (მურმან ლებანიძეს ვგულისხმობ) ჩემი აზრით, საგანგაშო არაფერი იყო ამ ფაქტში, მაგრამ აზრს ვერ ვხედავ – ვის რაში სჭირდება მეგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“? განა არსებობს ისეთი მეგრელი, რომელსაც ამ პოემის ქართულად წაკითხვის საშუალება არ აქვს? (თუ ქართულის არმცოდნე მეგრელი საერთოდ მოიპოვება ბუნებაში, მას ალბათ ქართული კლასიკური ლიტერატურის კითხვის სურვილიც არ ექნება). ასე რომ, სანამ მეგრულ ენას თავისი ჰიუ მაკდაიერმიდი გამოუჩნდებოდეს, მანამ, ალბათ, მეგრულის, როგორც „კულტურული შემოქმედების ენის“ შესახებ წინასწარი თეორიული სპეკულაციები არაფრის მომცემია. ეს ღია კარის მტვრევას ჰგავს და ამავე დროს „კატის გამოთხრის“ არასახარბიელო პერსპექტივის აჩრდილმაც შეიძლება წამოჰყოს თავი.

საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მთელი ეს კომპეტენტური ინტელიგენტური განსჯანი რაღაც უკანონო აბსტრაქტიზმისკენ იხრება, რადგან შეუძლებელია, არ ვგრძნობდეთ, რომ დღევანდელ

ეტაზე სასიცოცხლოდ აქტუალური პრობლემები ცოტა სხვაგვარია, ჩვენ კი, მიზეზთა გამო, ამ პრობლემებზე ვლუმვართ, ან, ყოველ შემთხვევაში, ყრუდ და გაკვრით ვეხებით მათ, საგანგებო კონცენტრირებას არ ვაკეთებთ მათზე და ამის საკომპენსაციოდ, იძულებულნი ვხდებით ჩვენი ინტელექტუალური აქტივობა რაღაცნაირ სტერილურ სივრცეში მივმართოთ, სადაც თუმცა კი არის შესაძლებლობა აზრისმიერ შენობათა აღმართვისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიადაგი ქვიშიანია და არა კლდოვანი: ქვიშაზე აგებული შენობა კი, მოგესხენებათ, ადვილად ინგრევა...

რა მაქვს მხედველობაში კონკრეტულად?

მაგალითად, ამ შეხვედრაზე აფხაზეთის საკითხმა გაიჟღერა: ითქვა, რომ ქართველ და აფხაზ მეცნიერებს ურთიერთსაპირისპირო (მაგრამ გაჭრილი ვაშლივით ერთნაირი) შეხედულება აქვთ იმაზე, თუ რომელი ეროვნება (ქართველები თუ აფხაზები) არის ავტონომიური აფხაზეთის ტერიტორიაზე და რომელი უფრო გვიან მოსული. მეტ-ნაკლები არგუმენტაცია ალბათ ორივე მხარეს მოეპოვება თავისი აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ, როგორც აქ ითქვა, ეს ყოფილა პოლიტიკური მიზნით შეთითხნილი არგუმენტები, სიმართლე კი ყველას კარგად სცოდნია.

მერედა, თუ სიმართლე ვიცით, ვთქვათ კიდევ ეს სიმართლე!

მე არ ვიცი, ვის რა მიაჩნია ამ შემთხვევაში „სიმართლე“, ამიტომ იმას ვიტყვი, რაც ჩემი გაგებით არის სიმართლე: ფაქტია, რომ ქართველები და აფხაზები ამ ტერიტორიაზე უკვე საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ ერთად. აფხაზეთის ისტორია უკვე საუკუნეების მანძილზე არის საქართველოს ნაწილი. მართლა ეთნიკური ქართველები იწოდებოდნენ ძველად აფხაზებად თუ აფსუები (ადილურ-ჩერქეზული მოდგმის ხალხი), ვგონებ, ჯერ ცალსახად არავის დაუმტკიცებია, მაგრამ ამის გამორკვევა მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისითაა საინტერესო, პოლიტიკისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში ისტორიული პრეტენზიებით არავინ ელაპარაკება ერთმანეთს. არც ქართველებს და აფხაზებს გამოადგებათ ერთმანეთთან ისტორიული პრეტენზიების წაყენება. ამერიკელებიც არ არიან ამერიკის ავტონომიური მოსახლეობა, მაგრამ ხომ სასაცილო იქნება, აბორიგენებმა ამის გამო რაღაც პრეტენზიები წაუყენონ მათ. ახალი ამერიკული ცივილიზაცია სწორედ ევროპიდან მოსულმა ხალხმა შექმნა, აბორიგენთა ცივილიზაციისგან სრულიად განსხვავებული. რა თქმა უნდა, ამერ-

იკის კონტინენტის პირველდამპყრობნი დამნაშავენი არიან, ადგილობრივი მოსახლეობა რომ დაიპყრეს და მათი ცივილიზაცია გაანადგურეს, მაგრამ დღევანდელი ამერიკელი რაშია დამნაშავე? ის ამერიკაში დაიბადა და ამერიკა მისი სამშობლოა; ასევე აფხაზეთიც აქ დაბადებული და გაზრდილი ნებისმიერი მოქალაქის სამშობლო, თუნდაც ის არც აფხაზი იყოს ეროვნებით და არც ქართველი. „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“ რომ ყველას პირზე გვაკერია, ეს სიტყვები პრაქტიკულად, ცხოვრებაში უნდა მოქმედებდეს.

აფხაზეთის ომი რუსეთის პოლიტიკის კარნახით გააჩაღეს ჩვენმა პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა, რომელთაც ცოტა ადრე კანონიერი ხელისუფლება დაამხეს საქართველოში. აფხაზეთის ქართველობა ამ ომის შემდეგ საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად აქციეს. ხომ უნდა დაუბრუნდეს ბოლოს და ბოლოს ეს ხალხი თავის სახლ-კარს? მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, რადგან ის არ არის საქართველოს ინტერესების გამომხატველი ხელისუფლება. სხვათა შორის, არც აფხაზეთის თვითგამოცხადებული „რესპუბლიკის“ ხელისუფლება არ გამოხატავს აფხაზი ხალხის ინტერესებს. აფხაზეთის ინტელიგენციას უნდა ესმოდეს, რომ არავითარი „დამოუკიდებელი აფხაზეთი“ არ არსებობს ბუნებაში: ეს არის რუსეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ტერიტორია. ეს პოლიტიკური ავანტიურა საქართველოს თუ თავის ტერიტორიას აკარგვინებს, აფხაზებს რეალურ საფრთხეს უქმნის, რომ ისინი, როგორც მცირერიცხოვანი და არცთუ ისე დიდი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ხალხი, ასომილირებული იქნებიან რუსეთის მიერ და გაქრებიან, როგორც ეროვნება. საქართველო მათ ამგვარ საფრთხეს არასოდეს უქმნიდა და არც შეუქმნის.

ისევ „მამული, ენა, სარწმუნოებას“ მივუბრუნდეთ. ეს ტრიადა თავისთავად არავითარ რევიზიას არ მოითხოვს, მაგრამ თუ იგი არ გვაკმაყოფილებს, მაშინ თავად უნდა შევქმნათ უფრო ყოვლისმომცველი ფორმულირება, რომელიც საქართველოს მოქალაქის იდენტობისთვის უფრო გამოსადეგი იქნება. ან იქნებ ჯობდეს, ყოველგვარი ფორმულირებისა და ლოზუნგ-დევიზების გარეშე გადავიდეთ საქმეზე და იმ ელემენტარული ქვიშარით ვიხელმძღვანელოთ, რომ თუ ნორმალური ქვეყანა გვინდა, ნორმალური ხელისუფლება უნდა გვყავდეს. კანონიერების დარღვევამ და უკანონობის დაკანონებამ სადამდე მიგვიყვანა, მგონი ყველანი ვხედავთ.

18.VIII.2003

შალვა მჭედლიშვილი

როცა განვლილ გზას განხილავ...

(ყოფილი პოლიტბატომრის მოგონებები)

ისევ ჩემს ბინაში ვარ, ძველ ჩუღურეთში, იმ ბინაში, სადაც ყოფნა მრავალი წლის განმავლობაში მენატრებოდა, სამშობლოდან შორს გადახვეწილს. ცოლშვილს ტკბილი ძილით სძინავს, ჩემს თვალებს კი რული არ ეკარება. სიყვარულით დავცქერი ძილში მომღიმარ ჩემს შვილიშვილს და სევდიანად ვფიქრობ: მე ალბათ მალე აღარ ვიქნები, ის და მისი თანამედროვენი კი 21-ე საუკუნეში ჩვენი ნამოქმედარის მსაჯულები იქნებიან!

...ვარდობისთვის, აკაციები კვლავ თეთრად ჰყვავიან უბანში, მაგრამ ბუღბუღების გალობა უკვე აღარ გაისმის ღამლამობით... აღარც ჩემს გულში გალობს ბუღბუღი!

...ახლახან სამოცდათხუთმეტი წელი შემისრულდა...

ზშირად იმასლა ვფიქრობ და ვნაღვლობ, რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე!... უფალს იმედი ხომ არ გავუცრუე, მზისქვეშეთში რომ დამბადა? ჩემი თავი მაინც თუ შევიცანი! ვის ვემსახურე – ღმერთს თუ სატანას?!

ბუნებრივია, ასეთი ფიქრები აწამებს იმ ფიქრიან ადამიანს, ვინც ცხოვრების გზა უკვე გაიარა... მით უმეტეს ჩემნაირი გზა: ციხეები, ვორკუტის სარეჟიმო კატორღა...

თვალწინ პოეტური სიშმაგით შეპყრობილი ტერენტი გრანელის აჩრდილი მიდგას და მეჩურჩულებს:

„წითელი მზე აელვარდა მინებთან,
მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე,
უიმედო გულისძგერა მიწელდა,
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

ჩაესვენა სურვილების გროვა,
როგორც შორი მირაჟების სერია,
ახლა უფრო დაფიქრების დროა,
ჩადენილი შეცდომები ბევრია.“

იქნება მეც დავუშვი შეცდომები განვლილ ცხოვრებაში? ფუჟ, უნაყოფო ქიმერებს ხომ არ შევწირე სიყმანვილე და მთელი სიცოცხლეც?!

მახსოვს, ყმანვილები რომ ვიყავით, ერთმა ამხანაგმა სკოლაში თავისი აღფრთოვანება გაგვანდო მეგობრებს: ერთი უცხოელი მწერლის წიგნი წავიკითხე, სადაც ღრმად მოხუცი სიხარულით ქვითინებდა, რათა თავისი სამშობლოს თავისუფლების მომსწრე გამხდარიყო. ის ჩვენი მეგობარი მეორე მსოფლიო ომში დაიკარგა უგზო-უკვლოდ... ჩვენ კი ვინც შემთხვევით ცოცხლები დავრჩით, ვეღირსეთ სამშობლოს ბედნიერებას და თავისუფლებას! თუმცა, ავად თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის!.. დღეს სიხარულის ცრემლებს ვღვრი, როცა ყველგან ვხედავთ ზეაღმართულ ჩვენს ქართულ დროშებს...სად არ ფრიალებენ ისინი ამაყად მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების აღმების გვერდით; მაგრამ ავცქერით მათ და გვახსენდება შოთა რუსთაველის სი-

ტყვეები დიდებული: „რაღა იგი სინათლე, რასაც თან ახლავს ბნელია,“ ან შექსპირის: „ცალი თვალი რომ იცინოდა, ცალი სტიროდა.“


...არსენალის მთიდან ელმავლის კივილი გაისმის და უნებლიეთ მაგონდება ჩემი ბავშვური ოცნებები, ბავშვური ნატვრანი. მაგრამ დავკაცდი და ღამაზი

გზების მაგივრად მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი სტოლიპინის რონოდით შემომატარეს! მაგრამ ამას არ ვნაღვლობ – ჩემი წამება რა სანუწუნოა, როცა ჩემი ღრმა რწმენით, ყოველი ქართველი მოვალეა სამშობლოს შესწიროს თავისი სიცოცხლე. ვნაღვლობ მხოლოდ იმას, რომ ჩვენი სათაყვანო მამულის ასიათასობით ლტოლვილი მკვიდრი თავის სახლ-კარში ვერ დაბრუნებულა, უამრავი მათხოვარი და გაუბედურებული ბავშვი გაჩნდა ჩვენს სამშობლოში, რომლებიც ჩვენივე მინაზე მწყრებივით გვეხოცებთან და გამკითხავი არავინაა!

ადრიანი ბავშვობიდანვე ლექსებს ვწერდი. მახსოვს, რა შეშინებული გაასავსავებდა ხოლმე დიდდაჩემი ხელეებს, როდესაც ჩემი ამბოხით საგვს ლექსებს ვუკითხავდი, რომლებშიც ღმერთსაც ვგმობდი და არსებულ ხელისუფლებასაც. დიდდა თავის რომელიღაც ნათესავს იხსენებდა, სულ იმ ცხონებულს ჰგავხარო. თურმე ის ცხონებული თანასოფლელების წინაშე შედგებოდა შემალღებულ ადგილზე და ღანძლავდა ღმერთსაც, მთავრობასაც. – ამ ქვეყანაზე უსამართლობისათვის. დაიჭრდნენ ყანდარმები, ბორკილებს დაადებდნენ და გაუყენებდნენ ციმბირის გზას, მაგრამ იქიდანაც გამორბოდა. ბოლოს სადღაც ჩაჰყარა თავისი ძვლები, უცხო მინაში ჩაჰფლეს, ვაი თუ შენც იმისი ბედი გენიოსო, ნუხდა დიდდაჩემი. დიდდას წინასწარმეტყველება ამხნდა – 1945 წლის მარტში დამაპატიმრეს „ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისათვის“ და ციმბირს გამიყენეს.

ციხეებში საკატორღო ბანაკებში მრავალ ადამიანს შეხვდები, მათ შორის ღრმად მოაზროვნე და სპეტაკი სულის ადამიანებსაც. მე თვით არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი, მაგრამ მრავალგვარი რწმენის ადამიანს ვიცნობდი, ბევრთან მქონდა კარგი ურთიერთობა. ამჯერად მინდა მოგიხროთ ზოგიერთ პარტიულ ლიდერთან ჩემი შეხვედრის შესახებ.

1945 წლის 27 მარტიდან 1946 წლის აპრილის ბოლო რიცხვებამდე თბილისის ციხეებში ვიჯექი, ჯერ მარტოდ ვყავდით საკანში, შემდეგ სხვა საკანში გადამიყვანეს. შევედი საკანში და შემადრწუნა დამხვდურთა



ხილვამ, ვაიმე, ეს რა მოგსვლიათ-მეთქი! – აღმომხდა უნებურად. მათ კი მწარედ გაიცინეს და ერთმანეთს გადახედეს: ეს რომ ამას ამბობს, თვითონ თუ იცის, რას დამსგავსებია ეგ უბედურიო. თურმე მეც შევცვლილ-ვარ!..

ერთი მთგანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ახალგაზრდა მეცნიერი ქართლოს ახვლედიანი იყო, მეორე ახალგაზრდა მეგრელი გლეხი – გაჯა იყო, გვარი დამაინწყდა. ქართლოსი სიკვდილმისჯილთა საკანში – „ქვის ტომარაში“ მჯდარა კარგა ხანს, მერე მისთვის სიკვდილით დასჯა 25 წლის პატიმრობით შეუცვლიათ – რალაც სამხედრო გამოგონება ჰქონია და იმან იხსნა. ფრიად განათლებული და ნიჭიერი კაცი გახლდათ, ნაადრევად დაბრძენებული. მამაბო – ძალიან მანამეს, ცეცხლში თავს მაყოფინებდნენო. სათუთად იგონებდა თავის მეუღლეს და პატარა შვილს. მეუღლე ჩეხი ჰყოლია, მისგან ამანათს რომ მიიღებდა, მხნევდებოდა და ოხუნჯობდა: „ვინც ამ ქვეყნად ჯოჯოხეთი გავიარეთ, იმ ქვეყნად უფალი დაგვინდობს, ალბათ სასუფეველს დაგვიმკვიდრებსო.“ როცა დავ-ლონდებოდით, გვეტყოდა, რას ჩამოგიშვიათ ცხვირი, ამ კედლებში თავს უნდა ბედნიერად გრძნობდეთ, დაპატიმრების შიში თქვენ აღარა გაქვთ და წყურვილ-შიმშილისაო. რასაც გინდათ იმას ილაპარაკებთ და ყურებზე ხახვსაც ველარავინ დაგაჭრიო!..

გაჯას კოლმეურნეობის თავმჯდომარის მკვლელობა ბრალდებოდა. სანყალს იმდენი ურტყეს, რომ ლამის თვითონაც დაიჯერა, მე მოვკალიო. ჩვეთან კი ცოლ-შვილს იფიცებოდა, მე არ მომიკლავსო. ჩვენ კი გვეჯეროდა, მაგრამ იმათ რა დააჯერებდა, ვისზეც მისი ბედი იყო დამოკიდებული. ერთ ღამეს გაჯამ უცნაური სიზმარი ნახა: ვითომ ფეხსაცმელს ლანჩა ასძვრა და ბურღულიან ჯამში ჩაუფარდა, სიზმრის ახსნა მთხოვა და რატომ ენა არ გამიხმა, ვუთხარი: ვაიმე, ჩემო გაჯა, კიდევ არ გცემონ მაგ უღმერთობმა-მეთქი, გაჯამ გაიღიმა და ჩაილაპარაკა: მე და ქართლოსს თავი ქუდში ვგვაქვს, უკვე მაგრად ნაცემები ვართ, შენა გაქვს ვალი მოსახდელიო.

ის-ის იყო, ეს თქვა და კარიც გაიღო – გაჯა „ზევით“ ნაიყვანეს, ცოტა ხნის შემდეგ თავზარდამცემი ღრიალი და ქვითინი მოგვესმა; ქართლოსმა სახეზე ხელები აიფარა და კუთხეში მიიყუჟა შეშინებული...

– შენ ხომ უკვე მისჯილი გაქვს, შენ აღარა გცემენ, დამშვიდდი, ძმაო, – ვანუგეშებდი მას.

კარი კვლავ გაიღო და ეს ჩვენი გაჯა ტომარასაგვით შემოაგდეს საკანში. მთლად დასისხლიანებული იყო, განსაკუთრებით ფეხის გულელები სტკიოდა.

– რატომ გცემეს, ძმაო, ხომ ნაკისრები გქონდა ყველაფერი? – ვკითხეთ გულშემოყრილებმა.

– ნამდვილი მკვლელი იპოვეს და იმიტომ, – ნაილულულა ბიჭმა.

– კი მაგრამ, შენ რაღას გერჩოდნენ?!

– რატომ აურიე ძიებას კვალიო, ტყუილად რატომ დაიბრალო! ანი გემახსოვრება, რომ ტყუილს აღარ იტყვიო!

ჩვენი საკნის გვერდით ერთ მხარეს გოგი მამაცამ-

ვილი იჯდა – მიხეილ ჯავახიშვილის ყოფილი სიძე, ისიც სოციალ-დემოკრატი, ხოლო მეორე მხარეს – კატუშა ჩოლოყაშვილი; ორივენი ცალ-ცალკე საკანში იმყოფებოდნენ და ერთმანეთს კედელზე კაქუნით ველაპარაკებოდით, ვიდრე ზედამხედველმა არ შენიშნა და კარცერში არ უკრეს თავი!

თბილისში, განმანანილებელი ციხის საავადმყოფოში შევხვდი ჩემს ყოფილ პროფესორს გიორგი ვანაძეს, გამოჩენილ ფიზიოლოგს, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი იყო 1932-1936 წლებში. იგი ციხეში პატიმრებს მკურნალობდა და ისიც ყველას უყვარდა. თავი ვაჟკაცურად ეჭირა. თამამდ ამბობდა: – დადგება დრო, როდესაც დემოკრატია გაიმარჯვებს, შეუძლებელია ეს სამყარო ასე დარჩესო. მას სასამართლოზეც დაუფარავად უთქვამს: – მინდოდა, მინდა და მენდომება თქვენი დამხობაო, რადგან თქვენც ფაშისტების მსგავსი არამზადები ხართო!

დაპატიმრებამდე გრიგოლ კოსტავას ვიცნობდი, როგორც მსახიობს და მამაც პიროვნებას, მაგრამ არ ვიცოდი, რომ იგი სოციალ-დემოკრატი იყო. ციხეში ყოფნისას მე მას რამდენჯერმე შევხვდი. თავი იმდენად მამაცურად და ამყად ეჭირა, რომ თვით ციხის ზედამხედველების პატივისცემასაც იმსახურებდა.

კარგი ჩვენც მოგვენონებო, – მითხრა მის შესახებ ერთმა ახალგაზრდა ზედამხედველმა. ბატონ გრიგოლსაც დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ეს განაჩენი შემდეგ ხანგრძლივი პატიმრობით შეუცვალეს. სამაგალითოა და განსაცვიფრებელია, ცალთირკმელამოჭრილმა, ავადმყოფმა კაცმა ასე ვაჟკაცურად როგორ გაუძლო იმდენ წამებას და განსაცდელს!

1949 წლის მაისიდან 1951 წლის მაისამდე ვორკუტის კატორღაში ვიმყოფებოდი.

1950 წლის ივლისში ჩემს სანახავად მშობლები ჩამოვიდნენ, მაგრამ... ნახვის ნება არ მოგვცეს!...

იქ ყოფნისას მძიმედ გავხდი ავად და „სანიტარულ ქალაქში“ გადამიყვანეს, სადაც ისეთივე მკაცრი რეჟიმი იყო, როგორც ბანაკში. ერთხელ ახალმოყვანილი ახოვანი, შუა ხნის კატორღელი აღიმართა ჩვენს წინ და იკითხა: – ქართველი თუ ხართ აქ ვინმე? როცა ორიოდ ქართველი გამოვეჩნაურეთ, სიხარულით ცას ენია... ყურებიან ქუდზე და ზურგზე, როგორც ყველას, მასაც კატორღელის ნომერი ეწერა. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი იყო, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ამ პარტიას ხელმძღვანელობდა 1928 წლიდან. ჩეკისტებმა მხოლოდ 1945 წელს შეძლეს მათი დარბევა-დაპატიმრება, ეს კაცი გახლდათ ცნობილი იურისტი და ჩინებული ეკონომისტი ვალერიან სამსონის ძე დვალისვილი.

– როგორ გაგიმეტეს, შვილო ასეთი ახალგაზრდა კაცი, რომ ამ მუდმივი ყინვისა და სიკვდილის საუფლოში გაგამწესეს, ისეთი რა დააშავე? – მკითხა მან. – ლექსებს ვწერდი-მეთქი, – ვუპასუხე. მან მწარედ ჩაიცინა: – თუ შენ მწერლობას აპირებ, აქ ყოფნა გამოგადგება, ეს შენთვის შესანიშნავი სკოლა იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ცოცხალი გადარჩი!

მოგვიანებით, როდესაც დავმეგობრდით და ჩემი

ლექსები წაეუკითხე, სინანული გამოთქვა: აფსუს! რატომ წინათ არ გიცნობდი, შენი ლექსებიდან შესანიშნავ პროკლამაციებს გამოეჩინა ვადიო.

ბატონი ვალერიანი (შინაურულად ვალიკოს ვეცხდით) მჭერმეტყველი და ბრძენი კაცი იყო, დიდსულოვანი და დიდად ერუდირებული. მასაც სწამდა, რომ სამყაროში უსათუოდ დიდი ცვლილებები უნდა მომხდარიყო ადამიანთა სასიკეთოდ. ყოველ სასონარკვეთილს ამხნევებდა, ბევრ რამეს უხსნიდა და ამბობდა, ეს ჩემი ვალია, აქ ხანგრძლივად ყოფნა რომ მომიწევს, ეგებ ამ საუბრებით უფრო მეტ ადამიანს ვარგო რამეო!

ვორკუტაში ქართველებს პატარა „სათვისტომო“ გვექონდა. თუ ვინმე სასწაულად წერილს ან ამანათს მიიღებდა, მაშინვე ვიკრიბებოდით. ერთხელ ბატონმა ვალერიანმა ხილთან ერთად „ვეფხისტყაოსანიც“ მიიღო, რომელსაც ერთმანეთს ხელიდან ვტაცებდით... ვალერიანს განსაკუთრებით ამ სტრიქონის წარმოთქმა უყვარდა: „უშენოდ ჩემი სიცოცხლე ვაჰმე, რა დიდი ძნელია...“ თავის მეუღლეზე და ვაჟიშვილზე – რეზიკოზე დარდობდა. ხანდახან ჭადრაკის თამაშით იქარვებდა დარდს, თუმცა ხშირად აგებდა. ერთ დღეს, ჭადრაკს რომ ვეთამაშებოდი, თვალის სკლერებზე სიყვითლე შევნიშნე, სტაციონარში მოვათავსეთ და გვერდიდან არ მოვცილებივარ, ვიდრე არ გამოჯანმრთელდა, მხნედ ყოფნას ცდილობდა, ნაძალადევად ოხუნჯობდა: სევე-და-ნალველმა გამისია ნალველა, გავეყვითლდი, მაგრამ ხომ ვერ გამანითლესო! რწმენის კაცი იყო, დიდი ფანატიკოსი, ხშირად ამბობდა: ახლა თუნდაც მოგვკვდე, არ ვდარდობ, ჩემი სული ნამდვილად იცოცხლებს, დემოკრატია ამ ქვეყანაში ფრთებს გაშლის და ამას თქვენ მინც მოესწრებითო. ამასთან ერთად იგი მაზიარებდა სოკრატეს, არისტოტელეს, პლატონის, თომას მორის და სხვათა ნაზრევებს. მარქსსაც უღრმეს პატივსა სცემდა, ამბობდა, ეს დიადი მოძღვრება საზარლად წარყვანესო. როგორ შეიძლება ადამიანთა ბედნიერებისათვის იღწვოდე ვითომ, და ამ სიტყვებს ლაღადებდე: „მასობრივად წავახალისოთ სანახაობითი ტერორი, დაეხვრიტოთ, ჩამოვანროთ, დავაპატიმროთ.“ არადა, იცით, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? – „პროლეტარიატის ბელადს“ ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. ყველა ეროვნების ადამიანი იტანჯება აქ – ვორკუტაში. ქვანახშირის მალაროებში ცოცხლად იმარხებიან ადამიანები. ქვანახშირის საბადოებში მშიერ-მწყურვალნი მუშაობენ, სურავანდით უწყლულდებათ ხელ-ფეხი და არც წამალია მათთვის და არც ნუგემის სიტყვა. ადამიანები ბუზებივით იხოცებიან, რომელთაც უკვე აღარც საკუთარი გვარი აქვთ და აღარც სახელი, გათოშილ ტუნდრის მიწაში ჩაფლავთ ხოლმე ქრისტიან კაცს და მის საფლავზე ჯვარი რომ დავსვათ, იმისი უფლებაც არა გვაქვს, გაჩორკნილ ხის ვარსკვლავზე მხოლოდ კატორ-

ღელის ნომერს ვანერო.

ერთხელ კი ეს მიაბო:

ადრეც ვიყავი დაპატიმრებული. ერთხელ ბერიასთან მიმიყვანეს, მან პირადად დამკითხა და მითხრა: ამ დღეებში თბილისში შენი თანამებრძოლი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი ჩამოდის და შეიძლება მოგიკითხოს. ჰოდა, იცოდე: თუ საპატიმროში შენი ყოფნის შესახებ რაიმე წამოგცდა, ცუდი დღე დაგადგება, შენი ცოლი დაპატიმრებული მყავს და ჭკუით იყავი, ჩემმა ბიჭებმა სასერიოდ არ გაგინადონ საქმეო. მერე ადგნენ და ანრი ბარბიუსთან შეხვედრის დღეს დენდივით გამომანყვეს, სმოკინგით შემმოსეს, ჩამაცვეს ლაკის ფეხსაცმელი, ყელზე შავი „პეპელა“ გამიკეთეს, შლაპა დამხურეს, ხოლო ხელში ვერცხლის ბუნიკიანი, ლამაზი ხელჯოხი მომაჩეჩეს. მეგობარს ბერიას მდიდრულ კაბინეტში შემახვედრეს, ჯოჯოხეთური მწუხარებით ვიყავი გულსავსე, მაგრამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და სხაპასხუპით ფრანგულად მივაყარე მეგობარს: – „ბედნიერი ვარ, თუნდაც სიკვდილის წინ, რომ კიდევ ერთხელ მეღირსა თქვენი ნახვა!“ ანრი ყველაფერს მისვდა. სიბრაზისაგან გაფითრდა, ლავრენტის შემფოთებულმა გადახედა და უთხრა:

– ვალერიანს ერთი ღერი თმაც რომ ჩამოუვარდეს, იცოდეთ, ცუდად წაგივათ საქმე, ხვალ მოსკოვში ვიქნები და როგორმე შევძლებ ყველაფერი სტალინს მოვასხენო!

იმავე საღამოს ერთი ლაზათიანი პანლური ამომკრეს და საპყრობილედან გარეთ გამომადგეს. ბოლმა მახრჩობდა, სადღაა-მეთქი ჩემი მეუღლე, რომელიც ციხეში მეცხრე თვეზე ორსული ჰყავდათ. და ოი, ბედნიერება! – დავინახე ჩემი საბრალო მეუღლე, ლასლასით როგორ გამოვიდა რკინის კარიდან – ისიც გამოუშვეს!

ბატონ ვალერიანს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც შეხვდით, რუსთაველის გამზირზე. მახარა, რეაბილიტაცია მივიღეო, მაგრამ სულ მალე გარდაიცვალა. ნაადრევად გარდაიცვალა მისი შვილი რეზოც, რომელიც კარგა ხანს ჟურნალისტიკაში მოღვაწეობდა – გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი გახლდათ. თბილისში რომ ჩამოვედი, ბინა ჩამორთმეული დამხვდა, მე კი უვადოდ გასახლებული ვიყავი დედაქალაქიდან, სადაც დავიბადე და გავიზარდე. დედაჩემიც რეპრესირებული იყო, მამა – კარგა ხნის გარდაცვლილი. – მე ეს არ ვიცოდი და მას თურმე ტყუილად ვწერდი ციმბირიდან წერილებს!..

როგორც ამ წერილის დასაწყისში ვთქვი, საკონცენტრაციო ბანაკებში ყოფნის წლებში მრავალ ღირსეულ ადამიანს გავეცანი. ზოგის შესახებ სხვა წერილებში მაქვს მოთხრობილი, ზოგ მათგანზე კი მომავალში ვფიქრობ მოვუთხრო მკითხველებს.

რეზო ემელიანე ადამია

ნორმანდიული დღიური (ფრაგმენტები)


ჩანაწერები

10 აგვისტო. პორტბაი.

ყველასდა სასიკეთოდ წაენყო კარგი ამინდები. დილით სურათების წაღება გადაწყვიტეს, ამიტომ ჯერ სახლში ვმუშაობდი. იდეალური დილაა, ოკეანის მოქცევის ფონზე უქარო, წყნარი ამინდია. მოგვიანებით ლამაზი ადგილები ველოსიპედით შემოვიარე. დომალასის მიწვევით ჩამოსული მხატვრები სანაპიროზე მუშაობდნენ. მომავალში მათ მეც შევუერთდები. მერიაში დარეკა ანდრეიმ და გაარკვია, დარბაზის გასაღებს როდის ჩავგაბარებენ. განვიცდი, რომ ამ ჩურჩუტი ბავშვების გადამკიდემ ერთი ნახატი დავკარგე. თან ბრძენის სიტყვები მახსენდება: “დაკარგულ წუთებს საუკუნეებიც ვერ გაასწორებენო.” სამწუხაროდ, ასეა...

ახალი სურათი გავაკეთე განსხვავებული კოლორიტის. მე და ანდრეიმ ისევ განვაგრძეთ დარბაზის შევსება. კატია ადრე წავიდა. სიყვარულით სავსე თვალები არა აქვს და რათ უნდა ანდრეის ეს გოგო? ვერ აირჩია ვინმე ფრანგი, კარგი ოჯახიშვილი. კატია ძალიან ცხვირანეული და უხასიათოა, თანაც ზედმეტად დიდი და ტლანქი. წლებში რომ შევა, დიდ გლობუსად იქცევა ალბათ, თუმცა რა ჩემი საქმეა...

მერთა პრეზიდენტი მოვიდა და ყველაფერი საგულდაგულოდ დაათვალიერა. ნორმანდიის კულტურული საზოგადოების მოყვანას გეგმავს და დეპარტამენტის დონემდე უნდა გამოფენის გაკეთება. სულ 67 სურათია გამოტანილი. აქედან 47 ნორმანდიული პეიზაჟებია, 19 -ქართული. დანარჩენი შენახულია. დილით გერმანელები ყოფილან და ფრანგული და ქართული სურათები მოსწონებიათ. საღამოს მერთა პრეზიდენტი ისევ მოვიდა, ვაჟიშვილთან ერთად. შესანიშნავი ახალგაზრდაა.



წინათ ერთი ჩემი ნახატი შეიძინა, ახლაც ორი ყველაზე საუკეთესო შეარჩია, ათას ხუთას ფრანკად. ქართული პეიზაჟი ადრევე გადადო. მერთა პრეზიდენტი მეუბნება, ასე თუ იმუშავე, ორ წელიწადში აქ დიდ წარმატებას მიაღწევო. ვუპასუხე, რომ დომალასი ისტორიულ ადგილებს მათვალისწინებებს და მჯერა, რომ კარგ სურათებს შევქმნი-მეთქი. იმ სურათთან მივიყვანე, სადაც მისი მშობლიური ქალაქის ეკლესიაა დახატული, ხელი სტაცა და ვაჩუქე. გაუხარდა და ანდრეის უთხრა, ამ სურათს ჩემს სახლში რომ ჩამოვკიდებ, სუფრას ვკისრულობო წინასწარ მაღლობა გადავუხადე. მოკლედ, გამოფენის გახსნამდე ოთხი სურათი გაიყიდა. უკეთ და უკეთაა საქმე. პორტბაიში გამოფენის გახსნა ბევრს უხარია. სამი კოლექციონერიცაა ჩასაფრებული, ჩემს სურათებს რომ უყურებენ. მირჩევენ რაც შეიძლება ძვირად გავყიდო. ვუხსნი, რომ ფასის გაზრდამდე ჯერ პუბლიკის მიჩვევა და დაინტერესება საჭირო, ხოლო დანარჩენს დრო გვიჩვენებს. რა ცუდია, როცა შენი სურათების ბედს მცირე ფრანკებზე დახარბებული მენეჯერი მართავს. არადა, საგაზეთო, რადიო და სატელევიზიო რეკლამას ანდრეი აკეთებს. ასე რომ ეს დღეები ძალიან საინტერესოა და დაძაბული. თხუთმეტიდან პარიზში წავალ, იქ სხვა პრობლემებია, მერე კი ჩემს დალოცვილ ქვეყანაში, საქართველოში დავბრუნდები...



